იაკობ პაპიაშვილი

ამირანი

რომანი

მეორე გამოცემა

იაკობ პაპიაშვილი

ამირანი

მეორე გამოცემა

რომანი

წერილები

პოეზია

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2023

„ამირანი“ ისრაელში მცხოვრები ქართველ-ებრაელი მწერლის იაკობ პაპიაშვილის ახალი რომანია.

ყურადსაღებია ავტორის მიერ საქართველოს ისტორიისა და თანამედროვეობის ღრმა ცოდნა, აგრეთვე იმ პრობლემებში გარკვევის უნარი, რაც ჩვენი ქვეყნის წინაშე დგას და ნაწარმოებს საინტერესო საკითხავს ხდის.

ნობელის პრემიის ნომინანტის იაკობ პაპიაშვილის ამ ახალ რომანთან ერთად წიგნში შესულია რამდენიმე უაღრესად საინტერესო წერილი კულტურისა და პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე.

რედაქტორი – **რევაზ მიშველაძე**

© იაკობ პაპიაშვილი, 2023

გამომცემლობა **„უნივერსალი“, 2023**

თბილისი, 0186, ა. ჰოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-33-572-3

התאחדות אגודות הסופרים במדינת ישראל

THE ISRAEL FEDERA OF WRITERS' UN

اتحاد رابطات الكتاب
في دولة إسرائيل

ДИПЛОМ

ЯКОБУ ПАПИАШВИЛИ

За активную творческую и общественную деятельность в русско-израильской и грузинской литературе и в связи с восьмидесятилетним юбилеем.

Председатель Союза
русскоязычных писателей
Государства Израиль
Д-р Леонид Финкель

22.01.22
Тель-Авив

הסופרים דוברי רוסית בישראל
עמותה מס
580593010

საქართველოს მწერალთა, ხელოვანთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „გულანი“

დიპლომი

ლაურეატის წოდება

მიენიჭა

იაკობ პაპიაშვილს

ნაყოფიერი საზოგადოებრივი საქმიანობისა და ქართული მწერლობაში შეტანილი წვლილისათვის

აკადემიის „გულანის“ პრეზიდენტი

ნ. ქარშანია

2023

2023 წლის 21 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა იაკობ პაპიაშვილის ახალი წიგნის "ამირანის" პრეზენტაცია, სადაც ავტორს გადაეცა წინამდებარე დიპლომი.

წინათქმა

იაკობ პაპიაშვილი ისრაელში მცხოვრები ქართველ-ებრაელი მწერალია.

მას ქართველი მკითხველი კარგად იცნობს.

საქართველოში დაბადებულს და დაფრთიანებულს, რომ იტყვიან, ხანდაზმულობამდე გაჰყვა მშობელი ქვეყ-ნის ვალი.

აქაც და იქაც ამ ვალს იხდის.

იხდის დიდის რუდუნებით, პატიოსნად, ჭეშმარიტი პატრიოტის ღრმა შეგნებით.

იაკობი იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, ვისაც სა-ქართველოს მარადმფეთქავი მაჯა უპყრია ხელთ, მტკვრის და რიონის ნაპირებზე მდებარე მისი ადგილის დედაზე ფიქრი არ ასვენებს, ისრაელიდან ქართველი კა-ცის გამხნევებას ცდილობს ისე, როგორც შეუძლია.

ამ უანგარო სიყვარულმა და რუდუნებამ მოუპოვა მას მაჩაბლის და გალაკტიონის პრემია, საქართველოს და ისრაელის მწერალთა კავშირების წევრობა, ხოლო საქართველოს სავალალო ბედზე დაწერილი რომანისათ-ვის „გაგრა“ 2018 წელს ნობელის პრემიაზეც კი იყო წარდგენილი.

„ამირანი“ მწერლის ახალი ნაწარმოებია.

მოქმედება საქართველოში – თბილისსა და ქუთაის-ში ხდება.

უპირველესად, მკითხველის ყურადღებას მიიპყ-რობს ავტორის მიერ საქართველოს სანახების ღრმა ცოდნა, რაც იაკობ პაპიაშვილს ესოდენი ფერწერულო-

ბით და ინფრასტრუქტურის ზედმიწევნითი ცოდნით აქვს აღეწრილი.

დაგამახსოვრდებათ ერთი ალალი, მიმნდობი და ცოტა გულუბრყვილო ქართველი ინტელიგენტი ამირან უბედოიძე და მისი ტრაგიკული ცხოვრება, რაშიც უპირველესი ბრალი მის მოღალატე ცოლსა და მექალთანე, გაიძვერა მინისტრს ედიშერ დარახველიძეს მიუძღვით.

რომანს წითელ ზოლად გასდევს მითიური ამირანივით ფენიქსისებრ აღმსდგარი, მტერთაგან და შინაგან მოღალატეთაგან ვერმოკლული საქართველოს ბედი.

წიგნის მეორე ნაწილში თქვენ გაეცნობით იაკობ პაპიაშვილის უაღრესად საინტერესო მეცნიერულ-პუბლიცისტურ წერილებს უახლესი ისტორიის კარდინალურ პრობლემებზე.

ამ წერილების დიდი ნაწილი სხვადასხვა დროს დაიბეჭდა საქართველოს მწერალთა კავშირის მთავარ ლიტერატურულ ორგანოში – „მწერლის გაზეთში“ და მკითხველთა ჯანსაღი გამოხმაურება გამოიწვია.

ახლა უკვე საკმაოდ შორს, ისრაელის ერთ პატარა ქალაქში (ბათ იამი) მცხოვრები მწერალი ისეთ, ერთი შეხედვით „დელიკატურ“ საკითხებს ააშკარავებს, რომელთა შესახებაც ქართველი ისტორიკოსები და პოლიტიკოსები დუმილს ამჯობინებენ.

მაგალითად, სრულიად ორიგინალური და, ჩემი ფიქრით, აბსოლუტურად მართებულია ბატონი იაკობის ახლებური წაკითხვა ჩვენი ეპოქის იმგვარი, ხელოვნურად გაბუნდოვანებული მოველენებისა, როგორიცაა:

ვინ არიან ჰურიები?

რას ნიშნავს „ვწერ ვინემ მესხი მელექსე?“

იყო თუ არა გალაკტიონი ნიკორწმიდაში?

როგორი იყო სტალინის დამოკიდებულება რელიგიასთან, საქართველოს დამოუკიდებლობასთან, ისრაელის სახელმწიფოს შექმნასთან, ეროვნული განძის სამშობლოში დაბრუნებასთან, სამამულო ომის შემდგომ მსოფლიოს ხელახლა გადანაწილებასთან და ა. შ.

მეცნიერული სკულპურროზულობით გამოუკვლევია ავტორს მიხოელსის მკვლელობის საქმე და საბოლოოდ სცემს პასუხს ზოგზოგთა აკვიატებულ მოსაზრებას სტალინის ებრაელთა მოძულეობის შესახებ. პასუხი ასეთი გახლავთ: დიახ, სტალინი ებრაელთა დიდი მეგობარი იყო.

ჩემდა სასიამოვნოდ, ჭეშმარიტების დიდი პროცენტია ავტორის ასეთ გამონათქვამშიც:

„სტალინის სიბრძნემ და ნებამ შექმნა ჩინეთი – როგორიც დღეს არის, ინდოეთი – როგორიც დღეს არის, საფრანგეთი – როგორც დღეს არის, ისრაელი – როგორიც დღეს არის და ა. შ. მან დასაბამი მისცა მსოფლიოს ახალ წესრიგს, ვფიქრობ, უკვდავებისთვის ესეც საკმარისია“.

და ბოლოს მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ამ წიგნში წაიკითხავთ იაკობ პაპიაშვილის ლექსებს, რომლებსაც ჭეშმარიტი პოეზიის ნათელი ადგას.

ნათქვამის დასტურად კრებულიდან ერთ ლექსს მოვიხმობ:

„ხან მრისხანე და ხან მოდუდუნე,
თეთრ ქვებს ჩუქურთმად ქარგავს რიონი,
აკვანდარწეულს არწივის ფრთებზე,
„ცეცხლის მზე“ ათბობს გალაკტიონის.
მე საქართველოს სიცოცხლეს ვნატრობ,
თეთრ ხიდზე ვდგავარ სულ მარტოდ მარტო

და ვევედრები ამ წყალს, ამ ტატნობს,
რომ ხელმეორედ აქ დავიბადო“.

ამ წინათქმის ავტორს ისღა დარჩენია, რომ გზა დაულოცოს „ამირანს“ მკითხველთა გულებისაკენ და სიამაყით დასძინოს: დაე, დიდხანს ფეთქავდეს იაკობ პაპიაშვილის მკერდში საქართველოსთვის ატკივებული გული.

რევაზ მიშველაძე
საქართველოს სახალხო მწერალი
რუსთაველის პრემიის ლაურეატი

ამირანი

რომანი

პროლოგი

ნაწარმოების მთავარი მოქმედი გმირები
და ფინალის ეპიზოდი გამოგონილია
ავტორი

„ქალიშვილებმა წყნარ ფანჯარასთან
ყელი ლამაზად დე მოიღერონ
და მზის ქვეშევრდომ, მარად ხალას და
ამაყ, თვითმყობად ხალხზე იმღერონ“

ველიმირ ხლებნიკოვი
თარგმნა ზურაბ კუხიანიძემ

ძველი თბილისი – პურის მოედანი

თავისუფლების მოედანს (ყოფილი ლენინის მოედანი) რამდენიმე საუკუნის ისტორია აქვს. ძველ დროში მას შეშის მოედანს ან უბრალოდ მეიდანს ეძახდნენ, რამეთუ ამ ადგილას თბილისის ახლო-მახლო სოფლებიდან ურმებით შემოტანილ შეშას ჰყიდდნენ ქართველი გლეხები.

მეიდანი – ძველი თბილისის ეშხი და სიამაყე, ამიერკავკასიის მთავარი სავაჭრო ცენტრი იყო. თამარ მეფის დროს აქ განუწყვეტლივ შემოდიოდნენ სავაჭრო ქარავნები აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან.

მეიდნის შუაგულში სურსათ-სანოვაგით ვაჭრობდნენ, მოპირდაპირე მხარე კი სამეფო და მეხაშეების დუქნებს ეჭირათ. იყო გახურებული ვაჭრობა. ქართველების დუქნებთან ერთად ბერძნების, ებრაელების და სომხების დუქნებიც იყო. მათი სალოცავები თბილისში დღესაც მოქმედებაშია.

გათენდებოდა თუ არა, მეიდანს სხვადასხვა ეროვნების უამრავი ხალხი მოაწყდებოდა ხოლმე. ყიდვა-გაყიდვას სამეფო კარის მცველები ადევნებდნენ თვალყურს. ირგვლივ ოქროსა და ვერცხლის მონეტების ჩხრიალი ისმოდა.

ხელოსნებისა და ვაჭრების საქმიანობის მიხედვით ქუჩებს შესაბამისი სახელწოდებით იცნობდნენ. არსებობდა ოქრომ-

ჭედლების ქუჩა, ვერცხლის ქუჩა, მღებავის ქუჩა, ბამბის რიგი, რკინის რიგი, დაბახანა, სირაჩხანა, პურის მოედანი..., რაც თანადროული თბილისის სინამდვილეში ასე თუ ისე შემორჩენილია კიდეც და ადრინდელი პეწი თუ ეშხი არ დაუკარგავს.

დღეს მრავალჯერ რეკონსტრუირებულმა მეიდანმა პირვანდელი სახე დაკარგა, მაგრამ წარსული, მრავალსაუკუნოვანი ისტორიის გამოსხივება, მისი მრავალფეროვნება ადგილმდებარეობას შენარჩუნებული აქვს: ნარიყალას გორა, ნარიყალას ციხე-სიმაგრე საიდანაც იხსნება უმშვენიერესი ხედები – მტკვარი, მეტეხის ტაძარი, აბანოთუბანი... პირველი საცხოვრებელი კერები თბილისში სწორედ ამ უბანში გოგირდის ცხელი წყაროების ტერიტორიაზე ჩნდება. აბანოთუბნიდან დაიწყო თბილის ქალაქის ეკონომიკური აღმასვლა, არქიტექტურული იერსახის ჩამოყალიბება: გორგასლის ქუჩა (შუა ბაზრის ქუჩა) ლესელიძის ქუჩის გაგრძელება იყო, რომლის გაყოლებაზე მდებარეობდა გოგირდის ცხელი წყლის აბანოები, ქარვასლა, ყავის საფქვავები, ჩაიხანა, სასაუზმეები და მაღაზიები. აბანოების სამკურნალო თვისებების შესახებ არაერთი საინტერესო ცნობებია შემონახული უცხოელ მოგზაურთა ჩანაწერებში. ძველი თბილისის და აშუღური სიმღერების ტრუბადური იოსებ გრიშაშვილი ენით გამოუთქმელი ნოსტალგიით წერს თავის უბერებელ ლექსს „გამოთხოვება ძველ თბილისთან“:

„თუ ჩაგივლია სირაჯხანისკენ,
დაჰკვირვებიხარ ამ ქუჩებს კარგად -
გაგაოცებდა რუმბების სისქე
და ჭიანურზე დაკრული ჩარგა.
.....
ძველო თბილისო! ჩემი მიზნები
აღარ მაქვს, გულში რომ ვინახავდი...
გადაწყდა, უნდა შევცვალო გზები...
ძველო თბილისო... გტოვებ... ნახვამდის...“

თბილისის გოგირდოვანი აბანოები ჭეშმარიტად ზღაპრული სიუჟეტების წყაროა. მექისეები კლიენტებისათვის საკმაოდ ცნობილი ადამიანები იყვნენ და არიან. ამ აბანოების უზარმაზარ აუზებში, სადაც შეუწყვეტლად გადმოქუხს გოგირდის ცხელი წყალი, ბანაობდნენ და ბანაობენ ქართველები, ებრაელები, სომხები, თათრები და საზღვარგარეთიდან ჩამოსული უამრავი ტურისტი.

თავისუფლების მოედნიდან ლესელიძის (ამჟამად, კოტე აფხაზის) დაღმართს თუ ჩაუყვებით მალე დაინახავთ სიონის ტაძარს, ებრაელების სალოცავს, მეჩეთს და ერეკლე მეორის სასახლეს, რომლის ხელმარჯვნივ ვიწრო, ქვით მოკირწყლული ქუჩები პურის მოედნამდე მიგიყვანთ.

პურის მოედანი იერუსალიმის ქუჩის პირველ ნომერში მდებარეობს. სახელი იმის გამო შეარქვეს, რომ ეს ადგილი ძველთაგან პურ-პროდუქტების ძირითად სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა, სადაც განლაგებული იყო ფქვილის საწყობები და ფურნეები. თუმცა ჩვენი მინი-რომანის, გმირის ამირან უბედოიძის ეპოქაში, ამ მოედანს მხოლოდ საცხოვრებელი ფუნქცია ჰქონდა შემორჩენილი.

ამირან უბედოიძე პურის მოედანზე სამსართულიან სახლში ცხოვრობდა – მესამე სართულზე. მეზობელი სომეხი ჰყავდა და ამგვარად სახლის სადა, ხის მოხარატებული აივანი საერთო სარგებლობისა იყო. ეს ხისგან მოქსოვილი აივანი, ერთ დროში მხოლოდ ქართველების კუთვნილება გახლდათ, ქართული ხეზე კვეთის მშვენიერი ნიმუში იყო, რომლითაც ორივე მეზობელი ყოველ დილით სიამოვნებით ტკბებოდა ხოლმე. აივანი შემინული არ იყო, ამდენად შუშაბანდის ფუნქციას ვერ ასრულებდა და ეს ფართო, ვრცელი აივნის ფასადის მხარე ღიად გადაჰყურებდა ძველი თბილისის პეიზაჟს.

განგებამ უბედოიძეს უძველესი ქართული ეპოსის გმირის სახელი კი დაანათლა, მაგრამ ბაყბაყ-დევებთან მებრძოლ ამი-

რანთან ყამარქალმა კოშკიდან რომ გადმოსძახა:

„ამირან გოლე, გოლეო,
ომში გაქებენ ხოლმეო,
ომი კი კარგი გცოდნია,
ხერხი ვერ მოიგონეო,
ზევით რადა სცემ სპილოსა,
ქვევით მოუსვი რბილოსა!“

წინამდებარე ნაწარმოების გმირს ამირან უბედოიძეს ფიზიკური მსგავსება არ ჰქონდა. იგი ოცდაათი წლისა იქნებოდა და გარეგნული შეხედულებით, განგების მიერ მაინცა და მაინც დაჯილდოებული არ იყო, ასე ვთქვათ სახიერი მიმზიდველობით ვერ დაიკვეხნიდა, თუმცა მეზობლები სანდო ადამიანად მიიჩნევდნენ მათ თვალწინ გაზრდილ ახალგაზრდას, კარგი კაცი დადგაო, ამბობდნენ მასზე და სათანადო პატივსაც მიაგებდნენ ხოლმე. ერთი სიტყვით მახინჯიაო მასზე ვერ იტყოდით, თუმცა ჩასუქებული ტანი, წინ წამოწეული ღიპი და ქერათმიანი, ბავშვურად პირმგვრალი სახე მნახველზე უსიამო შთაბეჭდილებას ახდენდა. ალბათ ამიტომ იყო, რომ ინსტიტუტში თანაკურსელი გოგოები გაურბოდნენ, არა, კი არ გაურბოდნენ, ზოგჯერ ცალყბად გამოელაპარაკებოდნენ, გაუღიმებდნენ და იმ მიზნით, რომ თეძო-ბარძაყი უფრო მკაფიოდ გამოჩენოდათ, მაღალ ქუსლებზე შემდგარნი, რონინით გაეცლებოდნენ. კარგად მოვლილები და მიმზიდველები ჩანდნენ მოწუთხულ ქვედაბოლოებში გამოწკეპილი ეს ქალიშვილები, მაგრამ ამირანს ანგარიში შეეძლო და იცოდა, ამ ლამაზმანებს მასთან საუბრისას ავხორცული გულისწადილი კიდეც რომ გამოეხატათ, ასეთ გოგონებს მისი ჯიბე ვერ გასწვდებოდა.

1

ამირანს მამა არ ახსოვდა. როგორც ერთხელ დედამ უთხრა, იგი ორი წლისაც არ იქნებოდა, როცა მამამისი ვიღაც რუსის ქალთან ერთად ვრცელ საბჭოეთში სადღაც გადაკარგულიყო.

სკოლაში ამირანი კარგად სწავლობდა, მასწავლებლები ბეჯით მოსწავლედ მიიჩნევდნენ. დედამისი ერთ-ერთ სამშენებლო ორგანიზაციაში ბუღალტრად მუშაობდა და ცდილობდა ბავშვისთვის არაფერი დაეკლო.

წლოვანების მატებასთან ერთად ამირანს თავისი მშობლიური ქალაქის და საქართველოს სიყვარულის გრძნობაც განუვითარდა. ეს ძირეულად სკოლის მასწავლებლების, პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების დამსახურებაც იყო, რომლებიც ხშირად აწყობდნენ ექსკურსიებს თბილისში, ქუთაისში, გორში, სოხუმში, ბათუმში... რამაც ამირანში ამიერკავკასიის მთისა და ბარის ტრფიალი ჩანერგა.

სკოლის დამთავრების მერე ამირანს სკოლის პედაგოგებთან და ამხანაგებთან განშორება დიდად არ უნაღვლია. ამის მიზეზი ალბათ პირველი მაისის და შვიდი ნოემბრის არაჩვეულებრივი სადღესასწაულო ქუჩის დემონსტრაციები გახლდათ, სადაც აუცილებელი იყო წითელი დროშების და პლაკატების ფრიალი, საბჭოთა კავშირის და რესპუბლიკის ხელმძღვანელების დიდი ზომის სურათების გამოფენა და დამთმობი ხასიათის გამო იგი უარს ვერ ეუბნებოდა გათავხედებულ ამხანაგებს და ხშირად უწევდა ამ ვეებერთელა პლაკატების თუ სურათების ტარება. მოსაბეზრებელი იყო ამ უამრავ მომიტინგეს შორის ფეხით სიარული და ზოგჯერ საათობით დგომა მზეში, ქარში თუ წვიმაში ვიდრე მათი სკოლის რიგი არ დადგებოდა და ლენინის მოედანზე არ ჩაივლიდნენ წითლად აალებული ტრიბუნის წინ გამაყრუებელი „ვაშას“ ძახილით, საიდანაც რესპუბლიკის ხელმძღვანელები გაღიმებული პირ-სახით და ხელების ქნევით ესალმებოდნენ „დუხავოი“ ორკესტრის გამაყრუებელი ხმების გრიალში.

სამაგიეროდ ამირანს უდიდეს სიამოვნებას ჰგვრიდა თავისი საცხოვრებელი სახლი და მისი არაჩვეულებრივი ხით მოსირმული აივანი, საიდანაც კარგად ჩანდა ნარიყალა და აბანოთუბანი. ეს აბანოები მართალია სპარსული არქიტექტურის გუმბათოვანი სტილით იყვნენ აგებულნი, მაგრამ შიგნით ქართული გოგირდოვანი წყალი უცეცხლოდ დუღდა.

...უყვარდა ამ აივანზე გამოსვლა ამირანს, უყვარდა დილა, თბილისის დილა, უყვარდა ჭრელი აბანოების ცქერა შეისრული თაღებითა და კონუსური გუმბათებით სოკოებივით რომ იყო მიმობნეული ამ უძველეს, უმშვენიერეს თბილისურ უბანში, რომელსაც უცხოელი მოგზაურები ტიბერიადის აბანოებს ამსგავსებდნენ (ტიბერიადის ტბა ანუ გენესარეთის ტბა მდებარეობს ჩრდილო-აღმოსავლეთ ისრაელში), სადაც თბილისელი მოქეიფე ბოჰემისათვის მახლობელ ბაღებში დაწყებული ქეიფი გოგირდის აბანოებში მთავრდებოდა.

ქეიფის რა მოგახსენოთ, რამეთუ ამირანი ღვინის სმას და ღრეობას გაურბოდა და ინსტიტუტში სწავლის პერიოდში უმეტეს დროს ბიბლიოთეკაში ატარებდა, თუმცა გოგირდის აბანოში სიარული არ შეუწყვეტია. იქ ნაცნობი მექისეც ჰყავდა. მექისეობა თბილისურ გოგირდის აბანოებში ისტორიული პროფესიაა და, როგორც წესი, ქისის საიდუმლო მამიდან შვილზე გადადიოდა ხოლმე, და თუ მამა არ იქნებოდა ამირანს შვილი ემსახურებოდა. მეშვიდე-მეორე პალატა ჰქონდა ამოჩემებული, სადაც ულამაზეს აგებულ ვრცელ ჭაში ბანაობდნენ ქრისტიანები, ებრაელები, მაჰმადიანები... ისტორიული დადასტურება აქვს ამ აბანოებს, ვახუშტი ბატონიშვილი აღწერს: „კედლებიდან ცხელი წყალი უზარმაზარ ნაგებობებში და აუზებში განუწყვეტლივ ჩაედინება“.

„სიცოცხლის განმავლობაში თბილისის აბანოებზე საოცარი რამ არ მინახავსო“ – წერს პუშკინი ვრცელ ნარკვევში „მოგზაურობა არზრუმში“. მის აღფრთოვანებას შთამბეჭდავი გამონათქვამით ეთანხმება ფრანგი ალექსანდრეც, რა თქმა უნდა დიუმა.

დილით, როცა ამირანი აივანზე გავიდოდა და ხშირად მისი სომეხი კარის მეზობელიც გვერდში დაუდგებოდა, იგი ჩაიღიღინებდა სიმღერას იმ მეფეზე ვინც ეს ზღაპრული წყლები აღმოაჩინა და ქალაქს თბილისი დაარქვა:

„ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,
ციდან ჩამოესმა რეკა,
იალბუზზე ფეხი შედგა,
დიდმა მთებმა იწყეს დრეკა“.

2

სკოლა რომ დაამთავრა ამირანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. იგი ბეჯითი სტუდენტი იყო, ლექციებს არ აცდენდა, ყურადღებით უსმენდა პროფესორ-მასწავლებლებს, გულმოდგინედ ეუფლებოდა სამართალმცოდნეობის რთულ პროგრამას, რომელიც ეფუძნებოდა იურიდიული განათლების საუკუნოვან ქართულ ეროვნულ ტრადიციებს. დედა რომ გარდაეცვალა, რაც ძალიან განიცადა, იგი საქნახშირის კომბინატში მუშაობდა იურისკონსულად (კომბინატი საქნახშირი სამინისტროს დონეზე ფუნქციონირებდა), იურიდიული განყოფილების უფროსის თანაშემწედ, ჰქონდა სოლიდური ხელფასი და თავისი საქმის კარგ სპეციალისტად ითვლებოდა.

იურისტსა და იურისკონსულს შორის დიდი განსხვავება არ არსებობს, ორივე სპეციალობა სამართალდამცავ სფეროს განეკუთნება, თუმცა თუ იურისტს შეუძლია იმუშაოს მოსამართლედ, ნოტარიუსად, პროკურორად და გამომძიებლად, იურისკონსული არის სპეციალისტი, რომელიც კარგად ერკვევა სამართლის სფეროში, ორგანიზაციის სპეციფიკიდან გამომდინარე.

კომბინატი საქნახშირი თავისი მოქმედების არეალით რთულ სამინისტროს წარმოადგენდა, გასათვალისწინებელია როგორც ტყვარჩელ-აკარმარას, ისე ტყიბულის შახტებში ზოგჯერ ხდებოდა ავარიები, რაც მეშახტეების დაღუპვას იწვევდა. ასეთი ტრაგიკული შემთხვევების დროს ხდებოდა იმ პრემიების შემცირება და შეფერხება, რომელსაც კომბინატში მომუშავე პერსონალი ყოველ ორ-სამ თვეში ღებულობდა. ამის გამო ამირანს ხშირად უხდებოდა ყოფნა როგორც ტყიბულში ისე ტყვარჩელში, მასალების შესწავლას და გაფორმებას საკმაოდ დიდი დრო მიჰქონდა. აგრეთვე აუცილებელი იყო საკანონდებლო საქმიანობის კონტროლი, ხელშეკრულებების გაფორმება, როგორც შიგა ორგანიზაციებს, ისე გარე პარტნიორებს შორის.

ლენინის, სტალინის, აკობას და სხვა დიდი პიროვნებების სახელობის შახტებში საქმიანობა, საშუალებას აძლევდა ამირანს დამტკბარიყო ამ შახტების ირგვლივ არსებული ბუნების სიმშვენიერით. განსაკუთრებით იზიდავდა ღალიძგას ხეობაში ყოფნა, სადაც შეცდომით აშენებული, დაკონსერვებული გვირაბის მშენებლობასთან დაკავშირებით სათანადო საბუთების გაფორმება იყო აუცილებელი.

ტყვარჩელის და აკარმარას შახტებში ქვანახშირის მოპოვება 1935 წლიდან დაიწყო და ომის შემდგომ პერიოდში ორივე რაიონმა ქალაქის სტატუსი მიიღო. ეს ქალაქები გაშენებულია მდინარე ღალიძგაზე, თბილისიდან რკინიგზით 377 კმ არის, ხოლო სოხუმიდან 80 კმ. ღალიძგა (მეგრული ღელის წყალი ან ღელის ნაპირი) დიდი კავკასიონის მთავარ ქედზე იღებს სათავეს სამეგრელოს და ზემო სვანეთის სიახლოვეს, ჩაედინება შავ ზღვაში ოჩამჩირესთან.

დაკონსერვებული გვირაბის სიახლოვეს დამრეც, დაკლაკნილ კალაპოტში გზას იკვლევდა მთიდან მოვარდნილი წყლის მასა ვეებერთელა ლოდებს შორის, არა, კი არ იკვლევდა, არამედ დაჭრილი ცხოველივით ღმუოდა და როცა ამირანი ამ მიდამოებში თანამშრომლებთან ერთად იმყოფებოდა, მათ ერთმანეთის ლაპარაკი არ ესმოდათ. ერთხელ ამირანმა მოახერხა მდინარის კალაპოტს აჰყოლოდა ზემოთ და იხილა საოცარი სანახაობა: ღალიძგას ჩანჩქერი, რომელიც მაღალი კლდიდან, ასიოდე მეტრის სიმაღლიდან გადმოჰქუხდა.

3

იმ დილით ამირანი ჩვეულებრივ ადრე ადგა, ხელ-პირი დაიბანა და სამსახურში წასასვლელად მოემზადა. დედის გარდაცვალების მერე იგი მიტროფანე ლაღიძის წყლების გვერდით მდებარე კაფეში საუზმობდა, რომლის ქვემოთ სარდაფი იყო, სადაც აჭარულ ხაჭაპურებს აცხობდნენ. ასე რომ ამირანს შეეძლო არჩევანის გაკეთება, ან ყავა და ცხელ-ცხელი ფუნთუშები ან აჭარული ხაჭაპურები, რომლებსაც ყოველთვის ოხშივარი ასდიოდა.

ამირანი სახლიდან გამოვიდა, საფეხურები სწრაფად ჩაირბინა, პურის მოედანზე გავიდა, ვიწრო ჩიხი ჩაიარა, ხელმარჯვნივ გაუხვია და ლესელიძეზე ერეკლე მეორის სახლთან შეჩერდა.

უღრუბლო ცა ალაგ-ალაგ თეთრად ქათქათებდა. აპრილის გრილი სიო უბერავდა, ადამიანს კარგ ხასიათზე აყენებდა, კარგი იყო დილის სიხალისე, მტკვარს გახედა, ლამაზი იყო ეს ძველი მწვანედ შეფერილი მდინარე. სამსახურის დაწყებამდე ჯერ კიდევ ადრე იყო და ამირანმა აუჩქარებლად აიარა ლესელიძის აღმართი, ლენინის მოედანზე ხელმარცხნივ გაუხვია და პუშკინის ქუჩასთან, სახინკლე-საქაბაბის შორიახლოს გაჩერდა. იქვე სკვერში პუშკინის ბიუსტი იდგა. ამირანს უყვარდა მისი პოეზია. ამ ქუჩასთან რომ მოხვდებოდა ყოველთვის აგონდებოდა ზოგიერთი რამ დიდი პოეტის ბიოგრაფიიდან; იგი თბილისში 1829 წლის 26 მაისს ჩამოვიდა. მაშინ აქ ორსართულიანი სახლები, ჩაიხანები და სამიკიტნოები იყო ჩამწკრივებული. მან ერთ-ერთ მოჩუქურთმებულ, აივნიან სახლში დაიდო ბინა. მოხდა ისე, რომ იგი მაშინ პირველად შეხვდა გრიბოედოვს, მაგრამ ცოცხალს კი არა, არამედ მკვდარს, როცა მისი ცხედარი ალექსანდრე ჭავჭავაძის ბინაში დაასვენეს.

პუშკინი საქართველოში თვითნებურად იყო ჩამოსული, დეკაბრისტების მონახულება სურდა, რამაც იმპერატორი და რუსი

არისტოკრატია გაანაწყენა. პოეტმა იმოგზაურა დარიალის ხეობაში, მოიხიბლა საქართველოს ბუმბერაზი მთებით, მისი ფერდობებით და ვაკეებით, სალოცავებით, სალოცავებით... ტფილისის ულამაზესი ქალწულებით, ულვაშებგაწკეპილი ქართველი თავადებით, ორთაჭალის ბაღებში გამართული ლხინის ადათ-წესებით, აბანოთუბნის გოგირდოვანი ცხელი წყლებით...

„პუშკინი ტფილისის ქუჩებმა გაიტაცეს,
ბაღში ქეიფია, თავადი თამადობს,
მძვინვარებს ქეიფი აზიურ ყაიდაზე,
ალექსანდრე პუშკინი! იცნობდეთ თავადო!“

(მუხრან მაჭავარიანი)

პუშკინმა საქართველოს მიუძღვნა ლექსები: „საქართველოს მთებზე“, „მონასტერი ყაზბეგზე“, „კავკასიონი“, „ზვავი“... ამ დროს „ტუსაღი“ უკვე დაწერილი ჰქონდა:

„ჩვენ ვართ ფრინველები; გავშალოთ ფრთები,
ხომ ხედავ ღრუბლებში გამოჩნდნენ მთები,
გავფრინდეთ ზღვისკენ და ლაჟვარდის ფერთან,
იქ, სად სეირნობს ქარი... ჩემთან ერთად...“

1822

(პწკარედი „იქ, სად სეირნობს ქარი... ჩემთან ერთად...“ თარგმნა იაკობ პაპიაშვილმა)

იმპერატორი ნიკოლოზ I თბილისში რომ ჩამოსულიყო, პუშკინივით ორსართულიან ტრაქტირში კი არა, ალბათ სასტუმრო კავკაზში ან სასტუმრო პალასში მიუჩენდნენ ბინას...

ბედის ირონიით პუშკინმა თავისი მომავალი იწინასწარმეტყველა ლექსებში „ძეგლი“ და პოემაში „ევგენი ონეგინი“. პოეტი თბილისიდან რომ გაემგზავრა, ორი წლის მერე დაქორწინდა უმშვენიერეს, მზეთუნახავ ნატალია გონჩაროვაზე. ჯვრისწერის დროს, ამაღლების ტაძარში მოხდა უცნაური შემთხვევა: მამაოს ხელიდან გაუვარდა ჯვარი და სახარება, ჩაქრა სანთელი...

ნატალიას პეტერბურგში ბევრი თაყვანისმცემელი გაუჩნდა, მათ შორის იმპერატორი ნიკოლოზ I და კავალერ გვარდიის პორუჩიკი ბარონი ჟორჟ დანტესი – პუშკინის ქვისლი. ნატალიას უყვარდა, იტაცებდა მაღალი საზოგადოება, საიმპერატორო წვეულებები, ბალ-მასკარადები, სადაც იმპერატორიც და ბარონიც ერთმანეთს ექიშპებოდნენ რომ, როგორმე პუშკინის ცოლის გვერდით დამსხდარიყვნენ... (1)

აგორდა ჭორები, ჭორები, ჭორები... 1837 წელი... დუელი დანტესთან... ამაღლების ტაძარი... მამაოს ხელიდან გაუვარდა ჯვარი და სახარება, ჩაქრა სანთელი...

საბჭოთა რეჟიმისათვის არასასურველი მწერლების სია სტალინს კრემლში კაბინეტში რომ შეუტანეს, მან პუშკინის გვარი გადახაზა და მეხლისს მკაცრად უბრძანა აღარ გაბედოთ პუშკინი შავ სიაში შეიყვანოთ, დაანებეთ პუშკინს თავი.

„ძეგლი ავიგე ხელთუქმნელი,
ხალხური პოეზია ვერ მივა მასთან,
ამბოხებული სული მიფრინავს მაღლა,
სად ალექსანდრიის სვეტია ცასთან.“

თარგმნა იაკობ პაპიაშვილმა

(1) ავტორის შენიშვნა: 1999 წელს, პუშკინის იუბილესთან დაკავშირებით, ამაღლების ტაძრიდან 200 მეტრში მდებარე სკვერში გაიხსნა შადრევანი-როტონდა „ალექსანდრე და ნატალია“.

4

ამირანმა პუშკინის ქუჩის დაღმართს გახედა, ეს დაღმართი გმირთა მოედანზე ჩადიოდა, ერთ მხარეს ზოოპარკი ფუნქციონირებდა, მეორე მხარეს ცირკი, მარცხნივ, ზემოთ საქართველოს ტელევიზიის შენობა იყო, ხოლო უფრო ზემოთ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, რომლის პირდაპირ კი სპორტის სასახლე, აგებული ისეთი ორიგინალური არქიტექტურით, როგორც ქუთაისის დრამატული თეატრი, აქ პროსპექტი ორად იყოფოდა, ერთი მიდიოდა საბურთალოსკენ, ვაჟა ფშაველას პროსპექტისკენ, მეორე კი – ვაკეში.

ამირანი პუშკინის ქუჩის დასაწყისში, სახინკლე-საქაბაბეს-თან იდგა, უცდიდა ვიდრე ტრანსპორტი მოძრაობას შეწყვეტდა და როცა შუქნიშანმა მწვანე შუქი აანთო, მან ქუჩა გადაჭრა და რუსთაველის პროსპექტზე გავიდა და მალე ლაღიძის წყლებთან აღმოჩნდა. აქედან მისი სამსახურის შენობა ახლოს იყო, ვარაზის ხევის დასაწყისში, საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სიახლოვეს. ამირანმა გადაწყვიტა ლაღიძის წყლების გვერდზე არსებულ კაფეში ესაუზმა, თავისუფალი მაგიდა შეარჩია და ოფიციანტის მოლოდინში სკამზე ჩამოჯდა.

კაფის შემინულ სივრცეში ამომავალი მზის სხივები ციმციმებდა. საოცარი იყო ეს თბილისის დილა. ვერავინ ვერ დაემალება ამ უჩვეულო თბილისის დილას. ზიხარ კაფეში და სულ გახსოვს რაც თბილისის ირგვლივაა: სახურავებს უყურებ და გარშემო შემორკალურ ქედებზე ფიქრობ, და ცხოვრებაც გრძელდება, იცი რომ თბილისში ხარ, ამ ათასხუთასი წლის ქალაქში, რუსთაველის პროსპექტზე, ხოლო კაფის ვიტრინებს იქით სახურავებია, რომლის მაღლა, ცაში ფუნიკულიორის ვაგონები დასრიალებენ; კარუსელების და ეკლესიების ღვთიურად მრეკავი ზარების ხმაში ისე მიწიერი აღარ გგონია თავი, როგორც ვთქვათ სოფელში რთველის დროს, ვენახში ვაზი ლამის ფეხებში რომ გედება. უყვარდა დილა ამირანს, თბილისის დილა. უყვარდა მაღალი სახ-

ლების ჩრდილში განაბული ვიწრო შუკების სიგრილე დილით. უყვარდა ქარი, როცა იგი ძველი ქუჩაბანდების დაგრეხილი სახურავებიდან ჩამოეხეტებოდა – ეს მთაწმინდის დილის სალამი ვახტანგ გორგასლის ხმლის ელვარებას რომ მოგაგონებს, მგლისთავიანი კაცის ხმლის ელვარებას.

თბილისის დილა, მზე დასთამაშებს კოშკებს და გუმბათებს, დასთამაშებს სიონის ტაძრის გუმბათს, ელამუნება დროსაგან გამუქებულ ჩუქურთმებს, ეფერება მტკვრის მარჯვენა დაბალ ნაპირს, სიონის საპატრიარქო ტაძრის კარიბჭეს, მის გალავანს, ღვთისმშობლის მიძინების ორ სარკმელს, იერუსალიმში წმინდა მთაზე ღვთის მიერ წარმოთქმულ სიტყვას მზიანს რომ ნიშნავს.

ეკლესიაში ღვთის მსახურება მიმდინარეობს. წირვა-ლოცვის მოსასმენად შორს წასვლა არ არის საჭირო, ახლო-მახლო კიდევ რამდენიმე ტაძარი და ეკლესია, მეტეხისა და ანჩისხატის ტაძრები, სამების ეკლესია, მისი კარიბჭე, კარის წმინდა გიორგის ეკლესია, რომელთაც მთაწმინდიდან მამადავითის ეკლესია გადმოსცქერის... ხოლო ძველი თბილისის ამ წმინდა ალაგს, კლდოვანი მთის წვერიდან ლოცვა-კურთხევას უგზავნის მტკვრისა და არაგვის შესართავთან აგებული ჯვრის მონასტერი, ჯაჭვის საყდარი. სიამოვნებით და სიყვარულით მდუმარენი მიმოდიან ამ ეკლესიებში ადამიანები, სუნთქავენ საკმევლის და გამდნარი სანთლის, ღვთიურ სურნელებას, ისმენენ მონოტონურ დუდუნს, დიალოგს მღვდელსა და მოხუც ქალებს შორის, ქედს რომ იმდაბლებენ მამაოს წინაშე რათა ამაღლდნენ და ეკლესიის წმინდა ქვით მოპირკეთებულ იატაკზე იჩოქებენ. ახალგაზრდა ქალები შიფონის და კრებდიშინის მოხატული თავსაფრებით რომ შეუბურავთ სახე, ბუტბუტით იხრიან ქედს საკურთხევლის წინ... ხოლო ამ ღვთაებრივ მორჩილებაში კი ჟღერს სკოლის კედლებში შეძენილი ცოდნა უკვდავი ქართულენოვანი პოეზიისა: რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, ბარათაშვილის „შემოღამება მთაწმინდაზე“, ილია ჭავჭავაძის „სანთელ-საკმე-

ველი“, აკაკის „სულიკო“, ვაჟას „მთიდან ყვირილი ხარისა“, გალაკტიონის „მთაწმინდის მთვარე“...

„თუ ყველაფერი არის სიზმარი,
თუ ბინდისფერი არის ყოველი,
მაშინ რატომ დგას დღეს მცხეთის ჯვარი,
რატომ დგას ისევ სვეტიცხოველი?
რატომ ელვარებს უძველეს ქვაში
სამთავრო სვეტი მცირე და დიდი
ან ზედ ქალაქთან შეგუბულ მტკვარში
რატომ ჩანს ისევ პომპეის ხიდი?
.....
არა, არ წაგყვეს, არ წაგყვეს ჯავრი, -
თუ ბინდისფერი არის ყოველი,
რატომ დგას, რატომ დღეს მცხეთის ჯვარი,
რატომ დგას ისევ სვეტიცხოველი!“

(„მცხეთა“ ირაკლი აბაშიძე)

ხატოვანი ისტორია
ამირანის ქართული მსოფლმხედველობით

საქართველოს მართმადიდებლური ეკლესიის მთავარი საპატრიარქო საკათედრო ტაძრის აგების ისტორია ასეთია: გადმოცემის თანახმად ქრისტეს კვართი წილად ხვდა მცხეთელ ებრაელს ელიოზს, რომელმაც კვართი მცხეთაში ჩამოიტანა. მან ეს კვართი გადასცა თავის დას სიდონიას, ქალი ცხარე ცრემლებით დასტიროდა კვართს, ემთხვია და ტირილით აღმოხდა სული. ელიოზმა წმინდა სიდონია კვართითურთ დაკრძალა იმ ადგილზე სადაც დღეს სვეტიცხოვლის ტაძარია აგებული. საფლავზე ამოსულა „ხენი იგი კვიპაროზნი“ – ლიბანის კედარი ან ნაძვი. მას შემდეგ რაც მეფე მირიანმა იწამა ქრისტე, ეკლესიის ასაგებად მოჭრეს ეს ხე, მაგრამ ერთი სვეტი ვერ აღმართეს, თუმცა საქართველოს განმანათლებელმა წმინდა ნინო კაპადო-

კიელმა როგორც ამას „ქართლის ცხოვრება“ და „მოქცევაი ქართლისაი“ გადმოგვცემს მთელი ღამე ლოცვაში გაატარა და სვეტი ქრისტეს კურთხევით აღიმართა. მოგვიანებით ვახტანგ გორგასალმა (ნიშნავს მგლისთავას) ამ ადგილზე ააშენა ეკლესია და უწოდა სვეტიცხოველი, თუმცა გორგასლისეულ ბაზილიკას ჩვენამდე არ მოუღწევია.

დღევანდელი სვეტიცხოველი XI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლია, ერთ-ერთი ოთხ დიდ კათედრალთაგან (ოშკი, ბაგრატი, ალავერდი).

წარწერა სვეტიცხოვლის კედელზე:

„ადიდეს ღმერთმან ქრისტეს მიერ მელქისედეკ ქართლისა კათალიკოსი. ამენ. აღაშენა ესე წმიდაი ეკლესიაი ხელითა გლახაკისა მონისა მათისა არსუკისძისაითაო. ღმერთმან განუსვენე სულსა მისსა“.

ეკლესია, ეკლესია, ეკლესია!..

რატომ დადიან ადამიანები ეკლესიაში?

ეს კითხვა ამირანს ჯერ კიდევ სკოლაში სწავლის პერიოდში დაებადა. ქართული ლიტერატურა და ისტორია მას ყველა საგანზე მეტად უყვარდა. გულმოდგინედ ეცნობოდა ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებს, იტაცებდა ქართული ეკლესიების და მონასტრების არქიტექტურული მრავალსახეობა და მიუხედავად იმისა რომ საბჭოთა იდეოლოგია მაინცდამაინც არ წყალობდა რელიგიას, ინსტიტუტში სწავლის პერიოდში შეძლებისდაგვარად შეივლიდა ხოლმე ეკლესიაში და ამ წმინდა ადგილის ანთებული კელაპტრების სურნელით გაჟღენთილი ჰაერით დამტკბარი გარდასული საუკუნეების სიმაღლიდან მართლმადიდებლური და კათოლიკური ეკლესიის დანიშნულებას აანალიზებდა.

ადამიანი მღვდლის ანაფორის მიღმა ეძებს ღვთისმოსაობას, მომავლის რწმენას, სურს იწამოს რომ ხსნა მხოლოდ ხელის ჩაქნევაში, გაქცევასა და მარტოობაში არ არის, ილიას „განდეგილი“ არ არის ერთადერთი გზა ეშმაკის მახისა და ცდუნებისა-

გან თავის დასაღწევად. საიქიოსთვის ამ სააქაოს დათმობა და განშორება სულის წაწყმედის ტოლფასია მხოლოდ. მარტოსულ კაცს უსუსურად მიაჩნია თავი, უნდა საყრდენი მონახოს, რადგან საკუთარი თავისა ეშინია, არ უნდა მკვლელთა ბანდასთან აღმოჩნდეს დაკავშირებული, ამიტომ აქვს ანაფორის იმედი, ეკლესიის იმედი...

როგორც დედა უსიტყვოდ და დაუღალავად ემსახურება თავის საყვარელ პირმშოს, ასე მადლიერებით სავსე მორჩილი უჩუმრად და სიხარულით ემსახურება იესოს მცნებას. ეკლესია ქრისტიანული სიყვარულის სკოლაა! კაცთმოყვარე ღმერთი ადამიანს არ ტოვებს თავისი ზრუნვისა და მფარველობის გარეშე. დედა ეკლესიის კარები ყველასათვის ღიაა. ადამიანი მუდამ ჭეშმარიტების ძიებაშია: „სცენა გეთსიმანიის ბაღში საიდუმლოებით არის მოცული. იესოს ბრძანება იუდასადმი: „რასაც აკეთებ, გააკეთე ჩქარა“ (იოანე, 13, 27) ორაზროვანი არ არის და მიუთითებს მესიის მტკიცე გადაწყვეტილებას თვითშეწირვაზე. იუდა თორმეტ მოციქულთაგან ერთადერთია, რომელიც იუდას ოლქიდან არის წარმოშობით, დანარჩენი თერთმეტი მოციქული გალილეიდან არიან. იუდა იყო ის ერთადერთი მოწაფე, ვისაც იესომ გაუხსნა „ცათა სასუფევლის საიდუმლო“ (ესქატოლოგიური ტერმინია, ეხება იმ სამეფოს, რომელსაც მაცხოვარი დაამყარებს ცისქვეშეთში მეორედ მოსვლის დროს; ალბათ, მაშინ ჯვარი მოსპობს სვასტიკას). თორმეტ მოციქულთა შორის, იესო მხოლოდ იუდას ესაუბრებოდა განმარტოებით, და ერთხელ იუდამ მას შეჰბედა: „მე ვიცი ვინ ხარ შენ და საიდან მოხვედი“ (ეს ნაწყვეტი ამოღებულია ნაშრომიდან „ჭეშმარიტების ძიებაში“, იხილეთ, „მწერლის გაზეთი“, 2022, N4, გვ. 14).

სვეტები, სვეტები, სვეტები... აღორძინების ხანა – ბოტიჩელი, როსელი, პერუჯინო, მიქელანჯელო, რაფაელი – როცა ეკლესიაში ხარ უნებურად იგონებ კაცი ამ ტიტანებს, სიქსტეს კაპელა... რომის პაპის ეს სამყოფელი აშენებულია 1473 – 1481

წლებში პაპის სიქსტეს IV-ს დაკვეთით, რომლის კედლების და ჭერის მოხატულობა შესრულებულია ზემოაღნიშნული ჯადოქარი ტიტანების მიერ. ეს არის რენესანსის ეპოქა. ბრწყინვალე არის მათ მიერ შექმნილი ქმნილებათა სვეტები, ისინი მაღალი რენესანსის წარმომადგენლები არიან, მათ სურათებში გადმოცემულია ადამიანთა ხასიათის მრავალფეროვანი თვისებები, ჰუმანიზმის მაღალი იდეები, მათი ფრესკები ამაღლებულია და მიწიერი, ახასიათებთ უბრალოება, შინაგანი კეთილშობილება, ყველაფერი ექვემდებარება კანონზომიერებას, მაგრამ რენესანსის დროის მიმდინარე ისტორიული პროცესები ადამიანურ არსში სიცივის, ძრწოლვის ჩამსახველია, გეჩვენება რომ მათი შედევრები ბრწყინვალეა მაგრამ ცივია, განსაცვიფრებელია იატაკის ორნამენტები, თუმცა ისინიც ცივია, ბრწყინვალე და ცივია კედლებისა და ჭერის მოხატულობა... აქ იღებდნენ იმპერატორები მირონცხებას და ამ მირონცხებას სააზატო სიმღერად მიიჩნევდნენ, თავისუფალი მოქმედების უფლებად მიიჩნევდნენ, ძარცვაგლეჯის უფლებად მიიჩნევდნენ, ტახტს ნაძარცვი ოქროთი ინარჩუნებდნენ, ხოლო ბრძოლების მერე გაქელილი ბალახი და ბრძოლის ველზე მიმოფანტული უძრავად მწოლარე მეომრების გვამები რჩებოდა. რას აკეთებდა ამ დროს კათოლიკური ეკლესია? რატომ აქციეს კონსტანტინოპოლი და წმინდა აია სოფიას ტაძარი მეჩეთად? რატომ ვერ ამჩნევდნენ ქრისტეს და წმინდა მარიამის ღვთისმსახურნი, ვინ იყვნენ გამოწყობილნი წითელ წამოსასხამებსა და ფრაკებში, ოქრომკერდით შემკულ მუნდირებში? ნუთუ ხელოვნება იყო მათი ნუგეში? ერთი რელიგიის მიერ მეორე რელიგიის კუთვნილი მიწების, ეკლესიების და ტაძრების მიტაცება, იავარყოფა და გარდაქმნა-რეკონსტრუირება ძალმომრეობა და კუნთების თამაშია დამპყრობელისა.

„თვითონ მეფენიც, უძლეველნი, რომელთ უმაღლეს
ამაო სოფლად არღა არის სხვა რამ დიდება,
შფოთვენ და დრტვინვენ და იტყვიან: „როდის იქნება,

ის სამეფოცა ჩვენი იყოს?“ და აღიძვრიან
იმავ მიწისთვის, რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან!..“
(ბარათაშვილი, „ფიქრნი მტკვრის პირას„)

ოშკი, იშხანი, ხახული, ბანა, პარხალი, ოთხთა ეკლესია, შატ-ბერდი, ტბეთი...

მართმადიდებლური ქართული ტაძრები. დღეს ისინი იმ ტე-რიტორიაზე მდებარეობენ, რომელიც საქართველოს ძუძუს მოს-ტაცეს, წაართვეს და ზოგიერთი მეჩეთად აქციეს. ერთ დროს ამ ტაძრებში ქრისტეს გამოსახულება ჩანდა, საკურთხევლებთან საქმიანად ფუსფუსებდნენ მღვდლები, წირავდნენ, ლოცვანს კითხულობდნენ, ღვთის მიმართ მოწიწებით იყვნენ აღვსილნი.

„არსაიდან ხმა, არსით ძახილი!..
მშობელი შობილს არრას მეტყოდა,
ზოგჯერ კი ტანჯვით ამოძახილი
ქართვლის ძილშია კვნესა ისმოდა!..“

„ელეგია“ 1859-სა წელს, 4-სა ივნისს
წმინდა ილია მართალი
ს. პეტერბურგი

5

...ამირანის მაგიდასთან უცნობი მამაკაცი ჩამოჯდა. ამირანმა ოფიციანტის მიერ ახლად მოტანილი „კოფე“, ცხელი ორთქლი რომ ასდიოდა, ტუჩებთან მიიტანა და ვიდრე მოწრუპავდა, უცნობს ღიმილით ჰკითხა:

- გხიბლავთ თბილისის დილა, მეგობარო?

უცნობი, რომელიც საუზმეს ელოდებოდა, სკამზე შეირხა, მკლავები გაშალა და გულმხურვალედ წამოიძახა:

- თბილისის დილა ვის არ მოხიბლავს!.. თუნდ მზე იყოს, თუნდ ქარი, თუნდ წვიმა, თუნდ თოვლი... თბილისის დილა მუდამ ანდამატივით მომხიბვლელია.

- ჰო, რა თქმა უნდა, – მიუგო ამირანმა.

კაფის ვიტრინებს მიღმა კი ენით აუწერელი სიმშვენიერით კოპწიაობდა თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, ქუჩებში ხეები შარიშურობდნენ, მზის სხივები დასციმციმებდა ამ თვალწარმტაცი, მრავალსაუკუნოვან ქარცეცხლში გამოვლილ ქალაქში გაზრდილ მცენარეების ფოთლებს.

...მათი მაგიდის სიახლოვეს, თავისუფალ მაგიდასთან, რამდენიმე ქალიშვილი ჩამოჯდა, დაბალ ხმაზე საუბრობდნენ და ხანდახან წაიხითხითებდნენ...

თვალთმაქცობენ, გაიფიქრა ამირანმა, ისეთი გამოხედვა აქვთ თითქოს ბუზს არ აიფრენენ სახესთან, სინამდვილეში კი ღმერთმა იცის რა ფიქრები უტრიალებთ თავში ჯაზით და გამოჩენილი, გაფეტიშებული მომღერლების თაყვანისმცემელ ამ ახუნტრუცებულ გოგონებს.

...

ამირანი კაფედან გამოვიდა და ათიოდე წუთის შემდეგ საქნახშირის კომბინატის შენობასთან მივიდა, ლიფტით მესამე სართულზე ავიდა, თავისი სამუშაო ოთახის კარი შეაღო და იქ მყოფ თანამშრომელს მიესალმა.

- დილა მშვიდობის, ვახტანგ.

- გაგიმარჯოს, – სალამი დაუბრუნა ვახტანგმა და ამირანს, რომელიც უკვე სამუშაო მაგიდასთან იჯდა, ჰკითხა:

- როგორ გუნებაზე ხარ ამ დილით?

- უჰ, – ვერ დამალა დილანდელი განცდილი სიამოვნება ამირანმა, – შენ წარმოიდგინე ასეთი შესანიშნავი გუნება-განწყობილებით კარგახანია არ მოვსულვარ სამსახურში.

- ალბათ, ვინმე ლამაზი ნაცნობი ქალი შეგხვდა ქუჩაში და ამიტომ დადექი კარგ ხასიათზე.

- არა, არა, რას ამბობ, ქალი აქ არაფერ შუაშია, უბრალოდ ლესელიძის აღმართი რომ ამოვიარე თბილისი ჩემს თვალწინ თავისი სიმშვენიერით კოპწიაობდა. იცი, ასეთი განცდა ჩემთვის ახალი არ არი.

- ჰო, მესმის, – მიუგო ვახტანგმა, – ჩემთვისაც ნატვრისთვალივით ძვირფასია თბილისი და დასატოვებლად არ მემეტება.

პაუზა ჩამოვარდა.

ამირანი ვერ მიხვდა რატომ უნდა დაეტოვებინა ვახტანგს თბილისი და სხვათა შორის ჩაილაპარაკა:

- თბილისის დატოვებას არავის ვურჩევ.

ვახტანგმა სამუშაო მაგიდაზე გაშლილ ქაღალდებს თვალი მოაცილა და მზერა ამირანს მიაპყრო.

- ძლიან გიყვარს თბილისი?

- არ მესმის რას მეკითხები.

ვახტანგი არ მოეშვა:

- თბილისის გარდა რომელ ქალაქში იცხოვრებდი?

ამირანს გაუკვირდა ეს შეკითხვა და თანამშრომელს მკვახედ მიუგო:

- რას გადამეკიდე ამ დილაუთენია, მიხედე შენ საქმეს, მე თუ მკითხავ თბილისს არასოდეს დავტოვებ.

ვახტანგი, როგორც ჩანდა, არ ფიქრობდა საუბრის შეწყვეტას.

- საქართველო არც თუ ისე პატარა ქვეყანაა, – თქვა და ჩამოთვალა:

ქართლ-კახეთი, იმერეთი, აფხაზეთი, აჭარა, გურია, სამეგრელო, სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი... თბილისის გარდა მშვენიერი ქალაქები გვაქვს: ქუთაისი, ბათუმი, სოხუმი, ქობულეთი, ოჩამჩირე, სამტრედია, ფოთი, თელავი, გორი... შესანიშნავი ქალაქებია, შენ მაინც რომელს ამოირჩევდი საცხოვრებლად? – ჰკითხა ვახტანგმა ამირანს და გამომცდელად შეხედა.

- კი, დიახ, შენ მართალი ხარ, არცთუ პატარაა საქართველო; არის ასეთი გამოთქმა: საქართველოს მთები ვაკედ რომ იქცეს რუსეთზე დიდი გამოვაო... კი ნამდვილად მართალი ხარ, ჩვენთან საქართველოში მართლაც მშვენიერი, შესანიშნავი ქალაქები არის, მაგრამ, იცი, ორპირ მეგობრისაგან გაყიდული იეთიმ გურჯი „პოლშის“ ციხიდან რომ განთავისუფლდა და თბილისში დაბრუნდა, დაჩოქილმა ასე იმღერა:

„გამარჯობა, ჩემო თბილის ქალაქო,
დაკარგული შენი შვილი მოვედი,
საქართველოს მიწა-წყალო, ალაგო,
თორმეტი წლის გატანჯული მოვედი“.

- საღოლ, ამირან! ამატირე, ცრემლი მომადგა თვალში. გავაგრძელებ ამ სიმღერას:

„მთაო წმინდავ, მამა დავითისაო,
შენ, დარაჯო ქალაქ თბილისისაო,
წმინდა მიწავ, უკვდავ მწერლებისაო,
მათ საფლავზე სალოცავად მოვედი“.

- საღოლ შენც, ვახტანგ! – მიუგო ამირანმა.

- და მაინც, შენ არ მიპასუხე საქართველოს რომელ ქალაქში იცხოვრებდი თბილისის გარდა.

- მე უკვე გითხარი, არც ერთ ქალაქში.

- თუ ასეა, ვაკის პარკთან ჩვენი კომბინატის ცხრა სართულიანი სახლი რომ შენდება, რომელშიც შენი ოროთახიანი ბინაც არის, უნდა დაემშვიდობო.

- რაო, რა შუაშია აქ ჩვენი კომბინატის ცხრა სართულიანი სახლი, რა შუაშია ჩემი ოროთახიანი ბინა? – იკითხა გაკვირვებულმა ამირანმა.

- იმ შუაშია, რომ ჩვენი კომბინატის ადგილ-სამყოფელი დღეის ამას იქით ქუთაისში იქნება.

- რაო?

- კი, ასეა, ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაა. ქუთაისში გადავდივართ. შევარდნაძემ მოაწერა ხელი. ვინც არ წავა სამუშაოდ ქუთაისში, მშენებარე ცხრა სართულიან სახლში ბინას ვერ მიიღებს.

- შევარდნაძე ხომ მოსკოვში გადაჰყავთ.

- კი, მაგრამ ეს საკითხი ჯერ გადაწყვეტილი მთლად არ არის. შევარდნაძე კიდეც რომ გადაიყვანონ მოსკოვში პატიაშვილი მის დადგენილებას ვერ შეცვლის.

- ვინ გითხრა ჩვენი კომბინატი ქუთაისში რომ უნდა გადავიდეს?

- დილით, რომ მოვედი ვარდიშვილი შემომხვდა, ჰოდა, იმან მითხრა, რაც ვეკუამაც დაადასტურა... ორივენი კომბინატის უფროსის მოადგილეები არიან, ყველაფერი იციან.

- ცხრა სართულიან ბინაზე რა თქვეს?

- ვინც წავა ქუთაისში სამუშაოდ მხოლოდ ისინი მიიღებენ ბინას.

ამირანი ჩაფიქრდა, ვახტანგს შეხედა და უთხრა:

- ვერა ხარ კარგი მახარობელი... თუ იცი ღვინჯილია მოსულია სამსახურში?

- ღვინჯილია უკვე არ არის ჩვენი მინისტრი, იგი მინისტრთა საბჭოს აპარატში გადაიყვანეს. ახალი მინისტრი დაგვი-

ნიშნეს. „იუჟკუზბასუგოლის“ ტრესტის მმართველის მოადგილეს ნიშნავენ. მისი სახელი – ედიშერი, გვარი – დარახველიძე.

ამირანი ჩაფიქრდა და მცირე ხნის მერე თანამშრომელს ჰკითხა:

- შენ რას აპირებ?

- რა უნდა ვქნა, ცოლი მყავს, შვილები... ვაკეში ოთხოთახიან ბინას ვერ დავკარგავ... უნდა წავიდე ქუთაისში სამუშაოდ. თბილისამდე ქუთაისი იყო საქართველოს დედაქალაქი. „სავარდო და სამაისო ქუთაისი“, ხომ გაგიგონია, აქეთ ბაგრატი, იქით გელათი, თამარ მეფის დასასვენებელი ადგილი, რეზიდენცია გეგუთის სასახლე, არ მოგენატრა? – თქვა ვახტანგმა და წაიღიღინა:

„დე, რიონმა ნება-ნება
იდუდუნოს ზვირთებად.
დამიკარგა მოსვენება
ტალღებმა და კვირტებმა,
აქ ყოველი გათენება
სულ სიყვარულს მპირდება.“

(„ქუთაისი“, დავით კვიცარიძე)

- ჰო, – თქვა ამირანმა, – როგორც ჩანს მომიწევს ქუთაისში სამუშაოდ გადასვლა. ვაკეში ოროთახიან ბინას ვერ დავკარგავ. სიმართლეს გეტყვი, ძნელია მარტო ცხოვრება, სახლში ხმის გამცემი როცა არა გყავს, ვინ იცის, რა მიდის, რა მოდის, მინდა ოჯახის შექმნა, შეიძლება მოვნახო შესაფერისი ქალი, დავცოლშვილდები. აი, ამიტომ ვაკეში ოროთახიანი ბინის შენარჩუნება ჩემთვის აუცილებელია. წავალ სამუშაოდ ქუთაისში, – დაასრულა ამირანმა.

6

ამირანის და ვახტანგის ამ საუბრიდან ორი კვირის გასვლის მერე კომბინატ საქნახშირის ახალი უფროსი ედიშერ დარახველიძე რუსეთიდან საქართველოში ჩამოფრინდა. მინისტრმა კომბინატის თანამშრომლების გაცნობის მერე გადაწყვიტა, რომ საერთო კრება ჩაეტარებინა. საკონფერენციო დარბაზში მუშა-მოსამსახურეებმა ადგილები დაიკავეს. სიტყვა მოხსენებისათვის ედიშერ დარახველიძემ ითხოვა. იგი ტრიბუნაზე ავიდა, საქაღალდიდან მოხსენებისათვის მომზადებული ტექსტი ამოიღო. მომხსენებლის უკან კედელზე ეკიდა ბრეჟნევის დიდი პორტრეტი.

- ამხანაგებო, – თქვა მომხსენებელმა, – ვიდრე ძირითად საკითხზე გადავალ, მინდა ზოგადად, პოლიტინფორმაციის სახით, მოგახსენოთ ჩვენი პარტიის გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის დიდი დამსახურების შესახებ საბჭოთა კავშირის ხალხის წინაშე. მე ვთხოვ ყველა ჩემს მოადგილეს და ყველა განყოფილების უფროსს, ყოველ დილით თავიანთ კაბინეტებში ჩაატარონ პოლიტინფორმაციები იმის შესახებ რომ ახლახანს გამოვიდა ჩვენი დიდი ბელადის ლეონიდ ილიას ძის სამი წიგნი: „მცირე მიწა“, „აღორძინება“ და „ცელინა“ (ბრეჟნევის ეს წიგნები საბჭოთა კავშირში ყოველწლიურად მრავალმილიონიანი ტირაჟებით გამოდიოდა. 1987 წელს ეს წიგნები მაკულატურაში გაუშვეს – ავტორი). მიიღეთ მხედველობაში, რომ სამივე წიგნი ღრმად არის შესასწავლი. მე აქ მოკლედ შევეხები „მცირე მიწას“: 1943 წლის 4 თებერვალს მე-18 არმიის სახელოვანი საბჭოთა ქვეითი ჯარის ორას სამოცდათერთმეტმა ზღვის მგელმა დაიპყრო პლაცდარმი მცირე მიწა ცემესის ყურეში, თავდაცვა გრძელდებოდა 225 დღე, სექტემბერში საბჭოთა ჯარი გადავიდა იერიშზე და გაანთავისუფლა ქალაქი ნოვოროსიისკი. ბრძოლებში მონაწილეობა მიიღო პირადად ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა, რომელმაც ორმოცჯერ გადალახა ზღვა პლაცდარმამდე და სული ჩაუდგა წითელი არმიის გამარჯვებას. აი, ამ ბრძოლამ დაასამარა ფაშისტური გერმანია. ბერლინი დაეცა, რაიხსტაგის თავზე წითელი დროშა აფრიალდა.

დიდება საბჭოთა ხალხის განმათავისუფლებელს ფაშისტური გერმანიის უღლისაგან ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს! გთხოვთ ფეხზე ადგომით მივესალმოთ და პატივი ვცეთ ამხანაგ ლეონიდ ილიას ძის დიდ დამსახურებას ჩვენი ქვეყნის წინაშე.

დარბაზში გაისმა ტაში.

- ამხანაგებო, – გააგრძელა მომხსენებელმა როცა დარბაზში სიჩუმემ დაისადგურა, – ჩვენ დღეს აქ შევიკრიბეთ იმისათვის რათა გაცნობოთ იმის შესახებ რომ ჩვენი სამინისტროს ადგილ სამყოფელი დღეის ამას იქით იქნება ქალაქი ქუთაისი. ქუთაისელები ამბობენ რომ ისინი საქართველოს მეორე დედაქალაქში ცხოვრობენ და ამ ნათქვამს თავისი საფუძველი აქვს.

- დიახ, ქუთაისი მსოფლიოს უძველეს ქალაქთა რიგს განეკუთნება. ძველი ბერძნული მითოლოგია და ისტორია ქუთაისს მინოსის ხანას აკუთვნებს (ძვ. წ. XVII – XV სს.). ვარაუდობენ, რომ მინოსი კრეტაზე და აიეტი ქუთაისში დამოყვრებული (სიძე – ცოლის ძმა) გვირგვინოსნები იყვნენ. ამ ეპოქას შეესატყვისება აპოლონიოს როდოსელის (ძვ. წ. 221-215 წლები) მონუმენტური ნაწარმოები „არგონავტიკა“, თუმცა უფრო ადრე ძვ. წ. 480-406 წლებში, შეიქმნა ევრიპიდეს დრამა „მედეა“. ევრიპიდე ესქილესა და სოფოკლესთან ერთად ანტიკური ხანის უდიდეს ტრაგიკოსთა რიგში დგას.

ანტიკური ეპოქიდან დაწყებული და ფეოდალური ხანის მმართველობის დროს, ქუთაისი მტკიცედ ინარჩუნებდა დასავლეთ საქართველოს პირველი ქალაქის მდგომარეობას (კოლხეთი, ეგრისი, ლაზეთი). შემდგომ კი ქუთაისი ეგრისისა (სამეგრელო) და აფხაზეთის გაერთიანებული სამეფოს (VIII ს.) დედაქალაქია.

ამხანაგებო, ქუთაისის ისტორიულ წარსულზე საუბარი შორს წაგვიყვანს, მით უმეტეს, რომ დღევანდელობითაც და მისი წარსულითაც ამაყობს ამ უძველესი პოლისის მოსახლეობა. ქუთაისი ინდუსტრიის მშენებელი ქალაქია ბრძანა გალაკტიონმა და ჩვენ ქართველი მეშახტეები ვალდებული ვართ უფრო მეტად გავაღრმაოთ და გავაძლიეროთ ეს ინდუსტრია. აქედან გამომდინარე

ჩვენი სამინისტროს გადასვლა ქუთაისში იმითაც არის გამართლებული, რომ მანძილი ტყვარჩელამდე და აკარმარამდე ორჯერ მცირდება, რაც საშუალებას მოგვცემს სამსახურებრივი კონტაქტები მეშახტეებთან უფრო მოქნილი და ეფექტური გავხადოთ. რაც შეეხება ტყიბულს, მხატვრულად რომ ვთქვათ ქუთაისიდან ტყიბულამდე ორი ფეხის ნაბიჯია, მაგრამ ტყვარჩელამდე და აკარმარამდე თბილისიდან სამასი კილომეტრია, ხოლო ქუთაისიდან მანძილი, როგორც უკვე ვთქვი, ორჯერ მცირდება. როგორც ამხანაგმა ბრეჟნევმა ბრძანა კადრები წყვეტენ ყველაფერს...

- ტყუილია, – გაისმა ხმა დარბაზიდან, – ეს ამხანაგ სტალინის ფრაზაა.

- ვინ თქვა ეს? – მკაცრად იკითხა დარახველიძემ.

სიჩუმე დარბაზში.

- კარგით, არ აქვს მნიშვნელობა ვინც ეს თქვა, – შემრიგებლური კილოთი თქვა მომხსენებელმა, – მაშ ასე, ჩვენი მიზანია შახტებთან ურთიერთობა პრაქტიკულად უფრო მოქნილი და ეფექტური გავხადოთ, ხოლო კადრები, – აქ მომხსენებელმა პაუზა გააკეთა და დარბაზში მსხდომ მსმენელებს გადახედა, – ხოლო კადრები ქუთაისის და საერთოდ იმერეთის სინამდვილეში მოვიძიოთ, ვინაიდან თბილისიდან ქუთაისში გადასვლაზე ბევრი ალბათ თავს შეიკავებს.

სიჩუმე დარბაზში.

- ამხანაგებო, გაითვალისწინეთ, რომ ისინი ვინც თბილისიდან ქუთაისში სამუშაოდ არ წავა, ჩვენი კომბინატის ვაკის პარკთან მშენებარე ცხრა სართულიან სახლში ბინას ვერ მიიღებენ. ამასთან დაკავშირებით, ვთხოვ განყოფილების უფროსებს წარმომიდგინონ სია თუ ვინ მიდის სამუშაოდ ქუთაისში. და კიდევ, ცნობისათვის: ქუთაისში საქნახშირის კომბინატის მისამართია: გრიშაშვილის ქუჩა, სამთო ტექნიკუმის ორსართულიანი შენობა. ეს შენობა ისტორიული ნაგებობაა, იქ ადრე წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელი ფუნქციონირებდა.

იმერეთის გაზაფხული

ცხრა ვაჟი და ერთი ქალი ჰყავდა იმერეთის ძლიერ თავადს ქართლოს ერისთავს. ცხრა ვაჟკაცი ხელისგულზე ატარებდა უსაყვარლეს არსებას. ვარდისმზე ერქვა ერისთავის ასულს.

– დაუტყვევებიხართ ზღვის ქაფის სიკისკასეს სანაპიროზე?

– ზღვის ქაფის სითეთრე გადაღვროდა ქალწულის სახეს.

– შესწრებიხართ ვარდის გაფურჩქვნას ადრე გაზაფხულზე?

– ვარდის ფურცლებივით ჰღვივოდა ქალწულის ბაგეები.

– შეგისვამთ ბროლის თასით რაჭული ხვანჭკარა?

– ქართული ღვინის ეშხი ჩაღვრილიყო უტურფესის თვალებში.

– გინახავთ ვით ირხევა ლერწამი ქარში?

– ისე ირხეოდა წერწეტი ტანი ერისთავის ასულისა.

– გაუტაცნიხართ ჩანჩქერის ზილფებზე მზის ათინათის სიკაშკაშეს?

– ასე ელვარებდა ვარდისმზის გულ-მკერდზე ჩამოღვრილი დალალთა ჩანჩქერი. „

“იმერეთის გაზაფხულს” ეძახდნენ ვარდისმზეს. ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით ლაპარაკობდნენ ქალწულის მომხიბვლელობაზე.

სიმღერებს თხზავდნენ მის ზღაპრულ სილამაზეზე. ბევრჯერ სცადეს დასაკუთრებოდნენ “იმერეთის გაზაფხულის!”

გულს, მაგრამ უშედეგოდ, ვერსად მოინახა ბადალი მისი. იმერეთი სათუთად იფარავდა თავის გაზაფხულს სუსხისაგან.

* * *

გალიაში გამომწყვდეული არწივივით აწყდებოდა თავისივე ციხე-დარბაზის კედლებს ოსმალთ სულთანის ვაჟიშვილი და ტახტის მემკვიდრე ჰალილ ზაგდალი. თითქმის ყოვლისშემძლემ ორჯერ სცადა ვარდისმზის დასაკუთრება და ორჯერვე ხელმოცარული დარჩა. ქართველთა მცირერიცხოვანმა ლაშ-

ქარმა იმერეთის მთების ვიწრო ხეობებში შეიტყუა ოსმალთა ურიცხვი ჯარი და სასტიკი მარცხი აგემა მომხდურს.

რისხვით აენთნენ ჰალილ ზაგდალის ორბის თვალები.

და მოითხოვა ოსმალთ მომავალმა მბრძანებელმა მიეგვარათ მისთვის ჯადოქართ ჯადოქარი ჯილაიდაზადი.

შეუსრულეს ნაბრძანები ქვეშევრდომებმა.

– ჯილაიდაზადი! – მიმართა ჯადოქარს ჰალილ ზაგდალიმ, – „იმერეთის გაზაფხულის“ ტრფობა ჩამივარდა გულში...

ჯადოქრის ჭრელ თვალებში ცბიერი ღიმილი გაკრთა, ჩაშავებული მეჩხერი კბილები გამოაჩინა. მერე ღამის ზღვასავით შავი თმები შეარხია, უცხო თვლებით მოოჭვილი, წვრილზე წვრილი თითები გაფარჩხა, არათითი გამოჰყო და მბრძანებლისაკენ გაიშვირა.

კაკლის ოდენა მარგალიტით გაწყობილი ბეჭედი წამოაცვა ჯილაიდაზადის არათითზე ჰალილმა.

იმავე წამს ჰაერში აფარფატდა ჯადოქრის აწოწილი, ხმელი გამოსახულება და გაჰქრა... ოსმალთ სულთნის ტახტის მემკვიდრეს უდიდესი ძალა ჩაეღვენთა ახოვან სხეულში.

გაუჩინარებული ჯადოქრის მხოლოდ ხარხარიღა ისმოდა დარბაზში.

გუმბათი ყრუდ გუგუნებდა.

“ადამის მოდგმის დამზადებული იარაღი ვერას გავნებს ჰალილ, ვიდრემდი სული შენი მრისხანებით იქნება მოცული!”

მსწრაფლ საჭურველი მოითხოვა ტახტის მემკვიდრემ.

ოქროსვადიანი ხმალი და ლომის ტყავგადაკრული ფარი მიართვეს ჰალილს. ხმალი მარჯვენა ხელში დაიკავა და ფარი მხარზე გადაიკიდა. ყველაზე ფიცხელი ბედაური მიჰგვარეს მყისვე. რაშს ზურგზე მოახტა და იმერეთს მიაშურა.

***

ცხრა ვაჟითა და ერთი ქალითურთ სუფრას მისხდომია ქართლოს ერისთავი. ხელში ყანწი ეჭირა, როცა წერილი მიართვეს, ხმლის წვერს ააცვა იგი ჭარმაგმა მოხუცმა და წაიკითხა: „მე ჰალილ ზაგდალი, – ვაჟიშვილი და მემკვიდრე ოს-

მალთ სულთანისა, – მოვსულვარ, რათა დავეუფლო შენი ასულის გულს. ხმლით შემიძლია დავამტკიცო ჩემი წადილის შეურყევლობა“.

ჭექა-ქუხილით დაიგრგვინა ცხრა ვაჟკაცმა. ომახიანად აჟღარუნდა მათი მუზარადები. ბრძოლის ველისკენ გაუძღვა ქართლოს ერისთავი საკუთარ ვაჟებს.

დაიწყო უთანასწორო შერკინება.

რკინა არ ჭრიდა ოსმალის მოჯადოებულ სხეულს, მამაშვილთ უცოდველ სისხლში განიბანა მტარვალი.

ფერწასული შეჰყურებდა ვარდისმზე თავზარდამცემ სანახაობას. როს მამისა და ძმების სისხლში მოსვრილი ჰალილ ზაგდალი მას მიეახლა, კითხვით მიმართა ქალწულმა:

– უძლიერესო ვაჟკაცთა შორის, ქვის სულისა და სხეულის ადამიანს რისთვის დაგჭირდა უდანაშაულოთა სისხლის დანთხევა? შენ ხომ ვერასოდეს ვერ იგემებ იმ სიტკბოებას, რასაც ქალი ანიჭებს მამაკაცს.

– ჰოი, უმშვენიერესო მშვენიერთა შორის, – იყო პასუხი, – სული და სხეული ჩემი მხოლოდ მაშინ არის ქვა, როცა ვმრისხანებ. შენი ბროლის მკლავები ყინულს გაალღობენ და კვლავ ადამიანის სისხლი აჩქეფდება ამურის ისრით დაკოდილის ძარღვებში.

მიუახლოვდა ვარდისმზე ჰალილ ზაგდალის და ფერხთით განერთხო მის წინაშე.

უმალვე წამოაყენა ვაჟკაცის ძლიერმა ხელებმა ტურფა ასული. მაშინ სისხლში მოსვრილი ხელები დაუკოცნა ვარდისმზემ ოსმალთ სულთანის ტახტის მემკვიდრეს.

სიხარულმა აღიტაცა ჰალილი, მყის საჭურველი მოიხსნა და მიწაზე დაჰყარა; ღიმილმა გაუპო ბაგეები, ორბის თვალებზე ნეტარების საბურველი გადაეფარა, ქალის ალერსით გაბრუებული სიამოვნების მორევში ჩაიძირა იგი.

უეცრად ვარდისმზის ფარჩის კაბის მოფარფატე სახელოდან მამისეულმა ხანჯალმა იელვა და ტარამდე ჩაერჭო გულში ჰალილ ზაგდალის.

„იმერეთის გაზაფხულის“ ფეხქვეშ გმინავდა სულთმობრძავი გადამთიელი (პაპიაშვილი, "გაგრა", თბ., 2013, გვ. 2028).

7
ქუთაისი

„თეთრი ვაზი ბროლის ყელით,
მოციცინობს გზნებით, ფრენით -
თეთრი ხიდით, თეთრი ქვებით,
ჩუქურთმებით, ჩუქურთმებით.
გაღმა შაშვის სტვენა ისმის,
აქეთ ბულბულების კვნესა,
ადიდებულ ჰე-რიონის,
ეშხით თვრება ხვამლი დღესა.“
(„ქუთაისი გაზაფხულზე“, იაკობ პაპიაშვილი)

საიდან იწყება ქუთაისი? ვინ როგორ უპასუხებს ამ კითხვას? ძნელი სათქმელია, რა თქმა უნდა. დრონი მეფობენ და არა მეფენი. ვინ იცის, ვის რა დრო გაახსენდება? მიდი, თუ ბიჭი ხარ და ეჩხუბე იმ ქუთაისელს როცა იტყვის ქუთაისი თეთრი ქვებიდან იწყება..., ან იმ ქუთაისელს შეეკამათე, რომელიც ქუთაისის ბაღის კიდეზე ანუ ქუთაისის ბულვარზე ანუ ქუთაისის გულვარდზეა შეყვარებული...

აგერ ვიღაც გაიძახის მწვანეყვავილაო!.. სამეფო უბანიო!.. ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრიო!..

მესხიშვილის თეატრი!

ვინ ააშენა ქუთაისის ეს უმშვენიერესი არქიტექტურული ძეგლი?

ყველაფერი ცნობილია: მშენებლობის დაწყების დრო, მიზეზი თუ რატომ შეჩერდა მშენებლობა, როდის განახლდა მშენებლობა, როდის დამთავრდა მშენებლობა...

„მკვეთრად ააშენა, ვინაც ააშენა და ცით დაამშვენა„

ცნობილია ყველა საზოგადო მოღვაწე, ყველა რეჟისორი, ყველა მსახიობი ვისაც კი იმერეთის ამ კულტურის ცენტრის, ძეგლის, ასე ვთქვათ, მშენებლობასთან ჰქონდა შეხება... არ

არის ცნობილი მხოლოდ პროექტის დამკვეთის პიროვნება და მშენებლობის დაფინანსების წყარო...

1951 წლის სექტემბერში, როცა სტალინი ქუთაისში იმყოფებოდა, ჯერ გრიგოლ ნარსიამ, ხოლო შემდეგ აკაკი მგელაძემ ქუთაისის მშრომელების სახელით უღრმესი მადლობა გადაუხადა დიდ ბელადს ასეთი ორიგინალური თეატრის აგებისათვის. მაშინ თეატრის წინ გადაშლილ მოედანს სტალინის მოედანი ერქვა, რომლის შუაგულში დიდი ბელადის ძეგლი იდგა მშვენიერი კვარცხლბეკით.

დღეს ქვაშავის და ხმელთაშუას რესტორნებიდან, ბიკენტიას საქაბაბედან და გოგისვანიძეების დუქნიდან გამოსული შეზარხოშებული ქუთაისელი დარდიმანდები თეატრისკენ კი არა ეშმაკებისკენ იყურებიან...

და განა მარტო მესხიშვილის თეატრის მშენებლობა არის დაკავშირებული სტალინის სახელთან? ფაბრიკა-ქარხნების ის კასკადი, რომლითაც ამაყობდა ქუთაისი საბჭოთა წლებში სტალინის შემოქმედებაა, სტალინის ნობათია ქუთაისისა და ქუთაისელებისათვის. სხვაგვარად ვერ შეიქმნებოდა ისეთი სტრიქონები როგორიცაა:

„ქუთაისი ქალაქია ინდუსტრიის მშენებელი,
წყალტუბო კი მხარე არის მისი დამამშვენებელი.“

ვიღაცას სურს ეს სტრიქონები ბიკენტიას საქაბაბედან გამოსულ დარდიმანდს მიაწეროს, მაგრამ „ააფრინე ალალიო, რაც არ არი, არ არიო“.

გალაკტიონი რევოლუციის მომღერალი პოეტი იყო:

„ნახტომს უდიდესს, უზარმაზარს, განსაცვიფრებელს, -
რევოლუციურს, ჯერ არ ნახულს, ჯერ არ გაგონილს,
ვაშა, ამ ახალ საქართველოს, ვაშა შენებას!“

(ციკლიდან „რევოლუციური საქართველო„)

ვინ არიან ისინი „ისტორიის ინტერპრეტატორები“, ყალბის მქმნელები, საიდან ჩამოფრინდნენ, რას მიელტვიან, საით მიდი-

ან, რა უნდათ?.. ნუთუ არ სურთ გაიხსენონ რას წარმოადგენდა ცარიზმის დროინდელი საქართველო? ნუთუ „აკაკის აკვანი“ არც წაკითხული აქვთ და არც ნანახი? ნუთუ არ ახსოვთ რომ ქუთაისის გიმნაზიაში ქართულ ენას ძაღლის ენას ეძახდნენ, ქართული ენა აკრძალული იყო, რევოლუციამდე საქართველო როგორც სახელმწიფო არ არსებობდა, ქვეყანა დანაწევრებული იყო გუბერნიებად, მიმდინარეობდა ქართველების გარუსება, რევოლუციამდე (1480 – 1915) ცარიზმის ქვეშ იგულისხმებოდა სახელმწიფო რეჟიმი რუსეთში, დამონებული ხალხი გმინავდა იმპერიის უღელ ქვეშ, ნუთუ აღარ გახსოვთ ალექსანდრე ყაზ-ბეგის შემოქმედება? ქართული ენა მხოლოდ შინა სასაუბრო ენად იყო გადაქცეული, ძველი თბილისის ორთაჭალის ან კრწა-ნისის ბაღებში საქეიფოდ მისული ყარაჩოხელების და კინტოე-ბის ენად გამოიყენებოდა, სადაც სამწუხაროდ, ცნობილი აშუ-ღების საიათნოვას, ბეჩანას, ჰაზირას, მელქოს ლექსებზე დაწე-რილი ბაიათები ისმოდა, თუმცა გრიგოლ ორბელიანის „მუხამ-ბაზმა“ ეს თათრული ჰანგები მტკვრის მარჯვენა სანაპიროდან ტივით შორს, ძალიან შორს გარიყა:

„ორთაჭალის ბაღში მნახე, ვინა ვარ,
დარდიმანდის ლხინში მნახე, ვინა ვარ!
ჯამით ტოლუმბაში მნახე, ვინა ვარ!
აბა მუშტის კრივში მნახე, ვინა ვარ!“
(გრიგოლ ორბელიანი)

დიახ, „მუხამბაზი“ გრიგოლ ორბელიანმა დაუპირისპირა სომეხი და თათარი საზანდარ-მოშაირეების ორაზროვან ბაია-თებს, რომლებიც დადიოდნენ საქართველოს დაბა-სოფლებში და ავრცელებდნენ თავიანთი მასწავლებლის საიათნოვას შე-თხზულ სიმღერას: „ზღვას ვით გააშრობს ვარსკვლავის სხი-ვი“, სადაც ზოგზოგების დამამცირებელი კუპლეტი ჟღერდა:

„ზოგ-ზოგი კაცია ეშმაკის მუშა;
ეშმაკის ნაშენი ღმერთმან დაფუშა...

გოგრა არ გახდება შირაზის შუშა,
რა გინდა მაღლა თახჩაშიაც შაიწყოს!“

რის გამო, მოგვიანებით, მურმან ლებანიძემ საკადრისად უპასუხა:

„ეს საიათნოვა ძველმოდურს ბზუის,
არ ვიცი, სცდება, არ ვიცი, სტყუის:
გულუბრყვილობა მაკვირვებს სომხის,
შეცდომა მიკვირს სომხური ჭკუის!
. . . . . .
. . . . . .
ყოველი შრომა ჩაგვივლის ფუჭად
და ცდა ყოველი – ამაოებით,
გოგრა გახდება შირაზის შუშად –
დროებით მხოლოდ! – ღმერთი-რჯული,
მხოლოდ დროებით!“

ეს დიალოგი ბევრჯერ ამტყდარა
და ვირისთავიც დაფნის რტოებით
ბევრჯერ მოურთავთ – გოგრაც გამხდარა
შირაზის შუშად – ხატი-რჯული,
მხოლოდ დროებით!
მურმან ლებანიძე, –
„გოგრა გახდება შირაზის შუშა“

თბილისის გუბერნიის ფორმირება დამტკიცდა ნიკოლოზ 1-ის ბრძანებით 1846 წლის 14 დეკემბერს საქართველო-იმერეთის გუბერნიის დაშლის შედეგად. ცნობილია მეფისნაცვლის ინსტიტუტის არსებობა. ეს თანამდებობა შემოიღეს 1844-1845 წლებში, რეზიდენცია თბილისში იყო. დღეს მათი გვარები კარგად არის ცნობილი იმათთვის ვინც ცარიზმის დროინდელ ისტორიას მისტირიან: ვორონცოვი, მურავიოვი, ბარიატინსკი, დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე და ილარიონ ვორონცოვ დაშკოვი. ისინი აძლევდნენ განკარგულებას ყველა სახელმწიფოებრივ უწყებებში ქართული ენა აკრძალულიყო, „ვეფხისტყაოსანს“ წვავდნენ...

რევოლუციამ იხსნა საქართველო გარუსებისგან, შეიქმნა საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკა, ქართული ენა სახელმწიფო ენად გამოცხადდა, მოსკოვში სვეტებიან დარბაზში, რუსთაველის პორტრეტი პირველ სვეტზე გაბრწყინდა.

„უცებ ღელვა და ჟრუანტელი,
უცებ თვალებში ბედნიერი ალმასის წვეთი,
კავშირთა სახლში შემოვიდა დიდი ქართველი
და ტრიბუნასთან დაიკავა პირველი სვეტი!“

(1934, აგვისტო, მოსკოვი, მწერალთა პირველი ყრილობა, სვეტებიანო დარბაზი, ირაკლი აბაშიძე)

...ტროცკისტებს და კულაკებს რომ გაემარჯვათ საქართველო ისევ გუბერნიებად დაიშლებოდა, ისევ აიკრძალებოდა ქართული ენა, ისევ ცარიზმის ეპოქა დაბრუნდებოდა, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ისევ თათარი აშუღების ბაიათები აჟღერდებოდა, ისევ დაწვავდნენ „ვეფხისტყაოსანს“; ამიტომ უნდა გავიმეოროთ გალაკტიონის ეს შედევრი:

„რევოლუციურს, ჯერ არ ნახულს, ჯერ არ გაგონილს,
ვაშა, ამ ახალ საქართველოს, ვაშა შენებას!“

ავტორი: 1978 წლის 14 აპრილს გამოქვეყნდა საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტი, რომლის მიხედვით სახელმწიფო ენის სტატუსი ეროვნულ ენასთან ერთად უნდა მინიჭებოდა რუსულ ენასაც. ვისაც უნახავს როგორ აწყდება ცუდ ამინდში გაცოფებული ზღვის ტალღები ნაპირს, ისე მიაწყდა ზღვა ხალხი საქართველოს ცენტრალური კომიტეტის შენობას. მომიტინგეებს წინ მიუძღოდათ თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტები და ქართველი მწერლები. მათი აღშფოთებული ყიჟინა არე-მარეს აყრუებდა. მათ შორის იყვნენ ცნობილი ადამიანები, მეცნიერები, პროფესორები, აკადემიკოსები, დოცენტები...

იმ ღამეს საქართველოს ცკ-ის მთელი შემადგენლობა ფხიზლობდა. შევარდნაძე ტელეფონს არ შორდებოდა... განუწყვეტლივ წკრიალებდა ზარი ხან თბილისის ცკ-ში, ხან მოსკოვში,

კრემლში... ნერვებდაწყვეტილი შევარდნაძე, აღელვებული, მაგრამ შეძლებისდაგვარად ლმობიერი ხმით უხსნიდა ბრეჟნევს შექმნილ ვითარებას: Дорогой Леонид Ильич! Многотысячный митинг студентов не прекращается… На улице вышли сотни тысяч людей… Тбилиси парализован… Весь ЦК Грузии ждёт Вашего указания…

გამთენიისას მოვიდა კრემლის საბოლოო გადაწყვეტილება, საბჭოთა კავშირის ცკ-ამ უკან დაიხია, თბილისს ნება დართო საქართველოს კონსტიტუციაში 75-ე მუხლი არ მიეღოთ. შევარდნაძემ ცკ-ის ფანჯარა გამოაღო და აღელვებული ხმით მიმართა ხალხს, რომ მათი მოთხოვნა დაკმაყოფილდა, რომ საქართველოს სსრ სახელმწიფო ენად კონსტიტუციით კვლავ ქართული ენა დარჩა.

1978 წლის 14 აპრილს ედუარდ შევარდნაძის გააზრებულმა მოქმედებამ, გააზრებულმა პოლიტიკამ ქართველი ახალგაზრდობა და ქართველი ხალხი სისხლისღვრისგან იხსნა.
ავტორი იმ მღელვარე დღეების მონაწილე იყო.

„ასე მგონია ყველაფერი მიცურავს სადღაც…
თეთრი ღრუბლებიც, მთა-ველებიც ფრინავენ თითქოს;
ამ დროს მომესმა სტიუარდესას ქართული სიტყვა:
„…ვეშვებით ლუდის აეროპორტში…„
ვიგრძენი დიდი სიხარული, ძალა და სითბო.“
(„ბოინგის ილუმინატორიდან“, 1995, ი. პაპიაშვილი)

8

ახლა ის დროა, როცა ამ უმშვენიერესი კულტურის ძეგლის წინ გადაშლილ მოედანზე არავითარი ძეგლი არ დგას – მოედანი გადახნულია და თეთრი, წითელი ვარდებით, ყაყაჩოებით, იებით, შროშანებით და ათასფერადი ყვავილებით არის გადაბარდნილი. თეატრთან და ბაღისკიდეზე ქუთაისელები მიდი-მოდიან და ამ არაჩვეულებრივი ყვავილების სურნელებით ტკბებიან. შესაძლებელია ზოგიერთმა მათგანმა არც იცის და არც აინტერესებს, რომ ამ თეატრის ადგილზე სობოროს ტაძარი იდგა, რომელიც 1924 წლის ზაფხულში კომკავშირლებმა მთლიანად დაშალეს და ქუთაისის სამაზრო კომიტეტის გადაწყვეტილებით ამხანაგ ლენინის ძეგლი აღმართეს. 1948 წელს კი, როცა ამ უნიკალური თეატრის მშენებლობა დასასრულს უახლოვდებოდა, ლენინის ძეგლი სტალინის მონუმენტურმა ქანდაკებამ შეცვალა.

არსებობს ასეთი ქუთაისური ანეკდოტი: უბნის პოლიციელმა ჩიტიანმა ლენინის ძეგლთან ყმაწვილი დაიჭირა როცა იგი შარდავდა. როცა იგი მილიციაში მიიყვანა, უფროსმა ჩიტიანს ჰკითხა რატომ დაიჭირეო, ლენინის ძეგლთან მოშარდა უფროსო, მიუგო ჩიტიანმა, მართალიაო ჰკითხა უფროსმა ყმაწვილს, რომელმაც უპასუხა, ლენინი მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითით მიგვანიშნებს რომ აქ მოფსიო.

ასეა თუ ისე, ქუთაისელებს, ახლა ამ ყვავილნარის სიახლოვეს რომ სეირნობენ ნამდვილად არ აინტერესებთ ისტორიად ქცეული წარსული. აგერ, თეატრის მხრიდან საშუალოზე ოდნავ დაბალმა ახალგაზრდა კაცმა ქუჩა გადმოჭრა, არხეინად მიაბიჯებს ბაღისკიდეზე, ხელში წიგნები უჭირავს, თვისთვის ჩუმად ღიღინებს, უცებ ერთი წიგნი ხელიდან უვარდება, მაგრამ ყურადღებას არ აქცევს, გზას ნელი ნაბიჯით აგრძელებს, წიგნი ისევ უვარდება, თუმცა არ ჩერდება, გზას აგრძელებს... მის უკან გოგონები მოდიან, ერთი მათგანი დაიხრება, წიგნს აიღებს და წამოიყვირებს:

- უი, ზურაბ კუხიანიძის წიგნია, ახალი გამოცემულია; წიგნს გადაშლის და

კითხულობს:

„დე, თვალებში ჩამეყაროს მე ნაცარი,
თუკი გულში ავი ძევს...
მაგრამ მაინც, რომ ჩაივლი, გენაცვალე,
შეიბნიე საკინძე!“

(„მეზობლის გოგო“, ზურაბ კუხიანიძე)

გოგონების სიახლოვეს ორი მამაკაცი მიაბიჯებს. ხელში კუხიანიძის წიგნები უჭირავთ, საუბრობენ:

- ერთი ლექსი სტალინზე აქვს დაწერილი, აკრიტიკებს, მკაცრი იყოო, ამბობს.

- კარგი, თუ კაცი ხარ... ჩემს წარსულს გაგახსენებ, პირველად რომ დამიჭირეს, მაშინ დამნაშავე ვიყავი... მაგრამ მეორედ?.. სტალინის ბრძანება იყო ყოფილი პატიმრები ყოველმიზეზგარეშე დაესაქმებინათ. მილიციის რეკომენდაციით ავტოქარხნის სასურსათო მაღაზიაში გამყიდვლად დამნიშნეს, იქ, კი მაღაზიის გამგემ იცი რა გამიკეთა? სასწორს, სურსათს რომ ვწონიდი, ქვემოთ მაგნიტი ამოუდო, თან კონტროლიორები დამაყენა თავზე... ისევ დამიჭირეს... რას იტყვი, სტალინს დავაბრალო?

- სიმონ იცი, პირველ მაისს და შვიდ ნოემბერს, მოსკოვში, კრემლის კედელზე მარქსის, ენგელსის და ლენინის სურათები ჰკიდია, მაგრამ ჩინეთში, მაო ძედუნის მოედანზე მარქსის, ენგელსის, ლენინის და სტალინის სურათებია გამოფენილი.

- შენ ეგ თქვი და მე მეტსაც გეტყვი, რუსებმა სახელი „სტალინგრადი“ მოსპეს, გააქრეს, მაგრამ საფრანგეთში, პარიზში და ბევრ სხვა დიდ ქალაქში „სტალინგრადი“ ძველებურად იხსენიება.

- უმადური ერია რუსი... სინდისი აქვთ გადარეცხილი... სიტყვა „მადლი„

ლექსიკონიდან ამოღებული აქვთ, ამბობენ ფაშიზმი რუსმა დაამარცხაო... სამასი ათასი ქართველი დაეცა ფაშისტებთან ბრძოლაში, ახლა ყაზახები... „სიბირიაკები“... სიკვდილს თვალებში უყურებდნენ და გაჰყვიროდნენ: „За Сталина!“, „За Родину!“...

- სტალინი რომ არა, რუსი დღეს კვერცხის ნაჭუჭში იქნებოდა მოყუჩებული...

კავის რუსეთი უძლიერეს სახელმწიფოდ აქცია... ატომი... კოსმოსი, ევროპა რუსის მეგობრად აქცია, მადლობის მაგივრად კი...

მამაკაცებმა ჩაიარეს.

ავტორი: „ხელში ჩიბუხი უჭირავს, ჩექმები უპრიალებს... ზურგს უკან კრემლის კედლის სალუტი ბრწყინავს...“

წამით არწივის მარტოსულობაზე ვფიქრდები... არწივის მარტოსულობაზე ვფიქრდები...

1953 წლის 3 მარტს ლენინის საქმე და გალაკტიონისეული ეპოქა – „ნახტომს უდიდესს, უზარმაზარს, განსაცვიფრებელს“ – რუსმა ყინულის სარკოფაგში დალუქა.

...

გოგონებმა დაწყებული საუბარი განაგრძეს.

- ცაცო, ჩაუწვები ზურაბ კუხიანიძეს ლოგინში?

- ლორა, შენ ხომ იცი დანიშნული რომ ვიყავი? ავთოს შენც კარგად იცნობ, სამთო ტექნიკუმში რომ ჩამრიცხეს, იქ გავიცანი, ლექციებს გვიკითხავდა არქიტექტურაში, ბიჭად ბიჭი კარგი იყო, მომეწონა, დავინიშნეთ კიდეც, მაგრამ ხელფასის კაცი აღმოჩნდა, მამამისი არ ეხმარებოდა, ჯიბეგაფხეკილები კი, არ დაგიმალავ, არ მიყვარს. ამიტომ დავშორდი. კუხიანიძე ახალგაზრდა პოეტია, არც მაგის ჯიბე იქნება ფულით გატენილი. აი, დავით კვიცარიძის დონეზე რომ იყოს ეს უკვე სხვა საქმეა. – ციცომ გადაიკისკისა. თვალ-ტანადად კარგი შესახედავი გოგო იყო, ეშხიანი, მისი თვალები ალუბლებს ჰგავდა, მისი ტუჩები კი

– ვარსკვლავთა მქრქალი შუქით განათებულ დაბლობზე ამოზრდილ ხავერდოვან ბორცვებს.

- შენ რა ჩუმჩუმად იცინი, გოგო?

- ისე, შენ ნათქვამზე ჩამეცინა, – მიუგო ლორამ, – ვინ იცის იქნებ კუხიანიძეც ავიდეს კვიცარიძის დონეზე, – თქვა და თვალები ეშმაკურად აუციმციმდა, სახე და წითელი ტუჩები სარეკლამო პლაკატის ქალიშვილს მიუგავდა, ენაკვიმატი ჩანდა.

კვირა დღე იყო, წყნარი სექტემბრის დილა. მზე თანდათან მაღლდებოდა. დილას ვერავინ დაემალება. ქალიშვილებმა ქუთაისის ლაღიძის წყლებთან, სადაც ხაჭაპურებსაც აცხობდნენ, ბაღისკიდის დასაწყისში ხელმარჯვნივ შეუხვიეს, აუჩქარებლად მისეირნობდნენ, ეტყობოდათ დროს გაყვანა სურდათ და ნაცნობებს ღიმილით, ხალისიანად ესალმებოდნენ. სასტუმრო „ქუთაისს“ რომ მიუახლოვდნენ ხელმარცხნივ გაუხვიეს.

- აი, სამთო ტექნიკუმი, – თქვა ცაცომ, – ავთო ახლაც აქ მუშაობს.

- აა..., როგორც ჩანს ჯერ კიდევ ძველი სიყვარული არ დაგვიწყებია. – ჩაილაპარაკა ლორამ.

- არ არის ცუდი ბიჭი, – მიუგო ცაცომ, – ლორა, შეხედე სამთო ტექნიკუმთან რაღაც ხდება, მოდი მივუახლოვდეთ.

9

ქუთაისის სამთო ტექნიკუმის ორსართულიან შენობაში რევოლუციამდე წმინდა ნინოს ქალთა სასწავლებელი ფუნქციონირებდა, რომელსაც ქალთა გიმნაზიას უწოდებდნენ, შემდეგ კი სამთო-სამშენებლო ტექნიკუმს გადაეცა. 60-იანი წლების დასაწყისში, შენობის იმ ნაწილში, რომელიც წერეთლის ქუჩას უკავშირდება, სახელმწიფო ბანკის მოპირდაპირე მხარეს, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საღამო დასწრებულის ფილიალი ამოქმედდა, ხოლო შენობის ძირითადი ნაწილი, სადაც ახლა გოგონები იდგნენ სამთო ტექნიკუმს ეკუთვნოდა.

სამთო ტექნიკუმის მთავარი ფასადის წინ ორი სატვირთო მანქანა იდგა, იქ კაცები საქმიანობდნენ, მანქანების ძარიდან მაგიდები და სკამები გადმოჰქონდათ, შენობაში შეჰქონდათ. ქალიშვილები დაინტერესდნენ, იკითხეს:

- რა ხდება სამთო ტექნიკუმში?

- აქ უკვე აღარ არის სამთო ტექნიკუმი, – მიუგო ერთმა ახალგაზრდა კაცმა, – ეს შენობა ბაღისკიდემდე საქართველოს საქნახშირის სამინისტროს კუთვნილებაა.

უცებ ქუჩაში მზის შუქზე მოლაპლაპე შავი „ვოლგა“ მსუბუქად შემოცურდა და სატვირთო მანქანების წინ შედგა.

- მინისტრი ჩამოსულა თბილისიდან, – ერთმანეთს გადაულაპარაკეს კაცებმა.

ამასობაში მძღოლი მანქანიდან გადმოვიდა და პატივისცემის ნიშნად მინისტრს „ვოლგის“ კარები შეუღო.

ვოლგიდან გადმოვიდა მამაკაცი საკმაოდ წარმოსადეგი, ასე ორმოცი წლის, შავი შარვალ-კოსტიუმი ეცვა, თეთრ პერანგზე წითელი ჰალსტუხი ეკეთა, შავი თმები კოხტად ჰქონდა გადავარცხნილი.

- გამარჯობათ, ბიჭებო! – თქვა მინისტრმა, – როგორ მიდის საქმე?

კაცებმა ფაციფუცით უკან დაიხიეს, აგრძნობინეს მინისტრს რომ პატივს სცემდნენ.

- გაგიმარჯოთ, ბატონო ედიშერ! – მისალმება საერთო იყო, მაგრამ მერე ერთმა ახალგაზრდამ საუბარი განაგრძო: – ყველაფერი წესრიგში მოგვყავს, ბატონო ედიშერ! თქვენი და თქვენი მოადგილეების კაბინეტები უკვე მზადყოფნაშია. ახლა განყოფილებებში შეგვაქვს ავეჯი. დამლაგებლები ენერგიულად შრომობენ, ყველა ოთახში სისუფთავეა, პარკეტი სარკესავით ბრწყინავს.

მინისტრს გამომეტყველება მშვიდი ჰქონდა და დაკვირვებული. თვალი მაშინვე ქალიშვილებისაკენ გაექცა, მზერა ცაცოზე შეაჩერა, ქალის ხვეული ქერა თმა, ფერფლისა და ოქროსფერი რომ დაჰკრავდა ფიქალ შუბლზე ჩამოშლოდა, თვალები ვარსკვლავებივით უციმციმებდა, ბუნებრივად თეთრი, ყირმიზი სახის კანზეც კი ეტყობოდა, რომ ნორჩი და ძლიერი გული უცემდა მკერდქვეშ. ოცი ან ოცდაორი წლის იქნება, ცვარ-ნამი ბავშვობისა ისევ შერჩენილი აქვს სახეზე, – გაიფიქრა მინისტრმა და იკითხა:

- ვახტანგ, ეს გოგონები ჩვენი ახალი თანამშრომლებია?

- არა, ბატონო ედიშერ, – უპასუხა იმან ვისაც ვახტანგი უწოდეს, – უბრალოდ გამვლელები არიან და დაინტერესდნენ, ეგონათ რომ ეს შენობა ისევ სამთო ტექნიკუმს ეკუთვნის.

- სამთო ტექნიკუმი გვერდით შენობაში გააგრძელებს საქმიანობას, აი, იქ, აფთიაქამდე, – თქვა მინისტრმა და ისევ ქალიშვილებს შეხედა, ხელით მიანიშნა ის ადგილი სადაც აფთიაქი იყო განთავსებული. მაღალი, ძლიერი აღნაგობისა იყო, თვითდაჯერებული იერი, ძლიერი მხრები და მკლავები ჰქონდა. ცაცოდან მზერა ლორაზე გადაიტანა: – ასეთი ლამაზი გოგონები კარგი შენაძენი იქნებოდა ჩვენი კომბინატისთვის. – ლაპარაკისას თვალები აუელვარდა, მერე თავი ჩაღუნა და სწრაფი, მტკიცე ნაბიჯით შევიდა შენობაში.

დიდი თანამდებობის პირის ტაქტიანმა სიტყვებმა ქალიშვილები მოხიბლეს და ცნობისმოყვარეობით მიადევნეს თვალი საქნახშირის კომბინატში შემავალ მინისტრს.

- ადრე გინახავთ მინისტრი? – ღიმილით ჰკითხა ვახტანგმა გოგონებს.

- არა, – მიუგო ლორამ, – ქუთაისში ეს პირველი სამინისტროა, აბა საიდან ვნახავდი, თბილისში კი სულ ერთხელ ვარ ნამყოფი, მაგრამ მინისტრებთან კი არა, ნათესავებთან ვიყავი. ისე, სხვათა შორის, კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

- მეც ასე ვფიქრობ, – დაეთანხმა ცაცო ლორას და იკითხა: – ცოლი თუ ჰყავს?

- ჰყავს, – მიუგო ვახტანგმა, – მისი ცოლი რუსია... შვილიც ჰყავთ... ათ წელზე მეტი მუშაობდა რუსეთში... ხომ გაიგონეთ რა თქვა, თქვენისთანა ლამაზი ქალიშვილები კარგი შენაძენი იქნება ჩვენი კომბინატისთვისო...

საუბარს უკვე სხვა გზა მიეცა.

- ვიფიქრებთ მაგაზე, – თქვა ლორამ.

- ჰო, რა თქმა უნდა, იმას მაინც ვიტყვი სამინისტროში ვმუშაობ-თქო. – დასძინა ცაცომ.

და ქალიშვილები ახალგაზრდებს გამოემშვიდობნენ, უკან გაბრუნდნენ, ისევ ბაღისკიდისაკენ გაემართნენ.

- ისე, კარგი კია მინისტრის ცოლობა, მოსამსახურე გეყოლება, მანქანა მოგემსახურება... – თქვა ლორამ და ცაცოს ჰკითხა: – გინდა იმუშაო ამ სამინისტროში?

- რატომაც არა, თუ კარგი ანაზღაურება იქნება...

მესხიშვილის თეატრთან იყვნენ მისულნი.

- მოდი, ცაცო, წავიდეთ თეატრში საღამოს.

- რა გადის?

- მგონი „ყვარყვარე თუთაბერი“. იპოლიტე ითამაშებს, დაგვხოცავს სიცილით.

მესხიშვილის თეატრი და მის წინ ნოხივით გადაშლილი, ყვავილნარში ჩაფლული მოედანი რაღაც მთლიანს ჰგავდა. მაღლა ცისფერი და თეთრი ქათქათა ღრუბლები მიცურავდნენ. მზის ოქროსფერი სხივებით შემობურული ეს არაჩვეულებრივი არქიტექტურული, ოვალური ნაგებობა ხელთუქმნელი სალოცავივით იყო განათებული და შორეული ანარეკლი ქალაქისა – ხვამლის ირგვლივ შემოჯარული მოვარდისფრო-მოყვითალო ციხესიმაგრეები, იმერეთის მიჯნაზე აზიდული კავკასიონის ხედების სილუეტები იხაზებოდა ამ ულამაზესი თეატრის და ყვავილნარით გადაბარდნული მოედნის ფონზე.

- ხვიჩია ამ სპექტაკლში მგონი ქუჩარას როლშია, კაკუტას კი აბესაძე თამაშობს, მგონი, არა?

- კარგად არ მახსოვს, თუ გადაწყვეტ, დამირეკე და წავიდეთ, გავმხიარულდეთ.

ქალიშვილები ერთმანეთს გამოემშვიდობნენ.

10
ამირანის ეპოსი 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შუქზე

ფიქრობენ რომ სახელი „ამირანი“ სპარსული წარმომავლობის უნდა იყოს, თუმცა არც იმას უარყოფენ, რომ ამ სახელს პრეისტორიულ ხანაში უფრო ძველი, პროტოქართული შესატყვისი ექნებოდა, რამეთუ თქმულებები ამირან დარეჯანისძეზე საქართველოს ყველა კუთხეში არსებობს რაც მესამე ათასწლულით თარიღდება. ეს სახელი ამირან დარეჯანისძე, რომლის სპარსული შესატყვისია „ამირ ანდარე ჯეპან“ ნიშნავს „ქვეყნის მბრძანებელს“, „ქვეყნის მეუფეს“. ამირანის მიერ ჩადენილი საგმირო საქმეები ზღაპრულ თქმულებებად არის მიჩნეული; მან გაანთავისუფლა მზე დევ-ვეშაპის მუცლიდან, მოკლა ბაყბაყ-დევი, დახოცა გველეშაპები, გააცამტვერა ცხრა ძმა დევების სამეფო, მოინადირა ღრუბელთა მბრძანებლის ასულის ყამარის გული და მოაშთო ავი სული ქალ-ხარი. ამირანი ხარივით დაუღალავია, თორმეტი წყვილი ხარის ძალა აქვს და მთიდან დაცურებული მორის სისწრაფე. იგი ასწავლის ადამიანებს როგორ გამოჭედონ ისეთი იარაღი, რომელიც დაამარცხებს ბოროტებას, ის ერკვევა მედიცინაში და უხსნის ხალხს რას ნიშნავს ნათელი დღისა, თუ როგორ განასხვავონ კეთილის მყოფელი მცენარეები მავნე ნარგავებისგან...

ამირანის სახეში კულტურული გმირის სხვა თვისებებიც ვლინდება, რაც ზედმიწევნით ზუსტად შეესაბამება სტალინის სახეს, სტალინის პიროვნებას. ეს ერთგვაროვნება კარგად ჩანს ჩემს ნაშრომებში სტალინზე.

ერთმა რუსმა არტისტმა თუ რეჟისორმა, რომლის მამა სტალინთან ერთად მუშაობდა საბჭოთა კავშირის ჰიმნის შესაქმნელად, თავის ფილმში სტალინის დაბადების აღსანიშნავ დღეს, მსახიობს, რომელიც სტალინის როლს ასრულებდა, მიართვა ვეებერთელა ტორტი და ამ ტორტში რამდენჯერმე თავი ჩააკვრე-

ვინა. ეს ალბათ მან სტალინის მიმართ სიძულვილის ნიშნად გაა-კეთა და სულ არ ენაღვლებოდა იმის ფიქრით აეტკივებინა თავი, რომ მამამისის და სტალინის მიერ შექმნილ საბჭოთა ჰიმნს, სულ მალე, სულ რაღაც რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, შეცვლიდა ევროპის ჰიმნი ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიიდან.

„1922 წლის ოქტომბერში მოსკოვში ცკ პლენუმზე მიღებული იქნა ლენინის წინადადება უკრაინის, ბელორუსიის და ამიერკავკასიის ფედერაციულ რესპუბლიკებსა და რუსეთის ფედერაციას შორის ხელშეკრულების დადებაზე „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში“ გაერთიანებასთან დაკავშირებით, თითოეული ზემოხსენებული რესპუბლიკის საბჭოთა კავშირიდან თავისუფალი გასვლის პირობით.

ყველაფერი კი იყო სუფთა წყლის ტყუილი, მიმზიდველი მხოლოდ ბრმებისთვის, ისეთებისთვის, როგორებიც იყვნენ ბუდუ მდივანი და ფილიპე მახარაძე. ამ ორმა ქართველმა გაუვალ რკინა-ბეტონში მოაქციეს საქართველო (აქ ჩვენი ინტერესის სფერო მხოლოდ საქართველოა – ი. პ.).

ლენინი და ტროცკი დღესასწაულობდნენ. ისინი დაუპირისპირდნენ და ვეტო დაადეს პროექტს, რომელიც შეიმუშავა სტალინურმა კომისიამ. ეს მოხდა ერთი თვით ადრე, 1922 წლის სექტემბერში, როცა სტალინმა ცკ-ს წარუდგინა პროექტი საბჭოთა რესპუბლიკების „ავტონომიზაციის“ შესახებ. ეს საკითხი მძაფრი დისკუსიის საგანი გახდა. სტალინი აღშფოთებული იყო. იგი ლენინს მკაცრად შეეკამათა.

„ავტონომია“ ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს უფლებას სახელმწიფოების (ოლქის) გარკვეული ნაწილის დამოუკიდებელ მართვაზე ანუ უბრალოდ რომ ვთქვათ ავტონომია არის დამოუკიდებლობა.

1972 წელს ფელიქს ჩუევმა, თავის ნათესავ ვიაჩესლავ მოლოტოვთან საუბრისას, რომელმაც სტალინთან ერთად შეიმუშავა საბჭოთა კავშირის შექმნის გეგმა, ჰკითხა მას ამ სფეროში

გაწეული მუშაობის შესახებ. მოლოტოვმა უპასუხა: „არავინ ერკვეოდა ნაციონალურ საკითხებში ისე, როგორც სტალინი. არავინ ისეთი შორსმჭვრეტელობით არ წყვეტდა ჩვენი ნაციონალური რესპუბლიკების ორგანიზაციულ საკითხებს, როგორც სტალინი“ (აქ ჩამოთვლილია სტალინის რიგი გადაწყვეტილებები საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ნაციონალური რესპუბლიკების შექმნასთან დაკავშირებით – ი. პ.).

აზერბაიჯანის და სომხეთის კომუნისტურმა პარტიებმა მხარი დაუჭირეს სტალინურ პროექტს, მაგრამ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1922 წლის 15 სექტემბრის ბიუროს სხდომაზე ამხ. სტალინის თეზისები სცნო როგორც არასასურველი პროექტი და საჩივარი გაუგზავნა ამის შესახებ ამხ. ლენინს. სწორედ ამ საჩივრის საფუძველზე, ლენინმა 1922 წლის ოქტომბერში ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე შეიტანა წინადადება „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების“ შექმნის შესახებ. ლენინი და ტროცკი იმ პრობლემებზე, რომელებიც საბჭოთა კავშირის და რუსეთის შიგნით ხდებოდა, ნაკლებად ზრუნავდნენ, რადგან ორივე ლიდერი გაცილებით მეტს ფიქრობდა პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვებაზე გერმანიაში და მსოფლიოს მასშტაბით.

ამიერკავკასიის სოციალისტურმა ფედერაციულმა საბჭოთა რესპუბლიკამ, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი იარსება 1922 – 1936 წლებში.

იმ შემთხვევაში თუ ქართველი კომუნისტები ბუდუ მდივანი და ფილიპე მახარაძე არ იჩივლებდნენ ლენინთან სტალინური კომისიის მიერ შემუშავებული პროექტის წინააღმდეგ, ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკა 1922 – 1924 წლებში დაიშლებოდა სამ სუვერენულ ავტონომიურ საბჭოთა რესპუბლიკად, საბჭოთა კავშირიდან გასვლის უფლებით. 1924 წელს საქართველოში არ მოხდებოდა ე. წ. „მეგრელთა აჯანყება“, არ დაიღვრებოდა ქართველების სისხლი და საქართველოს ტერიტორიალური მთლიანობა შენარჩუნებუ-

ლი იქნებოდა შიგა ავტონომიების გარეშე, სოჭის ოლქის ჩათვლით, რაც თავისთავად დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის და გიორგი ბრწყინვალის სახელმწიფოებრივ – პოლიტიკური მოღვაწეობის ტოლფასია.

სტალინმა 1917 – 1924 წლებში რუსეთში და საერთოდ საბჭოთა კავშირში დატრიალებული ქაოსი და ანარქია შეცვალა სტაბილურობით და ეკონომიური განვითარების პერსპექტივით (საფუძველი: ბორის პასტერნაკის „ექიმი ჟივაგო“, იაკობ პაპიაშვილის „ლენინის ქუჩა და სტალინის მეგონა მე“ და „ნაპოლეონე„). ლენინისაგან და ტროცკისაგან განსხვავებით სტალინი სახელმწიფოს მოვლა-პატრონობის უნარის მქონე ხელმძღვანელი იყო.

სტალინმა შექმნა საფრანგეთი იმ სახით, რომელიც დღეს არსებობს (საფუძველი: იაკობ პაპიაშვილი, „STALINGRAD გენერალ შარლ დე გოლის ხანგრძლივი სვლაგეზი„).

რუზველტის და ჩერჩილის პოლიტიკური გადაწყვეტილებების შესაბამისად განზრახული იყო საფრანგეთის ტერიტორიალური დანაწევრება და მისი კოლონიების დასაკუთრება. ეს ორი დიდი პოლიტიკოსი დე გოლს უწოდებდნენ „ჭირვეულ ფრანგ პატარძალს“. ამერიკის პრეზიდენტს და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს ჰქონდათ კიდეც ამის უფლება: 1941 წლის 5 ნოემბერს, თავით ფეხამდე შეიარაღებული ფრანგული ბატალიონები კრემლიდან 30 კმ მოშორებით იდგნენ. მათი კოლაბორაციონალური მთავრობის ლიდერმა (ვიშის რეჟიმი) მარშალმა ფილიპ პეტენმა ფრანგ ნაცისტებს შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა: „თქვენი მოსკოვისაკენ გალაშქრების წინ მე სიხარულით ვგრძნობ, რომ თქვენ ხართ ჩვენი ფრანგული სამხედრო ძალის სიამაყე“. ფრანგული ბატალიონები იბრძოდნენ წითელი არმიის წინააღმდეგ პომერანიაში და ბერლინის ოპერაციის დროს, გმირულად იცავდნენ რაიხსტაგის მისასვლელებს და ჰიტლერის ბუნკერს, რომლის დროსაც მათ გაანადგურეს ასამდე საბჭოთა ტანკი. ვიშის მთავრობა დაეხმარა გერმანელ

ფაშისტებს (ნაცისტებს) 120000 ფრანგი ებრაელის დეპორტაციაში სიკვდილის ლაგერებში.

სტალინმა შექმნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა იმ სახით, რომელიც დღეს არსებობს.

სტალინის ძალისხმევით ინდოეთი განთავისუფლდა დიდი ბრიტანეთის კოლონიალური ჩაგვრისაგან.

სტალინმა შექმნა ისრაელის სახელმწიფო მისი მოსპობიდან 2000 წლის შემდეგ (საფუძველი: იაკობ პაპიაშვილი, „აღსდგა ვითარც ფენიქსი თავის ფერფლიდან„).

…და ეს არ არის სრული ნუსხა იმ ღვთაებრივი საქმეებისა, რომელიც სტალინურ გენიას ეკუთვნის.“

(დაიბეჭდა გაზეთში „მწერლის გაზეთი“, 2021, N5, გვ.13, სათაურით „მის უკვდავსაყოფად ესეც კმარა„).

მესხიშვილის თეატრი და მის წინ ნოხივით გადაშლილი, ყვავილნარში ჩაფლული მოედანი რაღაც მთლიანს ჰგავდა. მაღლა ცისფერი და თეთრი ქათქათა ღრუბლები მიცურავდნენ. მზის ოქროსფერი სხივებით შემობურული ეს არაჩვეულებრივი არქიტექტურული, ოვალური ნაგებობა ხელთუქმნელი სალოცავივით იყო განათებული და შორეული ანარეკლი ქალაქისა – ხვამლის ირგვლივ შემოჯარული მოვარდისფრო-მოყვითალო ციხესიმაგრეები, იმერეთის მიჯნაზე აზიდული კავკასიონის ხედების სილუეტები იხაზებოდა ამ ულამაზესი თეატრის და ყვავილნარით გადაბარდნული მოედნის ფონზე.

„მკვიდრად ააშენა,
ვინაც ააშენა
და ცით დაამშვენა“ – ასახელა საკუთარი სამშობლო საქართველო.

11

როცა ცაცომ ოქროს ჩარდახს ჩაუარა, მისი ორსართულიანი, აივნიანი სახლიც გამოჩნდა. ეზოში დედა დაინახა, ცაცხვის ხის სიახლოვეს, რომლის გაფაშფაშებული რტოები თითქმის მთელ აივანს და ეზოს ჩრდილს აფენდა, ცაცხვის ყვავილების სურნელი კი ენით აუწერელი სიამოვნების მომგვრელი იყო. ცაცხვის ხის ძირში ამოსული ზამბახები და დედოფლის ყვავილები, ვიღაცას თითქოს ისე ძალიან ჩქარა, დაუდევრად მოეყარა პეშვით თესლები, რომ ერთმანეთზე იყვნენ ჩახლართულები. ეზოს ერთ კუთხეში ყვავილნარი იყო გაშენებული, თეთრი და წითელი ვარდები, იები, ტიტები, ვნების ყვავილები, სამოთხის ფრინველები, ყაყაჩოები. ერთ მხარეს ვაზი ყვაოდა, იქვე ლიმონის და ლეღვის ხეების ჩრდილში მაგიდა და წნული სკამები იდგა. სახლის სახურავიდან ზოგჯერ მტრედები გარიკრიკდებოდნენ.

ცაცოს დედის ნათქვამი გაახსენდა დილით რომ უთხრა: ავთო არ უნდა დაგეკარგა. რა ვუყოთ რომ ჯამაგირის კაცია. ახლა რას იზამ არ ვიცი. ნეტა შეგახვედრა ვინმე წესიერი, სათნო, ზრდილი ადამიანი, რომელსაც ცოლად გაყვებოდი! ჰოდა, მაშინ შენც გექნება შენი საკუთარი კოხტა სახლი... შენივე გემოვნებით არჩეული. ახლა ცაცო, ორი-სამი ბავშვიც წარმოიდგინე! სულ იმაზე ვოცნებობ როდის გათხოვდები და როდის დაგინახავ ბავშვებთან ერთად. უჭკუო ხარ და ესაა. იცი რას გეტყვი, შვილო! არ არსებობს ქალი, რომელიც ქორწინებას არ გაივლებს გულში, რომელიც ქორწინებაზე არ დაიწყებს ოცნებას იმ წუთიდანვე, როგორც კი შესაფერისი ადამიანი გამოჩნდება. ნებისმიერი ქალი ასეა, ვინც გინდა იყოს! გულახდილად გეტყვი, რა ბედნიერი ვიქნებოდი შენი გაბედნიერების გამო ავთოს რომ გაჰყოლოდი ცოლად. და იცი, ამასაც გეტყვი, შენ ისეთი სასიამოვნო გარეგნობისა ხარ და ავთო ისე ლამაზია, რომ ალბათ, პირდაპირ ჩასაყლაპი ბავშვები გეყოლებოდათ. რა ბედნიერი ვიქნებოდი, რომ იცოდე შენი გაბედნიერების გამო!

ქალიშვილი რომ დაინახა ქალს გაეხარდა.

- კარგია, რომ მოხვედი, შვილო, სტუმარი გვყავს, თბილისიდანაა, შედი შინ, გაიცანი, მეც მალე მოვალ, მჟავეული უნდა ამოვიტანო სარდაფიდან.

- ვინ არის? – ჰკითხა დედას ცაცომ.

- მამაშენს შორეულ ნათესავად ეკუთვნის, მაგათი სამსახური თბილისიდან ქუთაისში გადმოუტანიათ და ალბათ, დროებით ჩვენთან იცხოვრებს.

- კარგი, დე, – თქვა ცაცომ და კიბეები აირბინა.

- ჰო, მართლა, – მიაძახა ქალიშვილს ქალმა, – გაზზე კუპატი მაქვს მიდგმული, გადააბრუნე და მზად რომ იქნება სტუმრებს მიართვი.

- კარგი, კარგი, გავიგე, – ეტყობოდა უყვარდა მოძრაობა, ოგიუსტ როდენის „მარადიული გაზაფხულის“ მსგავსად ჩამოქნილი ფეხები ჰქონდა.

ცაცომ სასტუმრო ოთახის კარი შეაღო, მოვერცხლილი ლანგარი ეჭირა ხელში, შემწვარ კუპატს ოხშივარი ასდიოდა. დიდი ფართის მქონე სასტუმრო ოთახი რამდენიმე მაღლივი ფანჯრით იყო განათებული. ოთახის კედლებთან იდგა კოხტა დივანი, ორი უცხოური სავარძელი, წითელი ფერის პიანინო; „გორკა“ ჩეხური ბროლით იყო გადავსებული. სუფრასთან, თეთრად რომ ქათქათებდა, რამდენიმე მამაკაცი იჯდა. სუფრას ამშვენებდა იმერული ხაჭაპურები, ქორფა კიტრისა და პომიდორის სალათა, აკაკლული ლობიო, იმერული ყველი და სულუგუნი, ნიგვზით შეკმაზული „ბაჟე“, შემწვარი წიწილები, მწვადი... ოჯახის უფროსი ფეხზე იდგა და ღვინით სავსე ჭიქით ხელში სადღეგრძელოს ამბობდა.

- ჩემო ამირან, თქვენს ჩამობრძანებას ჩვენს სავარდო და სამაისო ქალაქში, მინდა მივესალმო ირაკლი აბაშიძის სტრიქონებით:

„როგორც დათბება,
როგორც დათბება,
და მზე ჩატკბება შემკულ დაისში,
უნდა აღსრულდეს რაც მენატრება -
უნდა გავფრინდე ჩემს ქუთაისში.

ჩემი აპრილის ვნახო კისკისი,
ჩემი რიონის ახლად აშვება,
ატმის ხეების მწველი გიზგიზი,
ტყემლის ხეების გაფაშფაშება;“

თამადამ ქალიშვილი რომ დაინახა გახარებულმა წამოიძახა:

- ა, ჩემი ცაცოც მოსულა, გაგვიმხიარულებს სუფრას.

ცაცომ სტუმრებს შორის მეზობლის კაცები შეიცნო, გაუღიმა, როგორ გიკითხოთო უთხრა, ხოლო თბილისიდან ჩამოსულ სტუმარს თვალი აარიდა და როცა ლანგარი სუფრაზე მოათავსა უნდოდა უკან გაბრუნებულიყო, მაგრამ მამამ შეაჩერა.

- ნუ გარბიხარ, შვილო, გაიცანი ჩვენი თბილისელი სტუმარი.

უცნობი წამოდგა და ცაცოს ხელი გაუწოდა.

- ამირანი.

- ცაცო, – უპასუხა ქალმა.

ცაცოს კრემისფერი კაბა ეცვა, ხან ცისფერი, ხანაც ნაცრისფერი რომ დაჰკრავდა.

ამ დროს ოთახში დიასახლისი გამოჩნდა, თეფშით მჟავე კიტრი და ჭარხლით გაწყობილი კომბოსტოს მწნილი მოჰქონდა.

- ელენე, – უთხრა ცოლს ოჯახის უფროსმა, – მიულოცე ჩვენს ამირანს, მალე იგი, თბილისში, სამოთახიანი ბინის მფლობელი გახდება, მერე სად იცი? ვაკის პარკთან.

- არა, ბატონო დავით, სამოთახიანი ბინა იმ შემთხვევაში შემიძლია მივიღო თუ მოკლე ხანში ცოლს მოვიყვან. ამჟამად კი ოროთახიანი ბინა მეკუთვნის. – თქვა ამირანმა და ფარული მზერა ცაცოსაკენ გააპარა.

- მერე, შე კაცო, ქუთაისის სინამდვილეში გასათხოვარი გოგონები გამოილია? – იკითხა ელენემ და თეფში მაგიდაზე მოათავსა.

- მოდით ამ სასმისით ამირანის ქუთაისში ჩამობრძანებას და სულ მალე თბილისში სამოთახიანი ბინის მიღებას გაუმარ-ჯოს! – დავითმა სტუმრებს ახალი სადღეგრძელო შესთავაზა.

მაგიდის წევრები ერთხმად შეუერთდნენ სადღეგრძელოს.

- გაუმარჯოს, გაუმარჯოს!

12

იმ საღამოს ცაცო თეატრში აღარ წავიდა, ლორას დაურეკა და უთხრა თბილისიდან სტუმარი ჩამოგვივიდა და „ყვარყვარე თუთაბერის“ ნახვა გადავდოთო. სტუმრები რომ წავიდნენ და მშობლებთან განმარტოვდა, იკითხა, ვინ იყო ამირანი და რატომ ღებულობდა იგი თბილისში ორ თუ სამოთახიან ბინას.

მამამ აუხსნა:

- ამირანი საქნახშირის სამინისტროში იურისკონსულად მუშაობს. ეს სამინისტრო, ახლახანს, მთავრობის გადაწყვეტილებით და დადგენილებით ქუთაისში დაფუძნდა. თბილისში, ვაკის პარკთან, სამინისტრო აშენებს ცხრასართულიან საცხოვრებელ სახლს სამინისტროს თანამშრომლებისათვის და ის თანამშრომლები, რომლებიც ქუთაისში სამუშაოდ არ წავლენ, ბინას ვერ მიიღებენ. როგორც ჩანს, ამირანს უნდა შეინარჩუნოს უფლება თბილისში ახალი საცხოვრებელი ბინის მიღებისა და ამის გამო გადაწყვიტა დროებით ქუთაისში გადმოვიდეს საცხოვრებლად.

მამამ საქნახშირის სამინისტრო რომ ახსენა, ცაცოს დილანდელი შემთხვევა გაახსენდა, ლორასთან ერთად სამთო ტექნიკუმთან რომ შეჩერდნენ და იქ მოფუსფუსე ახალგაზრდებმა რომ აუხსნეს, აქ სამთო ტექნიკუმი უკვე აღარ ფუნქციონირებს და საქნახშირის სამინისტრო განთავსდაო. ცაცოს თვალწინ წარმოუდგა შავი „ვოლგა“ დამუქებული მინებით, მძღოლი, რომელმაც მოწიწებით გაუღო მანქანის კარები მინისტრს, და თვითონ მინისტრი თავდაჯერებული დიდებული იერით რომ გადმოვიდა მანქანიდან... თითქოს ისევ ჩაესმა ყურში მისი სიტყვები: „ასეთი ლამაზი გოგონები კარგი შენაძენი იქნებოდა ჩვენი კომბინატისათვის“.

- ამას ქვია ბედი კარზე მოგვადგაო. – მოესმა ცაცოს დედის სიტყვები ქმარს რომ უთხრა.

- ჰო, ჰო, ჩემო ელენე, მეც ეგ მინდოდა მეთქვა, – მიუგო ცოლს დავითმა და

შეზარხოშებული ხმით ჩაიღიღინა:

„ბედი კარზე მოგვადგა,
ვიპოვეთ ერთმანეთი,
გნახე შემიყვარდი,
გნახე შემიყვარდი,
მონა ვარ შენი გულის,
მონა ვარ შენი გულის.
ჩვენი ბედნიერება,
ჩვენი ბედნიერება,
სხვებსაც გაუზიაროთ.“

ცაცო მიხვდა რას გულისხმობდნენ მშობლები და უეცრად ძალიან ცივი მკაცრი ხმით, თითქოს დედასაც და მამასაც ცივი წყალი გადაასხაო, წამოიყვირა:

- არ მომწონს ამირანი!

- რაო?! – ერთდროულად წამოიძახეს გაკვირვებულმა მშობლებმა.

- არ მომწონს ამირანი, არ გავყვები ცოლად!

გაკვირვებულმა ცოლ-ქმარმა ერთმანეთს გადახედა.

- ნუ ნერვიულობ, შვილო, – უთხრა ქალიშვილს ელენემ, – დამშვიდდი,

დამშვიდდი, გენაცვალე... – დედა მშვიდობიანი ვითარების შექმნას შეეცადა, – ნუ ღელავ, ჩემო კარგო! ძალიანაც კარგი, ძვირფასო, არ გაყვები ამირანს ცოლად და ნუ გაყვები, შემოგევლე. როგორც შენ იტყვი ისე იქნება, მორჩა და გათავდა. რამ გაგაბრაზა, საყვარელო, ისეთი არაფერი გვითქვამს, რომ აღშფოთებულიყავი. უბრალოდ ვიფიქრე, რომ შენ თუ ამირანს ცოლად გაყვები, თბილისში საცხოვრებლად გადასვლა გაგვიადვილდებოდა. შენც ხომ ხშირად ლაპარაკობდი ამის შესახებ, რამდენჯერ გითქვამს, როდის იქნება თბილისის ჰაერი ღრმად ჩავისუნთქო... მაგრამ რადგანაც უარზე ხარ, იყოს ისე, როგორც შენ გინდა, ოღონდ ნუ ინერვიულებ, გენაცვალე. მაგრამ

მაინც უნდა გითხრა, რომ დათანხმებულიყავი და ამირანს გაჰ-ყოლოდი ცოლად ყველაფერი გადაგისხვანაირდებოდა. გულახ-დილად გეტყვი, შვილო, თუ გათხოვდები, მალე ბავშვი გეყოლე-ბა, ბავშვი კი ყველაფერს გადაგავიწყებს, იმ ავთოსაც, რომელ-საც გაშორდი. კარგად მახსოვს შენი სკოლის ამხანაგებსაც ძა-ლიან გაუკვირდათ თქვენი დაშორება. მე ძალიან ნაწყენი ვარ ავთოზე, არ გამოდგა ფხიანი, თორემ შენისთანა ლამაზ ქალს კაცი დაკარგავდა? თუმცა, რაც იყო, იყო... და, ცაცო, და... სრუ-ლებით აღარ მახსოვს რისი თქმა მინდოდა, სრულიად გამომიფ-რინდა აზრი თავიდან, ესე იგი რაღაც სისულელე იყო; ხომ ხვდები, შვილო? სიმართლე უნდა ვთქვა, მე კიდეც მიხარია რომ ეს ასე მოხდა, მიხარია რომ შეიძლება ყველაფერი შეიცვალოს და თუ გონს მოეგები, თბილისში გადასვლის შანსი გაგვიჩნდე-ბა. შენ რას იტყვი დავით? – ჰკითხა ბოლოს ელენემ ქმარს.

- არ ვიცი რა უნდა ვთქვა, – მამის ხმაში სიმკაცრე ჟღერდა, – რამ გაგაწიწმატა, გოგო,

ასე. რას მიაცივდი ამ არაფრის მთქმელ სიტყვებს: „არ მომ-წონს“, „ცოლად არ გავყვები“. კარგი, ბატონო, კარგი, კარგი, კარ-გი. რა თქმა უნდა, მჯერა შენი, მჯერა რომ არ მოგწონს. თუმცა, საერთოდ... უნდა იცოდე, რომ სულით და გულით თანაგიგრძნობ. გახსოვს, ავთოს როცა დაშორდი, მაშინაც ასე გითხარი; არც ერთი კაცი არ ღირს გულის ხეთქად. არც დედაშენს მოვწონდი მე, მაგ-რამ ნელ-ნელა გამიშინაურდა და მომენდო, და ალბათ, ცხოვრება-ში არც წაუგია... ამირანი, მართალია ჟან მარე არ არი, მაგრამ რო-გორც კაცს არა უშავს... და ღმერთია მოწამე, მე ყველაფერი უნდა ვიღონო რათა როგორმე თვალი აგიხილო, ოღონდ მშვიდად იყავი, ჩემო კარგო, ჰოდა აი რა, სამოთახიანი ბინა თბილისში, ისიც ვაკე-ში, ხუმრობა არ გეგონოს, ადვილად ხელწამოსაკრავი საქმე არ არის; ამას გარდა ამირანს ოროთახიანი სახლიც აქვს ძველი თბი-

ლისის უბანში, პურის მოედანზე, საიდანაც ორ ნაბიჯზეა სიონის და მეტეხის ტაძარი, ხომ გახსოვს სიმღერა:

„თბილისო! ეშხი თუ არ გაქვს
მზეთუნახავი ქალისა
მაშ, რაღა შენთან აფრინდა
ხოხობი გორგასალისა?!“

და კიდევ:

„ზღაპარია თუ ნამდვილი,
ვინ მოიგონა ვინ იცის -
არის მეორე ლეგენდა,
...რატომ დაგერქვა თბილისი.“

ჰოდა, დაუფიქრდი ამას ყველაფერს, რაც გითხარი და გონს მოეგე გეთაყვა.

მეორე ლეგენდა

სამი ანგელოსი

„მე ისე ლექსს რა გამაბედვინებს,
გულში თუ ტრფობის ქარი არა ქრის.
მიწა სჭამს ყველა ჯალალედინებს,
მიწა კვლავ ბრწყინავს თბილის-ქალაქის.

და დილით, მზე რომ გააღებს ცისკარს,
ერთ სხივს ჩემკენაც გამოაგზავნის,
მე მზის სხივის და თბილისის ხნის ვარ,
მეც გაჩენილი ვარ გორგასალის.

მეც არ ვუჯერებ ზღაპრად მოთხრობილს,
მაგრამ ეს ლექსი არის ნამდვილი:
მე დაჭრილი ვარ, როგორც ხოხობი,
და თბილისში ვარ ჩამოვარდნილი“.

(„თბილისი“ - გრიგოლ აბაშიძე)

თუმცა უწვერული ყმაწვილი იყო, მაგრამ ისე ჰხმარობდა შუბსა და ჰოროლს, რომ მრავალ ბრძოლაში ნაცად ვაჟკაცსაც შეშურდებოდა.

ძლიერი იყო იგი, ვით მუხა და მხრებგაშლილი, ვით კავკასიონი. ბავშვურ სახეზე, სადაც მაღალ შუბლს ნაადრევად დამჩნეოდა ნიშანი ღრმა ფიქრისა და წუხილისა, ნაპერწკლებს ჰკვესავდა არწივის თვალები.

ერთხელ, როცა ყმაწვილი მეფე ერისთავების თანხლებით, მცხეთის აღმოსავლეთით მდებარე ნაძვისა და ფიჭვის ხეებით დაფარულ მთაგორიან ქვაბულში ნადირობდა, მშვენიერი შვლის კვალს გადააწყდა. დამფრთხალი ნადირი ტანაშოლტილ ხეებს შორის ქარივით გაიჭრა წინ. მხედარმა თანშეზრდილ რაშს სადავეები მიუშვა და ლაღად ტყის დაფეთებულ შველს უკან დაე-

დევნა. სულ მალე ზურგს უკან დარჩა მეძებარი ძაღლების გაავებული ყეფა. სერებითა და გორაკებით რკალშემორტყმულ ქვაბულში თავგანწირვით მიმქროლავი ცხოველი და მონადირე ასპარეზობდა.

ვახტანგმა მირიან მეფის ნაქონი მშვილდი სწრაფად მოიმარჯვა, ლარი მოზიდა და... მოხდა საკვირველება, პირველად ააცილა ისარი მიზანს.

გაცეცხლდა ჭაბუკი, სიბრაზე მოეძალა, ომახიანად შეუძახა ცხენს და სისწრაფეს უმატა; კვლავ მოზიდა ლარი და ამჯერად უფრო დაბეჯითებით სტყორცნა ისარი, შველმა წაიფორხილა. მონადირემ ძლიერად მოზიდა სადავეები, ცხენი და მხედარი ადგილზე გაქვავდნენ... მაგრამ ეს რა არის? თვალი ხომ არ ატყუებს ვახტანგს? თითქოს ისევ წამოხტა შველი და მიწის სიღრმიდან ამომავალ ორთქლის სვეტში გაუჩინარდა.

ყმაწვილ კაცს ეძნელებოდა დაჯერება, მაგრამ რა ექნა, როცა ნამდვილად ჰხედავდა, რომ სქელსა და გამჭვირვალე ორთქლს მიღმა მშვენიერი სასახლე წამომართულიყო; სვეტებზე შემდგარი შენობის გუმბათი მტრედისფერ ცაში ქანაობდა და თეთრად მოქათქათე ღრუბლის ქულები გვირგვინად შემოსდგომოდა ყოველი მხრიდან.

შენობის ირგვლივ ყაყაჩოების ზღვა ლივლივებდა. ასეთი რამ სიზმრად თუ ენახა, ან ზღაპრად თუ გაეგონა ჭაბუკ მეფეს. გაოცებული მისჩერებოდა მოჩვენებას თუ სინამდვილეს...

უეცრად სასახლის ოქროთი მოვარაყებული მუხის კარი გაიღო და იქიდან სამი ერთმანეთზე ულამაზესი ასული კი არ გამოვიდა, ვარსკვლავის დარად გამოციმციმდა, ბროლის ყელ-კისერზე ხვეული თმები გადმოჰყროდათ და მომხიბვლელად იღიმებოდნენ; მცირე ხნის შემდეგ ხელები ნაზად გაშალეს, თუმცა ეს ხომ ადამიანის ხელები არ იყო, ეს იყო ფრთები, ფრთები ანგელოსთა... – მალე ისინი ტანის მსუბუქი რხევით გაცურდნენ ახალგაზრდა მეფისაკენ. ერთს შროშანისფერი, მეორეს ძოწის-

ფერი, ხოლო მესამეს იასამნისფერი გამჭვირვალე მოსასხამები მოეგდოთ შიშველ მხრებზე. სამი მხრიდან შემოერკალნენ ვახტანგს და გაისმა ნარნარი ხმები.

პირველი ანგელოსი: – დიდი და მძიმე ბრძოლები მოგელის, ვახტანგ! შენ განამტკიცებ ქართლოსიანთა საზღვრებს ალანთა კარამდი და შემოიერთებ ძველ კოლხურ მიწას, წართმეულს ბერძენთაგან. შეებრძოლები და დაამარცხებ ჰინდოთ, სინდელთ, აბაშთ ღა ჯორჯანელთ და არასოდეს ქედს არ მოიხრი სპარსთა წინაშე; აღაშენებ მრავალ ციხე-გოდოლს, ეკლესიებს, ტაძრებს და დაამკვიდრებ ქრისტეს სჯულს ქართლოსიანთა ზედა.

მეორე ანგელოსი: – რაინდულ ორთაბრძოლებში შენ, ვახტანგ, მახვილით განგმირავ ოვს გოლიათს თარხანს და ბუმბერაზ ბაყათარს, ბერძენთ სპასპეტს პალეკარპოს და სპარსთა მეფის შვილს ბარტამს. საქმენი ესე საგმირონი შარავანდედის გვირგვინს დაგბურავს.

მესამე ანგელოსი: – იცოდე, საუკუნეების მანძილზე იცოცხლებ შენ, ვახტანგ გორგასალო, ვინაითგან სწორედ ამ ადგილს, სადაც ამოჰქუხს წყალი თბილი, სამკურნალო და სანეტარო, აღაშენებ ქალაქს და უწოდებ მას თბილისს, და არ მოკვდები ვიდრე იარსებებს ქალაქი იგი, რომელიც მუდამ იქნება პირველი ქალაქი ქართლოსანთა.

***

ტყის სიღრმეში მეძებარი ძაღლების გაავებული ყეფა გაისმა. ჭაბუკი მეფე გამოერკვა. მოჩვენება გამქრალიყო. მის შორიახლოს კი მიწის სიღრმიდან ამოჩუხჩუხებდა წყარო, რომელსაც ორთქლის ოხშივარი თეთრი ღრუბლის ქულებივით დაჰფენოდა.

წყლის ვერცხლისფერ შხეფებს შორის ბუნდოვნად მოჩანდა გორგასლის ისრით დაკოდილი შველი…

(პაპიაშვილი ი., გაგრა, თბ., 2013, გვ.206.)

13

ამირანს მასპინძლებმა ლამაზად გაწყობილ, ახალგარემონტებულ ოთახში მიუჩინეს ბინა. სამსახურში წასვლის წინ, ამირანს სასადილო ოთახში ელოდებოდა გემრიელი და ჯანსაღი საუზმე: „კოფე“ ან ჩაი, ქართული სულუგუნი, ომლეტი, ბოსტანში ახლად დაკრეფილი ქორფა კიტრის და პომიდვრის სალათა, ზემოდან ოხრახუშმოყრილი იყო. მაგიდაზე მუდამ ელაგა ბორჯომი და ქართული ლიმონათი „მსხალი“ და „ტარხუნა“. ელენე სტუმართან ზოგჯერ მოიბოდიშებდა, ამბობდა, ყველაფრის დადება ვერ მოვასწარი სუფრაზეო, ხაჭაპურის გაჩერება ღუმელში ცოტა ბევრი მომივიდა, მაგრამ მაინც კარგი გამოვიდა, ცხლად თუ არ მიირთვით, ისე გემოს კარგად ვერ გაუგებთო. დედას ცაცოც ეხმარებოდა ზოგჯერ და კვერსაც უკრავდა და ასეთ გარემოში ამირანს „ათას ერთი ღამის“ ზღაპარში ეჩვენებოდა თავი, ფიქრობდა: თბილისში, ვაკის პარკთან ცხრასართულიანი სახლის მშენებლობა ცოტა გვიან რომ დასრულდეს და ქუთაისში ყოფნა გავიხანგრძლივოო.

იმ შემთხვევაში თუ ამირანი მივლინებაში არ იმყოფებოდა ტყვარჩელში ან ტყიბულში, ცაცო და ლორა, გამოსასვლელ დღეებში შაბათ-კვირას ამირანს ქუთაისის უმშვენიერეს უბნებს ათვალიერებინებდნენ. ამირანი გააოცა მწვანე ბაზარმა მრავალფეროვანი იმერული პროდუქტებით, „ოქროს ჩარდახმა“ – იმერეთის მეფეთა რეზიდენციამ, რომელიც მდინარე რიონის მარცხენა სანაპიროზეა განთავსებული, რიონის თეთრი ქვებით მოჩუქურთმებამ, თეთრი ხიდის მშვენებამ, ბაგრატის ტაძრის ეზოში ორნამენტებით მიმოფანტულმა ნანგრევებმა, პეტრე ჭაბუკიანი ურმით რომ ეზიდებოდა, მწვანე ყვავილას პანთეონმა, სადაც ქუთაისში მოღვაწე მწერლები და ცნობილი ადამიანებია დაკრძალული და საიდანაც კოლხეთის დაბლობის ულამაზესი ხედი იშლება, გაპონოვის ქუჩაზე მოქმედმა ებრაელთა სინაგოგებმა, სათაფლიის გამოქვაბულმა, გელათის მონასტერმა, გეგუთის ციხე-დარბაზის ნანგრევებმა... ქალიშვილები, მხიარული

კისკასით უთითებდნენ ამირანს რიონში მიმობნეულ თეთრ ქვებზე როცა ისინი ფუნიკულიორით გაბაშვილის გორაზე მისრიალებდნენ...

შებინდებისას, საღამო ხანს დავითი და ელენე ამირანს ჩაიზე ეპატიჟებოდნენ; სუფრაზე მუდამ ხილი, ტკბილეული და ნაზი, ჰაეროვანი ნამცხვარი ელაგა. მაგიდას ოთხნი მიუსხდებოდნენ ხოლმე, ცოლ-ქმარი ენაწყლიანობდა, ცდილობდნენ შინაურული ატმოსფერო შეექმნათ, ხრაშუნა ორცხობილას, კარამელს და ატმის მურაბას გულთბილად აწოდებდნენ ახალგაზრდებს.

ამირანი და ცაცო ყოველთვის ერთმანეთის პირისპირ ისხდნენ. თავს რომ აწევდა ამირანი მისდაუნებურად ქალის გაღიმებულ სახეს შეეფეთებოდა და ეჩვენებოდა მისი ბაგეების და თვალების უმანკოება, თვალებისა, იმ წუთას ქვეყნიერების უსასრულობაში რომ იცქირებოდნენ რაღაც საოცარი ზმანება იყო. ისეთი წარმტაცი იყო ეს გამოხედვა და ეს ღიმილი თითქოს იდუმალებით აღსავსე წყარო ასხივებდა.

ცაცოს მომავალზე ნათელი წარმოდგენა არ ჰქონდა. ვერ ერკვეოდა ცხოვრების მკაცრ, ხშირად სასტიკ მოთხოვნებში. არა, მთლად გულუბრყვილოაო მასზე ვერ იტყოდით, იმ წამებში სურდა რაღაც სიკეთე ექმნა და როცა ამირანი კითხვის თვალით მიაცქერდებოდა, წამწამებს ნაზად დახრიდა, ალბათ აგრძნობინებდა მას, რომ საკუთარი უბიწობა მისთვის შეეწირა.

ცაცოს არ გამოპარვია ის მომენტი, როცა ამირანი სუფრასთან ჯდებოდა, ქალმა კიდევ ერთხელ შეამჩნია რომ კაცის ტანადობა არ იყო სასიამოვნო, თუმცა გონჯი არისო მასზე ვერ იტყოდით, მის გამოხედვაში იყო რაღაც ისეთი რაც გარეგნობას უკანა პლანზე აყენებდა. ჰო, ჰო, ფიქრობდა ცაცო, დაუჯერებს მშობლებს, გავყვები ცოლად, მაგრამ ქალი იმასაც ხვდებოდა, რომ ეს თანხმობა იმ სამოთახიანი ბინით იყო განპირობებული, რომელიც ამირანს თბილისში, ვაკის პარკთან უნდა მიეღო და

ქალს რატომღაც, წამიერად, ისევ ის შავი ვოლგა ახსენდებოდა საქნახშირის კომბინატთან რომ ჩამოქრიალდა დამუქებული მინებით საიდანაც მინისტრი გადმოვიდა; ახსენდებოდა დაქალთან, ლორასთან საუბარი:

„გინდა იმუშაო ამ სამინისტროში?„

„რატომაც არა, თუ ანაზღაურება კარგი იქნება...“

თითქოს თვალწინ დაუდგა ვოლგიდან გადმოსული მინისტრი, იქ მყოფი ახალგაზრდები ედიშერს რომ ეძახდნენ... მაღალი, ძლიერი აღნაგობის, მხარბეჭიანი, მხრებგაშლილი კაცი, ქორბუდა, მისი სიტყვები: „ასეთი ლამაზი გოგონები კარგი შენაძენი იქნებოდა ჩვენი კომბინატისათვის“...

ვინ იცის ბედი რას მოიტანს, ბედი ხომ თვითონ ცხოვრებაა... ზოგჯერ კეთილი და იმედისმომცემი, ზოგჯერ კი ცრუც და ორპირიც.

14

ცაცოს დედ-მამის გავლენით საქმე მალე გაიჩარხა. დავითი ფხიანი, მოხერხებული კაცი გამოდგა, დაარწმუნა ამირანი იმაში, რომ უმჯობესია ნიშნობა და ქორწილი ერთდროულად გავმართოთო.

დავითის უზარმაზარ „ზალაში“ ორას კაცზე მეტი დაეტია. ქორწილი ცაცოს დაჟინებული თხოვნით ნახევრად ევროპულ ყაიდაზე გაიმართა, ქართულ დოლ-გარმონს პატეფონი ცვლიდა. ფირფიტებზე ჩაწერილი მუსიკა ევროპული რეპერტუარიდან იყო შერჩეული. სტუმრებს შორის, რა თქმა უნდა, საქნახშირის თანამშრომლებს ღირსეული ადგილები ეჭირათ, მათ შორის მინისტრი, მისი მოადგილეები და განყოფილების უფროსებიც ისხდნენ. როცა პატეფონზე არგენტინული ტანგო აჟღერდა და სუფრიდან საესტრადო ცეკვის მოყვარულები წამოიშალნენ, ედიშერ დარახველიძემ პატარძალი საცეკვაოდ გაიწვია. ამირანი წამოდგა, ცოლს გზა პატივისცემით დაუთმო, თან უთხრა: ჩვენი მინისტრი გეპატიჟება საცეკვაოდ, და თან სტუმრის მისამართით დასძინა:

- ბატონო ედიშერ, ჩვენთვის დიდი პატივია თქვენი გულისხმიერება.

პატარძალი და მინისტრი მუსიკის ჰანგებს ნელი ტაქტით აჰყვნენ.

საქორწილო კაბისა და ვარცხნილობის სტილი ცაცოს კარგად ჰქონდა ერთმანეთთან შეხამებული. თეთრ მაქმანებიან კაბაზე ჩამოშლილი ოქროსფერი თმები რომანტიკულად ამაღელვებელ შთაბეჭდილებას ტოვებდა დეკოლტით დამშვენებულ ქალის უბესთან ერთად, რომელიც ყოველ ჩასუნთქვაზე და ამოსუნთქვაზე მიმზიდველად ირხეოდა. შუბლზე გადმოყრილ თმებს ზემოთ ვერცხლისფერი დიადემა ციმციმებდა და პატარძლის არაჩვეულებრივ ღიმილს ფარული გამომეტყველებით ამკობდა. მართალია ნიშნობისა და ქორწილის დღეებში, ცაცომ, ასე თუ

ისე სანერვიულო ემოციები გადაიტანა, მაგრამ ეს ემოციები სასიამოვნოც იყო. მაგალითად: საქორწილო კაბის და თმის ვარცხნილობის შერჩევა, დღის განმავლობაში რამდენჯერმე, წამდაუწუმ სარკის წინ ტრიალი, ზოგჯერ ნერვების მოშლის მიზეზიც რომ ხდებოდა, ვიდრე არ დარწმუნდებოდა, რომ ყველაფერი სადა და ელეგანტურად ლამაზი იყო, მაგრამ ახლა, ცეკვის დროს დაღლილობა გაქრა, კაცის ძლიერ მკლავებში თავს მშვიდად გრძნობდა და მუსიკის ხმას მსუბუქად მიჰყვებოდა.

გაურკვევლობა...

ფიქრი...

ლოდინი...

- ჩვენ მგონი სადღაც შევხვედრივართ ერთმანეთს. – თქვა კაცმა.

- დიახ, თქვენ თბილისიდან რომ ჩამობრძანდით, მე და ჩემი დაქალი – ლორა, სამთო ტექნიკუმთან ვიდექით.

- იქ სამთო ტექნიკუმი აღარ არის, იქ ახლა საქნახშირის კომბინატია.

- ვიცი, თქვენ მინისტრი ბრძანდებით.

- თქვენობით ნუ მელაპარაკებით. გავშინაურდეთ. თქვენი მეუღლე ჩვენი სამინისტროს თანამშრომელია.

- მესმის.

- გიყვართ ამირანი?

ქალი მცირე ხნით დაფიქრდა.

- იცით, სიყვარულით არ გავყოლილვარ. მშობლებმა ათასგვარი არგუმენტი მოიყვანეს, მიმტკიცებდნენ რომ ჩემი მერყეობა არ იყო გამართებული... ბოლოს და ბოლოს დავთანხმდი.

- გინდა იმუშაო ჩვენს სამინისტროში?

- საპროექტო ორგანიზაციაში, სადაც ამჟამად ვმუშაობ, მცირე ხელფასი მაქვს. თვეში სულ ასი მანეთი. თუ თქვენთან უკეთესი ანაზღაურობა იქნება, რატომაც არა?...

კაცმა მკლავით ქალისწელზე რომ ჰქონდა მოხვეული, ძალუმად მიიზიდა, ისე რომ ქალის მკერდი მის მკერდს მიეწეპა. ქალს წინააღმდეგობის გაწევა არ უცდია.

- მოდი ამირანთან ერთად ჩვენთან სამინისტროში. ჩათვალე რომ შენი სამსახურის საქმე მოგვარებულია.

***

თაფლობის თვის შემდეგ ამირანმა თვითონ შესთავაზა ცოლს მათ სამინისტროში მუშაობის დაწყება, რაზეც ცაცოს უარი არ უთქვამს და ერთ მშვენიერ დღეს იგი ქმრის თანხლებით საქნახშირის მინისტრის კაბინეტის მოსაცდელში შევიდა. მდივანი მიმზიდველი ღიმილით მიესალმა ახალმოსულებს, დაბრძანდითო უთხრა ცოლ-ქმარს და სავარძლებზე მიუთითა, თვითონ კი მინისტრის კაბინეტის კარი შეაღო.

- ბატონო ედიშერ, ამირან უბედოიძეა მეუღლითურთ.

- შემოვიდნენ.

- მინისტრი გელოდებათ, – უთხრა მდივანმა ცოლ-ქმარს.

ამირანმა კაბინეტის კარი შეაღო, ჯერ მეუღლე გაატარა, თვითონ უკან მიჰყვა.

ვრცელ, ნათელ კაბინეტში მინისტრის გრძელი მაგიდა სკამებითურთ T-ებრი კომპლექტით იყო განლაგებული; კედელთან იდგა ნატურალური ტყავის კუთხური დივანი ორი სავარძლით. მოპირდაპირე მხარეს დამაგრებული იყო ღია და დახურული თაროები წიგნებისა და საქაღალდეებისთვის. იქ სადაც მინისტრი იჯდა უკანა პლანზე ჩანდა კარი, რომელიც მინისტრის დასასვენებელ ოთახში გადიოდა. მინისტრი გორგოლაჭებიანი სავარძლიდან დინჯად წამოდგა, უხდებოდა კოხტა, ელეგანტური ჩაცმულობა, მოხდენილი მიხრა-მოხრა, სახეზე ჩვეული, მინისტრისეული გულთბილი გამოხედვა, პროფესიონალური ღიმილი. არა, ეს თანამდებობის პირის პირმოთნე ღიმილი არ იყო, ეს წლების განმავლობაში გამომუშავებული, თანდაყოლილად შე-

ნივთებული, საქმეზე მოსული ადამიანებისადმი კეთილგანწყობის საშუალებად ქცეული ღიმილი იყო.

ხელგაშლილმა მასპინძელმა ნატიფი ქცევით მიიპატიჟა სტუმრები მაგიდასთან, ამირანს შინაურულად გამოელაპარაკა, ჰკითხა იურისპრუდენციაში ხომ ყველაფერი რიგზე არისო, როცა ხელქვეითისაგან დადებითი პასუხი მიიღო ცაცო პატივისცემით მოიკითხა, თაფლობის თვე ახსენა, თან დასძინა, ეს ვოლტერისეული გამოთქმა ჯადოსნური თვისებების მატარებელია და ალბათ, მომავალ ცხოვრებაში თაფლივით ტკბილად წაგიძღვებათო. ბოლოს კი იკითხა:

- ჩემო ამირან, რით შემიძლია გემსახუროთ. ვინაიდან მეუღლით მობრძანდით ვფიქრობ რომ სერიოზული საქმე გაქვთ.

- დიახ, ნამდვილად, ცაცოს, ჩემს მეუღლეს, ჩვენთან, სამინისტროში სურს მუშაობის დაწყება. როგორც ვიცი ვაკანტური ადგილები არის და იმედი გვაქვს რომ დაგვეხმარებით. აი, ამ საკითხზე გაწუხებთ.

- რაზეა ლაპარაკი, ამირან, შენც ხომ კარგად იცი თბილისიდან ახალი გადმოსული ვართ და ვაკანტური ადგილები ჯერ კიდევ არის, – ცაცოსკენ შებრუნდა და ჰკითხა: რა გაქვთ დამთავრებული?

- სამთო ტექნიკუმი სამშენებლო განხრით.

- ძალიან კარგი, – თქვა მინისტრმა და წამოდგა, – ამირან, მინდა პირადად გავესაუბრო შენს მეუღლეს, შენ ხომ არ იეჭვიანებ?

- როგორ გეკადრებათ, ბატონო ედიშერ.

მინისტრი ამირანის მეუღლეს მიუახლოვდა.

- წამობრძანდით, ქალბატონო ცაცო, – თქვა და ქალისაკენ პატივისცემით დაიხარა, თან ხელი იღლიაში შეუცურა წამოდგომაში მიშველების მიზნით და მოსასვენებელი ოთახისაკენ გაუძღვა. კარი გააღო, ქალი წინ გაატარა, თვითონ უკან მიჰყვა და კარი დახურა.

15

გავიდა ერთი წელი. ამირანმა და ცაცომ თბილისში, ვაკის პარკთან, სამოთახიანი ბინა მიიღეს. ამასთან დაკავშირებით ცოლ-ქმარმა გადაწყვიტა ახალმოსახლეობა (ბუმბარაქი) ედღესასწაულათ.

ახალი ბინა, ახალი ცხოვრების დასაწყისი! როდესაც რემონტი დასრულებულია და ყოველი წვრილმანი დიდი რუდუნებით არი შერჩეული, შესაძლებელია წვეულების გამართვა, ახლობლების და მეგობრების დაპატიჟება, მნიშვნელობა არა აქვს სტუმართა რაოდენობას, მთავარია ეს დღე განსაკუთრებულად დასამახსოვრებელი გამოვიდეს.

ქუთაისიდან ცაცოს დედ-მამა ჩამოვიდა. ამირანმა მინისტრი, მისი მოადგილეები და რამდენიმე თანამშრომელი მიიპატიჟა. თამადად, რა თქმა უნდა, ამირანმა ედიშერი დანიშნა, რომლის სიტყვაკაზმულობა მუდამ ჯადოსნურად მოქმედებდა მსმენელზე. როცა სტუმრები, ასე თუ ისე, შეზარხოშდნენ და გამხიარულდნენ, ედიშერი მაგიდიდან წამოდგა, გვერდით მჯდომ ამირანს მხარზე ხელი დაადო და უთხრა:

- ამირან, მინდა ქალბატონ ცაცოს ახალი სამზარეულო მივულოცო, როგორც თქვა

აჭარულ ხაჭაპურებს აცხობს, ჰოდა, მეც წავეხმარები, შენ კი სუფრას გაუძეხი და არ შეგვაწუხო მცირე ხნით. ეს სიტყვები მიიღე როგორც ბრძანება.

- კარგი, ბატონო ედიშერ! – მიუგო მინისტრს ხელქვეითმა.

სამზარეულოში შესულ კომბინატ საქნახშირის ხელმძღვანელს ცაცო გაზის ქურასთან მოფუსფუსე დახვდა. ფართო და ნათელ სამზარეულოში მაცივარი, გაზის ქურა, სარეცხის მანქანა, მაგიდა სკამებითურთ კოხტად და ლამაზად იყო განლაგებული. მინისტრის დანახვაზე ცაცოს გაეღიმა.

- კარგია, რომ შემოხვედი. აი, შეხედე, რა შესანიშნავი დიზაინია, რა ორიგინალურად განვათავსე ყველაფერი. ხაჭაპურები თითქმის მზად არის, მალე შემოვიტან სუფრაზე.

- გადაკეტე გაზი, – თქვა კაცმა.

ქალი შეცბა. გაკვირვებული ეკითხება კაცს:

- ახლა, აქ?

- აბა როდის, აბა სად, – მიუგო კაცმა, – ახალი სამზარეულო ხომ უნდა მოგილოცო,

- რომ შემოვიდეს? – იკითხა ქალმა.

- ვუბრძანე, რომ არ შეგვაწუხოს. ფეხებზე მკიდია თუ შემოვა.

ქალმა გაზის ქურა ჩააქრო. ედიშერმა ყოველი შემთხვევისთვის სამზარეულოს კარი გასაღებით გადაკეტა.

- მან იცის რომ გასაღები კარადაშია – ხმის კანკალით თქვა ქალმა.

- სანამ მაგდენს მოიფიქრებს, ჩვენ ჩვენს საქმეს მოვრჩებით. რა ჰქენი, არ გაიხადე?

- ტრუსიკი არ მაცვია.

ქალმა კაბა წელს ზემოთ აიწია.

- კაბა გაიხადე და ლიფიც მოიხსენი.

ქალმა კაბა და ლიფი სკამზე გადაფინა.

კაცის წინ შიშველი აფროდიტე მილოსელი იდგა.

.....

უცებ გასაღების ჩხაკუნი გაისმა და ფრთხილად შემოღებულ კარებში ამირანის ფართო სახე გამოჩნდა.

ქალი შეკრთა, შეეცადა წამოწეულიყო, მაგრამ კაცმა თმებში წაავლო ხელი, ქალი მაგიდას მიალურსმა, – არ გაინძრე! – მერე ამირანისკენ შეაბრუნა სახე და მკაცრად უთხრა:

- ხომ გიბრძანე ხელი არ შემიშალო მეთქი. გაბრუნდი ახლავე უკან! სუფრას მიხედე. მეც მალე დავბრუნდები.

ამირანის სახე ლურჯ-წითლად შეიფერა, როგორც დამბლის დაცემის წინ ემართება ადამიანს. გულ-მუცელში ცეცხლი დაუტრიალდა და მთელ სხეულს ნაკადულებად მოედო. ერთი წა-

მით თვალები თითქოს შუშის გაუხდა, მერე ისევ დაუვიწროვდა, სასოწარკვეთილი გამოხედვა ჰქონდა და როცა მინისტრის მბრძანებლური ხმა: „ხომ გიბრძანე ხელი არ შემიშალო – მეთქი...“ ყურში ყრუდ ჩაესმა, მუხლები აუკანკალდა და კარები რობოტივით მიხურა...

***

სტუმრები რომ წავიდნენ და ცოლ-ქმარი ოთახში მარტონი დარჩნენ, ქმარს ცოლისთვის არაფერი უთქვამს, კრინტიც კი არ დაუძრავს, ტანსაცმელი გაიხადა და ლოგინში ჩაწვა. არც ცაცოს უცდია გამოლაპარაკება, ანდა, რა უნდა ეთქვა, ყველაფერი ცხადი იყო, რა თქმა უნდა, გაცილდებიან ერთმანეთს და მორჩა... საწოლი ორადგილიანი იყო, როგორც კი დაწვა, დაღლილს და განცდილით აფორიაქებულს მალე ჩაეძინა.

ცაცო დილაუთენია ადგა, ღამის პიჟამო გაიხადა და საშინაო კაბა გადაიცვა. იმის გახსენება რაც წუხელ მოხდა აღარ უნდოდა. „ეს ალბათ უფრო ადრე უნდა მომხდარიყო...“ გაიფიქრა: „ამირანთან დამნაშავე ვარ, ალბათ მომიწევს მობოდიშება... ისე, თვითონაც დამნაშავეა, თვითონ დამაძალა ჩვენს სამინისტროში უნდა იმუშავოო... რა ჩემი ბრალია მაგის მინისტრს რომ მოვეწონე და თავის საყვარლად მაქცია?.. ედიშერს ბუმბარაქამდე სურდა ჩვენი ურთიერთობა გამომჟღავნებულიყო, მამშვიდებდა, ბინის დარდი ნუ გექნება, ყველაფერს მოვაგვარებო, მეუბნებოდა.“

ცაცომ ფანჯრებზე ფარდები გადაწია. დილის სინათლე თანდათან მატულობდა. თბილისი იღვიძებდა.

ცაცო ფანჯარას მოშორდა და ქმრისაკენ მალულად გააპარა მზერა. მწოლიარე კაცის პოზამ გააკვირვა, გულმა რეჩხი უყო, საწოლს მიუახლოვდა, ამირანი გულაღმა იწვა, ხელები გაშლილი ჰქონდა, თვალები ღია დარჩენოდა.

ქალმა ცივი ხმით იკივლა.

ეპილოგი

ცაცოსა და ედიშერ დარახველიძის ურთიერთობა კიდევ დიდხანს, საბჭოთა კავშირის დაშლამდე გაგრძელდა. ამ მოვლენამ მათი გზები გაყარა. ამირანის ბინა პურის მოედანზე ცაცომ მშობლებს დაუთმო, თვითონ მეორედ გათხოვდა და შვილები გააჩინა.

მართალია ამირან უბედოიძე მოკვდა, მაგრამ კავკასიონზე, შოვის კლდეზე[1] მიჯაჭვულმა მითიურმა ამირანმა ჯაჭვები დაწყვიტა და განთავისუფლდა.

ამირანს ბრძოლის დიდი გამოცდილება აქვს, მაგრამ იმ ხერხს ყამარქალმა რომ ასწავლა, ჯერ კიდევ ვერ მიაგნო, მართალია განთავისუფლდა, მაგრამ დევები ისევ ცდილობენ მის შეპყრობას, უნდათ რომ ისევ კავკასიონზე, შოვის კლდის გამოქვაბულში მიაჯაჭვონ და მისი ღვიძლი ისევ მუდმივად ძიძგნოს ულმობელმა არწივმა.

---

[1] შენიშვნა: ამირანისა და პრომეთეს იდენტურობაზე მრავალი ცნობილი მწერლისა და მკვლევარის გამონათქვამი არსებობს; მათ შორის არიან: არიანე, სტრაბონი, აპოლონ როდოსელი, დანიელა პიბაგალი, ჟიულ ვერნი, რომლებიც ამირანის და პრომეთეს მიჯაჭვის ადგილად ასახელებენ ხვამლის მთას, ქუთაისს რომ გადაჰყურებს, თუმცა თეიმურაზ ბატონიშვილი ამ მითიური გმირების მიჯაჭვის ადგილად, ჰერეთში მდებარე საყორნის მთას მიიჩნევდა.
წინამდებარე წიგნის ავტორი, როგორც მშენებელი ინჟინერი მუშაობდა რაჭაში, ონის რაიონში, რამდენჯერმე არის ნამყოფი შოვში და ნახული აქვს ის მთა-კლდე სადაც ამირანის სახეა გამოსახული... აქედან გამომდინარე ავტორს მიაჩნია რომ ამირანი მიჯაჭვული იყო შოვის მთის გამოქვაბულში. სხვათა შორის ავტორი ნამყოფია აგრეთვე სოფელ ღებში და ნახული აქვს ფასის მთა საიდანაც გადმოჰქუხს მდინარე რიონი.

„რას მიცინი დევის ქალო,
რას მიელვებ თეთრსა კბილსა,
გამივლი და გამომივლი,
გამისინჯავ ბაგე-კბილსა!“

ამირანის ეპოსი გრძელდება, ოღონდ ეს არ არის მითოლოგია, ეს უკვე ქრისტიანული ჭეშმარიტებაა: „ქრისტე აღსდგა“ – ქართველებო.

ავტორის მინაწერი

„მოვა დრო და თავს აიშვებს,
იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა-გმირი!..
სიხარულად შეეცვლება
ამდენი ხნის გასაჭირი!..“

(„ამირანი“, აკაკი)

ქართველი ხალხი არასოდეს დაივიწყებს საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირებს ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას. მათი სახელები მარადიული შარავანდედით იქნება შემოსილი საქართველოს ისტორიაში.

...1988 წელს ქუთაისის ცენტრალურ მოედანს დავით აღმაშენებლის სახელი ეწოდა, ხოლო 1995 წლის სექტემბერში დაიდგა მისივე ძეგლი. ძეგლის ავტორია გამოჩენილი ქართველი მოქანდაკე, საქართველოს სახალხო მხატვარი ელგუჯა ამაშუკელი, ვახტანგ გორგასლის ძეგლის შემქმნელი. დავითის ძეგლი დაიდგა პირდაპირ ლადო მესხიშვილის თეატრის წინ. ძეგლის ოფიციალურად გახსნამდე ცხენზე ამხედრებული მეფის ფიგურა თეთრი ზეწრით იყო შებურვილი.

უნდა აღინიშნოს, ქალაქის ინტელიგენციის ერთ ნაწილს ჰქონდა სხვა მოსაზრება, კერძოდ, არქიტექტორი ამურ ფხაკაძე, მოქანდაკე რეზო რამიშვილი, ჟურნალისტი რუთა ბეროძე, პოეტი ნანული ცხვედიანი და სხვანი ითხოვდნენ მრავალსართულიანი „კოლოსის“ აღმართვას დავითის გამოსახულებით ქუთაისის სიახლოვეს გოდოგანის მთაზე (სადაც დღეს მთავა-

რანგელოზის სალოცავია აღმართული), რომელიც ქალაქის ყველა კუთხიდან გამოჩნდებოდა, მაგრამ ეს იდეა საქართველოს ხელმძღვანელობამ არ მიიღო მხედველობაში და უპირატესობა მიანიჭა ელგუჯა ამაშუკელის იდეას. სხვათა შორის ქუთაისის ახალი პიონერთა სახლის პროექტი დღევანდელი ქუთაისის პარლამენტის მახლობლად განხორციელდა ამურ ფხაკაძისა და ჩემს მიერ დიდების მემორიალის სიახლოვეს. არქიტექტორი იყო ამურ ფხაკაძე, ხოლო კონსტრუქტორი ვიყავი მე. საპროექტოს დირექტორი იყო სოსო იმნაძე. სამწუხაროდ, მშენებლობის დასრულების შემდეგ, ვინაიდან ქუთაისი უხვნალექიანი ქალაქია, ბრტყელმა გადახურვამ არ გაამართლა. ეს გადაწყვეტილება არქიტექტორის პრეროგატივა იყო.

ელგუჯა ამაშუკელის ძეგლი აღიმართა ბაღისკიდის, მესხიშვილის თეატრის და ეთნოგრაფიული მუზეუმის რკალში. ის ისტორიული დღე ჩემს მეხსიერებაში ასე აღინიშნა: ხალხის ასეთი საოცარი მოზღვავება ქუთაისის ცენტრალურ მოედანზე არ მახსოვს, თვით სტალინის ქუთაისში ჩამოსვლის დღეს არ ყოფილა ეს მოედანი ასე გადაჭედილი ხალხით (მაშინ ცხრა წლის ვიყავი – ი. პ.). ხალხი მოედინებოდა ყოველი მხრიდან: თამარ მეფის ქუჩიდან, რუსთაველის ქუჩიდან, ფალიაშვილის ქუჩიდან, გაპონოვის ქუჩიდან, წერეთლის ქუჩიდან... ადამიანები ერთმანეთთან ისე მჭიდროდ იყვნენ მიკრულნი, როგორც იტყვიან მათ შორის ნემსს ვერ ჩააგდებდი. ძეგლის ტრიუმფალურ გახსნას ესწრებოდნენ: ბატონი ედუარდ შევარდნაძე, უწმინდესი და უნეტარესი, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია მეორე, აგრეთვე თბილისისა და ქუთაისის მოწინავე ინტელიგენცია: გურამ ფანჯიკიძე, თეიმურაზ შაშიაშვილი, რეზო ჭეიშვილი, რევაზ მიშველაძე, მაყვალა გონაშვილი, ბაღათერ არაბული, სოსო სიგუა, მანანა გორგიშვილი, ზაალ ბოტკოველი, ლევან სანიკიძე, თამაზ წივწივაძე, ლუკა დვალიშვილი, ავთანდილ ყურაშვილი, თეიმურაზ ლანჩავა, თორნიკე ერისთავი, ავთანდილ

ნიკოლეიშვილი, ვახტანგ ახობაძე, ელგუჯა თავბერიძე, თენგიზ წოწონავა და სხვანი. მე შევარდნაძის და ილია მეორის შორიახლოს ვიდექი. ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება მათი სიხარულით გაბრწყინებული, გაბადრული სახეები. ილია მეორეს მომცრო სანთლები ეჭირა ხელში და ანთებულ სანთლებს ურიგებდა ხალხს... უეცრად შევამჩნიე ილია გაგულაშვილმა პატრიარქს რაღაც უჩურჩულა ყურში და ჩემკენ მიანიშნა, მაგრამ მე ბატონი ედუარდ შევარდნაძის ახლოს ვიდექი.

რუსეთ-საქართველოს ომში სააკაშვილის ინიციატივა, გაეთავისუფლებინა ცხინვალის რეგიონი და აფხაზეთი მარცხით დასრულდა, აშშ-მა საქართველოს პამპერსები გამოუგზავნა. რუსებს თბილისის აღება ჰქონდათ გადაწყვეტილი, მაგრამ საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ იაქტიურა და ლავროვს ხელი სამშვიდობო ხელშეკრულებაზე მოაწერინა. ფრანგებს კარგი მეხსიერება აქვთ, კარგად ახსოვთ, როგორ შეუნარჩუნა სტალინმა საფრანგეთს ტერიტორიალური მთლიანობა მეორე მსოფლიო ომის დასასრულს.

არც გერმანელები არიან გონებასუსტნი, იციან რომ სტალინმა გერმანელი ერი განადგურებისაგან, სრული მოსპობისაგან იხსნა. ამის დადასტურებაა ტრეპტოვი-პარკი; ეს პარკი მდებარეობს აღმოსავლეთ ბერლინში მდინარე შპრეს ნაპირზე ალტ-ტრეპტოვის რაიონში. ეს მემორიალი მიეძღვნა ბერლინის აღების დროს დაღუპული წითელი არმიის მებრძოლების სამარადისო ხსოვნას და ძირითადად ცნობილია იოსებ ბესარიონის ძე სტალინის ციტირებებით.

ტრეპტოვი-პარკის სიგრძე 250 მეტრია და სიგანე 100 მეტრი, მას დიდი ისტორია აქვს... მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე 1946 – 1949 წლებში პარკის ტერიტორიაზე მოეწყო მსოფლიოში ყველაზე მსხვილი საბჭოთა-სამხედრო მემორიალი. პარკში დადგმულია ქანდაკებები, ფუნქციონირებს უმშვენიერესი შადრევანი. პარკის მთელ სიგრძეზე, ორივე მხარეს,

ყოველ ათ მეტრში, დამონტაჟებულია სტალინის გამონათქვამები. მე ცოლთან და შვილთან – მარკთან ერთად ორჯერ ვიყავი ამ პარკში. ამ გამონათქვამებიდან ვგებულობთ, რომ სტალინმა გერმანელი ერი იხსნა სრული მოსპობისაგან.

ვსარგებლობ შემთხვევით და გაფრთხილების მიზნით მივმართო „ძლიერთა ამა ქვეყნისას“: რიხარდ ვაგნერის, ფრიდრიხ ნიცშეს და ადოლფ ჰიტლერის თეორია „ზე ადამიანის“, „ზე კაცის“ შესახებ, რომელმაც ისევ წამოყო შიზოფრენიული თავი დამღუპველია კაცობრიობისათვის. ამ შიზოფრენიის მომხრეები ისე მომრავლდნენ, რომ ღმერთმა დაგვიფაროს და ნოეს კიდობანიც ვეღარ გვიშველის.

რა თქმა უნდა, გერმანელები ასევე ვერ დაივიწყებენ ედუარდ შევარდნაძის დამსახურებას გერმანელი ხალხის წინაშე, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა დასავლეთი და აღმოსავლეთი გერმანიის გაერთიანებაში.

2012 წელს საქართველოს მთავრობის მეთაური გახდა ბიძინა ივანიშვილი.

მე-9 კლასის ისტორიის წიგნში, ბიძინა ივანიშვილი ცნობილ ქველმოქმედად და მეცენატადაა მოხსენიებული.

„მთავრობის მეთაური, პრემიერ-მინისტრი „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი, ცნობილი ქველმოქმედი და მეცენატი, ბიძინა ივანიშვილი გახდა. ხელისუფლების ცვლილების მიუხედავად, საქართველოს ევროპული კურსი არ შეცვლილა და პირიქით, ინტეგრაცია კიდევ უფრო გაღრმავდა“.

რაც შეეხება საქნახშირის კომბინატს იგი ამჟამად სამთომომპოვებელი საწარმოა, რომელიც ქვანახშირის მოპოვებას მხოლოდ ტყიბულის საბადოებიდან აწარმოებს.

ტყვარჩელში და აკარმარაში შახტები და კომბინატები დაიხურა. ადრე ამ ქალაქებში ორმოცდაათი ათასი ადამიანი ცხოვრობდა. მეშახტეები ტყვარჩელს და აკარმარას საოცნებო ქალა-

ქებს უწოდებდნენ. დღეს ეს ქალაქები ქალაქ-მოჩვენებად გადაიქცა, ნასახლარები ნანგრევებადაა ქცეული; მათ ირგვლივ ბალახი და ხავსი ბიბინებს, ქუჩებში ოცდაათიოდე ადამიანი დაბორიალებს შინაურ ცხოველებთან ერთად.

მასალის მომზადებაში მონაწილეობა
მიიღო მარკ პაპიაშვილმა

ბათ-იამი
2022

გოლოსიტყვა

ბატონებო, დიდი მადლობა "ამირანის" პრეზენტაციისათვის ბატონ რევაზ მიშველაძეს, ქალბატონ მაყვალა გონაშვილს და საქართველოს მწერალთა კავშირის მთელ შემადგენლობას.

მაშ ასე, მოკლედ მინდა გადმოგცეთ რომანის „ამირანის“ ძირითადი იდეა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ „ამირანი“ ყოველთვის არ იყო მიჯაჭვული კავკასიონზე - ხვამლზე თუ შოვის კლდის გამოქვაბულში აღნიშნული მაქვს მეორე გამოცემაში.

ჩვენ არ ვიცით რა ხდებოდა პრეისტორიულ ხანაში ამიერკავკასიაში, მაგრამ ვიცით, რომ ძვ. წელთაღრიცხვით მე-6 საუკუნეში (ნაბუქოდონოსორი) ქართველები ბრუნდებიან ისრაელიდან საკუთარ სამშობლოში, რომელიც დაპყრობილი ჰქონდათ სპარსელებს და თურქებს და იწყებენ ბრძოლას მათ წინააღმდეგ. აქედან გამომდინარე ამირანი არ არის კავკასიონის კლდეზე მიჯაჭვული დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის და გიორგი ბრწყინვალის ეპოქაში... რაც შეეხება გეორგიევსკის ტრაქტატს, ჩვენ ვიცით, რომ ცარიზმმა ამირანი ისევ მიაჯაჭვა კავკასიონის კლდის გამოქვაბულში, მაგრამ სტალინურმა გენიამ ლახვარი ჩასცა ცარისტულ რეჟიმს და ამირანი ისევ განთავისუფლდა, დაარსდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, თუმცა დიდი ბელადის გარდაცვა-

ლების მერე რუსულმა იმპერიამ ამირანი ისევ მიაჯაჭვა კავკასიონზე, მაგრამ ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას და ედუარდ შევარდნაძის მებრძოლმა სულისკვეთებამ კავკასიონზე მიჯაჭვილი ამირანის ჯაჭვები დაწყვიტა და დღეს იგი ისევ თავისუფალია.

„ბოლოსიტყვა“ უნდა დავასრულო იოსებ სტალინის და მიხეილ ჭიაურელის ფილმში გიორგი სააკაძის თქმული ფრაზით: „მართალი ვარ თუ მტყუანი დაგვანახებს მომავალი“.

იაკობ პაპიაშვილი



იაკობ პაპიაშვილი ქართველ მწერალთა დელეგაციასთან ერთად. მარცხნივ: ჯანსუღ ჩარკვიანი, მარჯვნივ: მაყვალა გონაშვილი. იერუსალიმი, სასტუმრო „ამელახიმ“, 2011 წ.

პუბლიცისტიკა

მისი სული...

„შენს ბედს ნათლის შუქი მოსავს“

ეს იყო 1980 წელს, სექტემბერში. ქუთაისში აღინიშნა ცნობილი ქართველი პოეტის ზურაბ კუხიანიძის 50 წლის იუბილე. ამასთან დაკავშირებით თბილისიდან ჩამოვიდა ქართველი მწერლების ერთი ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდა მწერალი რევაზ მიშველაძე. საზეიმო შეხვედრა გაიმართა ქუთაისის მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში. საიუბილეო საღამოზე სიტყვით გამოვიდა კრიტიკოსი რევაზ მიშველაძე. მან საკმაოდ მრავალფეროვნად მიმოიხილა ზურაბ კუხიანიძის პოეტური შემოქმედება და გამოსვლა დაასრულა დაახლოებით შემდეგი კონტექსტით:

ჩემო ზურაბ, მე ასე თუ ისე წარმოვაჩინე შენი პოეტური ნაღვაწი. როგორც ავღნიშნე, ბევრი შესანიშნავი ლექსის ავტორი ხარ, მრავალი დასამახსოვრებელი სახის შემქმნელი, რომლებშიც ქართველი ხალხისადმი დიდი სითბო და სიყვარულია ჩაქსოვილი. არ შემიძლია არ ავღნიშნო ის ჭეშმარიტი კოლორიტი ლექსებისა, სადაც გამოხატულია ჩვენი უსაყვარლესი ქალაქის ქუთაისის, იმერეთის და საქართველოს სხვა კუთხეების ულამაზესი ბუნება და მათი მოსახლეობის ხასიათების წარმოჩენა. ეს იმით არის გამოწვეული რომ შენ არამარტო პოეტური ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი ხარ, არამედ იმიტომ, რომ თვითონ ხარ უაღრესად გულთბილი, ხელგაშლილი კაცი, რომლის ლექსები სიმღერებად აიტაცა ჩვენმა ხალხმა. და მე, შენმა მკითხველმა არ შემიძლია არ აღვნიშნო, ამ ლექსებს შორის არ გამოვაცალკევო ერთი, ძალიან პაწაწინა ლექსი, სულ ორიოდ კუპლეტი თუ იქნება, რომელშიც გასაოცარი, განსაცვიფრებელი მუხტია ჩადებული საქართველოს და ქართველი ხალხის სამარადჟამო ერთგულებისა და სიყვარულისა.

ლექსში შენ კერძოდ ამბობ, რომ „ზოგის სული“ ამაშიაო, „ზოგის სული“ იმაშიაო და ბოლოს ლექსს ამთავრებ ფრაზით,

რომელსაც ყველა დროის ცნობილი ქართველი პოეტი მოაწერს ხელს: „ჩემი სული საქართველოს აჩქარებულ სუნთქვაშია“.

...

„გასრულდა მათი ამბავი ვითა სიზმარი ღამისა.
გარდახდეს, გავლეს სოფელი, – ნახეთ სიმუხთლე ჟამისა! –
ვის გრძლად ჰგონია, მისთვისცა არის ერთისა წამისა,
ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისად ამისა.“

აქ, რუსთაველს გამოყენებული აქვს მხატვრული გამოსახვის სტილისტური ხერხი, რაც ჰიპერბოლის საპირისპირო მნიშვნელობისაა, ჰქვია ლიტოტესი და წარმომდგარია ბერძნული სიტყვისაგან „მცირე“. სიცოცხლე ზოგს რომ გრძელი ჰგონია, მხოლოდ ერთი წამიაო, ბრძანებს გენიოსი პოეტი. უნდა მივანიშნოთ, რომ პოემის დაწერიდან მრავალი საუკუნეა გასული და თარგმნილია მრავალ ენაზე და მათ შორის ებრაულზე – ყივრითზე. ბორის გაპონოვმა პოემის ებრაული თარგმანი დაასრულა 1966 წელს, ხოლო წიგნად გამოიცა 1969 წელს პოეტების დომენტი და აბრაამ შლიონსკის ზრუნვით და დახმარებით (საფუძველი: ი. პაპიაშვილი, „ვეფხის დამცემი და მისი ქართველი მეგობარი„).

ბორის გაპონოვი გარდაიცვალა ისრაელში 1972 წელს. გარდაცვალებიდან 18 წლის მერე მას მიენიჭა შოთა რუსთაველის პრემია. თანხა საკმაოდ სოლიდური იყო: 20 ათასი ამერიკული დოლარი. ამ პრემიის განაწილებაში აქტიური მონაწილეობა მაქვს მიღებული. საკითხი სადაო იყო. აბრამ საპირს ისრაელიდან ჩამოტანილი ჰქონდა სანოტარო დოკუმენტაცია, რომლის თანახმად გაპონოვის დედა იძლეოდა ცრუ ჩვენებას, თითქოსდა, ირინა არ იყო ბორისის ქალიშვილი. აგრეთვე, არსებობდა სხვა დაბრკოლებაც; ილია გაგულაშვილმა ჩამოაყალიბა გაპონოვის საზოგადოება და ითხოვდა პრემია გადაეცათ ამ საზოგადოებისათვის. ამიტომ შოთა რუსთაველის სახელობის პრემიე-

ბის კომიტეტის თავმჯდომარე ბატონი გრიგოლ აბაშიძე გაურკვეველ მდგომარეობაში ბრძანდებოდა. მან პირადად დამირეკა ქუთაისში და მთხოვა დავხმარებოდი პრემიის სამართლიან განაწილებაში, თან განმარტა, რომ მისი სურვილი იყო თანხის ერთი ნაწილი გადაცემოდა ბორისის ქალიშვილს ირინას საქართველოში, ხოლო მეორე ნაწილი ბორისის დედას -ისრაელში.

ბატონი გრიგოლ აბაშიძის თხოვნა მე შევასრულე, როგორც იტყვიან, ფრიადზე. გავფანტე ყოველგვარი ეჭვი ირინას მისამართით თქმული და მოვახერხე აბრამ საპირის და ირინას შეხვედრა გრიგოლ აბაშიძის სამუშაო კაბინეტში. საკითხი გადაწყდა სამართლიანად ისე, როგორც ბატონ გრიგოლ აბაშიძეს სურდა.

ისრაელში 45 წლის მანძილზე გამოდიოდა ქართულენოვანი გაზეთი „ალია საქართველოდან“, რომლის დამაარსებელი და მთავარი რედაქტორი იყო აბრამ საპირი (სეფიაშვილი). ამჟამად, გაზეთი დახურულია, ფინანსების უქონლობის გამო. უნდა აღინიშნოს, რომ ამ გაზეთის მეშვეობით საქართველოს კულტურული და ლიტერატურული ცხოვრება ისრაელში, მხოლოდ ქართველ ებრაელთა შორის ვრცელდებოდა და ებრაულენოვანი საზოგადოება მას არ იცნობდა. აგრეთვე ისრაელში დროგამოშვებით გამოდიოდა ჟურნალი ,, დროშა „, რა თქმა უნდა ქართულ ენაზე.

გაპონოვის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“ იყო ის პირველი მერცხალი, რომელმაც აღფრთოვანებაში მოიყვანა ისრაელის ებრაულენოვანი საზოგადოება. ეს იყო და ეს, სხვა ქართველი მწერლების მხატვრული ნაწარმოებები ებრაულენოვანი მკითხველისათვის იყო უცნობი, ვიდრე იაკობ პაპიაშვილმა რუსულ ენაზე არ გამოსცა რომანი „გაგრა“ ისრაელის პრეზიდენტის ფონდის დახმარებით. ეს წიგნი შემდეგში ითარგმნა ებრაულ ენაზე და წიგნად გამოიცა. ამ წიგნით მსოფლიომ შეიტყო თუ როგორ დახოცეს რუსმა ლეგიონერებმა ქართველი ფეხმძიმე ქალები 1989 წლის 9 აპრილს ე. წ. „сапёрные лопаты“-ს საშუ-

ალებით. ეს რუსული იმპერიული წარმოშობის იარაღი გამოიყენება სხვადასხვა დანიშნულებით, განსაკუთრებით ხელჩართულ ომში.

იაკობ პაპიაშვილმა ცნობილი ქართველი მწერლის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის რევაზ მიშველაძის ნოველების კრებული „იარუსალიმი-თბილისი“ ისრაელში ებრაულ ენაზე ორჯერ გამოსცა 2014 და 2016 წლებში. ეს იყო, ასე ვთქვათ, სიურპრიზი ებრაულენოვანი მკითხველისათვის. ქვეყანაში, სადაც გაფეტიშებული იყო რუსული ლიტერატურა, მიხვდნენ, რომ ქართველი კლასიკოსი მწერლების მხატვრული ნაწარმოებები არანაკლებ ყურადსაღები იყო, ვიდრე რუსულენოვანი. მოგვიანებით ცნობილი ებრაელი პოეტი და პუბლიცისტი ჰერცელ ხაკაკი თავის პუბლიცისტურ ნაშრომში „დღესასწაული ჭირის დროს“ აღნიშნავს, რომ X-XI საუკუნეებში, როცა რუსული ენა ჯერ კიდევ ფორმირებული არ იყო, არსებობდა ქართული მხატვრული მწერლობის ბრწყინვალე შედევრები: „ამირანდარეჯანიანი“, „ვისრამიანი“, „აბდულ – მესიანი“, „თამარიანი“ და „ვეფხისტყაოსანი“.

XX საუკუნ

ის მეორე ნახევარში „ვეფხისტყაოსანი“, ხოლო XXI საუკუნის პირველ ნახევარში „იერუსალიმი – თბილისი“ ითარგმნა ებრაულ ენაზე. იმის განმარტება, რომ პირველის ავტორი არის შოთა რუსთაველი, ხოლო მეორის რევაზ მიშველაძე, ცხადია საჭირო არ არის.

1980 წელს, ზურაბ კუხიანიძის იუბილეზე რევაზ მიშველაძე 40 წლისა იყო. 2014 წელს, როცა მისი ნოველების კრებული „იერუსალიმი – თბილისი“ ებრაულ ენაზე გამოიცა, იგი 74 წლის უკვე ღვაწლმოსილი მწერალი ბრძანდებოდა. ახლა იგი, საქართველოს სახალხო მწერალი, 81 წლისაა…

დღეს ებრაული კალენდრით 5782 წელია და განგების ძალით შოთა რუსთაველი რომ გაცოცხლდეს, ალბათ გაუკვირდება: ორი წიგნი გაპონოვისეული „ვეფხისტყაოსანი“ და მიშველაძისეული „იერუსალიმი – თბილისი“ იერუსალიმის ქუჩებში მსუბუქად ჰქრის, როგორც საქართველოს აჩქარებული სუნთქვა.

მაჩაბლის ქუჩა N13 – შენობა, რომელიც ცნობილია „ხელოვნების სასახლის“ სახელწოდებით, ააგო დიდმა მეცენატმა და ქართული კონიაკის წარმოების ფუძემდებელმა, ქიმიისა და ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორმა დავით სარაჯიშვილმა 1903 – 1905 წლებში.

1925 – 1926 წლის „ცნობათა კრებულში“, რომელიც ტიციან ტაბიძის რედაქციით გამოვიდა, ვკითხულობთ: „ხელოვნების სასახლე დაარსებულია 1921 წელს გასაბჭოების პირველ დღეებში“. 1971 წელს, როცა ჩემი ლიტერატურული მოღვაწეობა ამ სასახლეს – ტაძარს დაუკავშირდა, იგი უბრალოდ საქართველოს მწერალთა კავშირის სახელით იყო ცნობილი. მე ჩამოვთვლი თავმჯდომარეებს და მდივნებს საქვეყნოდ ცნობილ პოეტებს და მწერლებს, რომლებთანაც პირადად მქონდა შეხება და ურთიერთობა მყარ ლიტერატურულ ჩარჩოებში: ირაკლი აბაშიძე, გრიგოლ აბაშიძე, ნოდარ დუმბაძე, მუხრან მაჭავარიანი, გურამ ფანჯიკიძე, რევაზ ინანიშვილი, რეზო ჭეიშვილი, შოთა ნიშნიანიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი. იმ დაუვიწყარ დროს, როცა ქართული ხელოვნების – მწერლობის ამ უწმინდეს ტაძარში ეს ბუმბერაზი ადამიანები მხატვრული სიტყვის ხელოვნებას ხოტბას ასხამდნენ:

„მაშ, შენ ხარ, მუზა?
შენ – ცისკრის ბავშვი?
შაბაშ, შენს ღონეს,
შენს ძალას ვაშა!
მაშ, შენ მეწყრავდი
ყველა გზას ფშავში,
რომ ზედ ბუხართან
დაგება ვაჟა?“

ირაკლი აბაშიძე, 1984

ლიტერატურული ცხოვრება საქართველოში, უბრალოდ რომ ვთქვათ, დუღდა და გადმოდუღდა. ამ უწმინდეს ტაძარში, მრავალი წლების განმავლობაში, ვხვდებოდი და ვესაუბრებოდი ქართული მწერლობის ბრწყინვალე პლეადის კორიფეებს: რევაზ მიშველაძეს, მაყვალა გონაშვილს, სოსო სიგუას, რევაზ ჯაფარიძეს, ბაღათერ არაბულს, ზაალ ბოტკოველს, ელიზბარ ჯაველიძეს, თამაზ წივწივაძეს, გურამ გვერდწითელს, ნანა ჭოჭუას. ჩვენი საუბრის თემა, რა თქმა უნდა, მხოლოდ ლიტერატურა იყო.

საქართველოს მწერალთა კავშირის ბოლო ყრილობა, რომელსაც მე ვესწრებოდი გადამწყვეტი ხმის უფლებით და სადაც სიტყვით გამოვიდა ბატონი ედუარდ შევარდნაძე, გაიმართა დამოუკიდებელ საქართველოში 1995 წლის 17 მაისს, დილის 10 საათზე, აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლში (გიორგი ლეონიძის ქ. N110).

ქართული სიტყვის სარდალი

წარმოგიდგენთ საქართველოს სახალხო მწერალს, რუსთაველის პრემიის ლაურეატს რევაზ მიშველაძეს. ზაალ ნემსაძის დოკუმენტური ფილმი „ქართული სიტყვის სარდალი“ რამდენჯერმე ვნახე; ეს ჭეშმარიტად დიდებული, ისტორიული მნიშვნელობის ფილმია. ფილმს ამთავრებს გიორგი გაბუნიას შოუ, რომელშიც ბატონი რევაზ მიშველაძე იღებს მონაწილეობას.

წამყვანის ტექსტი:

„ვინც ქართული ლიტერატურის მრავალსაუკუნოვან ისტორიას ჩვენი დროიდან გახედავს ერთ კანონზომიერებას წააწყდება, როცა ქვეყანას უმძიმესი მომენტი უდგებოდა და გადამრჩენელი გმირის საჭიროება ხდებოდა გადაუდებელი, ხშირად მწერალი იღებდა თავზე ამ მისიას. პოლიტიკოსთა და პანდემიისაგან გატანჯულ ჩვენს ქვეყანაში ისევ მწერალი გამოდის წინა პლანზე და კარგად რომ ვუსმენდეთ და დავუჯერებდეთ უფრო იოლად გავუმკლავდებოდით ჭირს. ამ მხრივ უპირველესი ჭკუის საკითხავი პიროვნება და დედოზარის დამრისხებელი რევაზ მიშველაძეა.“

მე მინდა რამდენიმე ამონარიდი გავაკეთო ბატონი რევაზ მიშველაძის გამოსვლიდან საქართველოს მწერალთა კავშირის 100 წლის იუბილეზე:

„…დღევანდელი იუბილე უფრო დრამატული ხასიათისაა. ამის მიზეზი, ჩემო ძვირფასებო, კარგად მოგეხსენებათ – მწერალთა კავშირის წინააღმდეგ დაწყებული ომია, რომელიც ახლაც გრძელდება და გრძელდება ჩვენდა სავალალოდ…, მაგრამ მე მინდა ვუთხრა საქართველოს, რომ მათი განზრახვა მწერალთა კავშირის დაშლასთან დაკავშირებით გაქარწყლდა. ეს ომი მწერალთა კავშირის გამარჯვებით დასრულდა (მქუხარე ტაში).

ფსიქოლოგიურ შემეცნებაში მნიშვნელოვანი ასპექტია კითხვა „რატომ“, რადგან ადამიანის ქცევის მიღმა იმალება გარკვეული მოტივები, განზრახვები და მიზანი ამ განზრახვებისა.

მწერალთა კავშირის შენობის წართმევა და სამწერლო ორგანიზაციის მოსპობა საქართველოში უნდოდათ იმიტომ რომ, ჩაეხშოთ ქართული მხატვრული სიტყვა და არ ჩაეტარებინათ შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილე.

ეროვნული ფენომენის მტერმა, თავისი შავბნელი საქმე გააკეთა და გააკეთა დანაშაულის ფასად, თუმცა ამ დანაშაულისათვის დღემდე პასუხი არავისთვის მოუთხოვიათ.

საქართველოს მწერალთა კავშირი არსებობდა წითელი იმპერიის მძვინვარების პერიოდში. 1921 წლიდან 1991 წლამდე მიუხედავად გარკვეული დაბრკოლებებისა პატრიოტული სულისკვეთების მქონე კომუნისტები მფარველობდნენ ქართულ მხატვრულ სიტყვას. არ უნდა დავივიწყოთ, რომ სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა ისეთი მაღალმხატვრული ნაწარმოებები, სპექტაკლები ქართულ თეატრალურ ხელოვნებაში და ფილმები ქართულ კინოხელოვნებაში, რომლებმაც მსოფლიო აალაპარაკა.“

აქ მცირე პაუზა უნდა გავაკეთო.

…რიტორიკა, – „მჭევრი მეტყველების ხელოვნება“ ძველი საბერძნეთიდან მომდინარეობს. რიტორიკული ხელოვნების განვითარება ემთხვევა არისტოტელეს, ციცერონეს და კვინტილიანის ეპოქას.

ორატორული ხელოვნება – ეს არის გონება, გული და სიტყვა, ანუ ეს არის საჯარო გამოსვლის ხელოვნება არტისტული ოსტატობით, რისთვისაც წარმოთქმული სიტყვის დამაჯერებლობა აუცილებელი შემადგენელი კომპონენტია.

ორატორის ემოციები და სიტყვის მასალის ეფექტური მიწოდება უზრუნველყოფს აუდიტორიის ყურადღებაში ყოფნას.

ალბათ ყველა დამერწმუნება, რომ 81 წლის ასაკში, ორატორისათვის ძნელი უნდა იყოს სრულიად მიიქციოს, სრულიად და-

იპყროს აუდიტორიის ყურადღება, მაგრამ არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ საქართველოს სახალხო მწერლის ამ გამოსვლაში იგრძნობოდა საქვეყნოდ ცნობილი ქართული სუფრის ტრადიციები, როცა ხშირად ორასკაციანი სუფრა სულგანაბული უსმენს მჭერმეტყველ თამადას.

საქართველოს მწერალთა კავშირის 100 წლის იუბილეზე რევაზ მიშველაძის სიტყვით გამოსვლის დროს ხშირად ისმოდა მხურვალე აპლოდისმენტები.

ორატორმა გამოსვლის პროცესში გამოიყენა ცნობილი ქართველი პოეტების ლექსები. მისი გამოსვლა თავიდან ბოლომდე ფილმში ზეპირსიტყვიერების ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს. იგი კითხულობს გამოთქმით, ამაღლებული და მღელვარე ტონით:

მურმან ლებანიძე – „სამშობლო“:

...კავკასიის პონტის პირს ძირს ჩაკიდულხართ ქედებო!
მე რომ სიკვდილი მჭირს, ხომ შენგნით, ჩემო ედემო?!
ამბავს წაუღებთ ვის, თქვენ, ფრინველებო ღვთის –
წითელფეხება მტრედებო?!

ჯანსუღ ჩარკვიანი – პატრონი უნდა „ვეფხისტყაოსანს“

...დიახ, ჩვენს მამულს ასე დატორილს,
ნუ გეშინია არვინ დატოვებს,
ნუ გეშინია მოვა პატრონი,
გადამთიელი და უპატრონებს.

მაყვალა გონაშვილი – „სიმღერა“

მაინც როგორ გიხდება ეს წყეული სიმღერა,
მომავალი შენია, შენია და ელოდე…
ასე როგორ მივიდეთ, ასე ხელგაწვდილები,
ასე დაჩოქილები, ხვალის საქართველომდე.

შოთა ნიშნიანიძე – „ბიჭები“

…ათასი დაფნა, ტაში, მოლბერტი,
ვინც სინდისს თავი არ მოარიდა!
„კაცობრიობა რომ არ დაბერდეს,
ჰეი, ვინ მოდის მანდ მომავლიდან?!“

ამ ლექსების კითხვისას ორატორის ინტონაცია ისეთია, რომ მის ჭეშმარიტებაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია:

„მართალია, ჩემო ძვირფასებო, მწერალთა კავშირს ჰყავდა ჩანერგილები და მგონი ეხლაც ჰყავს ამბის მიმტანები, დამსმენები, ისეთები ვინც პაოლო იაშვილს თავს მოაკვლევინებს, მაგრამ, მეგობრებო, დამერწმუნეთ მწერალთა კავშირი თავის სათავეში, თავის სიღრმეში, თავის შიგნით თავანკარაა, სუფთაა, ლამაზია, მას საქართველოს სამსახურში თავი არასოდეს შეურცხვენია“ – ბრძანა რევაზ მიშველაძემ.

მაღლა მფრენი დაბლაც ხედავს,
უფრო ნათლად, უფრო დიდად,
ქვეყნის ჭირი, ქვეყნის ლხინი,
წინ მიუძღვის გზად და ხიდად

აკაკი

ზაალ ნემსაძის დოკუმენტურ ფილმში „ქართული სიტყვის რაინდი“ წარმოჩინდა მწერლის ბელეტრისტული ხელოვნების სხვადასხვა სფერო, სხვადასხვა მიმართულება. ის, რომ მისი ლიტერატურული შემოქმედების ოკეანეში მთავარი თემა საქართველოა, ორი აზრი არ არსებობს. გულისტკივილი იმ კაცისა, რომლის ერთადერთი ვაჟი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაიღუპა, შეუძლებელია იყოს ყალბი, თვალთმაქცური. აქედან გამომდინარე, საქართველოს ოკუპი-

რებული ტერიტორიების დაბრუნება, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, სახალხო მწერალს გზად და ხიდად რომ მიუძღვის, დამაჯერებელია და დამპყრობლების მიმართ ზიზღის გრძნობას ბადებს.

ეს იყო 1989 წლის აპრილში.

რევაზ მიშველაძე ჟურნალ „კრიტიკის“ მთავარი რედაქტორია. ჟურნალი მრავალტირაჟიანია და პოპულარული, რადგან ისეთ საკითხებს აშუქებს, რაც მკითხველისთვის საინტერესოა.

და აი, ერთხელ, დილით ისმის ზარი. მთავარ რედაქტორს იბარებენ ცკ-ში. ცნობილი ქართველი მწერლები და რედაქტორები დათქმულ დროზე შეიკრიბნენ ცკ-ის პირველი მდივნის გივი გუმბარიძის კაბინეტის მისაღებში, დაახლოებით თხუთმეტიოდე კაცი, მათ შორის: ჭაბუა ამირეჯიბი, მუხრან მაჭავარიანი, ჯანსულ ჩარკვიანი, გურამ ფანჯიკიძე, შოთა ნიშნიანიძე, აკაკი ბაქრაძე, ნოდარ ნათაძე, რევაზ მიშველაძე… იქ იმყოფებოდა აგრეთვე საქართველოს ტელევიზიის ხელმძღვანელი არჩილ გოგელია. მალე ყველანი კაბინეტში მიიხმეს. დასხდნენ. მაგიდასთან ზიან: ედუარდ შევარდნაძე – შუაში, ერთ მხარეს გივი გუმბარიძე, ხოლო მეორე მხარეს ნოდარ ჭითანავა.

გუმბარიძემ ღიმილით მიმართა მწერლებს, უთხრა მათ: საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ბატონი ედუარდ შევარდნაძე ჩამობრძანდა მოსკოვიდან და ისურვა ქართველ მწერლებთან შეხვედრა-ო.

„მომენატრეთო, – ამბობს ბატონი ედუარდი და ღიმილიანი მზერა იქ შეკრებილ ლიტერატორებზე მიმოატარა. ჩემი უამრავი საქმეების მიუხედავად მე თვალყურს ვადევნებ საქართველოს, მის ეკონომიურ, კულტურულ ცხოვრებას, რაც შემიძლია გეხმარებით. უნდა გითხრათ, რომ საქართველოდან კრემლში კარგი ამბები მოდის. ჩვენი მეგობრობა და ურთიერთობა ამით არ მთავრდება. მე სადაც არ უნდა ვიყო ყოველთვის ვიქნები ჩე-

მი სამშობლოს პატრიოტი და ქართველი ლიტერატორების გვერდში მდგომი.“

მწერლები ამოძრავდნენ, გამოეხმაურნენ, გაისმა სამადლობელი, თავმდაბლობით თქმული სატყვები.

ამ დროს წამოდგება რევაზ მიშველაძე და თავისებური ჩვეული სითამამით მიმართავს მაღალ სტუმარს:

„ბატონო ედუარდ! ერთი თხოვნა მაქვს, თუ შეიძლება“.

„რევაზ მიშველაძე არისო, ჟურნალ „კრიტიკის“ რედაქტორი“, ჩაულაპარაკა შევარდნაძეს გუმბარიძემ.

„ვიციო, თქვა შევარდნაძემ, რად მინდა შეხსენება, ვიცნობ ბატონ რეზოსო.“

„ბატონო ედუარდ, – განაგრძო მიშველაძემ, – სტალინის შემდეგ, ისეთი მაღალი თანამდებობა კრემლში როგორც თქვენ გაქვთ, არავის ჰქონია. დღეს თქვენ ხართ ის კაცი, ვისაც ყოველთვის შეუძლია გორბაჩოვთან შესვლა და ამდენად მინდა გთხოვოთ... გაითვალისწინეთ, რომ ეს თხოვნა ქართველი ინტელიგენციის თხოვნაცაა.“

„თქვი, გისმენ“, – მიუგო შევარდნაძემ.

„- თქვენ მოგეხსენებათ, საქართველო დამოუკიდებლობისკენ მიისწრაფვის... დემოკრატიული პრინციპები მსოფლიოს მოედო, მათ შორის რუსეთსაც. იქნებ შეარჩიოთ დრო და აუხსნათ გორბაჩოვს საქართველოს ჭირ – ვარამი; რა საჭიროა ამ პატარა ქვეყანაში სამი ავტონომია: აფხაზეთის, აჭარის და ე. წ. სამხრეთ ოსეთის. ეს შენელებული მოქმედების ნაღმები მავნებელია ქვეყნისათვის, ხალხისათვის, მომავლისათვის.“

ჩამოვარდა სამარისებული სიჩუმე. შევარდნაძის სახიდან ღიმილი გაქრა, აღელვება გამოეხატა.

„რამ მოგაფიქრა ეს, ჩემო რეზო! გორბაჩოვმა რომ გადაწყვიტოს რესპუბლიკების საერთოდ გაუქმება, რას იტყოდი ამაზე?! – თქვა და მერე გუმბარიძეს გადაულაპარაკა: ამ შეხედულების კაცი, როგორ დანიშნეთ „კრიტიკის“ რედაქტორად? -ო.“

ამ ამბიდან ერთი კვირის მერე საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ მუხრან მაჭავარიანმა თავის კაბინეტში რევაზ მიშველაძეს უთხრა:

„რეზო, ისე არ მინდა შენი „კრიტიკიდან“ წასვლა, როგორც ჩემი მარჯვენა ხელის მოჭრა, მაგრამ სხვა გზა არ არის. მოდი ზეგ პრეზიდიუმის სხდომაზე, უნდა გაგანთავისუფლო.“

მინაწერი: „იმ შემთხვევაში თუ ქართველი კომუნისტები ბუდუ მდივანი და ფილიპე მახარაძე არ იჩივლებდნენ ლენინთან სტალინური კომისიის მიერ შემუშავებული პროექტის წინააღმდეგ, ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკა 1922 – 1924 წლებში დაიშლებოდა სამ სუვერენულ ავტონომიურ საბჭოთა რესპუბლიკებად, საბჭოთა კავშირიდან გასვლის უფლებით. 1924 წელს საქართველოში არ მოხდებოდა „აჯანყება“, არ დაიღვრებოდა ქართველების სისხლი და საქართველოს ტერიტორიული მთლინობა შენარჩუნებული იქნებოდა შიგა ავტონომიების გარეშე, სოჭის ოლქის ჩათვლით (საფუძველი: იაკობ პაპიაშვილი, „ვინ იყო სტალინი“, დაიბეჭდა გაზეთში „მწერლის გაზეთი“, 2021, N5, გვ.13, სათაურით „მის უკვდავსაყოფად ესეც კმარა„), რაც თავისთავად დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის და გიორგი ბრწყინვალის სახელმწიფოებრივ – პოლიტიკური მოღვაწეობის ტოლფასია.“

ეპილოგი

ზოგის სული ჭიქაშია,
ზოგის ცინცხალ დუშაშშია,
ზოგის სული ჭინჭებშია,
ზოგის კიდევ ოქროშია
ჩემი სული საქართველოს
აჩქარებულ სუნთქვაშია“
ზურაბ კუხიანიძე

მისი სული საქართველოს აჩქარებულ სუნთქვაშია

საქართველოს სახალხო მწერალი რევაზ მიშველაძე, როგორც უკვე ვთქვით 81 წლისაა. ქართულ მწერლობაში მისი ღვაწლი და დამსახურება გამორჩეულად ფასეულია და მნიშვნელოვანი. თბილისის ქუჩებში საქართველოს მწერალთა კავშირის მრავალგზის თავმჯდომარე, ჭარმაგი მწერალი დადის. თანამედროვე ქართული ლიტერატურის კლასიკოსის რევაზ მიშველაძის შემოქმედება კარგა ხანია მსოფლიო ლიტერატურის ორგანულ ნაწილად იქცა. მისი მხატვრული და პუბლიცისტური შემოქმედების ნაღვაწი ოთხმოცს, შეიძლება მეტ წიგნს მოიცავს. მისი ნოველები თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე, ალბათ არამარტო იმიტომ რომ ისინი იკითხებიან ინტერესით, არამედ განსაკუთრებით იმიტომ რომ ბელეტრისტის ქართული სარკმლიდან, საკუთარი ქვეყნის პრობლემატიკასთან ერთად, მსოფლიოს გულისტკივილია დანახული, რაც დასტურდება ისრაელში ებრაულ ენაზე გამოცემული მისი წიგნით „იერუსალიმი – თბილისი“.

რევაზ მიშველაძე ნობელის პრემიის ნომინანტია.

დასასრულს მინდა ხაზგასმით ავღნიშნო საქართველოს სახალხო მწერლის რევაზ მიშველაძის, როგორც პროზაიკოსის

მდიდარი ლექსიკა, მდიდარი ქართული ენა. ვკითხულობ მის ნოველებს და ხშირად ვფიქრობ თუ რომელი ჭიდან იღებს იგი ისეთ სიტყვებს, რაც ზოგჯერ შეუძლებელია მონახო ქართული ენის განმარტებით და ორთოგრაფიულ ლექსიკონში.

ეს თავდაუზოგავი შრომა ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის სამსახურში არის იმის გარანტია რომ მისი სული საქართველოს აჩქარებულ სუნთქვაში არის, იქნება და იარსებებს ყოველთვის და მუდამ.

წინამდებარე ნაშრომი მინდა დავასრულო ფილმის „ქართული სიტყვის სარდალის“ წამყვანის სიტყვებით:

„პოლიტიკოსთა და პანდემიისაგან გატანჯულ ჩვენს ქვეყანაში უპირველესი ჭკუის საკითხავი პიროვნება და დედოზარის დამრისხებელი საქართველოს სახალხო მწერალი რევაზ მიშველაძეა და კარგად რომ ვუსმენდეთ და დავუჯერებდეთ უფრო იოლად გავუმკლავდებოდით ჭირს.“ (ნაშრომი გამოქვეყნდა "მწერლის გაზეთში")

ბათ-იამი 2021

მასალის მომზადებაში მონაწილეობა მიიღო ია გორგიშელმა.

მჟავანაძის შემდეგ
ანდროპოვი და შევარდნაძე

1972 წლის დასაწყისში, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე მოსკოვში გადაფრინდა. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის იური ანდროპოვის კაბინეტში მან მაგიდაზე დადო სქელი დოსიე, საქართველოს კომპარტიის პირველი მდივნის ვასილ მჟავანაძის საქმე.

ედუარდ ამბროსის ძემ ცოტა ხნის წინ განიცადა მძიმე დანაკლისი: თბილისში მისი უფროსი ძმა, კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი, იპოკრატე შევარდნაძე გულის შეტევით გარდაიცვალა. მომავალი მსოფლიო რანგის პოლიტიკოსისთვის ეს იყო დიდი ტრაგედია. უფროსმა ძმამ დიდად შეუწყო ხელი ახალგაზრდა პარტიული მუშაკის წინსვლას ჯერ ქუთაისში და შემდეგ თბილისში.

იპოკრატე შევარდნაძე იყო მჟავანაძის ოჯახის ერთგული მეგობარი. ორივე იყო გურიიდან. ისინი პატივს სცემდნენ და ენდობოდნენ ერთმანეთს. ამიტომ უმცროსი ძმის საქციელი გარდაცვლილთან მიმართებაში გაუგებარი ჩანდა... თუმცა მაშინ ამაზე მთელი საქართველო ლაპარაკობდა. მიუხედავად ამისა, მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ დაამტკიცა საქართველოს მომავალი მმართველის შორსმჭვრეტელობა და ნიჭიერება.

დღევანდელი გადასახედიდან თუ ვიმსჯელებთ, მჟავანაძე საქართველოსთვის იყო საბჭოთა პერიოდის ერთ-ერთი საუკეთესო ხელმძღვანელი. ვასილი პავლეს ძე მჟავანაძის დროს თბილისი გადაიქცა ნამდვილ ქართულ დედაქალაქად - ხელისუფლებაში მის მოსვლამდე თბილისში სულ 500 ათასი კაცი ცხოვრობდა, რომელთაგან დაახლოებით 150 ათასი კაცი იყო ქართველი. დანარჩენები იყვნენ სომხები, თათრები, ქურთები და სხვა ეროვნული უმცირესობები. 1970-იანი წლების ბოლოსთვის თბილისში ცხოვრობდა უკვე 800 ათასზე მეტი ადა-

მიანი. ქალაქის მოსახლეობა ძირითადად იზრდებოდა იმერეთიდან, სამეგრელოდან და გურიიდან ჩამოსულების ხარჯზე.

აქვე მინდა ავღნიშნო ერთი მომენტი ჩემი პირადი ბიოგრაფიიდან, რომელსაც ვასილ მჟავანაძესთან პირდაპირი შეხება აქვს: 1961 — 1966 წლებში ვსწავლობდი თბილისში, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. ვცხოვრობდი ნაქირავებ ბინაში ყაზბეგის ქუჩაზე, დღეს ამ ქუჩას სხვა სახელი აქვს, მაგრამ მაშინ ამ ქუჩას ყაზბეგის ქუჩის აღმართს ეძახდნენ, რომელიც ვერიდან იწყებოდა. იქ სადაც ყაზბეგის ქუჩის აღმართი კვეთდა ბარნოვის ქუჩას, ახლაც დგას ის სამსართულიანი სახლი სადაც ვცხოვრობდი. ჩემი ოთახის ბინის ფანჯრიდან და აივნიდან კარგად მოჩანდა როგორც ყაზბეგის, ისე ბარნოვის ქუჩები. ინსტიტუტში ლექციები იწყებოდა დილის 9 საათზე. ლითონის კონსტრუქციებს გვიკითხავდა პროფესორი დიტო დოლიძე. იგი მუდამ მკაცრად იცავდა რეგლამენტს, დაგვიანებულ სტუდენტებს ლექციაზე არ უშვებდა. აქვე აღვნიშნავ, რომ ბატონი დიტო დოლიძე და არქიტექტორი დოცენტი აკაკი ბერიშვილი ჩემი სადიპლომო კურსის ხელმძღვანელები იყვნენ. ვინაიდან მისი ლექციები ჩემთვის როგორც მომავალი მშენებელი ინჟინრისთვის მნიშვნელოვანი იყო, ბატონ დიტოს ავუხსენი თუ რატომ მაგვიანდებოდა ლექციაზე. მან ყურადღებით მომისმინა და მითხრა: "მომავალი დაგვიანებები ლექციებზე საპატიოდ ჩაგეთვლებაო".

შევეცდები მოკლედ ჩამოვაყალიბო თუ რატომ მაგვიანდებოდა ლექციაზე:

დილით შინიდან გამოვდიოდი 8 საათზე, ალბათ, შეიძლება უფრო ადრეც. საცხოვრებელ სახლში შესასვლელი ბარნოვის ქუჩიდან იყო და როგორც კი შევუხვევდი ყაზბეგის ქუჩის დაღმართისაკენ, მაშინვე იძულებული ვიყავი შევჩერებულიყავი და გზა სვენებ-სვენებით გამეგრძელებინა, ვინაიდან ჩემს წინ ათიოდე ნაბიჯის მოშორებით მიაბიჯებდა ვასილ პავლეს ძე მჟავანაძე, ხოლო მის გვერდით ასევე ნელი სვლით მიღოღავდა მთავრობის მანქანა "ზილი" (ძალიან ადრე იყო და ქუჩაში არავინ ჩანდა). ვასილ პავლეს ძე ბარნოვის ქუჩაზე

ცხოვრობდა და როგორც ჩანდა, დილით ჩემზე ადრე დგებოდა და ფეხით მიდიოდა სამსახურში. მე, რა თქმა უნდა, არ მიმაჩნდა მიზანშეწონილად გამესწრო მისთვის, მიუხედავად იმისა რომ ლექციაზე მეჩქარებოდა. ასე და ამგვარად მე, ვასილ პავლეს ძე და "ზილი" მივსეირნობდით ყაზბეგის ქუჩის დაღმართზე..., მაგრამ როგორც კი მჟავანაძე ვერაზე მარჯვნივ გაუხვევდა მე უკვე ავტობუსისაკენ გავრბოდი... სხვათა შორის, მჟავანაძის ქალიშვილი პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლობდა, იგი სხვა ფაკულტეტზე იყო, მაგრამ გაერთიანებული ლექციები ზოგიერთ საგნებში ერთად გვიტარდებოდა.

1972 წელს, მაშინ როდესაც შევარდნაძემ ანდროპოვის მაგიდაზე დადო საქართველოს კომპარტიის პირველი მდივნის სქელი საქმე, მჟავანაძე საქართველოს მართავდა უკვე 19 წელი. მას კარგი ურთიერთობა ჰქონდა როგორც ხრუშჩოვთან, ისე ბრეჟნევთან. ამ დროს საქართველო არ ასრულებდა 5-წლიან გეგმებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის ითვლებოდა სანიმუშო საბჭოთა რესპუბლიკად. რა თქმა უნდა, მჟავანაძე ატყუებდა როგორც ხრუშჩოვს ისე ბრეჟნევს, მაგრამ ამ საბჭოთა ხელმძღვანელებს თვითონაც უხაროდათ მოტყუებულის როლის შესრულება. მჟავანაძეს ეხმარებოდა მისი მეუღლის ნათესაური კავშირები: მისი მეუღლე, უკრაინის პარტიული ბოსის პეტრე შელესტის მეუღლის ღვიძლი და იყო. ამიტომ ანდროპოვმა უფრო გულდასმით მოამზადა მჟავანაძის დამხობის გეგმა, ვიდრე აზერბაიჯანში ჩატარებული ანალოგიური ოპერაცია: ჰეიდარ ალიევის აზერბაიჯანში გაპირველკაცობიდან დაახლოებით 2 წლის შემდეგ, ანდროპოვს ჰქონდა კორუფციასთან ბრძოლის ნიღბით, პოლიციური გადატრიალების მოწყობის გააზრებული სქემა. მაგრამ ქართული ვარიანტი უფრო რთული იყო და მოითხოვდა მეტ წინდახედულობას. შელესტთან ნათესაობის გარდა, მჟავანაძის პოზიციებს ამაგრებდა მისი მეგობრობა ბრეჟნევთან. ბრეჟნევის მსგავსად მჟავანაძეც, ომის დროს ჯარში, პოლიტიკური კომისარი იყო. მათ მეუღლეებსაც კი ერთი და იგივე სახელი ერქვათ.

1965 წლის დეკემბერში, საქართველოს სსრ დააჯილდოვეს ლენინის მეორე ორდენით. ორდენის გადაცემა მოხდა 1966 წლის 1 ნოემბერს. მის გადასაცემად თბილისში ჩავიდა თვითონ ბრეჟნევი მეუღლესთან ერთად. ორდენის გადაცემის ცერემონია ჩატარდა სპორტის სასახლეში, რის გამოც ბრეჟნევისთვის პატივის მისაგებად საზეიმო კონცერტი გაიმართა.

ეს შენობა უნიკალურია თავისი კონსტრუქციული გადაწყვეტით. კარგად ვიცნობდი ამ სპორტულ კომპლექსს, არა მხოლოდ იმიტომ, რომ მშენებელი ინჟინერი ვიყავი (შენობის გუმბათის კონსტრუქცია დააპროექტეს ჩემმა მასწავლებელმა დ. ქაჯაიამ და არქიტექტორმა ვ. ალექს-მესხიშვილმა). სასახლის ტრიბუნები 10500 მაყურებელს იტევს. შენობის შიგნით მაყურებელთა სკამები ისეა მოწყობილი, რომ დარბაზი ნებისმიერი ადგილიდან ხელის გულივით მოსჩანს.

ბრეჟნევის საპატივსაცემოდ მოწყობილ კონცერტზე მოხვედრა მოვახერხე. შესასვლელთან, ერთ-ერთ ბოლო რიგში ვიჯექი. სკამები დარბაზში იყო განთავსებული. სცენის წინ ისხდნენ ბრეჟნევი და მჟავანაძე მეუღლეებითურთ. ისინი კარგ ხასიათზე იყვნენ, საუბრობდნენ, იღიმებოდნენ. ფარდა აიწია. მაგრამ ჯერ არავინ იყო გამოსული რომ მოულოდნელად, ჩემს ზურგს უკან მსახიობის ხმა გაისმა. მივიხედე: იგი გამოწყობილი იყო იმავე ტანსაცმელში, როგორც ფილმში „ჯარისკაცის მამა“, მხარზე გადაკიდებული ხურჯინით, ნელნელა ეშვებოდა კიბეებზე, მიემართებოდა ბრეჟნევისაკენ და კითხულობდა ცნობილ მონოლოგს ფილმიდან „ჯარისკაცის მამა“: „რამ მოგიყვანა აქა, შე ბარაქიანო შენა...“

ლეონიდ ილიჩი ფეხზე წამოდგა და ფეხზე ადგა მთელი სასახლეც.

სკკპ ცკ-ს პოლიტბიუროს გენერალური მდივანი გადაეხვია საყვარელ მსახიობს. ბევრს წამოუვიდა სიხარულის ცრემლები, ვაღიარებ მეც.

სხვათა შორის, მოგვიანებით, სერგო ზაქარიაძეს საცხოვრებელ ფართთან პრობლემები შეექმნა: (თავისი სახლი გააფართოვა, რამდენიმე ოთახი დაამატა მეზობლის ბინის ფარ-

თის შესყიდვის ხარჯზე) ის ბრეჟნევთან დააბეზღეს. „სერგო ზაქარიაძე არაა მარტო „ჯარისკაცის მამა“-ის ყველა ჩვენი ჯარისკაცის მამაა”, თქვა ბრეჟნევმა ამ დაბეზღების წერილის გადაკითხვის შემდეგ. ხმა დადიოდა რომ ასეთი მხარდაჭერის მიუხედავად, სერგო ზაქარიაძის, როგორც რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის, დევნა გრძელდებოდა. ამის გამო, სერგო ზაქარიაძე გარდაიცვალა გულის შეტევით, ბრეჟნევის თბილისში მეორედ ჩასვლამდე, დაახლოებით, ერთი თვით ადრე. ბრეჟნევი კი, მეორედ თბილისში 1971 წლის მაისში ჩავიდა, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავთან დაკავშირებით.

ეს ეპიზოდი მოვიყვანე ბრეჟნევისა და მჟავანაძეების ოჯახების მჭიდრო ურთიერთობის საილუსტრაციოდ. ასე რომ, ანდროპოვსაც და შევარდნაძესაც კარგად ესმოდათ, რომ ზედმეტად სარისკო იყო კრემლის გენერალური მდივნისა და თბილისის მმართველის ზურგს უკან ჩამსხდარი ორი ვიქტორიას რისხვა.

მაგრამ შემთხვევა დაეხმარა შევარდნაძეს და მასთან ერთად ანდროპოვსაც.

ერთ-ერთ წვეულებაზე, რომელიც მჟავანაძემ პარტიული ელიტისა და რამდენიმე უცხოელის პატივსაცემად მოაწყო, შევარდნაძემ პირველი მდივნის ცოლის ხელზე დაინახა ძველი, სამუზეუმო ღირებულების, რვა კარატიანი ბრილიანტის ბეჭედი, რომელიც გაუჩინარდა ევროპის ერთ-ერთი ქვეყანაში და ინტერპოლის მეშვეობით იძებნებოდა. შევარდნაძემ მალევე გაიგო, რომ ეს ბეჭედი მჟავანაძის ცოლს იატაკქვეშა ”წითელმა კაპიტალისტმა” ოთარ ლაზიშვილმა აჩუქა.

ფაქტობრივად, მჟავანაძის მეუღლემ ქმარს არა მხოლოდ კარიერა დაუნგრია, არამედ ბრეჟნევების ოჯახის რეპუტაციასაც მიაყენა ჩრდილი. ახლა ანდროპოვს შეეძლო გენერალური მდივნისთვის წარედგინა საქართველოს პარტიის ლიდერის თანამდებობიდან ჩამოშორების მოთხოვნა, ისე, რომ პირადი ინტერესი ეჭვის გარეშე დარჩენილიყო. ამ შემთხვევაში, მომავალი პოლიციური გადატრიალება საქართველოში იდეალუ-

რად იყო შენიღბული ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლით.

მჟავანაძის ბედი გადაწყვეტილი იყო. 1972 წლის აგვისტოში მილიციის გენერალი, ედუარდ შევარდნაძე გახდა საქართველოს პირველი მდივანი. ანდროპოვის სრული მხარდაჭერის მქონე შევარდნაძე იმ დროს, მთლიანად ბაძავდა თავის აზერბაიჯანელ კოლეგა ჰეიდარ ალიევს. მან დაუყოვნებლივ დაიწყო ომი კორუფციასთან, სახელმწიფო ქონების დატაცებასთან, გაფლანგვასთან, სპეკულაციასთან, იატაკქვეშა საქმიანობასთან. ამაში ჩათრეულნი იყვნენ საზოგადოების სხვადასხვა წრის ადამიანები - უმაღლესი პარტიული მუშაკებიდან დაწყებული, ქარხნის დირექტორებით, ექიმებით, ინჟინრებით, მძღოლებით და საქართველოს მილიციის საქალაქო და რაიონული სამმართველოს ხელმძღვანელებით დამთავრებული. მან დანიშვნისთანავე დაიწყო ჯვაროსნული ლაშქრობა კორუფციის წინააღმდეგ. პარტიის და რესპუბლიკის ლიდერებთან პირველივე შეხვედრაზე, ხმის მიცემისას მან სთხოვა დამსწრეთ მარცხენა ხელის აწევა: „დაიჭირეთ ასე ხელი ცოტა ხნით", - თქვა შევარდნაძემ და ნელა შემოუარა მაგიდას, თან აკვირდებოდა აწეულ ხელებს. „ სეიკო"', „როლექსი", „ ომეგა", „]aeger-ვეჩოულტრე" – ყოველ ხელს ამშვენებდა საუკეთესო უცხოური ფირმების საათები. მარტო შევარდნაძეს ეკეთა საბჭოთა საათი „ პობედა". შევარდნაძემ თავის მინისტრებს შესთავაზა: - „დასაწყისისთვის, მოდით, ეს საათები სახელმწიფო საჭიროებებისთვის ჩავაბაროთ".

ამასობაში ანდროპოვი ჯიუტად ცდილობდა ბრილიანტის საქმის გამოძიებას. ისევ შევარდნაძისგან შევიდა ინფორმაცია, რომ იატაკქვეშა მილიონერი ლაზიშვილისგან მიღებული ბრილიანტის ძველი ბეჭედი მჟავანაძის ცოლმა ბრეჟნევის ცოლს უსახსოვრა (აჩუქა).

სიუჟეტი მიმზიდველი და თითქმის ისეთივე საინტერესოა, როგორც სამი მუშკეტერის თავგადასავალი, სადაც ცხენზე ამხედრებული მუშკეტერები, დ'არტანიანის მეთაურობით ბრილიანტის გულსაკიდების ძიებაში იყვნენ ჩართულნი, რათა

საფრანგეთის საიდუმლო პოლიციის უფროსის სიცრუისგან საფრანგეთის დედოფალი დაეხსნათ. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ დიუმას რომანში რამდენიმე ბრილიანტის გულსაკიდი და ერთი დედოფალი ჩნდება, ხოლო შევარდნაძისა და საქართველოს მაფიოზური ჯგუფების სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ძველი რვა კარატიანი ბრილიანტის ბეჭედია, რომელთანაც ორი "დედოფლის" ვიქტორიას ბედია დაკავშირებული: ერთი ცხოვრობდა საქართველოს დედაქალაქ თბილისში, მეორე - სსრკ-ს დედაქალაქ მოსკოვში, თან მეორე, დიდი საბჭოთა იმპერიის პირველი ლედი იყო.

ნაქურდალის დამალვისათვის საუკეთესო ადგილი შეირჩა: საბჭოთა კავშირის ცკ გენერალური მდივნის ბინა, მერე რა, რომ მეზობლად ცხოვრობს საბჭოთა საიდუმლო პოლიციის მთავარი ბოსი, რომელიც სხვათა შორის ამ ბეჭდის ძიებით იყო დაკავებული. მნიშვნელოვანი ცნობების მიღების შემდეგ, ანდროპოვმა თავი ვერ შეიკავა პატარა შანტაჟი მოეწყო ქვედა სართულზე მცხოვრები ბრეჟნევსათვის. ანდროპოვს ეხმარებოდა მართლმსაჯულებისთვის კორუფციასთან უანგაროდ მებრძოლი რაინდი, საქართველოს პოლიციის მინისტრი ედუარდ შევარდნაძე.

ბრეჟნევი იძულებული გახდა ჩარეულიყო ამ საქმეში და თავის პირველ ჟანდარმს განუცხადა, რომ ბრილიანტის საქმის შემდგომი გამოძიება უნდა შეეწყვიტა. ანდროპოვს მოუხდა ქმედებათა თავდაპირველი სქემის შეცვლა: ვინაიდან ბრეჟნევის მეუღლე, ვიქტორია პეტროვნა, უკვე ასაკოვანი იყო, სასამართლოს წინაშე უნდა წარმდგარიყო მათი ქალიშვილი, იური ჩურბანოვის ცოლი, გალინა ლეონიდოვნა. ბრეჟნევი უძლური აღმოჩნდა დახმარებოდა როგორც საკუთარ ქალიშვილს ისე მჟავანაძის მეუღლეს. ქართველი მაფიოზი ლაზიშვილი სწორედ მისი მეგობრის, საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურორის, რომან რუდენკოს მისაღებში დააპატიმრეს. ეს იყო სიგნალი: მალე საქართველოში კორუმპირებული ჩინოვნიკების მასობრივი დაპატიმრებები დაიწყო.

სკკპ XXV ყრილობაზე შევარდნაძის მოხსენება ერთადერთი ანტისტალინური გამოსვლა იყო. მაღალი ტრიბუნიდან მან განაცხადა, რომ საქართველოსთვის მზე ამოდის არა აღმოსავლეთიდან, როგორც მთელი მსოფლიოსთვის, არამედ ჩრდილოეთიდან - რუსეთიდან.

დღეს, ძნელია იმის დადგენა, შევარდნაძემ ანდროპოვის რჩევით შემოიტანა თავის სიტყვაში ეს მონური, უხამსი მეტაფორა, თუ საკუთარი ინიციატივით, მაგრამ ერთი რამ ცხადია: მეტაფორამ, რომელმაც საქართველოში აღშფოთების ქარიშხალი გამოიწვია, გაახარა ბრეჟნევი. და, 1978 წლის ნოემბერში შევარდნაძე გახდა პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი. საუბარია საბჭოთა იმპერიის ძალაუფლების იმ უზენაეს ორგანოზე, რომელსაც ის გორბაჩოვთან და რეიგანთან ერთად რამდენიმე წელიწადში არარაობად გადააქცევს.

ამრიგად, საქართველოს პარტიულ ბოსსა და საბჭოთა მთავარ ჟანდარმს შორის ნაყოფიერ თანამშრომლობას საფუძველი ჩაეყარა.

კორუფციასთან ბრძოლამ საქართველოს საქმიანი ხალხის პროტესტი გამოიწვია. სწორედ ამ დროს, 1972 წელს, ქართველ ებრაელთა 18 ოჯახი მოსკოვში გაფრინდა. მათ კარვები დადგეს „კგბს“ შენობის, ანდროპოვის კაბინეტის წინ, გამოაცხადეს შიმშილობა და მოითხოვეს ისრაელში წასვლის უფლება. არ ვიცი, უთხრა თუ არა ვინმემ საქართველოს და საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელებს, რომ ებრაელების გაქცევა ქვეყნიდან არის კატასტროფის მოახლოების ნიშანი....

ამასობაში საქართველოში ატმოსფერო დამძიმდა. შევარდნაძის სიცოცხლე რამდენჯერმე სიკვდილ-სიცოცხლის გასაყარზე იყო. ერთმანეთის მიყოლებით ფეთქდებოდა ნაღმები - კინოსტუდიაში, სოფლის მეურნეობის ინსტიტუტში, დინამოს სტადიონზე, საავიაციო ქარხანაში, ბავშვთა უნივერმაღშიც კი. შევარდნაძის სიძულვილის ყველაზე თვალშისაცემი გამოვლინება იყო ზაქარია ფალიშვილის სახელობის ოპერის და ბალეტის თეატრისთვის ცეცხლის წაკიდება.

თბილისში სწავლის პერიოდში, კვირაში ერთხელ მაინც ამ თეატრს ვსტუმრობდი: მიზიდავდა არა მხოლოდ ქართული ბალეტისა და ოპერის ოსტატების ბრწყინვალე საშემსრულებლო ხელოვნება, როგორებიც იყვნენ ჭაბუკიანი, კიკალეიშვილი, ამირანაშვილი, ანჯაფარიძე, სოტკილავა და სხვები, არამედ თავად შენობაც. როგორც გარედან, ისე შიგნიდან შესრულებული იყო ბაროკოს და როკოკოს სტილში. მის თითოეულ ფასადს, თავისი პორტალითა და მიმდებარე ბაღით, თავისი ინდივიდუალობა ჰქონდა. სცენა და კედლები თითქმის არ იგრძნობოდა, თითქოს იქ არ იყო. გალერეები, სვეტებიანი თაღები, უზარმაზარი ფანჯრები - ხან ვიწრო და მაღალი, ხან მრგვალი ფერადი მინებით და ჩუქურთმიანი ჩარჩოებით, დარბაზთან ერთად აღიქმებოდა როგორც ერთი მთლიანობა, რაც ზღაპრული იდილიის განცდას იწვევდა.

ხანძრის შემდეგ შევარდნაძემ მის აღსადგენად უზარმაზარი თანხის გამოყოფის ბრძანება გასცა. რესტავრაციის შემდეგ, დიდი ხნის განმავლობაში ამბობდნენ, რომ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი უფრო ლამაზი და მიმზიდველი გახდა, ვიდრე იყო. მაგრამ ყველამ იცის ასლისა და ორიგინალის განსხვავების სიღრმე, ამიტომ, იმის თქმა, რომ 1973 წლის 9 მაისს თბილისში ხელოვნების ფასდაუდებელი ძეგლი დაიწვა, სიმართლისგან შორს არ არის.

მოსკოვში შენიშნეს რომ რესპუბლიკა აშკარად გამოდიოდა კონტროლიდან. უკიდურესი ზომებით უწყვეტმა ექსპერიმენტებმა კრემლსა და რესპუბლიკელ ჩინოვნიკებს შორის ურთიერთშეთანხმება გაანადგურა, რომელიც დაფუძნებული იყო მოქნილ კომპრომისზე, ორმხრივ სარგებელსა და ტყუილზე, რაც მთლიანობაში ინარჩუნებდა შედარებით სტაბილურობას. ანდროპოვს წარმოუდგენელი ძალისხმევა დასჭირდა, რომ ბრეჟნევი და მასთან ერთად მთელი პოლიტბიურო დაერწმუნებინა ქართული ექსპერიმენტის გაგრძელების აუცილებლობაში.

და, შევარდნაძემ ეს ნდობა გაამართლა. მისმა ულევმა ენერგიამ და ენთუზიაზმმა მალევე მოიტანა ნაყოფი: საქარ-

თველოს ყველა საწარმომ გეგმიური დავალებები არა მარტო შეასრულა, არამედ გადააჭარბა კიდეც 150 და ზოგჯერ 200 პროცენტით. საქართველო საბჭოთა ბაზარზე ღვინის, ჩაის, ციტრუსების ერთ-ერთ ყველაზე დიდ მიმწოდებლად გადაიქცა. ბოლო, მეთხუთმეტე ადგილიდან, უმრავლეს მაჩვენებლებში, საქართველო საბჭოთა რესპუბლიკებს შორის პირველ ადგილზე გადახტა.

ამასობაში კრემლამდე მივიდა ხმები, რომ ზესტაფონის და ქუთაისის ქარხნებში ღვინოს წყლის და შაქრის შერევით ამზადებდნენ, ხოლო გურული ბაიხის ჩაი სულ უვარგისი გახდა. რაც შეეხება ციტრუსებს, მათი გატანა საქართველოს გარეთ, კერძო პირების მიერ საერთოდ აიკრძალა. აფხაზმა გლეხებმა, სახმელეთო გზით გასაყიდი საქონლის გადაადგილების შესაძლებლობას მოკლებულებმა, საოცარი გამომგონებლობა გამოავლინეს: ისინი ციტრუსებს, ყვავილებს, კაკალს, დაფნის ფოთოლს ტვირთავდნენ დაქირავებულ ორთქმავლიან გემებზე, საზღავო ამწეებიან ბარჟებზე, სატვირთო თვითმფრინავებზე და ისე გაჰქონდათ. საქართველოში ვითარება ფეთქებადსაშიში ხდებოდა.

უფრო და უფრო მეტი უთანხმოება იყო ქართველებს და აფხაზებს შორის. ეს მოხდა იმიტომ რომ კორუფციასთან ბრძოლას, ისევე როგორც დაავადებებთან ბრძოლას, იქნება ეს საზოგადოების თუ ორგანიზმის სნეულებები, შეიძლება ჰქონდეს უკუჩვენებები: მჟავანაძის დროს იატაკქვეშეთში მყოფი „საქმიანი ხალხი“ თვეში აკეთებდა 50-დან 100 ათას რუბლს, შევარდნაძის დროს მათი შემოსავალი თვეში ნახევარი მილიონიდან - მილიონ რუბლამდე აღწევდა. შევარდნაძე კი, დარღვევის ადგილებზე მიზეზების გასარკვევად, კომისიას კომისიაზე აგზავნიდა.

შემოწმებას ექვემდებარებოდნენ პროკურატურის, ცენტრალური ბანკის და სსრკ სამშენებლო ბანკის თანამშრომლები. დაიწყო ახალი დაპატიმრებების სერია. ქალაქ ქუთაისის პირველმა მდივანმა თავის კაბინეტში თავი მოიკლა.

ექსპერიმენტის განხორციელებაში ანდროპოვი ხშირად ეხმარებოდა შევარდნაძეს. მან ედუარდ ამბროსის ძეს შესთავაზა საქართველოს რომელიმე რაიონში სოფლის მეურნეობის ძველი უნგრული მოდელის გამოცდა. იმ მოდელისა, რომელიც 50-ანი წლების დასაწყისში გაავრცელეს მთელს უნგრეთში. ანდროპოვს შესანიშნავი მეხსიერება ჰქონდა: 50-იან წლებში ის იყო ელჩი უნგრეთში, რასაც ამაოდ არ ჩაუვლია უნგრელი ხალხისთვის.... ანდროპოვი მშვიდად სწავლობდა უნგრეთის კოლმეურნეობებსა და კოოპერატივებს, მაშინ როდესაც საბჭოთა ჯარები ბუდაპეშტს უტევდნენ.

საქართველოში მაშინვე ჩაეჭიდნენ ანდროპოვის წინადადებას. უნგრეთში გააგზავნეს დიდი ქართული დელეგაცია. ექსპერიმენტი წარმატებული აღმოჩნდა. აბაშის რაიონის მდივანი მგელაძე დანიშნეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრად. აბაშის ექსპერიმენტს დიდხანს ინახავდნენ საიდუმლოდ. მკითხველთა ფართო წრეს აბაშის ექსპერიმენტზე შეატყობინეს მხოლოდ შევარდნაძის მოსკოვში გადაყვანამდე ცოტა ხნით ადრე.

რაიონზე მიამაგრეს ცნობილი მწერალი, ჟურნალ „ განთიადის" რედაქტორი კონსტანტინე ლორთქიფანიძე. მან დაწერა წიგნი „რა მოხდა აბაშაში". საკვირველია, მგრამ აქ სიმართლე იყო აღწერილი. გლეხებს ახალისებდნენ საერთო მოსავლის წილით და ეს გლეხები ახდენდნენ სასწაულებს: აშრობდნენ ჭაობებს, ამდიდრებდნენ მიწას, რგავდნენ სიმინდს და ყოველ შემოდგომაზე ხარობდნენ თავისი ხელით მოწეული მოსავლით, სანამ შევარდნაძე არ გადაიყვანეს მოსკოვში.

მაგრამ შემდეგ, მათთვის მძიმე დრო დადგა. რესპუბლიკაში ლიდერობისთვის ბრძოლა დაიწყო ჯუმბერ პატიაშვილსა და სოლიკო ხაბეიშვილს შორის და აბაშელი გლეხები ყველას გადაავიწყდა. მათ ჯერ არ მისცეს დაპირებული წილი, შემდეგ კი რაც მათ ადრე გამოიმუშავეს, ისიც წაართვეს. კონსტანტინე ლორთქიფანიძემ ამის შესახებ დაწერა სამწუხაროდ ვერ მოასწრო. ამ დროისთვის, ის მძიმედ ავად იყო და მალე-

ვე გარდაიცვალა. ამიტომ, წიგნი „რა მოხდა აბაშაში“ დარჩა სათანადო ეპილოგის გარეშე.

ნაშრომი რუსულიდან თარგმნა ია გორგიშელმა.

ეს სტატია გამოქვეყნდა: გაზეთ "Время НН"- 15.04.2010წ.
წიგნში: "...Как птица из сети ловящих..." / Яков Папиашвили ; Редакторы: Игорь Шальман (гл. ред.), Марк Папиашвили ; Предисловие Герцель Хакак. Израиль : Издат. дом А.И.С., Нетания, 2017. Ст. 399-410.

ჯაველიძე
(წერილი ბატონ ელიზბარ ჯაველიძეს)

ბატონო გურამ!

წავიკითხე „სახეები და სიტუაციები“ („მენორა“, №6, 2023, გვ. 6) განსაკუთრებით საინტერესოა ქვეთავი „ელიბო“.

ბატონი ელიზბარ ჯაველიძე იყო და არის ჭეშმარიტი ადამიანი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, მიუკერძოებელი პიროვნება, ბრწყინვალე მეცნიერი, რომელმაც იცის, რომ იესო ქრისტე ებრაელებმა კი არა პონტი პილატემ ანუ რომის იმპერიამ აცვა ჯვარს.

არასოდეს დამავიწყდება "ლიტერატურული საქართველოს" კოლექტივის ჩამობრძანება ქუთაისში მისი ხელმძღვანელობით... როცა ბატონი ელიზბარი ამ გაზეთის მთავარი რედაქტორი ბრძანდებოდა ქართველმა ხალხმა დამოუკიდებლობის სურნელი იყნოსა...

როცა ბატონი ელიზბარი განათლების მინისტრი ბრძანდებოდა, ერთ-ერთ შეხვედრაზე საქართველოს პირველ პრეზიდენტს დაახლოებით შემდეგი სიტყვებით მიმართა:

ბატონო ზვიად! ფასდაუდებელია თქვენი დამსახურება ქართული ლიტერატურის და ქართული მეცნიერების განვითარების საქმეში, მაგრამ თუ ბატონი ზვიადი უფრო დიდ დროს საქართველოს თავდაცვითი უნარიანობის განმტკიცებას დაუთმობს ვფიქრობ მრავალმხრივ იქნება მიზანშეწონილი...

ვუსურვებ ბატონ ელიზბარ ჯაველიძეს ჯანის სიმთელეს და დიდხანს სიცოცხლეს. მრავალჟამიერ!

დღესასწაული ჭირის დროს

რომანის „გაგრა“ წინასიტყვაობა

იაკობ პაპიაშვილის რომანები არაერთ ენაზე ითარგმნა. მისი სიუჟეტები მოქანავე გემით მოგზაურობას ჰგავს. მთხრობელი სხვადასხვა დროსა და ადგილს გადაკვეთს, და, ყველაფერს, რაზეც ის ყვება, მრავალფეროვანი და ამავე დროს, ძალიან განსაკუთრებული ხასიათი აქვს, როცა ყველა დეტალს ერთობლიობაში უნივერსალური მნიშვნელობა ენიჭება.

არ დაგვავიწყდეს, რომ ქართული კულტურა, ძვ. წ. XII საუკუნეში კავკასიაში, ქართლის და კოლხეთის სამეფოში, შავი ზღვის სანაპიროზე წარმოშობილი უძველესი კულტურაა. ვინც წაიკითხავს პაპიაშვილის თხზულებებს, იგრძნობს შორეული ისტორიის და მითის კვალს, რომლის მიხედვითაც იასონი ოქროს საწმისის მოსაძებნად გაემგზავრა.

იაკობ პაპიაშვილის შემოქმედებაში ძველ კულტურასთან დამაკავშირებელი ძაფების მოძიების ძლიერ სურვილს ვხედავთ. ავტორის აზრით: შოთა რუსთაველმა „ვეფხისტყაოსანი„- ქართული ეროვნული ეპოსი იერუსალიმის ჯვრის მონასტერში XII საუკუნეში დაწერა. ამ დროიდან დღემდე მისი გავლენა ქართულ ლიტერატურაზე არ ნელდება, ყველა გვერდს მიჰყვება.

უძველესი ნაწარმოები დავიწყებას არ მისცემია.მას შემდეგ, მისგან მრავალი თაობა საზრდოობდა და ცდილობდა თავისი კვალი დაეტოვებინა ქართულ და დასავლურ ლიტერატურაში (ვგულისხმობ ცნობილი ქართველი მწერლის რევაზ მიშველაძის წიგნს „იერუსალიმი – თბილისი“, რომელიც რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ გვერდით დევს ისრაელის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, იერუსალიმში.)

პაპიაშვილი წარსულიდან გვიყურებს და გვაგრძნობინებს, რომ არსებობს ძველისა და ახლის შერწყმის საშუალება, რომელსაც ლიტერატურის მეშვეობით შეუძლია გამოგვიყვანოს ნაცრისფერი რუტინიდან მიმზიდველი სიუჟეტებით, რათა ყოფიერების საიდუმლო შევიგრძნოთ.

ბალზაკმა თავის ნამუშევარს (137 ნაწარმოები – 91 დასრულებული და 46 დაუმთავრებელი) უწოდა „ადამიანური კომედია“, XIV საუკუნის დასაწყისში იტალიურად დაწერილი დანტე ალიგიერის პოემის „ღვთაებრივი კომედიის“ ანალოგიით. აღსანიშნავია, რომ სიტყვა „ღვთაებრივი“ არ ეკუთვნის ალიგიერს, რადგან მან თავის შესანიშნავ ნაწარმოებს არისტოტელეს „პოეტიკის“ შესაბამისად, უბრალოდ „კომედია“ უწოდა. ,,ღვთაებრივად“ იგი პირველად ჯოვანი ბოკაჩომ მოიხსენია.

იაკობ პაპიაშვილი შემოქმედთა რიგს უერთდება. მწკრივში ჩამდგარი მისი წიგნების გალერეა, გვიქმნის ისტორიასა და კაცობრიობასთან დაკავშირებულ საგას, სიტუაციების და შეხედულებების კომედიას.

ეჭვგარეშეა, რომ იაკობ პაპიაშვილის შემოქმედება – პროზა, პოეზია, ჟურნალისტიკა, თარგმანები, სამეცნიერო შრომები – ძალიან რეალისტურია და მას არ შეიძლება ეწოდოს არც ,,კომედია“ და არც ,,ღვთაებრივი კომედია“, მაგრამ განათლებული ადამიანი, რომელიც კაცობრიობის ისტორიისადმი გულგრილი არ არის, მიხვდება, რომ იაკობ პაპიაშვილის რომანი „გაგრა“ უფრო „კომედიაა“, ვიდრე“ ტრაგედია!“

უმჯობესია, ერთხელ და სამუდამოდ ყველაფერი თავის ადგილზე განვალაგოთ, ვიდრე ყოველდღე ეცადო ვიღაცას უმტკიცებდე, რომ აფხაზეთი საქართველოა და არა რუსეთი!

ამ თვალსაზრისით, ისრაელელი მწერლის ეფრემ ბაუხის მოსაზრება ძალიან საინტერესოა:

„იაკობ პაპიაშვილი არის ებრაელი მწერალი, რომელიც ქართულად წერს. თავისი სულის ფესვებით, ისევე როგორც იმ სიტყვების ფესვებით, რა ენაზეც წერს, მწერალი უკავშირდება მიწას, სადაც იგი დაიბადა და ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი გაატარა.

... და კიდევ. ყოველ შემთხვევაში, მე, პირველად აქ წავიკითხე იმ ტრაგიკული ქარ-ცეცხლის შესახებ, რომელშიც ეს საოცრად ლამაზი მიწა – საქართველო მოექცა. და „ორი სურათი“ სინამდვილეში ატარებს ტკივილს, არასტაბილურობას და შფოთვას ჩვენი სამყაროს მომავლისთვის, რომელიც მესამე ათასწლეულის ზღურბლზეა“. (1998 წელი).

ზოგჯერ ჩვენ გაკვირვებულნი ვართ, რომ ყველაზე საოცარი ქარიშხლები სწორედ იმ ადგილას ხდება, რომელიც მშვიდი და წყნარი ჩანს.

იაკობ პაპიაშვილი საოცარ და თავზარდამცემ სიუჟეტს ქსოვს; შეიტყო რა ეპოქის ყველა საიდუმლო, როგორც გამოცდილი რეჟისორი, ახერხებს ძველი სამყაროს ხელახლა შექმნას.

მართალია, მას შემდეგ ათობით წელი გავიდა, და ჩვენ მაინც ვსაუბრობთ იმ ისტორიაზე, რომელიც მაღალ საზოგადოებასთან ახლოს, ქართულ კოლექტივში ხდება. სიმშვიდის მიღმა ცვალებადი ქარიშხალია: მთხრობელი ახერხებს თავბრუდამხვევ სიუჟეტში შეგვიყვანოს – და ეს ყველაფერი ხდება გამყინავი სულისკვეთებით. ზღაპრული საკურორტო ზონის ცენტრიდან მოულოდნელობის ნაკადი იჭრება. ავტორის ნიჭი მდგომარეობს იმაში, თუ როგორ აშუქებს ისტორიულ და მსოფლიო მნიშვნელობის სიუჟეტს: პაპიაშვილი ოსტატურად იყენებს თანამედროვე მთხრობელების ტექნიკას, რომლებმაც იციან როგორ დააკავშირონ რამდენიმე შინაგანი სიუჟეტი. ფურცელ-ფურცელ სიუჟეტი იხსნება და ძირითადი აზრი ნელ-ნელა იკვეთება. პერსონაჟთა ქცევასა და მოვლენებს შორის აღმოვაჩენთ ეპოქის და ადგილის ისტორიას, ჩვენთვის უცნობი ადამიანების განწყობებს. და ეს ყველაფერი ამაღელვებელია. ცოტას თუ შეუძლია ამ მომხიბლავი კულტურული სამყაროს პერსონაჟების განსაკუთრებული ხიბლის გამოვლენა.

მაგალითად, ორი პერსონაჟის შეხვედრა, ნაწყვეტი ერთ-ერთი ქალი პერსონაჟის სიტყვებიდან – და შემდეგ, კითხვას პასუხი მოჰყვება, მაგრამ ვგრძნობთ, რომ ეს დიალოგები მხოლოდ გვაინტრიგებს სიმართლის გარკვევის მოლოდინში.

აი რას ამბობს ეს პერსონაჟი:

„არა, გულწრფელად გითხრათ, გულთან არაფრის მიტანა არ ღირს. ჩვენთვის ღმერთისგან მონიჭებული სულ რამდენიმე დღეა“.

მაშინვე ჩნდება ბუნებრივი კითხვა: „მაშ, რა მოხდა სანაპიროზე? – ჰკითხა ვიქტორმა“...

და ნახეთ, როგორ მიგვიყვანს პასუხი საიდუმლოებებთან, რომლებიც შემდეგში გამოვლინდება:

„ხომ ვამბობდი, რომ ეს საშინელებაა. რაღაც წარმოუდგენელი. როგორც ჩანს, ეს ყველაფერი მოგველანდა, მოგვეჩვენა. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ყველაფერი ჩემი თვალით ვნახე“.

იაკობ პაპიაშვილი რაღაც გზებით ახერხებს სიუჟეტის აგებას, რომელიც პარალელს ქმნის სუპერ გმირების მდიდრულ სამყაროსა და წარსულიდან გადმოსულ განსაკუთრებულ პერსონაჟებს შორის. ეს მართლაც ამაღელვებელი განცდებია: ჩვენ აღფრთოვანებული ვართ პერსონაჟებთან საინტერესო შეხვედრით, რომლებიც მითოლოგიური ფიგურები არიან, ხელოვნების სამყაროს შთაგონების წყარო.

არსებობენ თუ არა ასეთი პერსონაჟები, შეძლებენ თუ არა გავლენის მოხდენას, თუ უკვალოდ გაქრებიან?

შეეცადეთ გამოიცნოთ შემდეგი დიალოგის უკან რა იმალება:

„ქალი-დედა, ზღაპრიდან გადმოსული მზეთუნახავი. უსასრულოა მისი დედობრივი სიყვარული! ბევრი ფიქრობს, რომ ეს მხოლოდ პოეტური სახეა, რომელიც სინამდვილეში არ არსებობს. რომ იგი დიდი ხნის გამქრალია და XX – XXI საუკუნეებს შემორჩა როგორც მშვენიერი ლეგენდა, როგორც ხელოვნების უნიკალური შედევრი, როგორც მხატვრული სიტყვის უკვდავი ნიმუში.“

ასე რომ, ჩვენ სიუჟეტში იდუმალი გზებით მივყვებით იმ საიდუმლო კარებს, რომელთა მიღმა დეტალები იმალება და ლეგენდა თანდათანობით რეალობად იქცევა. დიახ, ეს ყველაფერი გაირკვევა სიუჟეტის გაგრძელებისას. იაკობ პაპიაშვილმა იცის რა იმალება კარის მეორე მხარეს, ყოველთვის ახალი სიურპრიზის მოლოდინში ამყოფებს მკითხველს.

დიდი და ტრაგედიებით სავსეა საქართველოს ისტორია. აფხაზეთი საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კუთხეა. ქართული ტომები: აფხაზები, მეგრელები, კახელები და სხვები XII-XIII საუკუნეებში, ისევე როგორც ადრეულ ხანაში (VII-VIII საუკუნეები), არაბ-თათარ-მონღოლთა შემოსევების დროს, მათ წინააღმდეგ ერთად იბრძოდნენ. ეს ის დროა, როდესაც რუსული ენა ჩამოყალიბების პროცესში იყო, ხოლო საქართველოში შესანიშნავი ლიტერატურული ნაწარმოებები

უკვე იწერებოდა. ერთ-ერთი მათგანია მსოფლიოში ცნობილი „ვეფხისტყაოსანი“.

პაპიაშვილის პროზის, ამ შემთხვევაში რომანის ლიტერატურული სახე ეხმიანება იმ ნაწარმოებებს, რომლებმაც სამყაროს იერსახე შეცვალა. ჰუმანიზმის, თავისუფალი აზროვნების, ასკეტური ცხოვრების უარყოფის იდეით, რელიგიისა და ზნეობის საფუძვლების შერყევით, მშვენიერმა მთხრობელმა, ჯოვანი ბოკაჩომ, „დეკამერონში“, ნოველიდან ნოველამდე, ეგზოტიკურ ყვავილებსა და ხეხილთა შორის, მოახერხა დაეხატა ათდღიანი „დღესასწაული ჭირის დროს“ ანუ „ვნებათა ღელვა (გატაცება) სიკვდილის პირას“.

რომანში „გაგრა“ არის კვალი სულიერი გავლენისა და განცდებისა, რაც ადამიანური გრძნობების გათვითცნობიერების საშუალებას იძლევა და ზემოქმედებას ახდენს ადამიანის სულიერ მდგომარეობაზე.

იაკობ პაპიაშვილი კარგად ახერხებს ურთიერთსაწინააღმდეგო სიტუაციების მოფიქრებას: მშვიდობიან დროს, ადამიანები ცხოვრების სხვადასხვა მოულოდნელობებით ერთობიან. ხილულ სიმშვიდეს შინაგანი ბრძოლა ელოდება. რომანი ასახავს აფხაზეთის, შავი ზღვის კურორტის საოცარ სილამაზეს: იხსნება საბჭოთა საზოგადოების ადათ-წესების მრავალფეროვანი პანორამა, იმ საზოგადოების, რომელიც საბჭოთა ზნეობის სულისკვეთებითაა აღზრდილი … ერთი შეხედვით, ყველაფერი კარგადაა, მაგრამ უცებ ჩამობნელდა, ცუდი დრო დადგა („პერესტროიკა“). მოვლენების საშუალებით ეპოქის საიდუმლოებები ვლინდება.

ამ კოშმარის გამო, ორი სურათი სასტუმრო „გაგრიფშის“ ცხოვრებიდან ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან, ანუ იყო მშვიდობა – და მოულოდნელად მოხდა ომი, საშინელი და დაუნდობელი…

სიუჟეტი აშკარას ხდის სოციალურ კრიზისს, ეთიკური კოდექსებისთვის ბრძოლას, ცრურწმენებს. ნაწარმოები ეპოქის განწყობის გამოხატვის და სულიერი ტენდენციების ამოკითხვის, ამოცნობის საშუალება ხდება: ნაწარმოების ფინალში, სიკვდილის ზღურბლზე მდგომი არსენ აფხაზავა შემდეგი სიტ-

ყვებით ამართლებს ქალს, რომელმაც ქმარი მოატყუა: „- როგორ შეიძლება ამის თქმა?“ – თქვა მან. –“ რა შუაშია რუსია თუ ქართველი?“ ალბათ გსმენიათ ასეთი იტალიური გამონათქვამი – „ყველა ქალი მეძავია, მაგრამ დედაჩემი – წმინდანია!“ ზოგადად, ნებისმიერმა ქალმა ცხოვრებაში თავის დანიშნულება შესანიშნავად იცის – ოჯახის შექმნა და ბავშვების აღზრდა. მე აქ შეგნებულად არ ვამბობ „შვილების გაზრდას“, რადგან ამ ცნებებს შორის არსებითი განსხვავებაა. ქალი ხომ კაცისგან ითხოვს არა მხოლოდ ბავშვის გაჩენაში თანამონაწილეობას, არამედ ცხოვრების გამარტივებას და თუ ოჯახში ეს პრობლემა არ გვარდება, ქალი მუდამ ეძებს ხვრელებს, მოვალეობების შესრულების მარტივ გზებს“.

მკითხველებს გარანტირებული აქვთ განსაკუთრებული განცდები, ამ ისტორიაში გასაღები ბევრჯერ გადატრიალდება, მხოლოდ იმისთვის, რომ თითოეული გაღებული კარის წინ შევიგრძნოთ რომ ბევრი რამ შეიძლება მოხდეს. წიგნს მოვლენათა მორევში გადავყავართ: ისტორია, ემოციები და აზრები – ეს ყველაფერი სიუჟეტს კვანძავს. ეს ყველაფერი მკითხველთა განცდებს ამძაფრებს. მართლაც, ამ შესანიშნავი ისტორიით სიამოვნება გარანტირებულია.

ჰერცელ ჰაკაკი,
ებრაულენოვანი მწერალთა კავშირის
თავმჯდომარე, პოეტი, პუბლიცისტი

ებრაულიდან რუსულ ენაზე თარგმნა იაკობ პაპიაშვილმა
ქართული თარგმანი ეკუთვნის ია გორგიშელს

STALINGRAD გენერალ
შარლ დე გოლის ხანგრძლივი სვლაგეზი

2000 წელს, გრანპალეს მახლობლად, მარმარილოს კვარცხლბეკზე აღიმართა საფრანგეთის პრეზიდენტის შარლ ანდრე მარია დე გოლის ექვსმეტრიანი ბრინჯაოს ფიგურა.

ერთხელ, ელისეის მინდვრებზე მორიგი ექსკურსიის დროს, ჩვენ – ტურისტები ისრაელიდან ამ ძეგლის გვერდით აღმოვჩნდით.

– საით მიემართება იგი ასე მხნედ და გრძელი ნაბიჯით? – დავინტერესდი მე.

– სტალინგრადში! – ღიმილით მიპასუხმა გიდმა.

– სტალინგრადში?... მაგრამ რუსეთში უკვე დიდი ხანია აღარ არის სტალინგრადი.

– სამაგიეროდ ის არის პარიზში.

გაირკვა, რომ მეგზურმა თქვა სიმართლე, გარდა ამისა, აღმოჩნდა, რომ საფრანგეთის ზოგიერთ დიდ ქალაქში, მათ შორის ნიცაში, არსებობს ამ ცნობილი სახელის მატარებელი სხვა ძეგლებიც.

დამატებითი ღონისძიებების ჩამონათვალში, ექსკურსია სტალინგრადში არ იყო გათვალისწინებული, ამიტომ მე საკუთარი ინიციატივით წავედი იქ და გულისყურით დავათვალიერე მიდამო.

სტალინგრადის მოედანი აღმოცენდა პარიზის ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ არემარეში 1945 წელს, საფრანგეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის დროს, ფრანგი ხალხის გადაწყვეტილებით.

მოედანი მდებარეობს პარიზის მე-19 ოლქში, ზუსტად სეკრეტანის და სან ჟორესის ქუჩების გადაკვეთაზე; იქვეა ბულვარი ვილეტი და ფოეტეს ქუჩა, სულ ახლოს მიედინება სენ-მარტენის არხი, მყუდრო და გრილი ადგილი მოსეირნეთათვის. თვითონ ოლქი, ქალაქის ჩრდილო-არმოსავლეთით მდებარეობს და აქვს კარგი ინფრასტრუქტურა. აქ შეიძლება მოინახულოთ პარიზის ყველაზე დიდი – ლია ვილეტის პარკი თავისი წყალსატევით, პარკში განთავსებული გრანდ-ალის საკონცერტო – სა-

გამოფენო დარბაზი, რომელიც ეიფელის კოშკზე უხნესია; განუმეორებელი სიმშვენიერით მოგხიბლავთ ჟან-ჟორესის ხეივანი.

უახლოესი მეტროს სადგური, საიდანაც მოედნამდე ფეხით შეიძლება მისვლა, არის პარიზის მეტროპოლიტენის სადგური „სტალინგრადი“. იგი მდებარეობს პარიზის მე-10 და მე-19 ოლქების საზღვრებზე, მე-2, მე-5, მე-7 ხაზების გადაკვეთაზე და განთავსებულია სტალინგრადის მოედანზე, სადაც ლამაზი შადრევნები ამოჩქეფს ლია ვილეტის როტონდის წინ მოწყობილ დიდ საცურაო აუზში.

მეტრო „სტალინგრადის“ ღირსშესანიშნაობებია: სენ-მარტენის არხი, ლია ვილეტის როტონდა და სტალინგრადის მოედანი.

ლია ვილეტის როტონდას 200 წელზე მეტი ხნის ისტორია აქვს. იგი აშენებულია არქიტექტორ ნიკოლია ლედუს პროექტით 1988 წელს, შესულია მსოფლიოს ისტორიულ ძეგლთა დაცვის სიაში და რესტავრირებულია 2011 წელს. ის განთავსებულია „სტალინგრადის“ და „ჟორესის“ მეტროებს შორის, სტალინგრადის მოედნის ცენტრში. კაპიტალური რესტავრაციის შემდეგ როტონდის ინტერიერის სტილი თანადროულია. პირველ სართულზე მოქმედებს რესტორანი განთქმული ფრანგულის სამზარეულოთი და ბრასერები – ლუდის მოყვარულთათვის. შენობის ცენტრალურ ნაწილში არის სათავსოები, სადაც იმართება ხალხმრავალი კულტურული საღამოები, კონცერტები და დისკოთეკები, აგრეთვე საქმიანი ხალხის შეხვედრები და საუბრები. არის სპეციალური დარბაზები კონფერენციებისა და სემინარების ჩასატარებლად.

თვითონ მეტრო „სტალინგრადის“ ისტორია იწყება 1905 წლის 31 იანვრიდან. ამ დღეს გაიხსნა მიწისქვეშა სადგურის მე-2 ხაზი სახელწოდებით „რი-დ ობერვილიე“. 1910 წლის 5 ნოემბერს გაიხსნა მომდევნო მიწისქვეშა სადგურის მე-7 ხაზი – „ობერვილიე-ბულვარ-დ ლია ვილეტ“, ხოლო 1942 წლის 12 ოქტომბერს – მესამე სადგურის მე-5 შეუერთეს წინა ორ ხაზს. 1946 წლის 10 თებერვალს საფრანგეთის დროებითი მთავრობის სპეციალური დადგენილების თანახმად, პარიზის მეტროპოლი-

ტენის სადგურს „ობერვილიე-ბულვარ-დ ლია ვილეტ“ შეეცვალა სახელი და ეწოდა „სტალინგრადი“.

1961 წლის 10 ნოემბერს, საბჭოთა კავშირში და ე.ი. რუსეთშიც გმირი ქალაქი „სტალინგრადი“ გაქრა; იმ დღიდან სტალინგრადის ბრძოლების ეპოპეას შესაძლებელია გავეცნოთ მხოლოდ პარიზში და საფრანგეთის სხვა დიდ ქალაქებში. თუმცა საკითხავია: მხოლოდ სტალინგრადის ბრძოლების პატივისცემის ნიშნად მიიღო ასეთი ფრიად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება საფრანგეთის დროებითმა მთავრობამ და ფრანგმა ხალხმა?

ტურუსტული მოგზაურობიდან აღთქმულ მიწაზე რომ დავბრუნდი, ამ საკითხით დავინტერესდი და ყურადღებით გადავფურცლე დიდი სამამულო ომის უკვე საკმაოდ შეყვითლებული ფოლიანტები, პარიზში სტალინგრადის დაფუძნებასთან დაკავშირებით.

დავიწყებული ისტორია

1941 წლის ზაფხული. წითელი არმია ვერმარხტის გააფრთებულ შეტევებს იგერიებს. საფრანგეთი განიცდის ოკუპაციის ტრაგედიას. „თავისუფალი (მებრძოლი) საფრანგეთი“ ცდილობს წინააღმდეგობა გაუწიოს ჰიტლერელებს. გენერალი დე გოლი მოწოდებით მიმართავს „მებრძოლი საფრანგეთის“ ნაციონალურ კომიტეტს – დაამყარონ სამხედრო თანამშრომლობა მოსკოვთან. 1941 წლის სექტემბერში სტალინმა აღიარა დე გოლი ყველა თავისუფალი ფრანგის მეთაურად. ამასთანავე კრემლი ყურადღებით სწავლობს გენერალის მიერ მიღებულ ყველა გადაწყვეტილებას, როგორც ლონდონში, ასევე სხვა ადგილებში. მიაჩნიათ, რომ იმ დროს ის იყო ყველაზე უფრო პერსპექტიული ფიგურა, რათა შემდეგში გამხდარიყო საფრანგეთის ხელმძღვანელი.

სტალინი, რა თქმა უნდა ფლობდა უტყუარ სადაზვერვო ინფორმაციას იმის შესახებ, როგორ ჰქონდათ დანახული ომის შემდგომი საფრანგეთი ვაშინგტონსა და ლონდონში. მოკავშირეები იმედს ამყარებდნენ გენერალ ანრი ჟიროზე და მისი დახმარებით ცდილობდნენ ხელში ჩაეგდოთ საფრანგეთის წინააღმდეგობრივი მოძრაობა, რომ ამ გზით დაემყარებინათ სამხედრო და პოლიტიკური კონტროლი ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებზე – ალჟირზე, ტუნისზე და მაროკოზე, რომლებიც საფრანგეთის კოლონიებად ითვლებოდნენ. ცხადია, როგორც რუზველტი, ასევე ჩერჩილი რამდენჯერმე შეეცადნენ დაემორჩილებინათ დე გოლი, გაეხადათ იგი თავიანთ ხელქვეითად, მაგრამ ეს მათ არ გამოუვიდათ, ვერ დაიქვემდებარეს გენერალი; ამიტომ იყო, რომ ისინი, პირად მიმოწერებში, დე გოლს „ჭირვეულ ფრანგ პარატძალს“ უწოდბდნენ. მოგვიანებით, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ენტონი იდენმა, თავისი აზრი ზემოაღნიშნულზე ასე გამოხატა: მოკავშირეები ცდილობდნენ „არ მიეცათ დე გოლისთვის არავითარი შესაძლებლობა ერთია-

ნი ფრანგული ხელისუფლების შექმნისათვის მოკავშირეთა არ-მიების ნორმანდიაში გადმოსხმამდე, მით უმეტეს მთავრობის ფორმირებისათვის, რამეთუ მაშინ უკვე აღარ მოხერხდებოდა მისი ხელისუფლებიდან ჩამოშორება“. ამ გზით მოკავშირეები ცდილობდნენ დაბრკოლება შეექმნათ საფრანგეთისათვის შეე-ნარჩუნებინა მისი როგორც დიდი სახელმწიფოს პოზიციები, გერმანიის დამარცხების შემდეგ.

ეს ყველაფერი სტალინმა იცოდა. გარდა ამისა, საბჭოთა ლიდერს მშვენივრად ესმოდა, რომ სოციალისტურ სახელმწი-ფოს და საფრანგეთს მაშინ ჰყავდა არამარტო საერთო მტერი, არამედ აგრეთვე საერთო მოკავშირეები. ამასთან ერთად სტა-ლინისთვის ცნობილი იყო, რომ 1941 წლის ოქტომბრის ბოლოს, გერმანელებმა კალუგა რომ დაიპყრეს და მალე, როცა ბრძო-ლები მიმდინარეობდა მ

ოსკოვიდან ოცდაათიოდე კმ-ის მოშორებით, 638 ფეხოსანი პოლკის ფრანგულ ბატალიონებს სიტყვით მიმართა ფელდმარ-შალმა ჰიუნტერ ფონ კლიუგემ და წახალისების მიზნით შეახსე-ნა მათ ფრანგების გამარჯვება აუსტერლიცში და ბოროდინო-ში… და ეს, რა თქმა უნდა, მოკავშირეებს აძლევდა საბაბს (კო-ზირს) ფრანგული მიწების გაყოფა – დანაწილებისთვის ომის შემდეგ.

მაგრამ ამ დროს, კრემლში ჯერ კიდევ არ იცოდნენ მკაფი-ოდ, თუ როგორ ჰქონდა გენერალ დე გოლს წარმოდგენილი ომისშემდგომი ევროპა და რას ფიქრობდა ის ამერიკელებთან და ინგლისელებთან ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. ამის გამო, მოსკოვში და პარიზში ეძებენ გზებს ერთმანეთთან უფრო მჭიდრო კონტაქტების დასამყარებლად. მაგრამ იმ ხანად, მო-კავშირეები საბჭოთა დიპლომატებს ალჟირში არ უშვებდნენ. ამიტომ 1943 წლის 1 აგვისტოს, სტალინის პირადი დავალებით, თეირანიდან ალჟირში გაფრინდა საბჭოთა დაზვერვის რეზი-დენტი ივანე აგაიანცი, საბჭოთა კავშირის წარმომადგენლის

პასპორტით რეპატრიაციის კომისიაში ივანე ავალოვის სახელზე, იმისთვის რომ მონაწილეობა მიიღოს „მებრძოლი საფრანგეთის“ ნაციონალურ კომიტეტთან არსებულ სსრკ წარმომადგენლობის ორგანიზაციის მუშაობაში.

ეს იყო ოფიციალური ვერსია ანუ როგორც მზვერავები ამბობენ ლეგენდა. სინამდვილე კი ის იყო, რომ საბჭოთა მზვერავს დავალებული ჰქონდა სასწრაფოდ დაემყარებინა კონტაქტი გენერალ დე გოლთან.

დავალების სისწრაფე, ისევე როგორც მისი დიდი მნიშვნელობა, ძალიან უბრალოდ აიხსნება. სულ მალე – მომდევნო თვეში, თეირანში დაგეგმილია „დიდი სამეულის“ – რუზველტის, ჩერჩილის და სტალინის კონფერენციის გახსნა, სადაც უმთავრეს საკითხად განიხილებოდა, თუ როგორი იქნებოდა ომისშემდგომი ევროპა.

ზოგიერთი წყაროს თანახმად, ივანე აგაიანცი ებრაული წარმოშობის სომეხია. ის ცნობილია ზედმეტსახელით „ღვთისაგან მოვლენილი მზვერავი“. მიუხედავად საშუალო განათლებისა, აგაიანცი თავისუფლად ფლობდა ფრანგულ, სპარსულ, თურქულ და ესპანურ ენებს, კარგად იცოდა იტალიური და ინგლისური, ამასთანავე ჰქონდა ენციკლოპედიური ერუდიცია. თავისი მოქმედების სფეროში მან დანერგა ახალი იდეები და საბჭოთა დაზვერვაში უპირატესობას ანიჭებდა ინტელექტუალურ მიმართულებას. დე გოლს იგი შეხვდა 1943 წლის 3 სექტემბერს მისი მოწვევით. აგაიანცი 20 წლით უმცროსი იყო საფრანგეთის მომავალ პრეზიდენტზე, მაგრამ სამი თვის განმავლობაში მათი საუბრები მაინც ნდობით აღსავსე იყო.ისინი ერთმანეთს რამდენჯერმე შეხვდნენ. გაეცნო რა ვითარებას საბჭოთა გერმანიის ფრონტზე, გენერალმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დარწმუნებული იყო წითელი არმიის გამარჯვებაში, ამასთან ერთად განმარტა, რომ საბჭოთა წარმომადგენლობის გახსნა „მებრძოლი საფრანგეთის“ ნაციონალურ კომიტეტთან, ამ-

ტკიცებდა საბჭოთა მთავრობის მეგობრულ დამოკიდებულებას საფრანგეთის მიმართ; გულახდილად აღიარა სერიოზული შეუთანხმებლობა გენერალ ჟიროსთან, უწოდა პეტენის მთავრობას მოღალატე და დასძინა: „ვნახოთ, ახლა მოკავშირეები და ჟირო, როგორ ჩამოიყვანენ (პეტენის მთავრობის ადგილსამყოფელი იყო ქ. ვიში. ეს საკურორტო ქალაქი, საფრანგეთის ცენტრში მდებარეობს – ავტორი) ალჟირში“ – დაასკვნა დე გოლმა და თითქოს ყოველი შეაჯამაო, თქვა: „მით უმეტეს ევროპას უნდა მივცეთ თვითგამორკვევის საშუალება ჩვენ ერთად ადვილად გადავწყვეთ გერმანიის ბედს“.

გამოსამშვიდობებელი საუბრის დროს, დე გოლი ეუბნება აგაიანცს, რომ მან გააკეთა თავისი არჩევანი და ამის ნიშნად თხოვს მას შეატყობინოს მოსკოვს, რომ მისი დაზვერვის მონაცემებით ი.ბ. სტალინის შვილი – იაკობი, ცოცხალია, იმყოფება გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკში ლიუბეკში, თავი უჭირავს კარგად, მაგრამ აყენებენ შეურაცხოფას და აწამებენ; არის შესაძლებლობა დამყარდეს მიწერ-მოწერა ი.ბ. სატლინის შვილთან მისი მზვერავების საშუალებით.

ასეთმა გულთბილმა დამოკიდებულებამ და მსგავსმა ინფორმაციებმა ხელი შეუწყო იმას, რომ კრემლში დაუჯერეს დე გოლს და დაიკავეს უფრო გაბედული პოზიციები რუზველტთან და ჩერჩილთან კონტაქტირებისას ამ საკითხებში. გენერალს ატყობინებენ , რომ იგი ცნეს საფრანგეთის დროებითი მთავრობის ლიდერად, მაგრამ მას სჭირდება დიპლომატიური აღიარება და ამიტომ იგი მიდის მოსკოვში.

არსებობდა საგანგებო გზები, ასე ვთქვათ, რამაც შესაძლებელი გახადა გადაეცათ გენერალისათვის სტალინის მიწვევა კრემლში, პირადად სტალინის დე გოლისათვის: „ჩამოდით! – სტალინი“. და ის ჩავიდა მოსკოვში. ეს მგზავრობა მისთვის სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ალჟირიდან გენერალი გადავიდა ირანში, შემდეგ ტაშკენტში…

კრემლში დე გოლი მიიღეს, როგორც საფრანგეთის მთავ-
რობის მეთაური. გაფორმდა ორმხრივი სახელმწიფოებრივი
ხელშეკრულება 20 წლის ვადით. ხელმოწერის ცერემონიალს
ესწრებოდნენ საბჭოთა დიპლომტიური კორპუსის წარმომად-
გენლები და პირადად სტალინი. ამ ხელშეკრულების თანახმად
1943 წლის 28 ნოემბერს თეირანის კონფერენციაზე, ამერიკე-
ლებმა ცნეს ეს დროებითი მთავრობა დე გოლის მეთაურობით.

ი.ბ. სტალინის დიპლომატიური ძალისხმევით თეირანის
კონფერენციააზე, საფრანგეთი არ გარიცხეს მსოფლიოს დიდი
სახელმწიფოების სიიდან.

* * *

1966 წელს მოსკოვში ვიზიტის დროს საფრანგეთის პრეზიდენტმა შარლ დე გოლმა მიუხედავად განაწესისა, სურვილი გამოთქვა მოენახულებინა სტალინის საფლავი. შეეცადნენ მისთვის ეს განზრახვა გადაეთქმევინებინათ, მაგრამ გენერალი მტკიცე ნებისყოფის აღმოჩნდა, გაიტანა თავისი და მიაღწია, როგორც „კერძო პირი“ სწვეოდა სსრკ ყოფილი ხელმძღვანელის საფლავს. იქ გენერალმა ყვავილების გვირგვინით შეამკო კრემლის კედლის წინ სტალინის ბიუსტი და დიდხანს, ოცი წუთი იდგა მის წინ მხედრული სალმით. მას ბევრი რამ ჰქონდა მოსაგონარი.

… ალბათ სტალინის დიდი დამსახურების გამო ფრანგი ხალხის და საფრანგეთის მთავრობის მიმართ, საფრანგეთის პრეზიდენტმა სარკოზიმ, საკუთარი თავის ხიფათში ჩაგდების შესაძლებლობის მიუხედავად, თბილისის დაპყრობის არავითარი შანსი არ მისცა რუსეთს 2008 წლის აგვისტოში.

* * *

სტალინგრადის მოედანი აღმოცენდა პარიზის ერთ-ერთ მშვენიერ შემოგარენში 1945 წელს. უახლოესი მეტროს სადგური, საიდანაც მოედნამდე ფეხით შეიძლება მისვლა არის პარიზის მეტროპოლიტენის სადგური „სტალინგრადი“. იგი მდებარეობს სტალინგრადის მოედანზე. მოედანის ცენტრში, ლია ვილეტის როტონდის წინ მოწყობილ დიდ საცურაო აუზში, ლამაზი შადრევნები ამოჩქეფს.

P.S. ძველ საბჭოთა ბოევიკში „თეირანი-43“ უშიშარი და სექსუალური მზვერავი, გაგზავნილი მოსკოვიდან ირანის დედაქალაქში საგანგებო დავალებით, მამაცურად უვნებელყოფს გერმანელ ტერორისტებს ოტო სკორცენის მეთაურობით, რომელთა განზრახვა იყო „დიდი სამეულის“ სტალინის, რუზველტის და ჩერჩილის ლიკვიდაცია. ამ ფილმში სამი სიმართლეა: 72 წლის წინ 1943 წლის ნოემბრის ბოლოს გაიმართა „დიდი სამეულის“ კონფერენცია. მეორე: გერმანელები ამზადებდნენ თავდასხმას სსრკ, აშშსა და დიდი ბრიტანეთის ლიდერებზე. მესამე: საბჭოთა დაზვერვამ ტერორისტები უვნებელყო. ამ ანტიტერორისტულ ოპერაციას თეირანში ხელმძღვანელობდა საბჭოთა დაზვერვის რეზიდენტი ივანე ივანეს ძე აგაიანცი. ეს ოპერაცია მსოფლიოს სადაზვერვო ისტორიაში მიჩნეულია კლასიკურ მოდელად.

სტალინი, დე გოლი და ქართული განძი

„არ დავიწყება მოყვრისა,
აროდეს გვიზამს ზიანსა,
ვგმობ კაცსა აუგიანსა,
ცრუსა და ღალატიანსა“.
შოთა რუსთაველი

1944 წლის დეკემბერში გენერალი დე გოლი ისევ მიიწვიეს მოსკოვში საფრანგეთის საერთაშორისო სტატუსის განსაზღვრის მიზნით. მოლაპარაკების მსვლელობის დროს სტალინმა მოულოდნელად ჰკითხა დე გოლს, ხომ არ იცოდა მან იმ ქართული განძის შესახებ, რომელიც ოკუპაციით შეშინებულმა საფრანგეთის ყოფილმა მთავრობამ, სხვა ძვირფასეულობებთან ერთად გადამალა საიდუმლო ადგილას. ამასთან სტალინმა აუხსნა მას, თუ რას წარმოადგენდა ეს განძი ქართველი ერისთვის. აღმოჩნდა, რომ გენერალმა ამის შესახებ არაფერი იცოდა. მაგრამ დაპირდა სტალინს, რომ პარიზში დაბრუნებისთანავე გაარკვევდა ქართული განძეულის ადგილ-სამყოფელს და მიიღებდა ყველა ზომას მის დასაბრუნებლად საქართველოში.

მისი კეთილმყოფელისათვის მიცემული დაპირება დე გოლმა პირნათლად შეასრულა. ვიშის მთავრობის მიერ გადამალულ ქართულ განძს მიაკვლია (განძის ასავალ-დასავალი მაშინ არც ლევილში მცხოვრებმა ქართველმა ემიგრანტებმა და მათ შორის, არც მისმა გუშაგმა ბატონმა ექვთიმე თაყაიშვილმა აღარ იცოდა. მათ ქართული განძი კარგა ხნის გამოტირებული ჰქონდათ – ი.პ.) და მისი ბრძანებით საქართველოს ავლა-დიდება 1944 წლის დეკემბრის ბოლოს გადაიტანეს საბჭოთა კავშირის საელჩოში პარიზში.

იმ დღეს გადარჩა საქართველოს ეროვნული სიმდიდრე. ავი თვალით მას უკვე ვერავინ შეხედავდა და ავი ხელი ვეღარ მიეკარებოდა.

ომის დამთავრებამდე რამდენიმე კვირით ადრე, მოსკოვიდან პარიზისაკენ გეზი აიღო ორმა თვითმფრინავმა. მათ გაჰყვა პეტრე შარია და პროფ. შალვა ამირანაშვილი. გამგზავრების წინ ორივეს ესაუბრა სტალინი. აპრილის დასაწყისში თვითმფრინავები პარიზის აეროდრომზე დაეშვნენ. საფრანგეთის დედაქალაქის აეროპორტში ისტორიული მარშრუტის მოლოდინის მზადყოფნაში იყო ქართული განძეული – 39 ყუთი. პროცესუალური შემოწმების მერე, თვითმფრინავებმა მარსელის გავლით რომისაკენ აიღეს კურსი…, შემდეგ კი თბილისის აეროდრომზე დაეშვნენ.

ეს იყო 1945 წლის 5 აპრილს, ეროვნული განძი თავის პატრონს - საქართველოს დაუბრუნდა.

ზემოაღნიშნული ქართველი მკითხველისათვის ცნობილია. გამოქვეყნებულია უამრავი მასალა, როგორც პოზიციის, ისე ოპოზიციის მხრიდან. ჩემი მოსაზრება ამ საკითხზე შემდეგია: სტალინისთვის საქართველოს ეროვნული განძეული უაღრესად მტკივნეული საკითხი რომ იყო, მეტყველებს ვრცელი წერილი: „მენშევიკების მიერ უცხოეთში გატაცებული განძის ნუსხა“ („კომუნისტი“, 22 თებერვალი, 1931 წელი, N45).

სხვათა შორის სტალინს არასოდეს დავიწყებია არც ბაგრატიონთა დინასტიის დამსახურება ქართული გენის წინაშე და აქედან გამომდინარე, არც მათი ნაოფლარი; მიუხედავად იმისა, რომ მხრებზე უსამართლო ომის დიდი სიმძიმე აწვა, იგი მუდამ ეძებდა ხელსაყრელ მომენტს მათი გადარჩენისთვის, მათივე უკვდაყოფის მიზნით. გავიხსენოთ:

1944 წლის მაისი. კრემლი. მიმდინარეობს უმაღლესი მთავარსარდლის ბანაკის გაფართოებული სხდომა. იხილავენ ბელორუსიის განთავისუფლების ოპერაციას. არმიის გენერალი,

სტალინგრადის და კურსკის ფრონტების სარდალი კონსტანტინე როკოსოვსკი სამჯერ გაუშვეს მოსაფიქრებელ ოთახში. განსახილველი საკითხი სადავოა: ჟუკოვის აზრით დარტყმა მინსკის გასანთავისუფლებლად უნდა განხორციელდეს ერთი მიმართულებით; როკოსოვსკის წინადადებაა შეტევა ორი მიმართულებით. უმაღლესი მთავარსარდლის გადაწყვეტილება როკოსოვსკის მხარეს გადაიხარა და გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე ა. ანტონოვი მივიდა რუკასთან მომავალი სამხედრო ოპერაციის სტრატეგიული გეგმის წარმოსაჩენად. ამ დროს ყველასთვის მოულოდნელად სტალინმა თქვა: „შემომაქვს წინადადება ბელორუსიის ოპერაციას ეწოდოს „ბაგრატიონი“, ჩვენი დიდი მხედართმთავრის პეტრე ბაგრატიონის პატივსაცემად“. რუკასთან საჩვენებელი ჯოხით მდგომმა გენერალმა ანტონოვმა უმალ განაგრძო: „სამხედრო ოპერაცია „ბაგრატიონი“ დასახულია ორი მიმართულებით…“

…1943 წლის ოქტომბერ-ნოემბერში საფრანგეთი ჯერ კიდევ ოკუპირებულია ნაცისტების მიერ და სტალინი არც არაფერს ეტყვის დე გოლს ქართულ განძზე, მაგრამ 1944 წლის დეკემბერში დე გოლი პარიზშია და საფრანგეთის დროებითი მთავრობის თავმჯდომარეა, რაც სტალინის დიდი დამსახურებაა. აქედან გამომდინარე სტალინის თხოვნა ქართული განძის დაბრუნების შესახებ სავსებით ბუნებრივია და დე გოლიც უყოყმანოდ და დიდი მონდომებით შეასრულებს ფრანგი ხალხის დიდი მეგობრის დავალებას.

ბატონ ექვთიმე თაყაიშვილს გადაწურული რომ ჰქონდა საქართველოში დაბრუნების იმედი, კარგად ჩანს მისივე ანდერძიდან, რომელიც შედგენილია სოფელ ლევილში 1943 წლის 26 დეკემბერს. ამ ანდერძში ერთი სიტყვითაც არ არის ნახსენები საქართველოს ავლა-დიდება. მიუხედავად ამისა სტალინი თანახმაა განძეულს თან გამოჰყვეს მისი გუშაგი, რაც ასეც ხდება. რაც შეეხება ნოე ჟორდანიას, რომელსაც აგრეთვე უნდოდა სა-

ქართველოში დაბრუნება, სტალინი თავს იკავებს, რასაც აგ-
რძნობინებს კიდეც პეტრე შარიას და შალვა ამირანაშვილს.

როგორც ცნობილია პარიზის „გარდენბილის“ საცავებში, საქართველოს სახელმწიფოს კუთვნილი ვერცხლეულის გარდა, შენახული იყო სხვა ძვირფასეულობანიც, რომელთა შორის იყო თამარ დედოფლის ოქროს ქოშები. საიტერესოა დიდად, ვის ფეხს ამშვენებენ დღეს ისინი?

იმ დღეს, პარიზში, სტალინგრადის მოედანზე ლია ვილეტის როტონდის წინ მოწყობილ ამომჩქეფარე შადრევნებს რომ ვუცქერდი, მახსენდებოდა რა დიდი ენთუზიაზმით ცდილობდა სტალინი მესამე რომის - კონსტანტინეპოლის დაბრუნებას... დღეს ეს ორი სახელი: კონსტანტინეპოლი და სტალინგრადი კაცობრიობისათვის ღია ჭრილობა და ტკივილია.

შენ ხარ ვენახი

ისტორიული ლირიკა
ეპიგრაფი:

რაი სარგებელ არს კაცისა, უკუეთუ დაიპყრას სო-
ფელი ყოველი და სული თვისი წარიწყმიდოს?
მარკოზი. თავი 8, ლექსი 36

შენ ხარ ვენახი! – დღეს უვენახო რამეთუ…

შუა საუკუნეების ქართული საგალობელის იმპროვიზაციის იდეა დიდი ხანია რაც მაწვალებს, მაგრამ რამდენი არ შევეცადე, რამდენჯერ არ ავიღე კალამი ხელში, არა გამომივიდა რა, დასაწყისი ვერ იქნა და ვერ მოვნახე. ახირებულ კაცი ვარ, როცა რამე მნიშვნელოვანს ვქმნი, ასე მგონია, რომ კარგი დასაწყისი, კარგ დასასრულს უნდა სჯობდეს. არა, რა თქმა უნდა, პირიქითაც შეიძლება ითქვას, რომ კარგი დასასრული, კარგ დასაწყისს სჯობიაო, მაგრამ აქ, კერძო შემთხვევაში, მე სათავეზე მოგახსენებთ, რომელიც მთიდან გადმომდინარე იმ ნაკადულს უნდა მიაგავდეს, შემდეგ მდინარედ რომ იქცევა ხოლმე და ვიდრე ასეთ სათავეს ვერ ვიპოვნი, ნაწერს ვხევ და სანაგვეში ვყრი. შესაძლოა ჩემი ასეთი უთავბოლო ბრძოლა ქართულ სიტყვასთან კიდევ დიდხანს გაგრძელებულიყო, საქმეში შემთხვევა რომ არ ჩარეულიყო. ყველაფერი ერთ მშვენიერ დღეს მოხდა იმ დილით, არ არის დიდი ხანი საწოლიდან რომ ავდექი, ჩვეულებრივ ტელევიზორი ჩავრთე, თბილისის პირველი არხი. ეკრანზე კაცი გამოჩნდა; უცნობი ლაპარაკობდა:

– საქართველოს ტერიტორიები კი არ არის ოკუპირებული, არამედ ჩვენ ქართველებმა მოვახდინეთ რუსეთის ოკუპაცია. მილიონზე მეტი ქართველი ვცხოვრობთ იქ.

აქ ოპერატორმა კადრი უცებ გაწყვიტა. ეკრანზე ტელეწამყვანი გამოჩნდა და გადაცემა კომენტარის გარეშე განაგრძო.

ამის მიუხედევად მე მივხვდი, ზემოთთქმული იმ ქართველ ემიგრანტს ეკუთვნოდა, რომელიც რუსეთში არის გადახვეწილი და რაც მთავარია, მან სიმართლე გვითხრა, ახლა რუსეთში მილიონზე მეტი ქართველი ცხოვრობს და თუ იქ მოღვაწე ქართველ მომღერლებს დავუჯერებთ ისინი თავს ცუდად არ უნდა გრძნობდნენ: „Я счастлив чем я живу“. ასეა თუ ისე, ჩემი იდეისათვის ხორცშესასხმელი დასაწყისი აღმოვაჩინე.

ემიგრანტების აუგს ვერავინ მათქმევინებს. მესმის მათი ჭირ-ვარამი მეც ხომ მსგავს, ანალოგიურ მდგომარეობაში ვიმყოფები. აქ ბათ-იამში ნაქირავებში ვცხოვრობ, ხოლო იქ ქუთაისში საკუთარი სახლი მაქვს, რომელსაც მეზობელი ეპატრონება: ცეცხლში დაწვა ჩემი წიგნები, გაანადგურა მდიდარი ბიბლიოთეკა, გაყიდა ჩემი ქონება.

რა დასამალია, დიდი ვნება მომაყენეს რაც არ დამიმსახურებია და ალბათ არ გამემტყუნება, გულნატკენი ვარ. ამის მიუხედავად, ქართველი ემიგრანტის ზეპირ უწყებას ტელევიზიის საშუალებით რომ შეგვატყობინა, არ ვეთანხმები. „არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისიო!“ რა მეხთა-ტეხაში უნდა მოხვდეს ქართველი კაცი, რა მეხი უნდა დაგვეცეს ისეთი, რაგვარად უნდა მოგვიბრუნდეს ენა პირში, რომ ქართველს თუნდ ემიგრანტს ოკუპანტი ვუწოდოთ? განა კაცი ეჩო არის, რომ სულ თავისკენ მიითლიდეს? და განა, იქით, თერგს გადაღმა მხოლოდ ქართველები არიან გადახვეწილნი? ხომ ყველასთვის ცნობილია, იქ უამრავი სომეხი და აზერბაიჯანელი ცხოვრობს. ახლა თათრების, შუა აზიის და ყაზახეთის თურქების, მონღოლების იგნორირების უფლებას ვინ მოგვცემს. ასე თუ ისე, ამგვარად თუ იმგვარად, ერთი მილიონი ქართველი რა ბედენაა, როცა დღეს რუსეთში ათეული მილიონობით სხვდასხვა ეთნიკური დაჯგუფებებია თავმოყრილი. ასე, რომ გამარჯვების დღეს დიდი ბელადის მიერ წარმოთქმული სადღეგრძელო, რუ-

სი ხალხის მისამართით რომ დალია, გადასახედია, რამეთუ ჰიტლერული გერმანია საბჭოთა ხალხმა დაამარცხა.

ენას ძვალი არა აქვსო, ნათქვამია, რაც გინდათ თქვით, რაც გნებავთ ის ილაპარაკეთ, მე კი მაინც ჩემსაზე ვარ: თქვენს მიერ „ოკუპირებული „უფროსი ძმის“ ტრამალები იმ ქრისტიანულ იმპერიას ჩამოჰგავს, რომელიც ანატოლიაში მრავალი საუკუნე ბობოქრობდა, მაგრამ მის ნანგრევებზე საბოლოოდ ოსმალეთი აღზევდა. ისტორიას ვინ დამალვია. თამარ მეფემ მოიწადინა აღმოსავლეთ რომის იმპერიის გადარჩენა, შექმნა კიდეც ტრაპიზონის ძლიერი სახელმწიფო, მაგრამ ერთმორწმუნე ქართველთა მეფის შორსმჭვრეტელი ესსეი (ცდა), ბიზანტიელმა ბერძნებმა, მაკედონიის ეპოქაში ქართლოსიანებთან ძმადნაფიცებმა, წყალში ჩაყარეს, რითაც ისარგებლეს თურქ-ოსმალებმა და კონსტანტინეპოლი აიღეს. მცირე აზიაში რომ გაბატონდნენ, ყიზილბაშებმა ჯერ ტრაპიზონი, მერე კი ამიერკავკასიაც დაიპყრეს და ხმალით გაავრცელეს ისლამი-მაჰმადიანობა საქართველოში.

ბედი-ყისმათი, როშვა-ლაყბობა, უკუღმა დატრიალებული ისტორიის ჩარხი. ხმალი უქარქაშო XIX და XX საკუნეში ნიუ-ოსმალეთისათვის ნაომარი -გამარჯვებული ძველი გეგუთის ნანგრევებში გადამალულა. ვაჟას „ხმალის ჩივილი“ მაგონდება: „ჩაჟანგებულხარ გორდაო, დაგბობებია ქარქაში.“ ბედში მეგობარს დიდხანს ვერ იცნობ და უბედობაში ერთ საათშიც გამოჩნდება. საზღვარი კი, ახლა სამაჩაბლოში მცხობრებ ოსებთან – მცოცავია. გავერანებული ქართული სოფლები. ნიუ-ყიზილბაშები კუს ნაბიჯით უახლოვდებიან გორს, სადაც ის ძეგლი, რომელიც ერთ დროს ელდას ცემდა გადამთიელს -პირქვედამხობილია. ავიწყდებათ, რომ საქართველო ერთი მთლიანი სხეულია, ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა, რომლის ხელყოფა დანაშაულია. დამნაშავე კი მოვა დრო და მკაცრად დაისჯება.

თავისუფალი სიმღერა

„ოტელოს“ საფინალო მონოლოგში, დედანში, ინგლისურ ენაზე, შექსპირი ხმარობს სიტყვას „თურქი“. ტრაგედიის ქართულ თარგმანში ბატონი ივანე მაჩაბელი „თურქის“ სანაცვლოდ იყენებს სიტყვას „ოსმალი“. მაგალითისთვის გავიხსენოთ ეს ნაწყვეტი პიესიდან „... როცა ერთხელ ალეპოში ოსმალი ვინმე, თავს რიდე-დგმული სიამაყით გულზედ მოსული ვენეციელსა სცემდა ერთსა და მის ქვეყანას უშვერი სიტყვებით აგინებდა, – მივწვდი მე ყელში იმ ქოფაკ ძაღლსა და დავკალ ასე... (ხანჯალს ჩაიკრავს გულში)“. ცხადია, დიდმა ქართველმა პოეტმა მთარგმნელმა კარგად იცოდა საქართველოს ისტორია, მისი ტრაგიკული წარსული.

შენ ხარ ვენახი! – დღეს უვენახო რამეთუ, აფხაზეთია შენი ვაზის ბაბილო, სავენახო ნორჩი რქა-ძუძუ, ზვარი, ხოდაბუნი შენეული, ამჟამით მიტაცებული ნიუ-ოსმალეთის მიერ.

XXI საუკუნის დემო(ნ) კრატია!?

მომხდურს, დამპყრობელს, ვაი, რომ ერთმორწმუნეს, რა აცდუნებს, მხარევ ლამაზო?

ვაგლახ, დუმილით ძველ ოცნებას ჩამოამსხვრევ და გლუვი სახიდან მონაფრქვევი თოში დაგაზრობს.

შენმა რიდებამ ჭმუნვა ესე ვით განგიქარვოს?

„დიდება მოთმინებას შენსას, უფალო იესო“.

...ოსმალი მცოცავი საზღვრით კვლავ ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდება გორს.

არ მოინისლო – იმედი არ ჩამოიხიო. დარდი შენს მანდილს ვერ ალამაზებს. როდის ყოფილა, რომ უმანდილოდ მტრობის მანძილი მოკვეთილიყოს? ვინძლო დაგიბრუნდეს ისევ დიდი ვენახი, მოვიდეს დედა უფლისა შენდა, რათა მხარე მშვენიერი და თვალწარმტაცი დაგიამოს, რქა-ძუძუთი კვლავ დაგაპუროს და

ქარს მისცეს, უჩინო გახადოს უკანონო მავთულხლართიანი მავნე საზღვარი.

ამერიკის და ევროკავშირის დიდმა ელჩებმა ბერლინის კედელი გაიხსენეს… კედელი, რომელიც ხრუშჩოვმა ააშენა-აღმართა და არა სტალინმა, თუმც იმ ქართველს ვისმა აზრმა ხრუშჩოვისეული „რკინის ფარდა“ გააცამტვერა, უკვე არავინ არ ახსენებს.

რა არ ხდება ქვეყანაზე!

ვინ იფიქრებდა ბერლინის კედლის იავარქმნას საბჭოთა იმპერიის ეპოქაში?

ამ კითხვით შენს აფორიაქებულ სულს შენ თვითონვე აფეთქებულ ხანძრად ედები.

ო, ტკივილები… ტკივილები დაუცხრომელი!

ნუ!… ნუ!… გენაცვა! ვით ნესტან-დარეჯანი და ტარიელი ურვის ლაშქარს ნუ შემოისევ.

არ მოიღრუბლო, მშვენიერო, მომხიბლველო, მომაჯადოებელო, შენ მხოლოდ ტკბილი, ღიმილიანი სიმღერა გშვენის:

იამბიკო

(მეფე დემეტრე I გალობა, დავით გარეჯში დაწერილი)

შენ ხარ ვენახი, ახლად აყვავებული,

ნორჩი, კეთილი, ედემში დანერგული, (ნორჩი კეთილი, ედემს შინა ნერგული),

ალვა სუნელი, სამოთხით გამოსრული, ღმერთმან შეგამკო, ვერავინ გჯობს ქებული,

და თავით თვისით მზე ხარ გაბრწყინვებული.

იმღერე, კარგო, მზის სადარო, შეუდარებელო, განუმეორებელო!

ვინძლო, ნასხლევის შეკვანძულ ნაწნავებთან კვლავ აფრთხიალდნენ იმედის ბაფთები ისე, როგორც სამრეკლოს ზღვისფერ გუმბათზე „თეთრი მტრედები.

აბა შენ იცი!

იმღერე!

იმღერე, ოღონდ წამითაც კი არ დაივიწყო, არასოდეს არ დაივიწყო და მუდამ გახსოვდეს:

აფხაზეთია შენი ვაზის ბაბილო, შენი სავენახო ნორჩი რქა-ძუძუ, ზვარი, ხოდაბუნი შენეული, ამჟამით მიტაცებული ნიუ-ოსმალეთის მიერ.

2013 წ.

ბათ-იამი

მშენებელი ინჟინრის მოგონება

1966 წელს დავამთავრე სპი თბილისში, სპეციალობით სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა. ისრაელში რეპატრიაციამდე (1996) ვმუშაობდი სსრ მშენბანკის ქუთაისის განყოფილებაში უფროს ინჟინრად, ვითვლებოდი მთავარ სპეციალისტად სამშენებლო დარგში, კურირებას ვუწევდი და ვაფინანსებდი დასავლეთ საქართველოში ბინათმშენებლობას, ქუთაისის ავტოქარხანას, სატრაქტორო ქარხანას, ლიტოპონის ქარხანას, აბრეშუმკომბინატს და რაჭა-სეჩხუმში მიმდინარე მშენებლობებს...

რეპატრიაციის მერე რამდენიმე წელი ვიმუშავე ისრაელის მშენებლობებზე რიგით ინჟინრად, სადაც აღმოვაჩინე, რომ დაძველებულ, ამორტიზირებულ ოთხსართულიან ბინებზე დამატებითი სამი სართულის დაშენება მიმდინარეობდა ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების უხეში დარღვევით, მიწისძვრის საშიშროებიდან გამომდინარე. ამასთან დაკავშირებით, 2008 წლის 7 აგვისტოს წერილობით მივმართე ქალაქ ბათ იამის მერს შლომი ლეხიანს; პასუხი მივიღე ამავე წლის 22 ოქტომბერს. პასუხი იყო ბიუროკრატიული და უპასუხისმგებლო (არსებობს წერილობითი დოკუმენტაცია), რის გამოც წერილი მივწერე ისრაელის

პრემიერ-მინისტრს ბინიამინ ნათანიაჰუს. პრეზიდენტის კანცელარიიდან 2009 წლის 9 სექტემბერს, დაგვიანებისათვის ბოდიშის მოხდით, მოვიდა პასუხი, რომლის საფუძველზე ისრაელის მშენებლობის სამინისტროში დამუშავდა ახალი პროექტი, მოხდა შეცდომების გასწორება და გადაანგარიშებული იქნა სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. ამჟამად ისრაელში გაცვეთილ ბინებზე სართულების დაშენება მიმდინარეობს ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

დაახლოებით ამავე პერიოდში, ისრაელის მაღლივ მშენებლობებზე დაიწყო კოშკურა ამწეების გადმოყირავება, იყო მრავალი შემთხვევა, რაც იწვევდა ტრაგიკულ მოვლენებს, იღუპებოდნენ ადამიანები, ზიანდებოდა მსუბუქი ავტომანქა-

ნები, ტრასებზე ფერხდებოდა ტრანსპორტის მოძრაობა... ისრაელის სათანადო ორგანოებში ფიქრობდნენ, რომ ამის მიზეზი იყო თვითონ კოშკურა ამწეების ტექნიკური გაუმართაობა. მე დავრეკე ისრაელის პოლიციაში და ავუხსენი, განვუმარტე მათ რომ ეს იყო ტერორისტული აქტი. ჩემთან ბინაში მოვიდნენ პოლიციის წარმომადგენლები, რომლებსაც მივეცი სათანადო ინსტრუქციები ტერორისტული აქტების აღმოსაფხვრელად... ამის მერე ისრაელში კოშკურა ამწეები აღარ ყირავდება.

ამისათვის მე არავითარი სამახსოვრო არ მიმიღია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ისრაელის პრეზიდენტის რეუვენ რივლინის წერილს 2017 წლის 24 ნოემბერს, სადაც მაღალი დადებითი შეფასება აქვს მიცემული ჩემს მხატვრულ შემოქმედებას.

მე და მიხეილ ტალი

მოგონება

მე ვიცი ჭადრაკის თამაში. ეს გასაოცარი თამაში მასწავლა მამამ, მიხეილ (მიშა) პაპიაშვილმა, რომელმაც ქალაქ ქუთაისში შექმნა მსხვილი საგალანტერიო წარმოება, სადაც დასაქმებული იყო ათასზე მეტი ქალი და კაცი (წარმოებას ჰქონდა კომერციული კავშირები საბჭოთა კავშირის მსხვილ ქალაქებთან, მათ შორის მოსკოვთან და ლენინგრადთან).

მე მქონდა პირველი თანრიგი ჭადრაკში და წარმატებით ვთამაშობდი სასკოლო შეჯიბრებებში. ქუთაისის მოსწავლეთა და პიონერთა სასახლეში ჩემი მწვრთნელი იყო დავით ჩირაძე - საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი. იგი იყო მაია ჩიბურდანიძის პირველი მწვრთნელი. სწორედ მაშინ, დავუმეგობრდი ჟორა (გიორგი) ქანთარიას, რომელმაც მოგვიანებით, იმისათვის რომ იგი ერთი წლის განმავლობაში წვრთნიდა მაია ჩიბურდანიძეს, რა თქმა უნდა, დავით ჩირაძის შემდეგ, მიიღო საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება. აღსანიშნავია, რომ ქანთარია იყო აგრეთვე ჩემი უფროსი ვაჟის, მიხეილ პაპიაშვილის მწვრთნელი, რომელმაც ქანთარიას ხელმძღვანელობით, 1988 წელს ახალგაზრდებს შორის გაიმარჯვა ქალაქ ტყიბულის საჭადრაკო ჩემპიონატში (მასალები დაცულია გაზეთ ქუთაისში). ამჟამად მიხეილ პაპიაშვილი ცნობილი ქირურგია ისრაელში თორაკალურ ქირურგიაში.

1964 წელს ქალაქ კისლოვოდსკში მიმდინარეობდა საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ცნობილი საბჭოთა გროსმაისტერები, მათ შორის ტალი, შტეინი, გელლერი, ტაიმანოვი და სხვები. მაშინ, ოჯახთან ერთად დასასვენებლად ვიმყოფებოდი კისლოვოდსკში. ვცხოვრობდით სასტუმრო "კავკაზში". სასტუმროში ჩვენი ნომერი შემთხვევით აღმოჩნდა იმ ნომრის გვერდით, სადაც ცხოვრობდა ლეონიდ შტეინი. საღამოობით, შეჯიბრების შემდეგ, იგი ჩვეუ-

ლებრივ გამოდიოდა აივანზე და ტკბებოდა კისლოვოდსკის მშვენიერი პეიზაჟით. ასე გავიცანით ერთმანეთი. ერთხელ, სხვათა შორის, ვუთხარი, რომ თუ ის გამაცნობდა ტალს და მათამაშებდა მასთან პარტიას, ვიყიდიდი შამპანიურს. ლეონიდმა გაიღიმა და დამპირდა ვეცდებიო. მეორე დღეს, ტურნირის თითქმის ყველა მონაწილე შეიკრიბა ლეონიდ შტეინის ნომერში და მე მიხეილ ტალთან ვითამაშე საჭადრაკო პარტია...

... მნიშვნელობა არ აქვს, თუ როგორ დამთავრდა ეს შეხვედრა, მთავარია ის, რომ თამაშის დამთავრების შემდეგ, ლეონიდ შტეინმა, მხიარული შეძახილების ფონზე, გახსნა შამპანიური.

რაგბის დაბადება ქუთაისში
(მოგონება)

დრო, დრო აღნიშნე! მოაწერე ლექსს –
ეს საუკუნე, დღე და საათი
გალაკტიონ ტაბიძე

1958 წელს დავამთავრე ქუთაისის მე-3 საშუალო სკოლა (დირექტორი თამარ დახუნდარიძე, დამრიგებელი მარგარიტა დვალი) – ფრიადებზე. იმავე წელს მისაღები გამოცდები ჩავაბარე საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, თბილისში. ქულები არ მეყო და დავბრუნდი ქუთაისში. მუშაობა დავიწყე მე-4 სამშენებლო ტრესტში – მუშად. მალევე მივიღე დეპეშა ინსტიტუტიდან, რომ ჩარიცხული ვარ დაუსწრებელზე ქუთაისის ფილიალში, რომელიც შემდეგ გადაკეთდა საღამოს დასწრებულ ფაკულტეტად (რექტორი ბარქაია). როცა სამი კურსი დავხურე, მე-4 ტრესტის ლიმიტით გადამიყვანეს თბილისში და სწავლა გავაგრძელე პოლიტექნიკურ ინსტიტუტში დღის დასწრებულზე; ჩამრიცხეს მე-2 კურსზე. ფიზიკურ მომზადებას გავდიოდით ინსტიტუტის დიდ სპორტულ დარბაზში, სადაც ერთხელ გამოგვიცხადეს, რომ ვისაც სურვილი გვქონდა შეგვეძლო გადავსულიყავით რეგბის (სახელი რაგბი ჩვენში გვიან შემოვიდა) სპორტულ გუნდში „პოლიტექნიკში“, რომლის მწვრთნელი იყო გივი მრელაშვილი. თუ მეხსიერება არ მღალატობს, ეს განცხადება თვითონ ბატონმა გივიმ გააკეთა. ასე გავხდი რაგბისტი. თანაგუნდელებიდან კარგად მახსოვს ირაკლი კიზირია, სერგო კეშელავა, თამაზ შერაზადიშვილი (მისი მამა დოცენტი იყო და ისტორიაში ლექციებს გვიკითხავდა). სხვათა შორის თ. შერაზადიშვილი ჩემი თანაკურსელი იყო და ჩემი დაჟინებული რჩევით აღმოჩნდა ინსტიტუტის რაგბისტთა გუნდში.

როგორც გადმოცემით არის ცნობილი ეს სპორტი დაიბადა ინგლისის ქალაქ რაგბიში; როცა მე გუნდში ჩამრიცხეს, მას

საბჭოთა კავშირის სინამდვილეში ათიოდე წლის ისტორია ქონდა.

1966 წლამდე „პოლიტექნიკში“ ვთამაშობდი, რადგან დიპლომის დაცვის შემდეგ, სამუშაოდ გამანაწილეს ქუთაისის მე-4 სამშენებლო ტრესტში ინჟინრად. ვინაიდან რაგბი არც ქუთაისში და არც დასავლეთ საქართველოში ცნობილი არ იყო, გადავწყვიტე მისი პოპულარიზაცია: სამსახურის შემდეგ მივდიოდი „დინამოს“ სტადიონზე და რაგბის ბურთს მარტო ვკენწლავდი. იმ ხანებში ფინანსურად მამა მეხმარებოდა, რომელმაც ქუთაისში მძლავრი საგალანტერიო წარმოება-კომბინატი ჩამოაყალიბა და შექმნა (დირექტორი ლექსო კვიცარიძე, მთავარი ინჟინერი მიხეილ-მიშა პაპიაშვილი), სადაც დასაქმებული იყო ათასზე მეტი ქალი და კაცი. თავდაპირველად მამა მთავარი მოდელიორი იყო.

ეს იყო 1966 წლის ზაფხულში, „დინამოს“ სტადიონზე. მინდორზე გასვლას რომ ვაპირებდი, რკინის მოაჯირთან მომიახლოვდა ნაცნობი თბილისელი მორაგბე გოგი ყუფარაძე, რომელსაც კარგად ვიცნობდი. იგი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის „სასოფლოს“ გუნდში თამაშობდა, რომელსაც ჩვენი გუნდი „პოლიტექნიკი“ თბილისის ჩემპიონატებში ხშირად ვხვდებოდით. როცა ერთმანეთი მოვიკითხეთ, შევთავაზე ჩაგვეტარებინა რაგბის საჩვენებელი თამაში. მან გაიღიმა და მითხრა: „ორმა რომ ვითამაშოთ სირცხვილიაო“. ერთი სიტყვით, მე იგი ძალით გავიყვანე მინდორზე და ქუთაისელმა ახალგაზრდებმა პირველად დაინახეს რაგბის ელემენტარული წესები: ბურთის წაღება, გადაწოდება, დარტყმა, დამიწება, შერკინება. როცა დავიღალეთ და ბალახებში ჩავიმუხლეთ, აღმოვჩნდით მომავალი ქუთაისელი რაგბისტების რკალში. მე ყველას ვერ ჩამოვთვლი, მაგრამ გავიხსენებ ზოგიერთ მათგანს: შ. ქურციკიძე, „ბუკუჩი“ (მეტსახელი) – იგი მასწავლებელი იყო, რ სვანიძე,

ზ. ცერცვაძე, ნ. ფურცხვანიძე, შ. ბიტკაშა, ო. მიქელთაძე (მოჭიდავე)…

გ. ყუფარაძე თბილისიდან იშვიათად ჩამოდიოდა და ახალგაზრდებს მე ვუხსნიდი და ვასწავლიდი რაგბის თამაშის წესებს. ყოველდღე, სამსახურის შემდეგ „დინამოს“ სტადიონს მივაშურებდი. შევქმენი ორი გუნდი და ერთმანეთს ვეჯიბრებოდით, 1966-1968 წლებში ჩამოვაყალიბე ქუთაისის რაგბის პირველი ფედერაცია, მასში შევიდნენ: იაკობ პაპიაშვილი (ინჟინერი), ბოგდან ზაუტაშვილი (მე-4 ტრესტის მთავარი ინჟინერი), ამირან კირტავა (მე-9 სამშენებლო სამმართველოს უფროსი) და გოგი ყუფარაძე. და ამ ოთხეულმა, ჩემი ხარჯით, აღვნიშნეთ ქუთაისში რაგბის დაბადება რესტორან „იმერეთში“ (მაშინდელი „წულუკიძის ბაღის“ წინ), ამავდროულად მე-4 ტრესტს (ბიბილეიშვილი, ზაუტაშვილი). ქ. ქუთაისის სპორტკომიტეტში გადავარიცხინე, სოლიდური თანხა, რითაც შევიძინეთ რაგბის ბურთები, მაისურები და ბუცები. ქუთაისის პირველი რაგბის გუნდი „მშენებელი“ მზად იყო ოფიციალური შეჯიბრებისათვის.

პირველი ამხანაგური შეჯიბრება გავმართეთ თბილისის „დინამოსთან“ (ან „ლოკომოტივთან„). ქუთაისის „მშენებელის“ პირველი მწვრთნელი იყო გოგი ყუფარაძე. ჩემს მაისურს ეწერა ნომერი „9“ (ჰავბეკი). ეს ამხანაგური შეხვედრა გაიმართა 1967 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ქ. ქუთაისის ცენტრალურ სტადიონზე. შეხვედრა დამთავრდა ფრედ. თუ არ ვცდები ბურთები დაამიწეს ომარ მიქელთაძემ, ხოლო თბილისიდან სერგო კეშელავამ ნომერი „15“ (ფოლბეკი).

თამაშს ესწრებოდა ორასამდე კაცი, მათ შორის იყვნენ: ლექსო კვიცარიძე, მიშა პაპიაშვილი, ბოგდან ზაუტაშვილი, ამირან კირტავა და ჩემი სკოლის ამხანაგები: დავით ჟორჟოლიანი, რამაზ ახვლედიანი, ბონდო შალიკიანი, ჯეირან ფაჩუაშვილი

და ინსტიტუტის მეგობარი ჯერ ქუთაისში და შემდეგ თბილისში გიზო ჯღარკავა.

ეს იყო ისტორიული მატჩი. სამწუხაროდ, შაკო ქურციკიძე რუსეთში ძმასთან იყო წასული და ამ შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია.

მამაჩემი წერეთლის ქ. N 38 ცხოვრობდა, სუფრა იქ მქონდა გაშლილი, დიდ, ვრცელ აივანზე, რომელიც ახლაც რიონს გადაჰყურებს. იმ განუმეორებელ წამებს, წუთებს, საათს ვზეიმობდით ორმოცდაათამდე ადამიანი, მათ შორის იყვნენ ოცდაათი მორაგბე და გოგი ყუფარაძე. სუფრა საზეიმოდ მოამზადეს: დედაჩემმა მარიამმა და ჩემმა მეუღლემ თამარმა.

გავიმეორებ: ეს იყო 1967 წლის ოქტომბერ-ნოემბერში. როგორც გალაკტიონი ბრძანებს – „დრო, დრო აღნიშნე! მოაწერე ლექსს – ეს საუკუნე, დღე და საათი“.

იმ ისტორიული თამაშის შემდეგ, ჩვენი გუნდის მეურვეობა იკისრა ქუთაისის სახლმშენებელმა კომბინატმა (დირექტორი რომან ბეჟუაშვილი, მთავარი ინჟინერი რამაზ ახვლედიანი). შესაბამისად, გუნდმა მიიღო ახალი სახელწოდება „სახლმშენი“, რომელიც „აიას“ საბაზო გუნდად იქცა. გუნდის მწვრთნელობა დაეკისრა ჯერ შაკო ქურციკიძეს, ხოლო შემდგომ დუგლას კავთელაშვილს. ამ პერიოდში „სახლმშენმა“ სამჯერ მოიპოვა სსრკ ჩემპიონის ტიტული და ორჯერ თასი.

70-იანი წლების დასაწყისში მე სერიოზულ ლიტერატურულ მუშაობას შევუდექი და სპორტს დავშორდი.

1993 წლის ზაფხულის პერიოდში დამიკავშირდა შაკო ქურციკიძე და მთხოვა, ერთიანი ძალებით აღგვენიშნა ქუთაისში რაგბის დაბადების 25 წლისთავი. მე უარს როგორ ვიტყოდი და ამ გასაოცარ იუბილეს ბრწყინვალედ გავართვით თავი. მინდა დიდი პატივისცემით მოვიხსენოთ ის ადამიანები, რომლებმაც ამ იუბილესათვის მზადების დროს ფინანსური დახმარება აღ-

მოგვიჩინეს: რამაზ ახვლედიანი -სახლმშენებელი კომბინატის დირექტორი (3000 მანეთი), თამაზ ბერეკაშვილი – მე-4 სამშენებლო ტრესტის მმართველი (2500 მანეთი), მურმან ჭეიშვილი – მე-9 სამშენებლო სამმართველოს უფროსი (2000 მანეთი). ეს თანხები გადაირიცხა შ. ქურციკიძის სამსახურის სპორტულ ანგარიშზე.

ამხანაგური შეხვედრა გავმართეთ თბილისის „დინამოსთან“. მე კვლავ შევხვდი ჩემს „პოლიტექნიკელ“ თანაგუნდელებს ირაკლი კიზირიას და სერგო კეშელავას.

საზეიმო ცერემონიალის დროს შ. ქურციკიძემ გადმომცა საპატიო სიგელი, როგორც ქ. ქუთაისის პირველ რაგბისტს – ქალაქის რაგბის ჩამოყალიბების საქმეში დიდი დამსახურებისათვის, აგრეთვე ფასიანი საჩუქარი წარწერით, რაც ქუთაისში, ჩემს სახლში ტ. ტაბიძის N17-19 უნდა იმყოფებოდეს. სიგელები და ფასიანი საჩუქრები გადაეცა აგრეთვე საიუბილეო თამაშის ყველა მონაწილეს.

ამხანაგური შეხვედრის შემდეგ საიუბილეო საღამო აღინიშნა ქუთაისის მინისტარის ქარხნის, წინ არსებულ დიდ საბანკეტო დარბაზში. ესწრებოდა 200-ზე მეტი კაცი, მათ შორის იყო ქ. ქუთაისის ლენინის რაიკომის მეორე მდივანი, ქ. ქუთაისის სპორტკომიტეტის წარმომადგენლები. ჩემს გვერდით ისხდნენ, მარცხნივ – რამაზ ახვლედიანი, მარჯვნივ – ირაკლი კიზირია და სერგო კეშელავა. თბილისის „დინამოს“ მორაგბეებს საჩუქრად გადავეცი ჩემი ახლადგამოცემული წიგნი „ქართული ლეგენდა“.

მთხოვეს შესავალი სიტყვა მეთქვა და მე აღვნიშნე, რაც ზემოთ მოგახსენეთ, თან დავძინე: „გოგი ყუფარაძე ქუთაისში არავის იცნობდა, როცა „დინამოს“ სტადიონზე შევხვდით. მითხრა – „სირცხვილია, მინდორზე ორი კაცის გასვლა სათამაშოდო“. ესეც არ იყოს, მასთან შეხვედრამდე ქალაქის სპორტკომიტეტი „ავატალახე“; ეს დაწესებულება მაშინ ძველი მწერალთა

კავშირის შენობაში იმყოფებოდა, გრიშაშვილის ქუჩაზე, მე-3 სართულზე. გაოცებულები შემომყურებდნენ, ვერ და ვერ გაითვითცნობიერეს ამ ახალი სპორტის მნიშვნელობა, მისი მომავალი… მაგრამ კარგია რომ მე და გოგი ყუფარაძე 1966 წელს „დინამოს“ სტადიონზე შევხვდით და ეს საშვილთაშვილო საქმე დავათავიანეთ. ჩვენი შეხვედრა ალბათ შთამომავლობას გადაეცემა ძალიან ცნობილი შემდეგი პოეტური სტრიქონით: „და ვსჭამთ ნაყოფსა მისგან ტკბილსა აწ ძენნი შენი“. ჩემი სიტყვების ბოლოს კი ვთქვი: „მე ვიცოდი, რომ აქ, მრავალათასწლოვან ქალაქში, დაგროვილი იყო დიდი ისტორიული ძალისხმევა და მე ამ ნიაღვარს მივეცი კეთილშობილური სპორტული მდინარება ყველასათვის სასურველ კალაპოტში, რისთვისაც მადლობელი ვარ განგების.“

დასასრულს, ყველა მოთამაშემ ხელი მოვაწერეთ რაგბის ბურთს – დაცული იქნება ქუთაისის სპორტულ მუზეუმში. თამაშის მსვლელობა გაშუქდა გაზეთ „ქუთაისში“. სტატიას ხელს აწერს პოეტი ნანული ცხვედიანი, რედაქტორები: თენგიზ წოწონავა, ბეჟან ნამიჭეიშვილი.

აპრილი, 2018

ბათ-იამი

ნაშრომი გამოქვეყნდა „მწერლის გაზეთი“,
2018, №6 (265), გვ. 10.

„მესხის“ მნიშვნელობის განმარტება რუსთაველისა და გალაკტიონის რამდენიმე სტროფის მიხედვით

წინამდებარე წერილი არ ნიშნავს, რომ პრეტენზიას ვაცხადებდე რუსთველოლოგიურ პრობლემატიკაზე. მითუმეტეს, როცა „ვეფხისტყაოსნის“ პოეტიკას უამრავი ღვაწლმოსილი მკვლევარი ჰყავს – ქართველიც და არაქართველიც.

ამ ფრიად საპატიო და უფაქიზესი თემით ჩემი დაინტერესება გამოიწვია წერილმა, რომელშიც გალაკტიონის რიგი შედევრების გვერდით, მიმოხილულია ერთი ოთხტაეპიანი სტროფი, რომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი. ეს მიმოხილვა რუთაველს ირიბად ეხება, ხოლო ჩემი კვლევის არეალიდან ერთი ნაბიჯითაც კი არ გამოდის გარეთ.

ეს მოხდა სრულიად შემთხვევით. უბრალოდ რომ ვთქვათ, მოულოდნელად; წერილი დაიბეჭდა ჟურნალ „განთიადში“ რუბრიკით „გალაკტიონთან... გალაკტიონზე... „ მის ავტორს ძალიან კარგად ვიცნობ, ერთმანეთთან ლიტერატურული მეგობრობა გვაკავშირებს და ვფიქრობ ეს გამოხმაურება არ ეწყინება, რამეთუ, რაზეც ქვემოთ გავამახვილებთ ყურადღებას, მხოლოდ და მხოლოდ იმით არის განპირობებული, რომ მომავალმა თაობებმა სწორად გაიაზრონ და უშეცდომოდ წაიკითხონ რუსთაველისა და გალაკტიონის ერთი „გასაიდუმლოებული“ ტაეპი: „ვწერ ვინმე მესხი მელექსე“.

მოვიყვან საპოლემიკო წერილის კონტექსტს მარტოოდენ განსახილველ სტრიქონთან მიმართებაში:

„ვწერ ვინმე მესხი მელექსე,
რაც კი მივლია მე გზები;
ჯერ ლექსი მწვავდა, მერე – მზე
ჯერ მზე და მერე – ლექსები.“

ამ ოთხ სტრიქონში მეტაფორაც გვაქვს, სინეკდოქაც, მეტონიმიაც და სიმფორაც! – ეს იმას ნიშნავს, რომ აქ როგორც

ცალკეული სიტყვები, ისე ფრაზებიც უნდა გავიაზროთ მხოლოდ და მხოლოდ გადატანითი მნიშვნელობით, ე. ი. წარმოდგენილი მხატვრული მეტყველება უცილობლად უნდა „ვთარგმნოთ“ ჩვეულებრივ პროზაულ მეტყველებაზე.

ასე მაგალითად:

პირველი სტრიქონი – საგანგებოდ გამოყენებული რუსთველური კონტამინაცია – მთლიანად მეტაფორული გამოთქმაა და ასე „ითარგმნება“: მეც დღეს რუსთველისებრ დიდი „შემოქმედი ვარ“ (არჩილ ჟორჟოლიანი, „განახლება“, „განთიადი“, 1993, N 3-4. გვ. 125).

ჩვენც აქ შევჩერდებით. ვინაიდან აუცილებლობად მიგვაჩნია განიმარტოს თუ რამდენად შეესაბამება სინამდვილეს გალაკტიონის მიერ „გამოყენებული რუსთველური კონტამინაცია“ – „ვწერ ვინმე მესხი მელექსე“ „ითარგმნოს“ შემდეგი პროზაული მეტყველებით: „მეც დღეს რუსთველისებრ დიდი შემოქმედი ვარ“.

რა თქმა უნდა, აქ საგანგაშო არაფერია; საქართველოში არ მეგულება არც ერთი ქართველი ვისაც კი ოდესმე ლექსი დაუწერია და რუსთველობაზე ან გალაკტიონობაზე არ უოცნებია... აქედან გამომდინარე ალბათ თავის დროზე გალაკტიონიც ოცნებობდა, რომ მისი შემოქმედება რუსთაველის პოეზიის დონემდე ამაღლებულიყო და მან ეს სურვილი რეალობად აქცია...

გალაკტიონმა „ვწერ ვინმე მესხი მელექსე“ 1936 წელს დაწერა. ამ პერიოდისათვის შექმნილი აქვს ისეთი შედევრები, როგორიცაა: „ხელოვნება“, „მესაფლავე“, „ქალი და ხელოვნება“, „მე და ღამე“, „მერი“, „მთაწმინდის მთვარე“, „ლურჯა ცხენები“, „დროშები ჩქარა!“, „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“, ეს ლექსები 1917 წლისთვის უკვე დაწერილია. ამით ის მინდა ვთქვა, რომ როცა გალაკტიონმა „ვწერ ვინმე მესხის...“ შექმნა დაიწყო პარნასზე იყო ასული და ქართულ პოეზიაში რუსთაველის გვერდით მიაბიჯებდა... და როგორც ლექსის წერის ოსტა-

ტი, ზოგჯერ რუსთაველზე მაღალიც მოსჩანს; ეს რომ ასეა „მთაწმინდის მთვარეა“ მოწამე; ამ ლექსის ბადალი მსოფლიოს პოეზიაში არ მოიძევება. არა, ღმერთმა დამიფარფოს გალაკტიონი რუსთაველზე მაღლა დავაყენო, ლექსის წერის დონის, რითმის, რიტმის და ჟღერადობის განსასაზღვრელად რუსთაველის და გალაკტიონის ეპოქებში განსხვავებული საზომი ერთეულები არსებობდა. მათი შედარება შეუძლებელია, ორივე გენიოსია და რაც ვთქვი მხოლოდ სიტყვას მოჰყვა.

ახლა კი თავისთავად ისმის კითხვა, რატომ „დაესესხა“ გალაკტიონი რუსთაველს? თუმცა იქნებ არც დასესხებია?.. ნასესხები რომ ჰქონდეს პოეტი ამ ტაეპს, როგორც წესია, ჩვეულებრივ ბრჭყალებში მოაქცევდა; და რამეთუ ეს რ გააკეთა მაშასადამე გალაკტიონს მიაჩნია, რომ მასაც აქვს უფლება, რომ ფრაზა: „ვწერ ვინმე მესხი მელექსე“ თავის დაწერილად ე. ი. ორიგინალად ჩათვალოს.

1926 წელს დაწერილი ლექსის „პოემა ვეფხვისა“ ფინალში გალაკტიონი ამბობს:

„ასე მგონია: ეს იმედი მას მოასწავებს,
რომ სულ შემთხვევით ჩამარხულებს და ჩაკალულებს
ჩვენ აღმოვაჩენთ ძველი დროის ძველ წიგნსაცავებს,
ომიანობის გამო სადმე გადამალულებს“.

აქედან ირკვევა, რომ გალაკტიონს ეს საკითხი („მესხის“ - ი.პ.) ძალიან დიდხანს აწვალებდა; ბევრს კითხულობდა, აგროვებდა მასზე მასალებს, ეძებდა არქივებში, წიგნსაცავებში… და როცა მან „ვეფხისტყაოსნისეული“ ფრაზა თავისად მიიჩნია, უკვე იცოდა რატომ დაწერა იგი რუსთაველმა.

… ეს ფრაზა: „ეწერ ვინმე მესხი მელექსე“ იმდენად დაუოკებელი და ყოვლისმომცველია თავისი ხალასი ბუნებრიობით და საკითხის ღრმა, კონკრეტული ცოდნით, რომ ხელოვნების ვიწრო ჩარჩოებში ვეღარ ეტევა, ყოველგვარ ბარიერს შლის და თითქმის მითოლოგიურ სამყაროში გადავყავართ, ოღონდ, მიუ-

ხედავად ამისა, ყველაფერი, რასაც კი ეს ორი გენიოსი ფიქრობს და ოცნებობს, საოცრად რეალურია და იმ ბებერი მუხასავით აქვს ქართულ მიწაში ფესვები გადგმული რომელსაც ვერანაირი დუშმანი თუ გადამთიელი ვერ ამოძირკვავს.

სიმართლე უნდა ვაღიარო, როცა „განთიადში“ გამოქვეყნებული ზემოაღნიშნული სტრიქონები წავიკითხე, რამდენიმე თვის განმავლობაში რუსთაველისა და გალაკტიონისეულ ხანებს ძილშიაც კი ვიმეორებდი:

რუსთველი:

„გასრულდა მათი ამბავი ვითა სიზმარი ღამისა
გარდახდეს გავლეს სოფელი, – ნახეთ სიმუხთლე ჟამისა!
ვის გრძლად ჰგონია, მისთვისცა არის ერთისა წამისა.
ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისად ამისა.
ქართველთა ღმრთისა დავითის, ვის მზე მსახურებს სარებლად.
ესე ამბავი გავლექსე მე მათად საკამათებლად.
ვინ არის აღმოსავლეთით დასავლეთს ზართა მარებლად,
ორგულთა მათთა დამწველად, ერთგულთა გამახარებლად“.

გალაკტიონი:

„ვწერ ვინმე მესხი მელექსე,
რაც კი მივლია მე გზები,
ჯერ ლექსი მწვავდა, მერე მზე,
ჯერ მზე და მერე ლექსები,
იყოს ნაკვეთი შაირი
როგორც ნასროლი ისარი,
ხან სროლა ქუხილნაირი,
ხან რხევა სამაისარი,
ხან საკვნესარი დაირი,
ხან ჩანგი მოდაისარი
ის არი სუნთქვა ჰაერი,
მთელი სიცოცხლე ის არი“.

როცა ლექსი სრულად არის წარმოდგენილი, ადვილდება პოეტის სულის სიღრმეების ამომზიურება აქ თითოეული სიტყვა თუ ფრაზა ცოცხალია... სუნთქავს, მოძრაობს; ქართველი კაცის ის მთავარი არტერიაა, რომლის მაჯისცემა მამიდან შვილზე, თაობიდან თაობაზე გადადის და საბოლოოდ უკვდავებას პოულობს.

ამ შემთხვევაში შეუძლებელი ხდება მხატვრული მეტყველების დადგენილი ხერხებით და მეთოდებით მსჯელობა. ზემოწარმოდგენილ ლექსებში რაღაც ისეთია, რომლის გადატანა რაიმე საგანზე, თუნდაც მოვლენაზე ან საყოველთაოდ აღიარებული კანონების მიხედვით წარმოუდგენელია. არ მინდა ისე გამიგონ, თითქოს რუსთაველისა და გალაკტიონის პოეტურ სტრიქონებში ტროპისა და მისი სახეების: მეტაფორის, სინეკდოქეს, მეტონიმიას და სიმფორას გამოყენებას ვუარყოფდე. პირიქით, ლიტერატურული შედარების ყველა ეს ხერხი ორივე ლექსში მაღალი პროფესიონალიზმითაა დამუშავებული. უფრო მეტიც ჰიპერბოლაც გვაქვს: „ვის მზე მსახურებს სარებლად“, „ჯერ ლექსი“ მწვავდა„...რუსთაველი ლიტოტესსაც იყენებს: „ვის გრძლად ჰგონია, მისთვისცა არის ერთისა წამისა.“ მაგრამ უმთავრესი და გასაოცარია, რომ ძირითადი ჩანაფიქრი, დედააზრი ორივე ლექსში სიმბოლურად ერთნაირად არის გადაწყვეტილი, რაც გაიდეალებულია ისეთ წმინდა სახელთან, რომელიც არქაულ ქართულ სამყაროს შესაშური შთაგონებით აერთებს, აკავშირებს, ამთლიანებს თანადროულ ქართულ სამყაროსთან.

ეს უწმინდესი სახელი რუსთაველს და გალაკტიონს ერთი და იმავე მნიშვნელობით აქვთ ჩადებული განსახილველ ფრაზაში: „ვწერ ვინმე მესხი მელექსე“, რაც საბოლოოდ გარდაისახება ფართო მნიშვნელობის ალეგორიად, ანუ სიმბოლოდ, რომლის არსი სიცოცხლესავით მუდმივია; მისანიშნებელია, რომ გალაკტიონთან ამ სახელს მეტი დატვირთვა აქვს, თავად განვსაჯოთ: „ის არი სუნთქვა ჰაერი, მთელი სიცოცხლე ის არი“.

ასე თანდათან იძერწება და იკვეთება ის იდეალი, რომელიც ორი გენიოსის შთაგონებულ წარმოსახვაშია განსხეულებული.

ახლა კი უნდა მოვიშველიო ჩემი კვლევის საგანი; იმ ნაშრომებში, რომელიც ქართველი ერის წარმომავლობის საკითხებზე მაქვს დამუშავებული, ტერმინი „მესხი“ ძალიან ხშირად ფიგურირებს. ერთგან ვწერ: „ძველებრაული „მეშეხი“ იგივეა რაც ქართი, მოსხი, მესხი… ისრაელის გაერთიანებული სახელმწიფოს უძლიერესი მეფე დავით წინასწარმეტყველი თავის 120-ე ფსალმუნში ამბობს, რომ იგი წარმოშობით მეშეხიდან (მესხეთიდან) არის. I საუკუნის ისტორიკოსის იოსებ ფლავიუსის მიხედვით „მეშეხი“, იგივე მუშქი, მოსხი და თაბალი ქართველები არიან“.

სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინი ,,მესხი“ ადვილად უკავშირდება„ქართს“, ‘„ქართლს“ და ,,ქართველს“ (ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ს. ყაუხჩიშვილი, ს. კაკაბაძე, გ. მელიქიშვილი).

ზემოთქმულიდან გამომდინარე რუსთაველისთვის და გალაკტიონისთვის ტერმინები „მესხი“ და ,,ქართველი“ სინონიმებია.

დასკვნა: როგორც ზემოთ ვწერდი, ფრაზა „ვწერ ვინმე მესხი მელექსე“ ორივე გენიოსი პოეტისათვის არა მხოლოდ „შთაგონების. არემედ დიდი ხნის, და ამასთან დაძაბული შრომის ნაყოფია. რუსთაველს ალბათ ხელთ ექნებოდა ფარნავაზისეული და აბიათარისეული ,,ქართლის ცხოვრება“, ძველი და ახალი აღთქმა და ვინ იცის კიდევ რა… რაც შეეხება გალაკტიონს მას „მესხის“ წარმომავლობის შესწავლისათვის მეტი შრომა დასჭირდებოდა; ყოველ შემთხვევაში ვიცით, რომ ფსალმუნნი ჯიბით დაჰქონდა; ძველსა და ახალ აღთქმას, „ქართლის ცხოვრებას“ ხომ რაღა თქმა უნდა ძირფესვიანად შეისწავლიდა, რითაც საბოლოოდ დარწმუნდებოდა რუსთველური „გასაიდუმლოებული“ კონცეფციის ჭეშმარიტებაში, რასაც გვიდასტუ-

რებს მხატვრული გარდასახვის ის უდიდესი ძალისხმევა, მისივე ლექსის ფინალში რომაა წარმოჩენილი:

„შმაგი ვით ვეფხვი დაჭრილი,
მშობლიურ მთა და ველებზე,
ვარ ოცნებისთვის გაჭრილი
მე, ვინმე მესხი მელექსე“.

ქუთაისი
1994 წ.

ნაშრომი 80-იან წლებში გამოქვეყნდა
„ლიტერატურულ საქართველოში“
სათაურით „ამგვარადაც გავიაზრებდეთ“,
შესულია ი. პაპიაშვილის რამდენიმე წიგნში
რუბრიკით „მეცნიერება“.

ჭეშმარიტების ძიებაში
ათასი წლის ცილისწამება

ეს იყო ტელეკომპანია „იმედის“ ღამის შოუს სტუდიაში 2022 წლის თებერვალში.

საავტორო შოუს წამყვანების ვინაობას არ ვასაჯაროებ. ისინი ფრიად ნიჭიერი ადამიანები არიან, თავიანთი საქმის კარგი მცოდნეები, რომელთა გადაცემებს სიამოვნებით ვუყურებ და რასაც ვწერ მხოლოდ შეცდომების გასწორების მიზნით.

მაშ ასე: 2022 წლის 11 თებერვლის საავტორო შოუში გაჟღერდა შემდეგი კონტექსტი:

„…როგორც იქნა შალვაც მოეგო გონებაზე, მაგრამ თუ გაამართლა ჩვენი შაილოკის ამბებმა მერე უკვე დადასტურებულად მეცოდინება, რომ მისი ინსპირაცია ეს პაწაწინა, მაგრამ დიდპირიანი ნიანგუკა ყოფილა“.

„შაილოკი?!“

პიროვნება ვისაც შაილოკი უწოდეს შეუძლებელია იყოს ცნობილი პიესის „ვენეციელი ვაჭარის“ მთავარი გმირის შაილოკის პროტოტიპი. ეს პიროვნება საქართველოს ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის თავმჯდომარეა და არავითარი მსგავსება არა აქვს დასახელებული პიესის მთავარ გმირთან – შაილოკთან.

იმისათვის, რომ საავტორო შოუს წამყვანის შედარება არასწორია უნდა გავიხსენოთ ვინ იყო შაილოკი.

პიესის მიხედვით შაილოკი არის ებრაელი მევახშე, მკვლელი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, რომელსაც სურს თამასუქის ვადის გადაცილების გამო გული ამოჭრას პატიოსან იტალიელ ვაჭარს ანტონიოს. მოვიყვან რამდენიმე ამონარიდს პიესიდან:

„ბასანიო (შაილოკს): „ნეტავ რად ლესავ დანას ასე გულმოდგინებით!?„

„შაილოკი: იმად, რომ ხორცი ამოვაჭრა მოვალეს ჩემსას.“

და კიდევ:

„შაილოკი: ჰო, გული, გული! ასე სწერია თამასუქში, – არა მსაჯულო?! რაც შეიძლება გულთან ახლოს – ასე სწერია.“

საყურადღებოა რომ ანტონიოც და შაილოკიც ორივენი ვაჭარია, ერთი და იგივე საქმიანობას ეწევიან. თუმცა მათ შორის არის განსხვავება, ანტონიოს აქვს „პატიოსანი იტალიელი ვაჭრის სახელი“ ხოლო შაილოკის ფეხქვეშ მიწა იწვის, როგორც „წყეული მევახშე“.

აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, საინტერესოა როგორ დააგროვა ანტონიომ ქონება რომელსაც ფლობს: სამი სავაჭრო გემი, უძრავ-მოძრავი ფასეულობები, ვრცელი მიწის ნაკვეთები.

ამ კითხვაზე პასუხს იძლევა ისტორია:

ელისაბედ I ტიუდორის (1558 – 1603) მმართველობის ხანაში საფუძველი დაედო დიდი ბრიტანეთის იმპერიას. ინგლისის სამხედრო – საზღვაო ფლოტი ესპანეთის „უძლეველი არმადის“ განადგურების შემდეგ (1588) დედამიწის ზღვების და ოკეანეების მფლობელად იქცა. ამ ბრძოლაში თავი ისახელეს „დედოფლის მეკობრეებმა“: ფრობიშერმა, ხოუკინსმა და „ესპანელების რისხვამ“ ფრენსის დრეიკმა, რომლებსაც დედოფალმა ელისაბედმა მიანიჭა „უშიშარი და უმწიკვლო რაინდის“ ტიტული. სინამდვილეში კი ეს მეკობრეები ძარცვავდნენ და აოხრებდნენ საფრანგეთის და ჰოლანდიის კოლონიებს, ესპანეთს, ინდოეთს, მუდმივ შიშში ამყოფებდნენ მშვიდობიან მოსახლეობას. „დიდსულოვანი ვაჭარი“ ანტონიო სწორედ მათი პროტოტიპია.

პიესაში ყურადღება უნდა გამახვილდეს ერთ უმნიშვნელოვანეს პასაჟზე: შაილოკს პირდებიან რომ სასამართლოში მას დაიცავს ვექილი, მაგრამ მას მოატყუებენ, პიესაში ვექილი არ ჩანს, რადგან ის იტყოდა სიმართლეს, რაც ზემოთ ვთქვით.

ისმის კითხვა: რატომ ცდილობდა დიდი ბრიტანეთის სამეფო სახლი ებრაელების შევიწროებას და აბუჩად აგდებას?

ინგლისის მეფის ედუარდ I პლანტაგენეტის ბრძანებით 1290 წელს ებრაელები გააძევეს ინგლისიდან. ებრაელთა დიდი ნაწილი უსიტყვოდ დაემორჩილა ბრძანებას, ისინი გაიხიზნენ სხვა ქვეყნებში, ძირითადად პოლონეთში. ეს ის პოლონეთია სადაც მეორე მსოფლიო ომის დროს უფრო მეტი კრემატორიუმები იყო ვიდრე გერმანიაში, სადაც გაზის კამერებში დახოცილი ებრაელების გვამებს წვავდნენ. ინგლისის სამეფო ხელისუფლებამ გახიზნული ებრაელების უძრავ-მოძრავი ქონება დაუქვემდებარა კონფისკაციას. თუმცა ლონდონში დარჩა ებრაელთა მცირე ნაწილი, რომლებიც ცხოვრობდნენ ნახევრად არალეგალურად და აგრეთვე ის ებრაელები, რომლებმაც მიიღეს ქრისტიანული სარწმუნოება. მათ შორის იყო ესპანელი როდრიგო ლოპესი, სამეფო კარის ექიმი, ელისაბედ I მთავარი მკურნალი, რომელიც ლორდ (გრაფ) ესექსის დასმენით, 1594 წელს ჩამოახრჩეს ცრუ ბრალდებით, თითქოს მას დედოფლის მოწამვლა სურდა. პიესა „ვენეციელი ვაჭარი“ შეიქმნა სწორედ ამ პროცესთან დაკავშირებით. პიესაში არსებობს მინიშნება აღნიშნულ სასამართლო პროცესზე, კერძოდ პიესის ერთ-ერთი გმირის გრაციანოს ფრაზა შაილოკის მიმართ: „შენი ქოფაკი სული ალბათ კაცთ ჟლეტვისათვის ჩამოხრჩობილი მგლისაგან მოდის“. ლათინური ლუპუს ნიშნავს მგელს.

„გლობუსის“ თეატრის დასი იწოდებოდა როგორც „ლორდ კამერჰერის მსახურნი“. ეს ის დროა როცა ახალგაზრდა უილიამი თეატრის ხელმძღვანელობამ მეჯინიბედ აიყვანა, სპექტაკლებზე დასასწრებად მოსული ინგლისელი ლორდების ცხენების მოსავლელად. ახალგაზრდა კაცი პირმოთნე აღმოჩნდა და მალე სუფლიორად დააწინაურეს, რადგან მსახიობად ვერ ივარგა, მალე კი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის ქრისტოფერ მარლოს სიკვდილის თუ მკვლელობის (საკითხი გაურკვეველია) მერე, მისმა კეთილისმყოფელმა ლორდებმა (რობერტ სესილი, საუტგემპტონი, ბერლი, ფრენსის დევისონი) მას დაავალეს „გლო-

ბუსის“ რეპერტუარში არსებული ძველი პიესების გადაკეთება. ახალგაზრდა უილიამი უყოყმანოდ ასრულებდა მათ ყოველ სურვილს. ძველი პიესების გადაკეთების პარალელურად იგი დასადგმელად ამზადებდა ისეთ პიესებს, რომლებსაც ლორდები ინკოგნიტოდ აწვდიდნენ მას ებრაელთა აბუჩად აგდების მიზნით, რისთვისაც მას უხვად აჯილდოვებდნენ ფინანსურად. ცნობილია რომ ინგლისელმა ლორდებმა შექსპირის მამას თავადაზნაურის წოდება მიანიჭეს. ასე გახდა შექსპირი „გლობუსის“ რეპერტუარში არსებული ძველი პიესების და სონეტების ავტორი.

1594 წელს, ლოპესის ჩამოხრჩობის მერე ლორდებმა გადაწყვიტეს დედოფალ ელისაბედ I პრესტიჟის დაცვის მიზნით, ძველი პიესების გამოყენებით, შეექმნათ ისეთი ნაწარმოები, რომელიც გამოდგებოდა ყოველი რიგითი ებრაელის დასაცინად და აბუჩად ასაგდებად. ამგვარად „ვენეციელი ვაჭარი“ შექმნილია შემდეგი ძველი პიესების ურთიერთშერწყმით: კრისტოფერ მარლოს „მალტელი ებრაელი“, ჯოვანი ფიორენტინოს „ცხვრის თავი“, ალექსანდრე სილვანის „სიტყვაკაზმულობის სახელმძღვანელო“, დეკერის „ვენეციელი ებრაელი“.

ის რომ პიესა „ვენეციელი ვაჭარი“ შექმნილია 1594-1596 წლებში ამტკიცებს სწორედ გრაციანოს ზემოთქმული ფრაზა, რამეთუ ზემოთჩამოთვლილ პიესებში ეს ფრაზა შეუძლებელია არსებულიყო, რადგან ისინი დაწერილია ლოპესის ჩამოხრჩობამდე. მაშასადამე პიესაში „ვენეციელი ვაჭარი“ ინგლისელი ლორდების და შექსპირის კალამს ეკუთვნის ერთადერთი წინადადება, გრაციანოს ფრაზა: „შენი ქოფაკი სული ალბათ კაცთ ჟლეტვისათვის ჩამოხრჩობილი მგლისაგან მოდის“. აი ამ ფრაზით ეპოქიდან ეპოქას გადაეცემა ცილისმწამებლური ხმა ებრაელთა სისხლისმსმელ ბუნებაზე.

საკითხით დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოიპოვოს იაკობ პაპიაშვილის წიგნიდან „აღსდგა ვითარც ფენიქსი თავისი ფერფლიდან“ (რუსულ ენაზე). წიგნი იმყოფება თბილისში, საჯარო ბიბლიოთეკაში.

2017 წლის ნოემბერში საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა იაკობ პაპიაშვილის შემოქმედებითი საღამო, სადაც შესავალი სიტყვით გამოვიდა საქართველოს სახალხო მწერალი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, პროფესორი რევაზ მიშველაძე, რომელმაც ყურადღება გაამახვილა „ვენეციელი ვაჭარის“ პრობლემატიკაზე, ზემოაღნიშნულ წიგნში შეტანილი ნაშრომის „Пасквиль тысячелетия“ პრობლემატიკის შესახებ. ნაშრომი აგრეთვე გამოქვეყნდა ისრაელის საერთაშორისო მნიშვნელობის ყოველკვირეულ გაზეთში „Новости недели“ – „Еврейский камертон„-ის ორ ნომერში (07. 12. 2006 და 04. 01. 2007).

ვერცხლის ლურსმნებით!?

ახლა რაც შეეხება 2022 წლის 12 თებერვლის ინტელექტუალურ-გასართობ შოუს „თავიდან ბოლომდე“. აქ მოქმედება სხვა რაკურსით განვითარდა. შოუს წამყვანმა ჭაში ჩავარდნილ მოთამაშეს დაახლოებით ასეთი ფრაზა ჩასძახა: სწორი პასუხია ვერცხლის ლურსმნები... იუდა ხომ იცი ვინ არის... „ოცდაათი ვერცხლი“ გაგიგონია? ის ლურსმნები რომლებითაც მაცხოვარი ჯვარზე გააკრეს 99 პროცენტი ვერცხლიდან იყო დამზადებული.

ლურსმნის გამოგონებას ხუთი ათასი წლის ისტორია აქვს. თავდაპირველად ლურსმანს ამზადებდნენ თევზის ძვლისაგან, თიხისაგან, ხისაგან და ითვლებოდა ფუფუნების საგნად, მაგრამ ძველ ეგვიპტეში, საბერძნეთში და რომში უკვე ფართოდ გავრცელდა რკინისა და სპილენძის ლურსმნები; მათი დამზადების პროცესი რთული და შრომატევადი იყო. სამუშაოს ასრულებდნენ ხელით და მაშინაც კი როცა მე-18 საუკუნის ბოლოს შექმნეს ლურსმნების დამამზადებელი მანქანა, მისი ფასი ძალიან ძვირი იყო.

ლურსმნის დამზადების ტექნოლოგია ძველ რომში და ისრაელში (დავით მეფის ეპოქა) უკვე ცნობილი იყო: რკინის ღერს (проволока) ახურებდნენ ძალიან მაღალ ტემპერატურაზე და მისი შენადნობი ნახშირბადთან (2,2%) აძლევდა ლურსმანს სიმტკიცეს (თუჯი, ფოლადი). ნახშირბადი ცნობილი იყო ანტიკურ ეპოქაში.

ოქრო, ვერცხლი და პლატინა მდგრადი მეტალებია და ქიმიურ შენაერთებთან რეაქციის დროს ნაკლებად რეაგირებენ, რის გამოც ეს მეტალები იწოდებიან როგორც კეთილშობილი მეტალები და ამის გამო მათი გამოყენება ისეთი ლურსმნების დასამზადებლად რომელიც გამოიყენება ხის ჯვარზე ადამიანის გასაკრავად არ შეიძლება (დაიბეჭდა „მწერლის გაზეთი“, 2022, №4).

პონტი პილატე
ისტორია და ევანგელია

ებრაელი ხალხი უდანაშაულოა და არავითარი ბრალი არ მიუძღვის იესო ქრისტეს ჯვარცმაში
ავტორი

ქრისტიანული ტრადიციის მიხედვით, ქრისტეს 12 მოწაფეთაგან ერთ-ერთმა იუდა ისკარიოტელმა 30 ვერცხლის ფასად გაყიდა იესო და შეაპყრობინა იუდეველთა მღვდელმთავრებს, რომლებმაც რომაელების დახმარებით იგი ჯვარს აცვეს. ასე გადმოგვცემს ევანგელია, თუმცა დამნაშავეა თუ არა ებრაელი ხალხი ქრისტეს სიკვდილში დღემდე საკამათოა და ფართო საზოგადოებისათვის ბევრი რამ გაუგებარია.

რომის კათოლიკური ეკლესიის გადაწყვეტილების თანახმად ირკვევა, რომ ებრაელი ხალხი უდანაშაულოა და არ მიუძღვის ბრალი მაცხოვარის სიკვდილში, მაგრამ მართლმადიდებლური ეკლესია რომის კათოლიკური ეკლესიის ამ ვერსიას არ ეთანხმება.

ჩემს მიერ გაკეთებული ესქატოლოგიური ანალიზი, ის რომ იუდა ისკარიოტელი ასრულებდა ქრისტეს დავალებას „გააკეთე რასაც აკეთებ“ (იოანე, თავი 13) არ აღმოჩნდა საკმარისი, რომ საკითხი ებრაელების სასარგებლოდ გადაწყვეტილიყო, რამეთუ მართლმადიდებლური ეკლესია ამ იდეოლოგიას არც წარსულში იზიარებდა და არც ამჟამად არ იზიარებს.

იმისათვის, რომ გაირკვეს რომის კათოლიკური ეკლესიაა მართალი თუ მართლმადიდებლური ეკლესია ხუთმმართველობის პრინციპით (რომი, კონსტანტინოპოლი, ალექსანდრია, ანტიოქია და იერუსალიმი), უნდა გავიხსენოთ ზოგი რამ ისტორიიდან.

იროდ დიდის ანდერძის (4 წ. ჩვ. ე.) თანახმად ისრაელის სამეფო (1) ანუ იუდეველთა სამეფო განაწილდა მის სამ შვილს – იროდ არქელაოს, იროდ ფილიპეს და იროდ ანტიპას შორის. ცნობილია რომ იროდ ანტიპამ მოახერხა მეგობრული

ურთიერთობის დამყარება რომის იმპერატორ ტიბერიუსთან, თავის სამფლობელოში დააარსა მისი სახელობის ქალაქი ტიბერიადა და ამით შეძლო თავისი უფროსი ძმების სამფლობელოების მითვისება. აგრეთვე ანტიპამ თავისი ბიძაშვილი იროდ აგრიპა დაატუსაღა ცრუ ბრალდებით, თითქოსდა მან ტიბერიუსს უწინასწარმეტყველა მოსწრაფებული სიკვდილი. მოგვიანებით ახალმა იმპერატორმა, ტიბერიუსის შვილობილმა გაიუს იულიუს ცეზარმა ავგუსტუს გერმანიკმა, მეტსახელად კალიგულა (ნიშნავს პატარა ჩექმას; ეს მეტსახელი მას შეარქვეს რომაელმა ჯარისკაცებმა, რადგან იგი, ჯერ კიდევ მცირეწლოვანი ახლდა მათ ლაშქრობებში) შეიწყალა იროდ აგრიპა, გაანთავისუფლა ტყვეობიდან და უბოძა მას მეფის ტიტული და ტეტრარქიის (2) მმართველობა (იოსებ ფლავიუსი, „იუდეველთა სიძველენი“ XVIII, თავი 6-7).

ავტორის შენიშვნა:

(1) მიუხედავად იმისა, ხსენებულ ისტორიულ ეპოქაში ისრაელის სამეფო არ

არსებობდა, ავტორი აიგავებს მას იუდეველთა სამეფოსთან და ამით პარალელს ავლებს დღევანდელ ისრაელის სახელმწიფოსთან – ებრაელი ხალხის სახელმწიფოსთან.

(2) ქვეყნის მეოთხედი ნაწილის სახელწოდება – მმართველობის ფორმა რომის

იმპერიაში ანუ ოთხხელისუფლებიანობა. კანონი გაუქმდა ქრისტეს შემდგომ.

აღსანიშნავია რომ იუდეის ოლქი დედაქალაქით იერუსალიმი არც ერთ ზემოდასახელებულ ოთხ იუდეველ მეფეს არ ემორჩილებოდა 6-დან 41 წლამდე, რადგან ეს პროვინცია მაშინ იყო რომის იმპერიის შემადგენლობაში და მეფისნაცვლებს ნიშნავდნენ თვითონ იმპერატორები. კორნელი ტაციტი მათ უწოდებს იუდეის პროვინციის პროკურატორებს, იოსებ ფლავიუსი – მეფისნაცვლებს ან მმართველებს, მაგრამ 1961 წელს კესარიაში აღმოჩენილმა წარწერამ, რომელიც დათარიღებულია პონტი პილატეს მმართველობის პერიოდით, აღნიშ-

ნავს რომ, როგორც პილატე ისე სხვა იუდეის პროვინციის მმართველების თანამდებობა იყო პრეფექტი ანუ ისინი იწოდებოდნენ იუდეის პროვინციის პრეფექტად 6-დან 41 წლამდე. ამ საკითხს ჩვენ ისევ დაუბრუნდებით.

იუდეის პროვინციის მეფისნაცვლები ერთპიროვნული, დამოუკიდებელი მმართველები იყვნენ... ისინი პირადი შეხედულებისამებრ ნიშნავდნენ და ცვლიდნენ იუდეველთა ტაძრის მღვდელმთავრებს, ამ თანამდებობის მაძიებლებისაგან იღებდნენ დიდი ოდენობით საბოძვარს ქრთამის სახით და დამატებით ითხოვდნენ მათგან არა 30 ვერცხლს, არამედ ნახევარზე მეტს იმ შემოწირულობებისგან, რასაც იუდეის მაცხოვრებლები ყოველდღიურად წირავდნენ იერუსალიმის ტაძარს.

15 წელს ახ. ე. იუდეის პროვინციის მეოთხე პრეფექტად დანიშნეს ვალერი გრატი, რომელმაც შეცვალა ანნია რუფი. ამგვარად პონტი პილატე ამ თანამდებობაზე მეხუთედ დაინიშნა. ეს პერიოდი დამახასიათებელია იმით, რომ მეფისნაცვლები იერუსალიმის ტაძრის მღვდელმთავრებს ხშირად, ყოველ ერთ წელიწადში ცვლიდნენ, ვერცხლის გამოძალვის მიზნით. ცნობილია იერუსალიმის ტაძრის მღვდელმთავართა ასეთი მონაცვლეობა: ანნა (ხანაანი) შეცვალა ისმაილმა – შვილმა ფაბიისა, მერე იყო ელიაზარი შვილი არიანესი, ხოლო შემდეგ სიმონი – შვილი ყამიფისა და ბოლოს იოსებ კაიაფა – ანნას სიძე (იოსებ ფლავიუსი, „იუდეველთა სიძველენი“ XVIII, 2). აი ესენი იყვნენ ის მღვდელთმოძღვრები, რომლებიც ლოცულობდნენ იერუსალიმის ტაძარში იესო ქრისტეს დედამიწაზე მოვლინების ეპოქაში. აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, მაცხოვარმა კარგად იცოდა ყველა ის დანაშაულებანი, რასაც რომის იმპერატორების მიერ დანიშნული მეფისნაცვლები ჩადიოდნენ იუდეაში.

ზემოდასახელებული ყველა პრეფექტი, განსაკუთრებით კი ვალერი გრატი და პონტი პილატი იყვნენ მკაცრნი, ხარბნი, გაუმაძღარნი და ვერცხლის მოყვარულნი. როგორც განსახილველი ეპოქის მოღვაწე ცნობილი პიროვნებები გადმოგვცემენ, როგორც გრატი ისე პილატე იყვნენ სასტიკნი ებრა-

ელთა რელიგიის მიმართ, მასხრად იგდებდნენ და შეურაცყოფას აყენებდნენ ებრაულ წეს-ჩვეულებებს, მოსეს მცნებას და იერუსალიმის ტაძრის მღვდელმთავრებს, მათ შორის იოსებ კაიაფას და მის სიმამრს ანნას იყენებდნენ, როგორც ჩექმის გასაპრიალებელ ჩვარს.

მკითხველს არ უნდა გამორჩეს მხედველობიდან ის ფაქტი, რომ იუდეაში დანიშნული ყველა პრეფექტი, მათ შორის პონტი პილატე, იყვნენ რომის იმპერიის ინტერესების დამცველნი როგორც პოლიტიკური ისე რელიგიური თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე პონტი პილატე იყო წარმართი, კერპთაყვანისმცემელი და იმპერიის შესაბამისი კანონების აღმასრულებელი. მეფისნაცვლის თანამდებობაზე მისი დანიშვნა მიმანიშლებელია იმისა, რომ იგი რომაელთა პრივილეგირებული ფენის წარმომადგენელი იქნებოდა. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ კერპთაყვანისმცემლური რელიგია სიძულვილით იყო გამსჭვალული იუდეველთა მონოთეიზმის მიმართ და ყოველი ღონისძიებით ცდილობდა მის მოსპობას. ამას იმიტომ ვწერთ რომ მკითხველმა გაისიგრძეგანოს პონტი პილატეს ის დანაშაულებანი, რაც მან ჩაიდინა იუდეაში ებრაული მონოთეიზმის ამოძერკვის მიზნით. როგორ შეიძლება იმის უარყოფა, რომ პონტი პილატე ორმაგი სიძულვილით იქნებოდა გამსჭვალული მესიისადმი, იესო ქრისტესადმი, რამეთუ ძე ღვთისა მიზნად ისახავდა წარმართული რელიგიის მოსპობას, რაც იმპერიის წინააღმდეგ იყო მიმართული. ამიტომ ცხადია, რომ იუდეის პრეფექტს იესო ქრისტეს ჯვარზე გასაკრავად რომის სენატის კარნახი არ დაჭირდებოდა.

საკითხიდან გადახვევა

ქრისტეს ჯვარცმიდან 313 წელს კონსტანტინე დიდმა და მისმა მოკავშირემ ვალერიუს ლიციინიუსმა ქალაქ მედიოლანუმში (მილანი) გამოსცეს ედიქტი ქრისტიანობის უფლებამოსილ რელიგიად გამოცხადების შესახებ. მოგვიანებით, 451 წელს, პირველი საეკლესიო კრება სამოციქულო ეკლესიამ მოიწვია ქალაქ ქალკედონში წარმართთა ანუ არაებრაელთა ქრისტიანულ ეკლესიაში მიღების პირობების დასადგენად. ქალკედონის კრებამ დაგმო მონოფიზიტობა და აღიარა ქრისტეში ღვთაებრიობი-

სა და ადამიანურის განუყოფლობა – დიოფიზიტობა. მიუხედავად ამისა საკითხი დღემდე დაკანონებული არ არის. „ეპისტოლეთა წიგნში“ ნათლად ჩანს, რომ ჯერ კიდევ ქართველ – სომეხთა ცილობის მიჯნაზე ადგილი ჰქონდა ქრისტეს მიმდევართა გადასვლას დიოფიზიტობიდან მონიფიზიტობაზე („ეპისტოლეთა წიგნი“, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1968).

ჰქონდათ თუ არა ქართველებს პონტი პილატეს დროს ურთიერთობა ისრაელის ანუ იუდეველთა სახელმწიფოსთან? რა თქმა უნდა, ჰქონდათ, რასაც ადასტურებს „ქართლის ცხოვრება“ და „მოქცევაი ქართლისაი“. ეს საკითხები ჩემს მრავალ მეცნიერულ ნაშრომშია განსხეულებული. მარტო ის რად ღირს, რომ ქართველი ებრაელი ელიოს მცხეთელი პირადად დაესწრო ჯვარცმას 33 წელს და ქრისტეს კვართი საქართველოში ჩამოიტანა. ჩემი აზრით ეს არ არის ლეგენდა, ეს სინამდვილეა...

აქ ისიც უნდა მივანიშნოთ რომ კათოლიკებსა და მართლმადიდებლებს შორის განხეთქილების უმთავრესი მიზეზი არის რომის პაპის ღვთაებრივი წარმომავლობის იდეა.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ პონტი პილატე იყო წარმართი. ეს ბერძნულ-რომაული პოლითეიზმი ანუ მრავალღმერთიანობა აბრაამამდე დომინირებდა. გაღმერთებული იყო ბუნების ძალები. იმპერიის იდეოლოგიურ რელიგიად გამოცხადებული იყო კერპთაყვანისმცემლობა. როგორ შეიძლება იმის მტკიცება, რომ პონტი პილატეს გულზე ეხატა ქრისტიანული იდეები და არ უნდოდა იესო ქრისტეს ჯვარზე გაკვრა? ეს იყო ეპოქა როცა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მიმდინარეობდა მონოთეიზმსა და ბერძნულ-რომაულ პოლითეიზმს (მრავალღმერთიანობა) შორის. კერპთაყვანისმცემლები ღმერთებად თვლიდნენ ყველაფერს: ბუნების ძალებს, ცხოველებს, ფრინველებს...

რა შუაში არიან აქ ებრაელები.

მე ვეკითხები საერთაშორისო საზოგადოებას, იმის გამო რომ ებრაელები დაეხმარენ წარმართებს ადამიანური რელიგიის შექმნაში იმსახურებენ ისინი მადლიერებას თუ წყევლას?

მაგრამ დავუბრუნდეთ პონტი პილატეს. როგორც უკვე ვთქვით იგი იყო წარმართული რელიგიის თაყვანისმცემელი, რომის იმპერიის კერპთაყვანისმცემლური რელიგიის დამცველი და შესაბამისი კანონების აღმასრულებელი იუდეაში. მეფისნაცვლის თანამდებობაზე მისი დანიშვნა ალბათ განპირობებული იქნებოდა რომაელთა წარმართული რელიგიის მამამთავრების კარნახით, რაც მიზნად ისახავდა მონოთეიზმის მოსპობას. როგორც სჩანს იგი კერპთაყვანისმცემლების დიდი ნდობით სარგებლობდა. იმდროინდელი ისტორიული მოვლენები ადასტურებენ, რომ როგორც ვალერი გრატი ისე პონტი პილატე დიდი მონდომებით ცდილობდნენ რომის წარმართული ელიტის ნდობის გამართლებას თავიანთი სისასტიკით. პონტი პილატეს შესახებ ცნობებს იძლევიან მისი თანამედროვენი: ფილონ ალექსანდრიელი, იოსებ ფლავიუსი, იუდეის მეფე აგრიპა I და სხვა ცნობილი ისტორიული პირები.

ფილონის გადმოცემით პილატე იუდეველებს მასიურად დევნიდა და აწიოკებდა, გასამართლების გარეშე სიკვდილით სჯიდა, შეურაცყოფას აყენებდა მათ რელიგიურ გრძნობებს. ის რომ პილატე პირადად იცნობდა ქრისტეს (ებრაულად იეშუა, რაც ნიშნავს მაცხოვარს) ისტორიული ფაქტია. იესოსთან საუბრები, მისი მესიანური მოძღვრება პილატესათვის შემაშფოთებელი იყო. ამ საუბრების დროს იგი დარწმუნდა, რომ ქრისტიანული იდეები რომის იმპერიის სარწმუნოებრივი მომავლისათვის ძირგამომთხრელი და მომაკვდინებელი იქნებოდა. აი ამიტომ პილატემ მიზნად დაისახა ქრისტეს შეპყრობისათვის იუდეველთა მღვდელმთავარი კაიაფა გამოეყენებინა რათა მისი მოწამეობრივი სიკვდილი საერთოდ ებრაელებს დაკისრებოდათ. რა თქმა უნდა კაიაფა მის ბრძანებას უსიტყვოდ შეასრულებდა... პილატეს მზაკვრული გადაწყვეტილება, როგორც შემდგომმა ისტორიულმა მოვლენებმა დაგვანახა სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, იმპერია, რომელიც ასობით ათასს ადამიანს აკრავდა ჯვარზე პონტი პილატეს მზაკვრული ჩანაფიქრით გამართლდა და მაცხოვრის ჯვარზე გაკვრა ებრაელებს დაბრალდათ. მართალია მაშინ იუდეაში ადამიანის სიკვდილით დასჯის გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ პრე-

ფექტს შეეძლო, მაგრამ რამეთუ ქრისტე ებრაელი იყო, რომის იმპერიის წარმართული რელიგიის ინტერესებიდან გამომდინარე პონტი პილატემ მოახერხა იუდეველთა მღვდელმთავრის კაიაფას გამოყენება. ასე და ამგვარად პონტი პილატე ისტორიაში შევიდა როგორც იესო ქრისტეს ჯვარზე გაკვრის განკარგულების გამცემი, რაც მედლის ერთი მხარეა, მაგრამ მედლის მეორე მხარე, ის რომ კაიაფა პრეფექტის განკარგულებას ასრულებდა არსად არ სჩანს და დანარჩენი თერთმეტი მოციქულისათვის მიჩქმალულია. ასე და ამგვარად, აგერ უკვე ოც საუკუნეზე მეტია, ებრაელებს ქრისტიანული ეკლესია წყევლა-კრულვით მოიხსენიებს.

აი რას წერს თავის წიგნში „ელჩი გაიუსთან“ ფილოსოფოსი და ისტორიკოსი ფილონ ალექსანდრიელი: პილატე „ბუნებით უმოწყალო, სასტიკი, ულმობელი, გულქვა ურჩხულია... გარყვნილია, უხეშია და აგრესიულია, ის მოძალადეა და მკვლელი“.

ორი იმპერატორის მეგობარი, იუდეის და სამარიის მეფე აგრიპა I წერილში, რომელიც მან იმპერატორ კალიგულას მისწერა ჩამოთვლილია პილატეს დანაშაულებანი: "მოსყიდვა, ძალადობა, ყაჩაღობა, ავაზაკობა, გაუგონარი სისასტიკე, განუწყვეტლად სიკვდილით დასჯა სასამართლოს ვერდიქტის გამოტანის გარეშე და მექრთამეობა".

41 წელს ქრისტიანული წელთაღრიცხვით, იმპერატორი კალიგულა რომ მოკლეს, აგრიპა იმყოფებოდა რომში და აქტიური მონაწილეობა მიიღო, როგორც სამგლოვიარო ცერემონიაში, ისე რომის სენატსა და კლავდიას შორის მოლაპარაკებაში, რის შედეგადაც კლავდია იმპერატორად გამოაცხადეს და რომის იმპერიაში თავიდან იქნა აცილებული სამოქალაქო ომი. ასეთი სამსახურისათვის იმპერატორმა კლავდიამ აგრიპა ღირსეულად დაასაჩუქრა, გააფართოვა მისი სამეფოს საზღვრები, აჩუქა იუდეის ოლქი და სამარია. ეს მოხდა 41 წელს...

მკითხველს ვთხოვ დაიმახსოვროს ეს თარიღი – 41 წელი ქრისტიანული წელთაღრიცხვით, რამეთუ 41 წლამდე იუდეა რომის იმპერიის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა, იწოდებოდა

პროვინციად, ხოლო მეფისნაცვლებს ანუ პრეფექტებს ნიშნავდა თვითონ იმპერატორი. პრეფექტები კი ამ პროვინციის სრული ბატონ-პატრონები იყვნენ, წარმართული რელიგიის დამცველები და სულით ხორცამდე კერპთაყვანისმცემლები, რაც რა თქმა უნდა რომის პოლიტიკური ინტერესების და რელიგიური იდეოლოგიის აუცილებელი მოთხოვნილება იყო.

კვლავ ვიმეორებ, 41 წლიდან იუდეა და სამარია იუდეველთა სამეფოს შემადგენლობაში შევიდა, ხოლო დედაქალაქი იყო იერუსალიმი. როგორც ისტორიული წყაროები გადმოგვცემენ, იროდ აგრიპას მეფობის დროს ქვეყანაში დამყარდა წესრიგი და მშვიდობა.

რაც შეეხება პონტი პილატეს, მან იესო ქრისტეს ჯვარზე გაკვრის მერე სისხლში ჩაახშო იუდეველთა პროტესტი, რის გამოც რომაელმა პროკონსულმა სირიაში ვიტელიუსმა (იმპერატორ ვიტელიუსის მამა) იგი რომში გაიწვია. ეს მოხდა 36 წელს ახალი ერით. ამის შემდეგ მისი ცხოვრების შესახებ რაიმე სარწმუნო ისტორიული ცნობები აღარ მოიპოვება, თუმცა არსებობს ევანგელისტური ლეგენდები, რომლებიც ასე თუ ისე ამართლებენ მის დანაშაულებრივ მოღვაწეობას იუდეაში პრეფექტის თანამდებობის მოვალეობის შესრულების დროს, ე. ი. ამართლებენ წარმართულ რელიგიას, ამართლებენ კერპთაყვანისმცემლობას. რასაც, ბოლოს და ბოლოს, მიხვდა რომის კათოლიკური ეკლესია.

2011 წელს 265 რომის პაპმა ბენედიქტ XVI გამოაქვეყნა იესო ქრისტეს ბიოგრაფიის მეორე ტომი სათაურით: "იესო ნაზარეთიდან. ვნების კვირა", რომელშიც ებრაელი ხალხისაგან მოხსნილია ყველა ბრალდება იესო ქრისტეს ჯვარზე გაკვრასთან დაკავშირებით.

1965 წლის 28 ოქტომბრის რომის პაპის პავლე VI დეკლარაციაში: „ეკლესიის დამოკიდებულების შესახებ არაქრისტიანულ რელიგიებთან“ (Nostra Aetate) კი ვკითხულობთ:

„...მაგრამ, ის, რაც მოხდა მისი (იესო ქრისტეს – ი. პ.) ჯვარცმის ტანჯვისას, არ შეიძლება დაბრალდეს ყველა ებრაელს, რომლებიც ცხოვრობდნენ მაშინ და რომლებიც ცხოვრობენ ახლა. მიუხედავად იმისა, რომ ეკლესია არის ღვთის

რჩეული ახალი ხალხი, ებრაელები არ უნდა იყვნენ წარმოდგენილი როგორც ღმერთის მიერ უარყოფილნი ან დაწყევლილნი და ყოველი ეს, როგორც უნდა იყოს, მაინც გამომდინარეობს საღმრთო წერილიდან. ეს ყველამ უნდა გაიგოს, და კატეხიზმის ან ქადაგების დამოძღვრისას არაფერი ამის მსგავსი არ უნდა ასწავლონ, რაც არ ესადაგება სახარების ქრისტიანულ სულისკვეთებას. უფრო მეტი, საკუთარი მტრული განწყობილებით ადამიანების დევნა, ეკლესია, მხედველობაში იღებს რა მემკვიდრეობას, რომელსაც იგი იზიარებს ებრაელებთან, და ამოქმედებული არაპოლიტიკური მოსაზრებებით, არამედ სიყვარულით ევანგელური სულისკვეთება გმობს სიძულვილს და ანტისემიტიზმის გამომჟღავნებას, ოდესმე და ვისიმე მიერ მიმართული ებრაელების წინააღმდეგ“ (თარგმნა იაკობ პაპიაშვილმა).

ჩემი აზრით, დადგა დრო, რომ ცნება „ღვთისმკვლელობა“, რაშიც თითქოს ბრალი ედება მთლად ისრაელს უნდა იქნეს გაბათილებული, ანულირებული როგორც კათოლიკური ისე მართლმადიდებლური ეკლესიების მიერ (დაიბეჭდა „მწერლის გაზეთი“, 2022, №4).

ავტორი არის საქართველოს და
ისრაელის მწერალთა კავშირის წევრი,
ივანე მაჩაბლის და გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი, სამჯერ არის წარდგენილი ნობელის პრემიაზე.

იუდას კოცნა

ლექსის შექმნის პროცესში ავტორმა ზოგი რამ ისესხა ალექსანდრე ბლოკის პოემიდან „თორმეტნი“

ეს ლექსი შევიდა ჩემს სამივე პოეტურ კრებულში. რუსულ თარგმანში მე ლექსს დავურთე კომენტარი; მოვიტან რამდენიმე ამონარიდს კომენტარიდან:

ჯვარცმა – სიკვდილით დასჯის ისტორიული სახეობაა. დასჯის ამგვარი ზომა არსებობდა ეგვიპტეში, კართაგენში, სპარსეთში, ფინიკიაში, ბაბილონში, საბერძნეთში და რომის იმპერიაში. ძველი და ახლი აღთქმის თანახმად ებრაელები დამნაშავეებს სჯიდნენ (ქოლავდნენ) ქვებით, თუმცა შესაძლებელია ჯვარცმა, როგორც დასჯის სახეობა ისრაელში არსებობდა ზოგიერთი მეფის დროს. ასეთი სახით სჯიდნენ მეამბოხეებს, მოღალატეებს, სამხედრო ტყვეებს, მძარცველებს, გაქცეულ მონებს. დასჯის ეს ფორმა ფართოდ იყო გავრცელებული ძველ რომში. სპარტაკის აჯანყების ჩახშობის შემდეგ, მარკ ლიციინიუს კრასის ბრძანებით აპიენის გზაზე კაპუიდან რომამდე ჯვარზე გააკრეს ექვსი ათასი აჯანყებული. როგორც წყაროები იტყობინებიან, ვიდრე ჯვარცმული არ მოკვდებოდა ჯვრიდან არ ხსნიდნენ.

ჯვარცმა დამნაშავის დასასჯელად დღემდე შემორჩა ირანში და საუდის არაბეთში. დასჯა ხდება შემდეგი სახით: სიკვდილ მისჯილს აკრავენ ხის ჯვარზე ზურგით ჯვრისკენ, სახით მექისკენ, ფეხებით ვერტიკალურ მდგომარეობაში, მიწისაგან საკმაოდ დაშორებით.

იესო ქრისტე ჯვარცმულ იქნა რომაელების მიერ გოლგოთას ბორცვზე „თან მიჰქონდა თავისი ჯვარი, და მივიდა იმ ადგილას, რომელსაც ერქვა გოლგოთა – სიტყვასიტყვით ნიშნავს „თავის ქალას“ (სახარება იოანესაგან 19, 17 – 18...) დასჯის ად-

გილი ძველ იერუსალიმში. გადმოცემის თანახმად ეს ადგილი მიჩნეულია ჩვენი პლანეტის ცენტრად, სადაც ნოეს უფროსმა შვილმა სემმა, მამის სურვილის შესაბამისად, მიწას მიაბარა ადამის ნეშტი.

ტერმინი „იუდას კოცნა“ – „იუდას ამბორი“ აღწერს ეპიზოდს ევანგელიიდან (სახარებიდან), რომელიც მიიჩნევა გამცემის, მოღალატის სინონიმად. ევანგელიის ავტორები წერენ, რომ იუდა ისკარიოტმა გაყიდა მოძღვარი 30 ვერცხლად.

ევანგელიაში (ლუკა, 22, 43-44) აღწერილია მესიის ლოცვა ზეთისხილის მთაზე, გეთსიმანიის ბაღში, რომელიც მდებარეობს იერუსალიმის აღმოსავლეთით კედრონის ხევში. აქ გაიხიზნა დავით წინასწარმეტყველი, როცა აბესალომი აუჯანყდა. გეთსიმანიის (ნიშნავს კარიბჭეს) ბაღი მდებარეობს ელეონის მთის ძირში. ბაღი ზეთის ხილის ხეებში იყო ჩაფლული. აქ უყვარდა უფალს განმარტოება მოწაფეებთან ერთად. საიდუმლო სერობის შემდეგ სწორედ აქ მოვიდა და მოციქულებს უთხრა: „და ჰრქუა მათ დასხედით მანდა, ვიდრემდი მივიდე იქი და ვილოცო“, რათა ცოდვები მთელი კაცობრიობისა თვითონ ეტვირთა (განკურნება მიწისა – ისაია): „მამაო ჩემო, თუ შესაძლოა, ამარიდე ეს სასმისი; მაგრამ არა როგორც მე მსურს, არამედ როგორც შენ“ (თვითშეწირვა). „ხოლო მისმა გამცემმა მისცა მათ ნიშანი და უთხრა: „ვისაც მე ვეამბორები, ის არის და შეიპყარით“ (სახარება მათესი).

ეს ეპიზოდი ლუკას სახარების ძველ ხელნაწერებში არ არის, რაც მეცნიერებს შორის დავის საგანია. ამის გამო ახალი აღთქმის ახალ გამოცემებში ფრჩხილებშია ჩასმული ან ზოგჯერ შენიშვნებშია გადატანილი. შუა საუკუნეებში და აღორძინების ეპოქაში ბევრმა ცნობილმა მხატვარმა შექმნა ტილო „იუდას ამბორი“, მათ შორის აღსანიშნავია ლეონარდო და ვინჩის „საიდუმლო სერობა“.

თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს სცენა გეთსიმანიის ბაღში საიდუმლოებრიობით არის მოცული, რადგან იესოს ბრძანება (მოთხოვნა) იუდასადმი: „რასაც აკეთებ, გააკეთე ჩქარა“ (იოანე, 13, 27) ორაზროვანი არ არის და მიუთითებს მესიის მტკიცე გადაწყვეტილებას თვითშეწირვაზე.

იუდა თორმეტ მოციქულთაგან ერთადერთია, რომელიც იუდეის ოლქიდან არის წარმოშობით, დანარჩენი თერთმეტი მოციქული გალილეიდან არიან. გალილეა ისტორიული მხარეა ჩრდილოეთ ისრაელში.

იუდა იყო აგრეთვე მოციქულთა შორის ის ერთადერთი მოწაფე რომელმაც იცოდა ქრისტეს მისია დედამიწაზე, რამეთუ იესომ მხოლოდ მას გაუხსნა

„ცათა სასუფევლის“ საიდუმლო (ესქატოლოგიური ტერმინია, ეხება იმ სამეფოს, რომელსაც მაცხოვარი დაამყარებს ცის ქვეშეთში მეორედ მოსვლის დროს; ალბათ, მაშინ ჯვარი მოსპობს სვასტიკას).

აქ უნდა დავაფიქსიროთ: „და მოიყვანეს ორი ავაზაკი და გამჩენი ამ ორს შორის ჯვარს აცვეს. იგი კი დუმდა, თითქოს ტკივილს არ გრძნობდა“ (პეტრეს სახარება, აპოკრიფი, 4.10). მართალია ეს აპოკრიფი ეკლესიის მიერ უარყოფილია, მაგრამ იგი ნათლად მიანიშნებს რომ იესო ღვთის შვილია.

თორმეტ მოციქულთა შორის, იესო მხოლოდ იუდას ესაუბრებოდა განმარტოებით, და ერთხელ იუდამ მას შეჰბედა: „მე ვიცი ვინ ხარ შენ და საიდან მოხვედი“.

იუდა იყო პირველი მოციქულთა შორის ვისაც უფალმა პირველს დაბანა ფეხები და ამით აგრძნობინა მას, რომ მოახლოვდა ჟამი მისი ჯვარზე გაკვრისა და ცად ამაღლებისა. ამ ეპიზოდს ევანგელისტები განმარტავენ არასწორად. პინაქში ხელის ჩაყოფა მაცხოვართან ერთად მიანიშნებს მათ ურთიერთ ფარულ შეთანხმებაზე.

ძველი აღთქმის თანახმად მესია უნდა იყოს აბრაამის, ისაა-კის და იაყაკობის შთამომავალი, ამასთანავე დავით წინასწარ-მეტყველის შთამომავალიც, რომელიც იყო იუდას ტომიდან (მე-სამე მეფეთა, 2:4). ახალი აღთქმის თანახმად იესო ქრისტეს გე-ნეალოგიური-საგვარეულო წარმომავლობა ზუსტად შეესაბამე-ბა ამ მოთხოვნებს. აქედან გამომდინარე იესო ქრისტე და იუდა ისკარიოტი იუდას ტომიდან იყვნენ და ერთ-ერთი წყაროს თა-ნახმად ბავშვობიდან იცნობდნენ ერთმანეთს.

იუდას ტომი ისრაელში ერთ-ერთი ძლიერი ტომი იყო. ამ საგვარეულოს მამამთავარი ძველი აღთქმის მიხედვით არის იუ-და, პატრიარქ იაყაკობის მეოთხე შვილი ლიადან (დაბადება, 29:35).

ზემოთქმულის გათვალისწინებით ცხადი ხდება: საკუთარ გადაწყვეტილებაში ღრმად დარწმუნებულმა მაცხოვარმა კარ-გად იცოდა, რომ იუდას დახმარების გარეშე ის ვერ შეძლებდა „ცათა სასუფეველში“ დაბრუნებას: „რასაც აკეთებ გააკეთე ჩქარა“.

ეს ბრძანება ღვთის კაცისა იმ ადამიანისადმი, რომელიც მი-სი ტომიდან იყო, მიგვანიშნებს იუდას ძალისხმევაზე, რაც გა-ნარჩევდა მას დანარჩენ მოციქულთაგან, რადგან იუდა უბრა-ლო გალილეველი კი არ იყო, არამედ წარმოადგენდა იუდას ტო-მის წარმმართველ ძალას – მამამთავარს.

დასკვნა ასეთია:

რომ არა იუდა, ქრისტეს ჯვარზე გაკვრა და შემდგომ მისი „ცათა სასუფეველში“ ამაღლება არ შედგებოდა და, აქედან გა-მომდინარე ქრისტიანული რწმენა, რომელსაც დღეს რამდენიმე მილიარდი ადამიანი ეთაყვანება, დედამიწაზე არ გავრცელდე-ბოდა. ზემოთქმულიდან გამომდინარე ტერმინი „ოცდაათი ვერ-ცხლი„-ს (მათეს და მარკოზის სახარება) ეპიზოდი ქრისტეს და იუდას საიდუმლო შეთანხმების შედეგი იყო, რაც არც ერთმა გალილეველმა მოციქულმა არ იცოდა, და არც შეიძლებოდა

ცოდნოდათ, ვინაიდან ეს იყო ქრისტეს და იუდას პირადი საიდუმლო.

ალბათ, ჩემი აზრით, ეს საიდუმლო გახდა იმის მიზეზი, რომ 265-ე რომის პაპმა ბენედიქტ XVI მის მიერ გამოქვეყნებულ წიგნში („ვნების კვირა“, მეორე ტომი, თეოლოგიური ანალიზი – 2011), რომელშიც ქრისტეს ბიოგრაფია არის აღწერილი, ებრაელი ხალხისაგან მოხსნილია ყველა ბრალდება მესიის მკვლელობაში. უფრო ადრე, 1965 წელს ვატიკანში, რომის პაპმა პავლე VI გამოსცა ოფიციალური დეკლარაცია, სადაც ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ებრაელ ხალხს არავითარი ბრალი არ მიუძღვის ქრისტეს მკვლელობაში.

და ბოლოს შეუძლებელია არ აღვნიშნოთ საქართველოს სახალხო მწერლის რევაზ მიშველაძის ახალი შემოქმედებითი ამაღლება: რომანი „ქრისტე“. მე ეს რომანი წაკითხული არა მაქვს, მაგრამ დიდი ყურადღებით გავეცანი მწერალ ავთანდილ ნიკოლეიშვილის რეცენზიას: „ახალი თემატური მიმართულება რევაზ მიშველაძის პროზაში“ („მწერლის გაზეთი“ N3 (287), 1-31 ივლისი, 2021). მოვიტან რამდენიმე ამონარიდს ამ რეცენზიიდან:

„თავისი რომანის მეშვეობით მან ღრმად შთამბეჭდავი ფორმით მოგვითხრო ჩვენი მაცხოვრის – იესო ქრისტეს მიწიერი ცხოვრების ამბავი. აქედან გამომდინარე რომანის სიუჟეტი ნაწილობრივ ემთხვევა სახარებისეულ ტექსტს. ამ გარემოებას თავად მწერალიც აღნიშნავს ნაწარმოებისათვის წამძღვარებული წინათქმის მეშვეობით: „მომიტევოს უფალმა, რომ გავბედე მე, მართლმადიდებელმა ქართველმა მწერალმა, თანამედროვე თვალით დამენახა სახარებისეული მოვლენები და ერთხელ კიდევ გამესვა ხაზი იმ ჭეშმარიტებისათვის, რომ ახალი აღთქმის იდეები უკვდავია“.

ბატონი ავთანდილ ნიკოლეიშვილი დაკვირვებით მიყვება რა რომანის სიუჟეტურ ქარგას მკითხველს აწვდის რევაზ მიშველაძისეულ მიგნებას იმის შესახებ რომ ქრისტეს მცნებები და

ქადაგებები არსებითად ცვლის მოსეს უზენაესი სამართლის მცნებებს: „კბილი კბილისა წილ!“ და „თვალი თვალისა წილ!“. ამ მხრივ უნდა გავიხსენოთ ეპიზოდი მეძავი ქალის გასამართლებისა: „მაგრამ რაკი დაჟინებით ეკითხებოდნენ, წამოიმართა და უთხრა მათ: ვინც თქვენს შორის უცოდველია, პირველად იმან ესროლოს ქვა“ (იოანეს სახარება, თავი მერვე, 7).

და კიდევ: „მე კი გეუბნებით თქვენ: წინ ნუ აღუდგებით ბოროტს, არამედ, თუ ვინმემ მარჯვენა ლოყაში გაგაწნას, მეორე ლოყაც მიუშვირე“ (მათეს სახარება, თავი მეხუთე, 39).

ვფიქრობ რომანი „ქრისტე“ ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს მართლმადიდებლური ეკლესიის მრევლის ცხოვრებაში.

ვარ დარაჯი იუდეველი ძმისა

ეს სათაური პერიფრაზია ცნობილი ქართველი მწერლის, ეროვნებით ებრაელის, გურამ ბათიაშვილის წიგნისა „ვარ დარაჯი ჩემი ძმისა“. ეს წიგნი ბატონმა გურამმა პირადად მაჩუქა 1995 წელს. ეს ასე მოხდა: გორის ეკონომიკური ინსტიტუტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგემ, პროფ. ელდარ მამისთვალაშვილმა გაზეთ „მენორაში“ გამოაქვეყნა ნაშრომი: „ჰურიათა ქართველთა გაგების გამო“ და „საქართველოს ებრაელების ისტორია“. ორივე ნაშრომი საპოლემიკო ხასიათის იყო, ეხებოდა „განთიადში“ გამოქვეყნებულ ჩემს მეცნიერული ხასიათის თხზულებას.

ე. მამისთვალაშვილი სტატიის დასაწყისში მიანიშნებდა:

„წინამდებარე რეცენზიის თუ შენიშვნების დაწერის და ზოგიერთი მოსაზრების გამოთქმის სურვილი გამოიწვია იაკობ პაპიაშვილის ნაშრომმა „ქართველ ებრაელთა წარმომავლობის და ქართული ასომთავრული ანბანის შექმნის საკითხისათვის“ (ჟურნ. „განთიადი“, 1991, N9, გვ. 183-191).

მამისთვალაშვილი აგრეთვე აღნიშნავდა: „ბატონმა ი. პაპიაშვილმა რომელი კუთხითაც დააყენა საკითხი, სიმართლე უნდა ითქვას, ასეთნაირად არავის არ დაუყენებია...“

ჩემმა პასუხმა არ დააყოვნა და წარვუდგინე ბატონ გურამ ბათიაშვილს „მენორას“ რედაქციაში. რედაქტორი დამპირდა რომ გამოაქვეყნებდა ჩემს ნაშრომს გაზეთის სამ ნომერში და მაჩუქა წიგნი წარწერით „ვარ დარაჯი ჩემი ძმისა“.

ჩემი ნაშრომი „ჰურიანნი ქართველნი – ვინ იყვნენ ისინი?“ გამოქვეყნდა „მენორას“ სამ ნომერში: ივლისი, 1996, N7 (41), „მენორა“, აგვისტო, 1996, N8 (42), „მენორა“, სექტემბერი, N9 (43).

მესამე ნომრის დასასრულს აღნიშნული იყო: ავტორი იაკობ პაპიაშვილი, მწერალი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევ-

რი, ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის ლექტორი. 18 აპრილი, 1996 წ.

არ არის დიდი ხანი რაც რუსულ ენაზე გამოიცა ე. მამისთვალაშვილის ახალი წიგნი რუსულ ენაზე „ქართველი ებრაელები“ (ანტიკური ხანიდან 1921 წლამდე)“. წიგნის რედაქტორია პროფ. გივი ღამბაშიძე. წიგნი განთავსებულია ინტერნეტში. წინა საპოლემიკო წერილებთან განსხვავებით ჩემს მეცნიერულ მიგნებასთან დაკავშირებით ბატონმა მამისთვალაშვილმა ჩანს რომ აზრი ნაწილობრივ შეიცვალა, როგორც ჩანს იგი რაღაცას მიხვდა. მიუხედავად ამისა ჩემს მეცნიერულ ნაშრომებთან დაკავშირებით, რომელსაც მრავალი თავი ეთმობა, კვლავ უხეში შეცდომებია დაშვებული. მე აღარ შეუდგები ამ შეცდომების განხილვას, მაგრამ ერთი რამ უნდა ავღნიშნო: პროფესორი ცდილობს გაამართლოს ქართველ ებრაელთა გვარებთან დაკავშირებით ილია გაგულაშვილის პოზიცია.

აქ მე, ვაჟა-ფშაველას უნდა დავესესხო: „მე არც ერთ კილოს არ ვწუნობ, თუა ქართულის გვარისა“.

საბჭოთა ეპოქაში იყო ტენდენცია, რომლის მიხედვით ერთი ასოს საშუალებით ადგენდნენ ვინ იყო ქართველი და ვინ ებრაელი. მაგალითად: დავითიაშვილი მიაჩნდათ ებრაელად, ხოლო დავითაშვილი ქართველად და შესაბამისად – იაკობიშვილი ებრაელად, ხოლო იაკობაშვილი ქართველად, პაპიაშვილი ებრაელად, პაპუაშვილი ქართველად, სეფიაშვილი ებრაელად, სეფაშვილი ქართველად და ა. შ.

ეს უაზრო შთაგონება შესაძლებელია რელიგიური წეს-ჩვეულებების რწმენასთანაც იყოს კავშირში, მაგრამ არსებობს გადმოცემები, რაც გვაფიქრებინებს, რომ ეს საკითხი ეთნიკურ ჩარჩოებში უნდა იყოს მოქცეული.

ეთნიკური მიგრაციები საქართველოში არცთუ იშვიათი მოვლენა იყო, რაც დასტურდება ისტორიული წყაროებით. არსებობს სპეციალური ლიტერატურა. მიგრანტები გარკვეულ პე-

რიოდებში ნასესხობის გზით ითვისებდნენ მკვიდრი მოსახლეობის უნარ-ჩვევებს და ცხოვრების ტრადიციულ წესებს. ასე რომ საქართველო ეთნიკური მრავალფეროვნებით რთული რეგიონია და ზოგჯერ შეუძლებელია ამა თუ იმ გვარ-სახელის წარმომავლობის დადგენა, მაგრამ არც თუ იშვიათად გარკვეული ისტორიული მოვლენები გვეხმარებიან პრობლემის გარკვევაში.

1966 წელს დეკანატის გადაწყვეტილებით წინა სადიპლომო პრაქტიკის გავლა კურსდამთავრებულებს მოგვიწია ყაზბეგის რაიონში (დღევანდელი სტეფანწმინდა – ი. პ.). სადიპლომო კურსის ხელმძღვანელები: პროფ. დიტო დოლიძე, პროფესორები: წულეისკირი და კაკუშაძე, აკადემიკოსი კ. ზავრიევი, არქიტექტორები: პროფ. ირაკლი ციციშვილი, დოცენტი აკაკი ბერიშვილი.

სნოს ხეობაში შვიდი სოფელია. როგორც მახსოვს სოფელ სნოში ბიბლიოთეკა იყო, სადაც ზოგჯერ შევივლიდი ხოლმე. აი, იქ მოხუცებულმა ბიბლიოთეკარმა როცა გაიგო გვარად პაპიაშვილი ვიყავი, მიამბო ასეთი ისტორია: სნოს ხეობაში ორასიოდე წლის წინ, ხევსა და ხევსურეთში გავრცელებული ხალხური ლექსებისა და თქმულებების მიხედვით, თავიანთი სიმამაცით განთქმული ყოფილა ორი ძმა: ღუდუშაური შიოლა და პაპა, რომელთა დაღუპვის მერე მათ პატივსაცემად, შიოლას შთამომავლები (მათ შორის უწმინდესი და უნეტარესი, კათოლიკოს პატრიარქი ილია მეორე) შიოლაშვილებად, ხოლო პაპას შთამომავლები პაპიაშვილებად იწოდებიანო. როგორ აღმოჩნდნენ პაპიაშვილები იმერეთში მოკვლეული არ არის. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ხევსურეთის პაპიაშვილები ქრისტიანული სარწმუნოების, ხოლო იმერელი პაპიაშვილები ებრაული სარწმუნოების მიმდევრები არიან („ვარ დარაჯი იუდეველი ძმისა“ გამოქვეყნდა გაზეთში „მენორა“, აგვისტო, N8, 2022).

ავტორის მინაწერი:

მისასალმებელი იქნება თუ მართლმადიდებლური ეკლესია – რომის კათოლიკური ეკლესიის მსგავსად მოხსნის დანაშაულს ებრაელი ხალხისაგან იესო ქრისტეს ჯვარზე გაკვრასთან დაკავშირებით. ეს გამოიწვევს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში დემოკრატიული პრინციპების განმტკიცებას და ამაღლებას.

რეპლიკა: როცა ბატონმა გოგი ქავთარაძემ 80-იან წლებში ქუთაისში „ვენეციელი ვაჭარი“ დადგა და როცა სპექტაკლი დამთავრდა, როცა ფარდა დაეშვა და ლამპიონები აინთო, ხალხით გადაჭედილ ამ უმშვენიერეს დარბაზში ქართველი ქრისტიანები ზიზღით გვიცქეროდნენ ქართველ ებრაელებს; ალბათ, ბატონი რობერტ სტურუა გაისიგრძეგანებს ამ ფაქტს.

დაკარგული სოციალიზმი

Кто ни умрет, я всех убийца тайный:
Я ускорил Феодора кончину,
Я отравил свою сестру царицу,
Монахиню смиренную… всё я!
Александр Пушкин, «Борис Годунов», глава 7. «Царские палаты»

„დიდი სამამულო ომის დროს, ხრუშჩოვი სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრი და წითელი არმიის კიევთან (1941) და ხარკოვთან (1942) კატასტროფული ალყის ერთ-ერთი დამნაშავე იყო“ — ვიკიპედია.

სიმართლე უნდა ვთქვათ, 1942 წლის 28 მაისს ადოლფ ჰიტლერი დიდების მწვერვალზე იყო ასული. წითელი არმიის ნაწილები ხარკოვის მისადგომებთან ბარვენკოვოს რაიონში იყვნენ გარშემორტყმულნი.ხარკოვისთვის ბრძოლის პერიოდში გერმანელებმა შეიპყრეს 240 ათასი წითელი არმიის ჯარისკაცი, ხელში ჩაიგდეს მრავალი ტანკი და იარაღი, ამავდროულად ბევრი საბჭოთა გენერალი და ოფიცერი დაიღუპა ან დაიკარგა … სამხრეთ-დასავლეთის მიმართულების სარდლობა, ს. ტიმოშენკოს, ი. ბაღრამიანის და ნ. ხრუშჩოვის შემადგენლობით, რომლებმაც სამარცხვინოდ შესძლეს ალყიდან გასვლა, უმაღლესმა მთავარსარდალმა დაინდო.

ისმის კითხვა: რატომ? ჯერ კიდევ 18 მაისს მუშურ-გლეხური წითელი არმიის გენერალური შტაბის უფროსმა ა. ვასილევსკიმ მთავარ სარდლობას შეთავაზა წინადადება ხარკოვის მიმართულებით შეტევის შეწყვეტის შესახებ და ბარვენკოვოს კლდის შვერილიდან ჯარების გამოყვანის დაწყება, მაგრამ ტიმოშენკო და ხრუშჩოვი უმტკიცებდნენ უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკს, რომ მტრის მუქარის საშიშროება გაზვიადებულია და ოპერაციის წარმატებით დასრულება შესაძლებელიაო. სამწუხაროდ მთავარსარდალმა დაიჯერა არა ვასილევსკის წინადადება, არამედ ოპერაციის უშუალო ხელმძღვანელების მცდარი ვერსია.

„ი. ბ. სტალინმა ხარკოვის ოპერაციაში წითელი არმიის დამარცხებას კატასტროფა უწოდა“.

სამხრეთ-დასავლეთის მიმართულების სარდლობას, რომელიც ა ს. ტიმოშენკოს, ი. ბაღრამიანის და ნ. ხრუშჩოვისაგან შედგებოდა, უმაღლესმა მთავარსარდალმა განუცხადა:

„თუ საბჭოთა ხალხს ვეტყვით სიმართლეს და შევატყობინებთ იმ კატასტროფის შესახებ, რომელიც განიცადა ფრონტმა და კვლავ განიცდის, ვშიშობ თქვენ ძალიან მკაცრად მოგექცევიან...“

გავიმეორებ, რატომ დაზოგა სტალინმა ხარკოვის მახლობლად მომხდარი ტრაგიკული ხოცვა-ჟლეტის დამნაშავენი, განსაკუთრებით ხრუშჩოვი, რადგან იგი მთავარბანაკის წარმომადგენელი იყო სამხრეთ-დასავლეთ ფრონტზე, როგორც სამხედრო საბჭოს წევრი. ლაზარ კაგანოვიჩი ხომ არაერთხელ აფრთხილებდა იოსებ ბესარიონის ძეს, რომ ხრუშჩოვი ტროცკისტი იყო.

იქნებ მისი მეუღლის ნადეჟდა ალილუევას ხსოვნას მიაგო პატივი, რომელმაც ხრუშჩოვის კანდიდატურას კომუნისტური პარტიის უმაღლესი ეშელონში გაუწია რეკომენდაცია?

ასეა თუ ისე, ერთი თვის შემდეგ გერმანელებმა აიღეს ქალაქი როსტოვი;

კავკასიის და ვოლგის მიმართულებით გზა ხსნილი იყო. თუ ისინი ბაქოს ნავთობს ხელში ჩაიგდებდნენ, სტალინგრადის დაპყრობა გაუადვილდებოდათ. მოგვიანებით პაულიუსის მე-6 არმია სტალინგრადისაკენ დაიძრა... მაგრამ, როგორც დიდი სამამულო ომის შემდგომმა მოვლენებმა ცხადყო, 1942 წლის მაისში ხარკოვის მისადგომებთან გამარჯვება ვერმახტისათვის ბოლო ზეიმი აღმოჩნდა.

ხარკოვთან მარცხის შედეგად, 1942 წლის 28 ივლისს, უმაღლესმა მთავარსარდალმა იოსებ სტალინმა გამოსცა ცნობილი ბრძანება N227, მკაცრი და დაუნდობელი, უფრო ცნობილი როგორც „არც ერთი ნაბიჯი უკან!“

დღეს ზოგიერთი ქართული ტელეარხი (ისინი ცდილობენ შეცდომაში შეიყვანონ ე. წ. პერესტროიკით გაბრიყვებული, გაბითურებული, გაღატაგებული ადამიანები, განსაკუთრებით აფხაზეთში და სამაჩაბლოში, სადაც დევნილი ქართველი ხალ-

ხის სამოსახლოებს და სიწმინდეებს გადამთიელები დაეპატრონენ და ეპატრონებიან – ი. პ.) არასწორად უხსნის მაყურებელს რუსეთის რევოლუციის არსს – ამახინჯებენ სსრკ-ში 1917-1918 წლებში განვითარებულ მოვლენებს, რაც რუსული ასლია. აქ ჩამოვთვლი მოვლენების დამახინჯების რამდენიმე მაგალითს:

1. ისინი ამბობენ, რომ თითქოს სტალინმა შექმნა გულაგი ГУЛаг). არასწორია რა თქმა უნდა! გულაგამდე არსებობდნენ საკონცენტრაციო ბანაკები, რომლებიც ტროცკისა და ლენინის მიერ იყო შექმნილი ... უბრალოდ, სტალინმა ამ დაწესებულებებს სახელი გადაარქვა უფრო კულტურული სახით: „ბანაკების მთავარი სამმართველო — Главное управление лагерей – (ГУЛаг)“.

2. „სტალინური რეპრესიები“ — ტერმინი ძალზე არაზუსტია. ამ ტერმინს მთელ მსოფლიოში იყენებენ, განსაკუთრებით კი რუსეთსა და საქართველოში. „სტალინური რეპრესიები“ ნიშნავს სტალინის მიერ ხელმოწერილ სიებს, მაგრამ აქ მხედველობაში არ მიიღება სახალხო კომისარიატის (НКВД) და წითელი არმიის (РККА) ბრძოლა ტროცკიზმისა და სოციალიზმის სხვა მტრების წინააღმდეგ.

ლ.პ. ბერიას (25.11.1938) შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის (НКВД)-ის ხელმძღვანელად დანიშვნამდე ამ სტრუქტურებს ხელმძღვანელობდნენ გ. გ. იაგოდა და ნ. ი. ეჟოვი.

აშკარაა, რომ ე.წ. „სტალინური რეპრესიების“ სიები შეადგინეს იაგოდამ და ეჟოვმა, მათ, რომლებმაც პარტიის ცენტრალური კომიტეტისგან, მალენკოვისა და ხრუშჩოვისგან შესაბამისი მითითებები მიიღეს.

ექსპერტების აზრით (ა. ს. ბარსენკოვი და ა. ვდოვინი) „ლ. პ. ბერიას НКВД-ის ხელმძღვანელის პოსტზე მოსვლისთანავე, რეპრესიების მასშტაბი მკვეთრად შემცირდა“.

ცნობილია, რომ სანამ ბერია ამ პოსტზე დაინიშნებოდა, სტალინი დიდი ხნის განმავლობაში ეძებდა შესაფერისი პიროვ-

ნებას შსსკ (НКВД) – ის ხელმძღვანელის პოსტზე, იმისათვის რომ შეემცირებინა დასახვრეტთა რიცხვი „ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკის“ შემადგენლობიდან, რომლებიც სახელმწიფო პოლიტიკური სამართველოს (ОГПУ) მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებობდნენ.

აქ უნდა გავიხსენოთ დეპეშა, რომელიც ხრუშჩოვმა გაუგზავნა სტალინს რეპრესიების მიმდენარეობის პერიოდში. დეპეშას ხანგრძლივი ისტორია აქვს, მისი ტექსტი თავდაპირველად გამოაქვეყნა ჩუევმა მოლოტოვის გადმოცემის მიხედვით (როგორც ამბობენ, საარქივო მასალები არ არსებობს – ი. პ.). აი, თვით დეპეშა: 1938 წელს სტალინი კიევიდან იღებს ხრუშჩოვის დეპეშას საყვედურით: ,,ძვირფასო იოსებ ბესარიონის ძევ! უკრაინა ყოველთვიურად აგზავნის 17-18 ათას რეპრესირებულს, მოსკოვი კი ამტკიცებს არა უმეტეს 2-3 ათასს. გთხოვთ, სასწრაფოდ მიიღოთ ზომები. სიყვარულით, ნ. ხრუშჩოვი. „ამაზე პასუხად ხრუშჩოვი იღებს მოკლე დეპეშას: ,,დაწყნარდი, სულელო! ი. სტალინი.“

არანაირი პიროვნების კულტი არ არსებობდა. ხრუშჩოვმა მალენკოვის დახმარებით (ი. პაპიაშვილი „დავიწყებული ბელადი“) შეცდომაში შეიყვანა, მოატყუა საბჭოთა ხალხი (საბჭოთა კავშირის XXII ყრილობაზე, რომელიც ჩატარდა 1961 წლის 17 ოქტომბერს, ნ. ს. ხრუშჩოვმა გამოსვლისას განაცხადა, რომ 20 წლის შემდეგ სსრკ-ში კომუნიზმი აშენდება), ნოვოჩერკასკში სისხლში ჩაახშო ელმავალმშენებელი ქარხნის მუშების მშვიდობიანი, მრავალათასიანი მიტინგი, თბილისში ტანკები შეიყვანეს, დაიწყეს ქართველი მოქალაქეების სიკვდილით დასჯა, გააძევეს პასტერნაკი მწერალთა კავშირიდან, მიიღეს მცდარი გადაწყვეტილებები სოფლის მეურნეობაში, (კერძოდ, არასწორი გადაწყვეტილება ყამირი მიწების ათვისების საქმეში) რამაც გამოიწვია პურის გაქრობა სსრკ-ში. მის სინდისზეა ავანგარდიზმის მიმდევარი მხატვრების დევნა, ერთ ღამეში (1961 წლის 12-13 აგვისტოს) ააშენა ბერლინის

კედელი ე. წ. „სამარცხვინო კედელი“. აქამდე საზღვარი გდრ-სა და ფრგ-ეს შორის მოსახლეობისათვის თავისუფალი იყო და რაც მთავარია, მან მოაწყო ანტირელიგიური კამპანია, დახურა ეკლესიები, სინაგოგები, დააპატიმრა მღვდლები, რაბინები და რელიგიური მრწამსის მქონე ადამიანები.

რელიგიის მოძულე კარლ მარქსმაც კი თქვა, რომ რელიგიასთან ბრძოლის ძალადობრივი მეთოდები უშედეგო და მიუღებელია. რასაკვირველია რევოლუციის გარიჟრაჟზე სტალინს ესმოდა პარტიის მიერ (ლენინი, ტროცკი) გატარებული რელიგიური პოლიტიკის უგუნურობა და როგორღაც მოახერხა თავის არიდება, არ მიიღო მასში მონაწილეობა. ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე ჩვენ გვაქვს საფუძველი მტკიცედ ვთქვათ, რომ საკუთარი მართლმადიდებლური მრწამსისათვის (გორის სასულიერო სასწავლებელი და თფილისის სასულიერო სემინარია – ი. პ.) მას თავის სიცოცხლეში არ უღალატნია.

აშკარაა, რომ მას არ შეეძლო საჯაროდ შეწინააღმდეგებოდა პარტიის ხაზს, რომელიც მიზნად ისახავდა რელიგიის სრულ განადგურებას, რადგან მას გააძევებდნენ არა მხოლოდ ხელმძღვანელობიდან, არამედ პარტიიდან, ანუ დახვრიტდნენ. მაგრამ როცა 1922 წელს ლენინმა იგი პარტიის გენერალური მდივნის პოსტზე დააწინაურა, უკვე ერთი წლის მერე, ლენინის სასტიკი მოწოდების მიუხედავად მართლმადიდებლური რელიგიის მოსპობის შესახებ, სტალინის ინიციატივით სსრკ ყველა პარტიულ ორგანიზაციაში იგზავნება საიდუმლო ცირკულარული წერილი (განკარგულება) N30 – 16.08.1923 წ.

„რელიგიური ორგანიზაციების მიმართ დამოკიდებულების შესახებ„

წერილის ტექსტში ნათქვამია, რომ მე -11 ყრილობის გადაწყვეტილების თანახმად, აუცილებელია „გულდასმით მოერიდოთ მორწმუნეთა გრძნობების შეურაცხყოფას“, რომ „რწმენისა და თაყვანისცემის საგნების დაცინვა … კი არ აჩქარებს,

არამედ ართულებს მშრომელთა მასების რელიგიური ცრურწმენებისგან განთავისუფლებას“. წერილში მიუთითებდნენ: აიკრძალოს ეკლესიებისა და სალოცავი შენობების დახურვა; აიკრძალოს რელიგიური ხასიათის დაპატიმრებები … (როგორ რეაგირებდნენ ადგილობრივი ხელმძღვანელები ადგილზე, ეს სხვა საკითხია- ი. პ.).

მოგვიანებით, რეპრესიების მიუხედავად, სტალინმა შესძლო საგანგებო ნაბიჯის გადადგმა: 1939 წლის 11 ნოემბერს საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკები) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ *(ЦК ВКП(б))* მიიღო უპრეცედენტო გადაწყვეტილება:

„ამიერიდან მიზანშეუწონლად იქნეს ცნობილი სსრკ შსსკ (НКВД) ორგანოების მიერ რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის მსახურთა დაპატიმრება და მორწმუნეთა დევნის პრაქტიკა… ამავე დროს, ამხანაგ ულიანოვის (ლენინის) 1919 წლის 1 მაისის N 13666-2 ინსტრუქცია „ბრძოლა მღვდლებისა და რელიგიის წინააღმდეგ“, საკავშირო საგანგებო კომისიისთვის *(ВЧК)* ამხანაგ ძერჟინსკისთვის გაგზავნილი და ყველა შესაბამისი ინსტრუქცია რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მსახურთა და მართლმადიდებელი მორწმუნეების დევნის შესახებ, გაუქმდეს.“

ამ რეზოლუციიდან ჩვენ მხოლოდ მცირე ნაწილი ამოვწერეთ, მაგრამ ვფიქრობ, მკითხველი მაინც მიხვდება, რომ რუსი და ქართველი ანტისტალინისტების განცხადებები იმის შესახებ, რომ თითქოს სტალინი კაციჭამია და კანიბალი იყო, სრული ტყუილია, უბრალოდ გამოგონილია.

პოლიტბიუროს ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა პოლიტბიუროს ყველა წევრმა მხოლოდ იმიტომ, რომ ამ დროს ტროცკიზმი ჩაახშეს (1937-1938). წინააღმდეგ შემთხვევაში, ხსენებული დადგენილება არ გავიდოდა. პოლიტბიუროს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით, პატიმრობიდან გაათავისუფლეს 30 ათასზე მეტი პატიმარი.

ამრიგად, შეცდომა არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ნ. ხრუშ-ჩოვმა სტალინის მთელ სკრუპულოზური შრომას ხაზი გადაუს-ვა და ქვეყანა 20-იანი წლებისკენ, ანუ ტროცკიზმისკენ მიატ-რიალა (იხ. „მესამე რომი“ – ი. პ.).

მეორე მსოფლიო ომის ისტორიაში ჯერ კიდევ არის რაღაც ასპექტები, რომლებიც ან ნაკლებად არის შესწავლილი, ან სხვა-დასხვა ავტორი ან ისტორიული სკოლა სხვადასხვა ფორმით განმარტავს მათ.

1945 წლის 9 აპრილს, ლივადიის სასახლეში, პოლონეთის საკითხის განხილვისას, რუზველტმა მოულოდნელად თქვა: „სასურველია პოლონეთის არჩევნები, ცეზარის ცოლის მსგავსად, ეჭვგარეშე იყოს.“

მფრინავი ფრაზა „ცეზარის ცოლი ეჭვგარეშეა“ ეკუთვნის თავად ცეზარს. მომავალი დიდი დიქტატორი პომპეა სულაზე დაქორწინდა ძვ.წ. 67 წელს. ორივესთვის ეს ქორწინება მეორე იყო. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მაშინ ეს კავშირი განსა-კუთრებით საჭირო იყო თავად ცეზარისთვის, ვინაიდან პომპეა სულა იყო პომპეუს დიდის ნათესავი.

ქორწინების ორგანიზატორი იყო ცეზარის დედა ავრელია კოტა. სკანდალი მოხდა ცეზარის სახლში, სიკეთის ქალღმერ-თის საიდუმლოებაზე, სადაც ჩვეულებრივ მხოლოდ ქალები იკ-რიბებოდნენ, მაგრამ იქ მოულოდნელად ქალის სამოსში გადაც-მული მამაკაცი აღმოჩნდა.

ცეზარი, რომელსაც მაშინ დიდი პონტიფიკის თანამდებობა ეკავა, ამ ინციდენტის შემდეგ დაუყოვნებლივ გაშორდა ცოლს და განქორწინებისას წარმოთქვა ფრაზა: „ცეზარის ცოლი ეჭ-ვგარეშეა“. მოგვიანებით ფრაზა ფრთიანი გახდა.

სწორედ ეს ფრაზა გამოიყენა რუზველტმა იალტის კონფე-რენციის დროს, რაზეც სტალინმა მაშინვე მოახდინა რეაგირება:

„ასე ცეზარის მეუღლეზე მხოლოდ ლაპარაკობდნენ. სინამ-დვილეში მას ჰქონდა გარკვეული ცოდვები“.

ცეზარის ცოლის ცოდვებზე საუბრისას, სტალინმა თავის მოკავშირეებს სინამდვილეში შეახსენა ის ცოდვები, რომლებიც მათ დაუშვეს მეორე მსოფლიო ომის წინ:

30-იან წლებში ლონდონი, ვაშინგტონი და პარიზი საერთოდ არ ენდობოდა სტალინს და, ალბათ, მხარს უჭერდნენ ვაიმარის რესპუბლიკის პრეზიდენტს (გერმანიის ბურჟუაზიულ- დემოკრატიული რესპუბლიკა) პაულ ფონ ჰინდენბურგს, რომელმაც ხელისუფლება გადასცა ნაციონალ-სოციალისტებს.

1933 წლის 30 აპრილს ჰინდენბურგმა ჰიტლერი დანიშნა მესამე რეიხის კანცლერად და გერმანიაში დამყარდა ნაცისტური დიქტატურა. ვაიმარის რესპუბლიკამ ფაქტობრივად შეწყვიტა არსებობა.

ამ მომენტიდან დასავლეთის სახელმწიფოების უნდობლობა სტალინის მიმართ გაიზარდა და კულმინაციას მიაღწია 1938 წლის სექტემბრის ბოლოს მიუნხენის კონფერენციის დროს (ე.წ. მიუნხენის შეთქმულება), სადაც ჩემბერლენმა, დალადიემ, ჰიტლერმა, მუსოლინიმ და ციანომ ხელი მოაწერეს შეთანხმებას სუდეტის რეგიონის ნაცისტებისთვის გადაცემის შესახებ, რომლის ძალითაც ჩეხოსლოვაკიამ, როგორც სახელმწიფომ, შეწყვიტა არსებობა, ვინაიდან ჰიტლერმა დაიპყრო მისი მთელი ტერიტორია.

სერ ჰორაცი ვილსონ, უილსონ ჰორასი მეტსახელად „მშვიდობისმყოფელი ბოროტი გენიოსი“, ბრიტანეთის პრემიერ მინისტრის ნევილ ჩემბერლენის პოლიტიკური მრჩეველი, პოლიტიკურ საკითხებსა და დიპლომატიაში, საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიის დელეგაციები მიუნხენის კონფერენციაზე არ დაუშვა. ისეთმა ბრძენმა სახელმწიფო მოღვაწემაც კი, როგორიც აშშ-ს პრეზიდენტი ფრანკლინ დელანო რუზველტი იყო, გადაწყვიტა, რომ მიუნხენის შეთანხმებამ ხალხებს შორის ღრუბლები გაფანტა და საჭიროდ ჩათვალა ჩერბერლენთან მისალოცი დეპეშის გაგზავნა … სინამდვილეში, მეორე მსოფლიო ომი დაიწყო. გერმანელმა გენერლებმა, რომლებიც რეიხ კანცლერის პოსტი-

დან ჰიტლერის მოხსნის გეგმებს ამზადებდნენ, აჯანყება გვერდზე გადადეს, მიესალმნენ კაცს, რომელმაც ჩეხოსლოვაკიის ანექსია ერთი გასროლის გარეშე მოახერხა.

ჰიტლერი ნაძირალა, მანიაკი, რომელიც ოცნებობდა მსოფლიო ბატონობაზე, ოცნებობდა ებრაელების მოსპობაზე, ოცნებობდა ქვეყნებისა და ხალხების დამონებაზე, გრძნობდა რა დასავლეთის ქვეყნების ლიდერების სისუსტესა და უძლურობას, დაოკების ნაცვლად აგრესია გააგრძელა და დაიპყრო მთელი ევროპა.

არა, სტალინს სურდა ომი. მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი (1939 წლის 23 აგვისტო), პოლონეთის გაყოფა (1939 წლის 28 სექტემბერი) და ჰიტლერთან გავლენის სფეროების განაწილება საბჭოთა პოლიტიკური კურსის შეცვლას წარმოადგენდა და ნაძალადევი, თავსმოხვეული გადაწყვეტილება იყო.

ზოგიერთი წყარო ირწმუნება, რომ მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი ხელმოწერილი რომ არ ყოფილიყო, ჰიტლერი აპირებდა სსრკ-თან ომის დაწყებას 1939 წლის ბოლოს ... რომ არა ეს დაწყევლილი მეორე მსოფლიო ომი, რომელშიც სამი ჩემი ძვირფასი ბიძა აბრამი, გარი და ისრაელი დაიღუპა (იხ. ი. პაპიაშვილის დოკუმენტური ნარკვევი: „რკინას ცეცხლი აფოლადებს“ – თავდაპირველად გამოქვეყნდა გაზეთ „ქუთაისის“ ლიტერატურულ გვერდზე, შემდეგ „ლიტერატურულ საქართველოში“ და „სოფლის ცხოვრებაში“, ხოლო ბოლოს ისრაელის რუსულენოვან გაზეთში: „Новости недели“, 6 мая, 2008, с. 10-11) 50-იან წლებში საბჭოთა ხალხი სოციალიზმში იცხოვრებდა, რაზეც ოცნებობდა სტალინი.

ვიმეორებთ, სტალინს არ სურდა ომი, რადგან ომი დამანგრეველი იყო სოციალისტური მშენებლობისთვის.

შოვინისტური, ე. წ. ლიტერატურული ციკლი
და
შოვინისტური რუსული კინოფილმი

ქართველმა მკითხველმა საზოგადოებამ უნდა იცოდეს ვინ იყო ფაზილ ისკანდერი და რა როლი ითამაშა მისმა ე. წ. ლიტერატურულმა ციკლმა „სანდრო ჩეგემიდან“ ქართველებისა და აფხაზების კონფლიქტში და რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ოკუპაციაში. ცნობილია, რომ საბჭოთა ლიტერატურული ცენზურა გარკვეულ პერიოდში ცდილობდა ეს უმსგავსო, თითქოს და ლიტერატურული ნაწარმოები არ გამოქვეყნებულიყო, მაგრამ იგი ნაწყვეტების სახით დაიბეჭდა ჟურნალში „Новый мир“ (1973, N8-11).

ციკლი "სანდრო ჩეგემიდან" არის ფაზილ ისკანდერის ბიძის მონათხრობი მოგონილი ამბავი რაც სტალინური ეპოქის დამახინჯებული წარმოჩენაა. ეს ყალბი ციკლი მოსისინე, შხამიანი გველივით დასრიალებს აფხაზეთისა და სამეგრელოს წყალგამყოფზე. ამ ციკლს არც ლიტერატურული და არც ისტორიული ღირებულება არ აქვს, მასში მონათხრობი ყველაფერი სიცრუეა, ცილისწამებაა (ხრუშჩოვის შვილის დანაშაულებრივი ქმედება დიდი სამამულო ომის პერიოდში მიწერილი აქვს ნესტორ ლაკობას, თითქოს და სტალინის ბრძანებით – ი. პ.), მაგრამ რუსი შოვინისტური ელიტისათვის, რომელიც გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერის დროიდან ცდილობს ქართული მიწების მისაკუთრებას, განსაკუთრებით აფხაზეთის და სამაჩაბლოს დასაკუთრებას, მისასალმებელია და მისაღები.

ვინ არის ფაზილ ისკანდერი? იგი არის სპარსელი, დაბადებულია სოხუმში აგურის ქარხნის მფლობელის ირანელი აბდულა ისკანდერის ოჯახში. როგორც თვითონ ფაზილ ისკანდერმა სიკვდილის წინ განაცხადა, მან აფხაზური ენა არ იცოდა და აფხაზურად ერთი სტრიქონიც კი არ დაუწერია. იგი მეტყველებდა რუსულად და წერდა რუსულად.

1989 წელს მ. გორკის სახელობის ცენტრალურმა კინოსტუდიამ „სანდრო ჩეგემიდან“ მიხედვით გადაიღო კინოფილმი

„Пиры Валтасара, или ночь со Сталиным“ ("ბალთაზარის ნადიმი, ანუ ღამე სტალინთან"). ფილმის რეჟისორი და დამდგმელია იური კარა. სიტყვა "შოვინიზმი" მონაგონია იმ ნაციონალურ მტრობასთან და სიძულვილთან, რომელსაც აღვივებს ეს ფილმი აფხაზ და ქართველ ხალხებს შორის. ამ ფილმმა დიდი წვლილი შეიტანა რუსეთის მიერ აფხაზეთის და სამაჩაბლოს ოკუპაციაში. ეს ფილმი დღესაც პოპულარულია რუსეთის ფედერაციაში და მის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში. კინოფილმის სათაური „Пир Валтасара“ ("ბალთაზარის ნადიმი") აღებულია ჰოლანდიელი მხატვრის რემბრანდტის სურათიდან, რომელიც მხატვარმა შექმნა 1635 წელს ძველი აღთქმის ერთ-ერთი სიუჟეტის მიხედვით (დანიელი, V, 1-30). ის რომ სპარსეთის მეფემ კიროსმა დაიპყრო ბაბილონი (555-539 ძვ. წ.) და ებრაელებს უფლება მისცა დაბრუნებულიყვნენ თავიანთ ისტორიულ სამშობლოში ისრაელში, ვერ მიესადაგება სტალინურ ეპოქას: ფაშიზმის დამარცხება და ებრაული სახელმწიფოს ისრაელის შექმნა 2000 წლის მერე მისი გაქრობიდან.

სამწუხაროა რომ შოვინისტი რეჟისორის იური კარას ფილმში „Пир Валтасара или ночь со Сталиным“ ("ბალთაზარის ნადიმი, ანუ ღამე სტალინთან") თამაშობენ შესანიშნავი საბჭოთა მსახიობები, მათ შორის ქართველებიც, მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ისტორიული პროცესი (1989 წელი) ანუ საბჭოთა კავშირში "შოკური თერაპიის" დასაწყისი; ეს იყო უაღრესად მძიმე პერიოდი: უფულობა, შიმშილი, ლუკმა პურისათვის თავგანწირული ბრძოლა... რაზეა ლაპარაკი... მსახიობები იძულებული იყვნენ ეთამაშათ იური კარას შოვინისტურ ფილმში.

ვიმეორებ, იური კარას ზემოაღნიშნული შოვინისტური ფილმი „Пир Валтасара или ночь со Сталиным“ ("ბალთაზარის ნადიმი, ანუ ღამე სტალინთან") დღესაც დიდი მოწონებით სარგებლობს რუსეთის ფედერაციაში, მის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, აკეთებს თავის შავბნელ საქმეს, რაც გამოიხატება აფხაზეთის და სამაჩაბლოს მიტაცებაში, დაპატრონებაში.

საბჭოთა მწერლების პირველი ყრილობა

1934, აგვისტო. მოსკოვში გაიმართა საბჭოთა მწერლების პირველი საკავშირო ყრილობა. ყრილობის მუშაობაში 600-ზე მეტმა საბჭოთა მწერელმა მიიღო მონაწილეობა. ქართული დელეგაცია მოსკოვში 30 კაციანი შემადგენლობით გაემგზავრა. მიწვეული იყო 40 სტუმარი უცხოეთიდან. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ მსოფლიოს პროგრესულმა საზოგადოებამ პირველად სტალინის ინიციატივით გაიგონა ორი სახელი: შოთა რუსთაველი და „ვეფხისტყაოსანი“. ცარიზმის ეპოქაში „ვეფხისტყაოსნს“ წვავდნენ და ანადგურებდნენ. საქართველოში ჯერ კიდევ არიან „ჭკვიანები“, რომლებიც წყევლიან მსოფლიო პოეზიის ამ ბრწყინვალე შედევრს.

ყრილობა გახსნა მაქსიმ გორკიმ. საქართველოდან სიტყვით გამოვიდა დელეგატი მალაქია ტოროშელიძე. როგორც ბესო ჟღენტი გაზეთ „კომუნისტში“ იგონებდა, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მალაქია ტოროშელიძე ყრილობის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე გამოიძახეს მოსკოვში, კრემლში, რადგან საქმეში ჩაერია სტალინი. მის შეკითხვაზე, თუ როგორ ჩამოაყალიბებდა მოხსენებას მწერალთა ამ დიდ ფორუმზე ქართული ლიტერატურის შესახებ, ტოროშელიძემ უპასუხა, რომ მოახსენებდა ყრილობას მნიშვნელოვან მოვლენებზე, იმ ქართველი მწერლების შესახებ, რომლებმაც უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებები შექმნეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში; კერძოდ, გაამახვილებდა ყურადღებას ისეთ ნაშრომებზე, რომლებშიც სოციალისტური რეალიზმი მრავალფეროვნად არის წარმოჩენილი. ასეთმა გამონათქვამმა სტალინი თურმე ძალიან აღაშფოთა და ტოროშელიძეს მკაცრად მიუთითა; როგორ ოქტომბრის რევოლუციამდე ჩვენს წინაპრებს კულტურისა და მწერლობის სფეროში არაფერი შეუქმნიათ? გადაეცით ქართველ მწერლებს, რომ მოხსენება

უნდა დაიწყოთ რუსთაველიდან მაინც, თუ უფრო ადრეული, ჰაგიოგრაფიული მწერლობიდან არა, „დაე, გაიგოს ყველამ ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთაც, როგორი ღირებულების კულტურული განძი შეუქმნია ქართველ ხალხს ოქტომბრის რევოლუციამდე.“ შემდეგ ბესო ჟღენტი იხსენებს, თუ როგორ წერდნენ ქართველი მწერლები მატარებლის ვაგონში პირველ საკავშირო ყრილობაზე წასაკითხ მოხსენებას, რაც დაახლოებით ასე გამოიხატება: „მატარებლის ვაგონის კუპის კართან რიგი იდგა, ყველა დელეგატს ხელში ეჭირა ფურცლები და ითხოვდნენ მათი ნააზრევი მოხსენებაში ჩაგვერთო.“

მეორე დღეს, 18 აგვისტოს, მალაქია ტოროშელიძის ყრილობაზე სიტყვით გამოსვლის შემდეგ, კავშირების სახლის სვეტებიანი დარბაზის ფოტოსურათების რიგი გადაადგილდა. საბჭოთა მწერლების პირველი ყრილობის დელეგატებს სვეტებიანი დარბაზის კედლებიდან უკვე ღიმილით ესალმებოდნენ მთელი მსოფლიოსთვის ცნობილი უკვდავი პოეტები, მწერლები, ლიტერატორები: რუსთაველი, პუშკინი, შევჩენკო, გოგოლი, ჰეინე, მოლიერი, ნეკრასოვი, სალტიკოვ-შჩედრინი, ბალზაკი.

ყრილობის მიმდინარეობის დროს, ერთ-ერთ ლიტერატურულ საღამოზე მწერალმა ნ. ტიხონოვმა წაიკითხა გალაკტიონის ლექსების თარგმანები რუსულ ენაზე.

საბჭოთა ლიტერატურის ძირითად მეთოდად ყრილობამ მიიღო სოციალისტური რეალიზმი.

პირველი საკავშირო ყრილობის მიმდინარეობის დღეებში, ყრილობის ახალგაზრდა დელეგატმა, პოეტმა ირაკლი აბაშიძემ შექმნა უკვდავი ლექსი:

„უცებ ღელვა და ჟრუანტელი,
უცებ თვალებში ბედნიერი ალმასის წვეთი,
კავშირთა სახლში შემოვიდა დიდი ქართველი
და ტრიბუნასთან დაიკავა პირველი სვეტი!“.

„რუსთაველის სახე სვეტებიან დარბაზში“

აღნიშნულის ფონზე, რა თქმა უნდა, საინტერესოა რატომ შეიკავა თავი სტალინმა ნოე ჟორდანიას საქართველოში დაბრუნებაზე, როცა ამის შესახებ მას რამდენჯერმე შეახსენა პეტრე შარიამ.

როგორც ადრე ვწერდი 1921 წლის 20-21 თებერვალს ქართული განძი (249 ყუთი) თბილისიდან ჯერ ქუთაისში, შემდეგ კი ბათუმში გადაიტანეს და თავდაპირველად ფრანგულ სამხედრო გემზე კრეისერ „ერნესტ რენანზე“ დააკაბადონეს. 249 ყუთი პირობითი გამოთქმაა, ვინაიდან განძს აფასოებდნენ ყუთებში, ტომრებში, ხელჩანთებში და ა. შ.

ღვთისკაცის, ექვთიმე თაყაიშვილის გარეშე ამ საქმის გახაზირება საქართველოში არავის შეეძლო, რადგან მხოლოდ მან იცოდა სად, რომელ ტაძარში, რომელ მონასტერში, რომელ ეკლესიაში ინახებოდა სრულიად საქართველოს განძეულობა. მასში შედიოდა: თბილისის მუზეუმების ძვირფასეულობა, ოქრო-ვერცხლის ხატები, თვალ-მარგალიტით მოოჭვილი დიადემები, ზუგდიდის დადიანისეული სასახლის განძეულობა, გელათისა და მარტვილის სამონასტრო ქონება, თბილისის, ბორჯომის და ლიკანის სასახლეების ძვირფასეულობა, ქართული მინანქრების ძვირფასი კოლექცია და ვინ იცის კიდევ რა. ტყუილად ენამჭევრობენ პატივცემული ქართველი მკვლევარები, როცა გვიმტკიცებენ თითქოს ივანე ჯავახიშვილის გავლენით გადაწყვიტა ექვთიმე თაყაიშვილმა საქართველოს აურაცხელი სიმდიდრის საზღვარგარეთ გატანა. ივანე ჯავახიშვილი აქ არაფერ შუაშია, ყველაფერი ნოე ჟორდანიას განკარგულებით მოხდა.

ის,რომ ბატონი ექვთიმეს თვალსაწიერიდან ქართული განძი (39 ყუთი) მეორე მსოფლიო ომის გარდამტეხ ეტაპზე დაკარგული იყო, აღარ იცოდა მისი ადგილ-სამყოფელი და მისი დაბრუნების იმედი გადაწურული ჰქონდა. კარგად ჩანს მისივე ანდერძიდან, რომელიც შედგენილია 1943 წლის 26 დეკემბერს სოფელ

ლევილში. ჩემი ნაშრომის „სტალინი, დე გოლი და ქართული განძი“ („მწერლის გაზეთი“, თბ. 2015, №3, გვ. 8) გამოქვეყნების მერე ე. თაყაიშვილის ანდერძის სრული ვერსია ინტერნეტიდან რატომღაც გაქრა.

ახლა უმჯობესია დაუბრუნდეთ საკითხს, რატომ უთხრა სტალინმა უარი ნოე ჟორდანიას საქართველოში დაბრუნებაზე? ნუთუ ეშინოდა მისი? არა მგონია, სტალინს ჰიტლერული კოალიციის არ ეშინოდა და ჟორდანიასი როგორ შეეშინდებოდა.

მაშინ, იქნებ იმიტომ უთხრა სტალინმა ნოეს სამშობლოში დაბრუნებაზე უარი, რომ მენშევიკებმა 210 ყუთში მოთავსებული განძეული, ე. წ. სახაზინო ქონება (საინტერესოა რატომ ჰგონიათ მავანსა და მავანს რომ ეს ქონება მენშევიკების იყო და არა ქართველი ხალხის სამომავლო პერსპექტივა – ი. პ.) – ოქროსა და ვერცხლის ზოდები და სხვა საბიუჯეტო სიმდიდრენი რაც გადაადნეს, გაყიდეს და ლევილის მამული იყიდეს?

არა, გამორიცხულია, არც ამისთვის. სტალინი არამარტო გენერალისიმუსი, არამედ კარგი ეკონომისტიც იყო და კარგად ესმოდა, რომ ქართველი ხალხის ავლა-დიდება რომ არ გაეყიდათ მენშევიკები ფიზიკურად ვერ გადარჩებოდნენ. საბოლოო პასუხი კი ასეთია: სტალინმა ნოე ჟორდანიას არ აპატია წიგნის გამოცემა: „რუსთაველის კრიტიკა“.

დიდი მაჰმადიანი
ლოცვა ტაძრის მთაზე

2023 წლის 3 იანვარს, სამშაბათს დილით, ისრაელის ეროვნული უშიშროების მინისტრი ითამარ ბენ-გვირი, რაბი მალქას და ებრაელი მორწმუნეების მცირე ჯგუფის თანხლებით, ავიდა ტაძრის მთაზე, როგორც ამბობენ, გაძლიერებული დაცვით. ებრაელები იქ დაახლოებით 15 წუთი დარჩნენ და ილოცეს... მედია ამტკიცებს, რომ ისინი არ ლოცულობდნენ... ეს სიმართლეს არ შეესაბამება; ებრაელებს უფლება აქვთ ილოცონ ღია ცის ქვეშ, თუკი არის მინიანი (ათი ადამიანი). ამრიგად, მათ ჰქონდათ ლოცვის უფლება და ლოცულობდნენ კიდეც, თუმცა ხმა არ ისმოდა, ისინი ლოცულობდნენ გულში ...

მედიაში ასევე გამოქვეყნდა, რომ ისრაელის ეროვნული უშიშროების მინისტრს, ქნესეტის და ისრაელის სიონისტური პარტია „ოცმა იეჰუდიტ“ („ჰა-ციონუთ ჰა-დათით“ ფრაქცია) წევრს ადრე ჰქონდა საბრალდებო დასკვნა, მაგრამ ამას აქ არ შევეხებით.

ოპოზიციამ ისრაელის მინისტრის ქმედებებს „პროვოკაცია“ უწოდა. ისინი გულისხმობდნენ მესამე ინტიფადის საფრთხეს. ისრაელის მინისტრი გააკრიტიკეს აშშ-მა, ევროპის სახელმწიფოებმა, ეგვიპტემ და ზოგიერთმა არაბულმა ქვეყანამ.

ამ ნაშრომის ავტორი ყოველგვარ პროვოკაციას ებრაელების მხრიდან უარყოფს... ისინი ხომ ამაღლდნენ თავიანთ ისტორიულ მიწაზე, სადაც ადრე, ქრისტიანული და მუსლიმური სალოცავების აშენებამდე,ებრაული სალოცავები იყო... და, ალბათ, 2023 წლის 3 იანვარს ებრაელები ტაძრის მთაზე მხოლოდ ლოცულობდნენ... აქ რა არის ისეთი, რა მოხდა? მიმოიხედეთ გარშემო, ევროპაში, ამერიკაში და სხვა ცივილიზებულ ქვეყნებში ყველა ტაძარი ღიაა, ვისაც უნდა, შევა და ილოცებს, ეს ხომ უფლის სახლია... ასევე შეიძლება ითქვას მე-

ჩეთზე, რა მნიშვნელობა აქვს, როგორ ლოცულობს ადამიანი - ფეხზე მდგარი თუ პირქვედამხობილი...

გავიხსენოთ რაღაც მეორე ინტიფადის დროიდან, არაბები ამას ალ-აქსას ინტიფადას უწოდებენ. 2000 წლის 28 სექტემბერს ლიქუდის თავმჯდომარე არიელ შარონი, გაძლიერებული დაცვის თანხლებით, ეწვია ტაძრის მთას, იუდაიზმის, ქრისტიანობისა და ისლამისთვის წმინდა ადგილს. იქ მას საპროტესტო აქცია დახვდა, რომლის წინა პლანზე ქნესეთის არაბი წევრები იყვნენ. ერთ-ერთმა მათგანმა წამოიძახა: "შარონს უნდა ნახოს მეტი მკვლელობა და სისხლი!" ორივე მხრიდან იყო დაღუპულები და დაჭრილები. ახლა ჩვენ ვიცით, რომ ინტიფადა დაიგეგმა შარონის ტაძრის მთაზე ვიზიტამდე, კემპ დევიდში მოლაპარაკებებიდან არაფატის დაბრუნების შემდეგ (2000 წლის სექტემბერი-ოქტომბერი).

იერუსალიმი სამი რელიგიის ქალაქია: იუდაიზმის, ქრისტიანობის და ისლამის. ქალაქის ისტორიულ ცენტრში, ძველ ქალაქში დგას ქრისტეს მაცხოვრის ეკლესია - არქიტექტურული კომპლექსი, რომელიც მოიცავს გოლგოთას - იესო ქრისტეს ჯვარცმის ადგილს, შემკულს ორი გუმბათით, სადაც ახლა გადის ვია დოლოროსას ქუჩა.

ტაძრის მთის წვერზე კლდის გუმბათი (კუბატ ას-საჰრა) ანათებს. ლეგენდის თანახმად, გუმბათით დახურულია კლდის წვერი, საიდანაც წინასწარმეტყველი მუჰამედი ზეცად ამაღლდა (632), მას შემდეგ, რაც მექადან იერუსალიმში ღამის მოგზაურობა დაასრულა. კლდის გუმბათის მარჯვნივ არის ალ-აქსას მეჩეთი, რომლის მშენებლობა დაკავშირებულია ხალიფა ომარ იბნ ალ-ხატაბის სახელთან (636 წ.). ქვემოთ არის გოდების კედელი - ებრაული რელიგიის მთავარი სალოცავი. რაც შეეხება ომარის მეჩეთს, ის ქრისტეს მაცხოვრის ეკლესიის პირდაპირ დგას. ომარი წინასწარმეტყველ მუჰამედის ერთ-ერთი უახლოესი თანამოაზრე იყო, რომელმაც მას მეტსახელად ალ-ფარუკი დაარქვა, რაც ნიშნავს „სიმართლის გარჩევა შეცდომისგან“. ხალიფა აბუ ბაქრის გარდაცვალების შემდეგ (634) ომარი გახდა მისი მემკვიდრე.

ყველა ქრისტიანული ტაძარი და მუსულმანური მეჩეთი შეტანილია მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში.

637 წელს, ბიზანტიის იერუსალიმის მიდამოებში მუსლიმთა ჯარები გამოჩნდნენ. იერუსალიმის პატრიარქმა სოფრონიმ ხალიფა ომარი ქრისტეს მაცხოვრის ეკლესიაში სალოცავად მიიწვია, მაგრამ ომარმა უარი თქვა და განმარტა, რომ ამ შემთხვევაში მისი მიმდევრები ამ ეკლესიას მეჩეთად გადააქცევდნენ. ლეგენდა ამბობს, რომ ხალიფამ კენჭი ისროლა და მისი დაცემის ადგილზე დაიწყო ლოცვა. მოგვიანებით, 1189 წელს, სწორედ იქ აშენდა ომარის მეჩეთი. შენარჩუნებულია ომარის ხელშეკრულება არამუსლიმურ სალოცავებზე უსაფრთხოების გარანტიების შესახებ.

ერთ-ერთი ვერსიით, ხალიფა ომარმა გააუქმა ებრაელების ცხოვრების შესახებ მრავალსაუკუნოვანი აკრძალვა იერუსალიმში და პირადად დაუშვა 70 ებრაული ოჯახის იერუსალიმში დასახლება (ებრაული ენციკლოპედიიდან).

ამ ყველაფრის ფონზე, საინტერესოა კონსტანტინოპოლის აია სოფიას ტაძრის ბედი. ტაძარი ბიზანტიის „ოქროს ხანის“ სიმბოლოა. იგი პირველი ქრისტიანული ეკლესიაა, რომელიც აა-გო იმპერატორმა კონსტანტინე I-მა 324-337 წლებში, დედის, წმინდა ელენეს რეკომენდაციითა და ლოცვა-კურთხევით. აია სოფია მსოფლიო არქიტექტურის შედევრია და ხშირად მოიხსენიება, როგორც მსოფლიოს მერვე საოცრება. ეს ცისფერი ტაძარი ქრისტიანული, მართლმადიდებლური რელიგიის დიდი სიწმიდეა. ცოტა ხნის წინ, 2020 წლის 10 ივლისს, თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა ხელი მოაწერა განკარგულებას აია სოფიას მუზეუმის მეჩეთად გადაქცევის შესახებ.

ისმის კითხვა, ზემოთ აღნიშნული ორი მმართველიდან, რომელს შეიძლება ეწოდოს ეპითეტი „დიდი მაჰმადიანი“ ხალიფა ომარ იბნ ალ-ხატაბს თუ პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანს?

დაე, მკითხველმა თავად უპასუხოს ამ კითხვას.

მაგრამ ახლა, დავუბრუნდეთ ებრაელებს, რომლებიც 2023 წლის 3 იანვრის დილით, ისრაელის სახელმწიფოს ეროვ-

ნული უსაფრთხოების მინისტრის, ითამარ ბენ-გვირის ხელ-მძღვანელობით, ავიდნენ ტაძრის მთაზე და ლოცულობდნენ 15 წუთის განმავლობაში; როგორც უკვე ითქვა, ისინი ჩუმად, გულში ლოცულობდნენ. და აქ ჩნდება მეორე კითხვა: რის-თვის ლოცულობდნენ ისინი?

იქნებ უფალს, ჩვენს ღმერთს სთხოვეს მესამე ტაძრის აშენება?

ჩემი აზრით, დღევანდელობის გადასახედიდან არც ამის დროა და არც შესაბამისი გარემოება.

ერთი წლის წინ, ჩემს ესეში "სევასტოპოლი" დავწერე:

„ყოვლისშემძლეს და საზოგადოების ნებართვით, ზემო კრების და ქვემო კრების ნებართვით, ჩვენ უფლება გვაქვს ვილოცოთ მათთან, ვინც დაარღვია თორის მითითებები.“

ო, ღმერთო, სამყაროს მეუფეო!

საუბრობენ მესამე მსოფლიო ომზე, საუბრობენ ბირთვულ ომზე, ფიქრობენ კაცობრიობის მოსპობას, სურთ პლანეტა დედამიწის განადგურება.

დიახ, ჩემი აზრით, ტაძრის მთაზე ებრაელები სწორედ ამისთვის ლოცულობდნენ და ყოვლისშემძლეს შესთხოვდნენ, რომ არ მოხდეს მესამე მსოფლიო ომი, არ მოხდეს ატომური კატასტროფა, ამ შემთხვევაში ნოეს კიდობანიც ვეღარ გადაგ-ვარჩენს (ღმერთმა დაგვიფაროს), რომ არ წაიშალოს პირისა-გან მიწისა მსოფლიო მემკვიდრეობის დიდებული ძეგლები, ისევე როგორც, თავის დროს განადგურდა დავითისა და სო-ლომონის მიერ აგებული ტაძარი (პირველი ტაძარი), ზერუბა-ბელის აშენებული ტაძარი (მეორე ტაძარი), შემდგომ რესტავ-რირებული ჰეროდე დიდის მიერ.

იაკობ პაპიაშვილი,

ავტორი არის ზალმან შაზარის, ისრაელის ინტეგრაციის სამინისტროს,

გალაკტიონ ტაბიძის, ივანე მაჩაბლის პრემიების ლაურეა-ტი.

სამჯერ არის წარდგენილი ნობელის პრემიის მოსაპოვებ-ლად.

ცემა გმართებს გამზრდელისა

ეპილოგის მაგიერ

ვახტანგ მეექვსის ორსტროფიან ლექსს „ცემა გმართებს გამზრდელისა, რა ყმა ნახო ავად ზრდილი“ ზოგი შოთა რუსთაველს მიაწერს, ზოგიც კიდევ დავით გურამიშვილს. ასე მგონია, აკაკის „გამზრდელი“ ამ სტრიქონების გავლენით უნდა იყოს დაწერილი, ალბათ ბევრი დამეთანხმება:

„მაგრამ უსუბ ეუბნება:
შენ სიკვდილის რა ღირსი ხარ?!
სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ,
რომ კაცად ვერ გამიზრდიხარ!“

„ცემა გმართებს გამზრდელისა…“ იდეურ მნიშვნელობაზე დაწერილია მრავალი კარგი, აღმზრდელობითი ხასიათის ნაწარმოებები. მე არ შევუდგები მათ დახასიათებას, დაინტერესებული მკითხველი თვითონ მოძებნის მათ და წაიკითხავს. მაგრამ ერთი უნდა ავღნიშნო, ეს ფრთიანი გამოთქმა, რომელიც წინამდებარე ნაშრომის სათაურია, ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობისაა და ჩემს თხზულებას ლეიტმოტივად გასდევს. თუმცა, აქვე უნდა დავძინო, ამ ნაწარმოების სათაურის აზრობრივი დატვირთვა არ ვრცელდება და არ გულისხმობს არცერთ პიროვნებას, რომლებიც ამ მონათხრობში არიან დასახელებული.

კომუნისტური პარტიის მანიფესტი იწყება სიტყვებით: „აჩრდილი დადის ევროპაში – აჩრდილი კომუნიზმისა,“ და მთავრდება მოწოდებით: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!“ მეცნიერული კომუნიზმის პირველი საპროგრამო დოკუმენტი დაწერილია გერმანელი ფილოსოფოსების კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის მიერ „კომუნისტთა კავშირის“ მე-2 კონგრესის დავალებით (1847), და რაღა თქმა უნდა, არც ლენინის და არც სტალინის გამონაგონი არ არის. საწარმოო საშუალებების საზოგადოებრივ საკუთრებად გამოცხადება და მიწების ექსპროპრიაცია

ერთი შეხედვით, მართლა მიმზიდველად გამოიყურება, და თავის დროზე დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭა, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან ტერმინი „კომუნიზმი“ ანუ ყველა ქვეყნის პროლეტარების შეერთება და მთელი მსოფლიოს გაწითლება, უტოპიად მოსჩანს. თუმცა, ამ იდეამ შესძლო მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმის მოსპობა და განადგურება. მიუხედავად ამისა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ის ტრაგედიები, რომლებიც შექსპირის ავტორობით არის ცნობილი (37 პიესიდან 11 ტრაგედიაა, 10 ისტორიული ქრონიკა და 16 კომედიაა – ი.პ.), შესაძლებელია კომედიად მივიჩნიოთ იმ საშინელებებთან და განუკითხაობებთან შედარებით, რაც გამოიწვია კომუნისტური იდეის დაპირისპირებამ წინა ფორმაციებთან: ფეოდალიზმთან და კაპიტალიზმთან (მხედველობაში მაქვს რელიგიური ომები, ბართლომეს ღამე, საფრანგეთის და რუსეთის რევოლუციები) (1)

ვიყოთ პირუთვნელნი, ზემოთ დასახელებულ ოთხ უდიდეს პიროვნებას (მარქსი, ენგელსი, ლენინი, სტალინი) შორის, სტალინი აღმოჩნდა გაცილებით პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი, ვიდრე დანარჩენი სამი. თვითონ განსაჯეთ:

1. სტალინი მიხვდა, რომ მთელ მსოფლიოში პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვება შეუძლებელი იყო და აკრძალა, გააუქმა კომინტერნი საბჭოთა კავშირში ლენინისა და ტროცკის იდეა მთელი პლანეტის გაწითლების შესახებ.
2. სტალინი მიხვდა, რომ მარქსიზმ-ლენინიზმისეული ათეიზმი, – ფაშისტურ რეჟიმთან ბრძოლის დროს და კოალიციურ სახელმწიფოებთან თანამშრომლობის გაღრმავების თუ გაუმჯობესების მიზნით, – დამაბრკოლებელი ფაქტორი იქნებოდა… და აქედან გამომდინარე, უღმერთოთა იმპერიაში, წითელაშვილების სტრუქტურებში დააბრუნა ღმერთი, რამაც საშუალება მისცა აღედგინა ავტოკეფალია საქართველოში, რის გამოც რუსი თეოლოგების მკაცრი კრიტიკა დაიმსახურა.

მცდარი ვერსია

ამას წინათ, ტელეკომპანია „იმედი“-ს ერთ-ერთი რეკლამის დროს, ყური მოვკარი ფრაზას: „ფრთები, ფრთები გინდა, კიდევ ფრთები გინდა.“ გალაკტიონის ლექსი „ქებათა ქება ნიკორწმინდას“ გამოყენებული მაქვს ნაშრომში: „საქართველოს მაღალმთიანეთის სინაგოგა და დიდი მეცენატი“. ნაშრომი შემოკლებული სახით დაიბეჭდა „მწერლის გაზეთში“ (2019, 1-30 აპრილი, გვ.4) სათაურით „სინაგოგა“, ასევე გამოვეცი წიგნი ზემოაღნიშნული ვრცელი სათაურით ისრაელში ოთხ ენაზე: ქართულად, ებრაულად, ინგლისურად და რუსულად. წიგნი დაცულია ისრაელის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში, იერუსალიმში, რევაზ მიშველაძის ჩემს მიერ გამოცემულ წიგნთან ერთად: ‘იერუსალიმი-თბილისი“. ამ ბიბლიოთეკიდან მიღებული მაქვს სამადლობელი წერილები რამდენჯერმე, ხოლო ინტერნეტში დადებულია საიტი, სადაც ხაზგასმულია წიგნის მრავალმხრივი მნიშვნელობა მკითხველი საზოგადოებისთვის. ქუთაისში ნაშრომით დაინტერესდნენ ჩემი ქრისტიანი ძმები თეიმურაზ ლანჩავა და თემურ ამყოლაძე, რომლებთანაც ხანგრძლივი ლიტერატურული მეგობრობა მაკავშირებს. მითხრეს, რომ „უქიმერიონში“ და „განთიადში“ გამოვაქვეყნებთო.

ცნობილი პოეტი ვახტანგ ჯავახაძე ერთგან წერს:

„დიახ! გალაკტიონს ნიკორწმინდა არ უნახავს!!! გალაკტიონმა მხოლოდ დურგლის ნაამბობის გონებაში რეალიზებით შექმნა ნიკორწმინდის სახე და ასე აღავლინა მისი ხოტბა.“ *(ვახტანგ ჯავახაძე, „უცნობი“, თბ., „ნაკადული“, 1991).*

დღეისათვის „უცნობის“ საერთო ტირაჟი 64 500 ეგზემპლიარია. და, აგორდა მითი, მითი ტყუილი ვერსიისა.

უმჯობესია თვითონ გალაკტიონს მოვუსმინოთ:

დღიური 661-4-ზაფხული, 1947 წელი

სტენოგრამა

1947 წ. ზაფხულში შოვში გამართულ სხდომაზე გალაკტიონ ტაბიძის მიერ წარმოთქმული სიტყვა

თავმჯდომარე: სიტყვა ეკუთვნის საქართველოს სახალხო პოეტს, აკადემიკოსს გალაკტიონ ტაბიძეს (ყველა ფეხზე დგება: ხანგრძლივი ოვაციები).

გალაკტიონ ტაბიძე: „ჩემს (აქ ყოფნაში) რაჭა-ლეჩხუმში ყოფნის დროს ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი: (ამას წინად) ბუბასაკენ მიმავალ გზაზე შემხვედრმა მწყემსებმა წამიკითხეს გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება“, რომელშიც ეწერა, რომ ჩეხოსლოვაკიის მწერლები სცემენ ქართველი მწერლების ანთოლოგიას, რომლის საერთო სახელი იქნება „დროშები ჩქარა“, ჩემი ლექსის სახელი“.

დროებით აქ შევჩერდეთ და დავიმახსოვროთ ფრაზა: „ჩემს რაჭა-ლეჩხუმში ყოფნის დროს“.

როგორც ჩანს, გალაკტიონი მდინარე ბუბას წყლის ხეობით მიემართება მთისაკენ შოვის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მამისონის უღელტეხილის ჩრდილო-დასავლეთით. ულამაზესი ხეობაა, ფერთა სიუხვე კაცს დაღესტნურ ხალიჩას რომ მოგაგონებს.

„ჯამური მანძილი შოვიდან ბუბას მყინვარამდე 1 კმ. მყინვარის სიგრძე 2,7 კმ, სიმაღლე 4419 მ.“

ეჭვგარეშეა, გალაკტიონს ბუბას მყინვარი უნახავს, ანუ გამოდის, რომ გალაკტიონს რაჭა-ლეჩხუმში უმოგზაურია და ჩემი ღრმა რწმენით შეუძლებელი იყო, მას ამ დროს ნიკორწმინდის მონასტერი არ ენახა.

იმ ხანებში, ერთ-ერთ გაზეთში წავიკითხე, რომ შოვში ყოფნის დროს გალაკტიონს კურორტის ხელმძღვანელობისთვის უთქვამს ნიკორწმინდის ტაძარზე ლექსი უნდა დავწეროო, აქვე

სასტუმროს მიმდებარე ტყეში, მუხასთანო, რასაც წერს კიდეც თავის დღიურში:

„აქვე მინდა ავღნიშნო, რომ ჩვენი კურორტის თავაზიანი დირექტორისა და კურორტის მთავარი ექიმის ინიციატივით, ნიკორწმინდელმა დურგალმა ნიკოლოზ ვაჩაძემ, დამიდგა სამუშაო მაგიდა, გაიყვანა რა ბილიკი ვილიდან ჩემს მაგიდამდე.

ამგვარად, ჩემს განკარგულებაშია ახალთ-ახალი ხეივანი სრულიად საკმარისი დაფიქრებისა და მოგონებებისათვის ბუბელ მწყემსებთან შეხვედრისა“.

. . .

ქუთაისელ პოეტს მიხეილ კაკიტელაშვილს, სხვა რომ არაფერი დაეწერა, იგი ქვემოთ მოყვანილი ლექსით დარჩებოდა საქართველოს და ქუთაისის ლიტერატურულ ცხოვრებაში:

„ებრაელთა გოდებავ, წუთისოფლის დარდო,
კანიბალთა ქუსლებით, გასრესილო ვარდო.“

„წარწერა ანა ფრანკის დღიურზე“

ეგვიპტურ წყაროებში, დაახლოებით მე-17, მე-18 საუკუნეებში, როცა ეგვიპტეს ბიბლიური იოსები მართავდა, დაცულია მაშინდელი ეგვიპტის ერთ-ერთი ოლქის გუბერნატორის ცნობა. იგი იგონებს: მე დედ-მამა არ მყავდა, ქუჩაში ვცხოვრობდი, პურს სანაგვეში ვეძებდი. ერთხელ ფარაონის ხალხმა დამიჭირა, წამიყვანეს, დამბანეს, ჩამაცვეს, გამომკვებეს, მასწავლეს და დღეს ამხელა ოლქის გუბერნატორი ვარო.

სტალინი „კაციჭამია“ იყო, ამბობს მავანი და მავანი. არსებობს ასეთი გადმოცემა:

„ერთ-ერთ ცნობილ ქართველ ბოლშევიკს, ფილიპე მახარაძეს, რომელსაც თავი მოჰქონდა თავისი განათლებით, სტალინი საშუალო დონის ლიტერატორს უწოდებდა. არც ფილიპე მახარაძეს უყვარდა სტალინი. ერთხელ მათი ურთიერთობა ფილიპესათვის კინაღამ ცუდად დამთავრდა. მოსკოვში ყრილობაზე მიმავალ მახარაძესთან, სტალინის დედა კეკე მივიდა და უთ-

ხრა: ფილიპე, მე მოვხუცდი, აღარ შემიძლია, ჩემი შვილი ჩამოიყვანე და შენთან რამე სამუშაო მიეცი თბილისშიო. ფილიპემ არაფერი შეიმჩნია და კეკეს დაპირდა შვილს ჩამოგიყვანო. ამ დროს მახარაძესთან სულ ორი თუ სამი ადამიანი იმყოფებოდა. გავიდა თუ არა კეკე ფილიპემ ჩაილაპარაკა: ამ ბოზს ჰგონია, რომ მე მაგის შვილზე დიდი კაცი ვარო. მოსკოვში ყრილობის გახსნის წინ სტალინი საქართველოს დელეგაციასთან მივიდა, რამდენიმე სიტყვით მოიკითხა თანამემამულეები, ხოლო ფილიპე გვერდზე გაიხმო, მაგრამ ისე, რომ დელეგაციის წევრებს გაეგონათ, ჰკითხა: „ფილიპე, თუ იცი, კიდევ ბოზობს დედაჩემი? „– ადვილი წარმოსადგენია რა მდგომარეობაში ჩავარდებოდა ძველი ბოლშევიკი“.

ფილიპე მახარაძე გარდაიცვალა 1941 წელს თავისი სიკვდილით. დაკრძალეს მთაწმინდის პანთეონში…. ამჟამად მახარაძის და ცხაკაიას ადგილას ნოდარ დუმბაძე და ანა კალანდაძეა დაკრძალული.

სტალინმა ლენინთან ერთად სწავლა-განათლების სხივი შეიტანა და დაამკვიდრა ცარიზმის დამყაყებულ იმპერიაში. როდის, რომელ ეპოქაში აჯილდოვებდნენ პოეტებს, მწერლებს, მსახიობებს და კულტურის სხვა მუშაკებს ისეთი ჯილდოებით, როგორიც იყო „სტალინური პრემია“? როდის იყო (აქ ბიბლიური იოსები არ მყავს მხედველობაში – ი.პ.) უდედმამო, მაწანწალა ბავშვებს ქუჩაში სანთლით რომ ეძებდნენ, თავშესაფარში მიჰყავდათ, აცმევდნენ, აჭმევდნენ, ასმევდნენ, განათლებას აძლევდნენ?! ვინ დაასამარა ტროცკიზმი და კომინტერნი, უბოროტესი იდეა მთელი მსოფლიოს განათლების შესახებ, რაც დღეს ზიუგანოვის საქაღალდეში ძევს? ვინ შეძლო შეუძლებელი და უღმერთოთა სახელმწიფოში ღმერთი ზეციდან კვლავ მიწაზე დააბრუნა? ვინ აღადგინა საქართველოს ავტოკეფალია, რომლის გარეშე საქართველოს დამოუკიდებლობა შეუძლებელი იქნებოდა? ვინ გადაარჩინა ებრაელები „კანიბალთა ქუს-

ლით“ გასრესას და კრემატორიუმებში ტოტალური მოსპობისაგან?

სტალინს, არასოდეს უამაყია იმით, რომ მის ძარღვებში დიდგვაროვანი ქართველი თავადის სისხლი ჩქეფდა. როცა რუზველტი და ჩერჩილი ეკითხებოდნენ, თუ ვინ იყვნენ მისი მშობლები, იგი თავმდაბლად პასუხობდა, რომ ისინი უბრალო მშრომელი ადამიანები იყვნენ და შეძლებისდაგვარად დაეხმარნენ მას ცოდნის მიღებაში.

***

დავუბრუნდეთ 1917-1918 წლებს, როცა გალაკტიონი ჯერ მოსკოვში, ხოლო შემდეგ პეტროგრადში იმყოფებოდა.

საინტერესოა , ალბათ თუ რა ხდება ამ დროს რუსეთში: ქვეყანაში სამოქალაქო ომი მძვინვარებს. რევოლუცია საფრთხეშია. „ყოფნა-არყოფნა“, საკითხავი აი, რა იყო. მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს მოსასპობად გაერთიანდნენ: ადმირალი კოლჩაკი, გენერლები დენიკინი და იუდენიჩი. მათ ზურგს უმაგრებს ანტანტა (სამთა კავშირი) და ოთხთა კავშირი. მიმდინარეობს დაუნდობელი, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა არსებობისათვის. ლენინი ბრესტ-ლიტოვსკის ზავის ჩაშლისთვის ტროცკის უწოდებს იუდას, პოლიტიკურ მეძავს და იძულებულია საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით დაუთმოს გერმანიას ვრცელი ტერიტორიები, რათა შეაჩეროს გერმანიის და ავსტრო-უნგრეთის არმიების შტურმი. სტალინი ამ დროს ცარიცინშია, სადაც პური და სურსათი თეთრი გვარდიელების ზედამხედველობაშია. 1918 წლის 17 ოქტომბერს სტალინი უგზავნის ლენინს დეპეშას, რომ განადგურებულია დენიკინის და ვრანგელის არმიები. აღდგა სარკინიგზო მიმოსვლა. (პური (ხორბალი) ვაგონებით მიემართება მოსკოვისაკენ, პეტროგრადისაკენ… საბჭოთა ხელისუფლება გადარჩა.

ის, რომ გალაკტიონი რევოლუციური ეპოქალური ქარტეხილების უებრო მომღერალი იყო ორი აზრი არ არსებობს. „დროშები ჩქარა“, „ჯონ რიდი“, „ჩვენ პოეტები საქართველოსი“, „ეპოქა“, „რევოლუციური საქართველო“, „ღრუბლები ძაუგთან“ რევოლუციური საქართველოს ერთიანი მგზნებარე ჰიმნია. მართალია მას გვერდში ედგნენ არა ერთი და ორი სახელოვანი ქართველი თანამოკალმენი, მაგრამ თანამედროვე და არამარტო თანამედროვე ქართულ პოეზიაში, მას პირველობას ვერავინ ეცილება. მისი ლექსები ერთხელ წაკითხვითაც გიტაცებს, გაჯადოებს, გხიბლავს, მაგრამ რაც უფრო მეტჯერ წაიკითხავთ მათ, კვლავ და კვლავ გაბრუნებთ უკან რათა ერთხელ კიდევ წაიკითხოთ და დატკბეთ მათი მუსიკალური სიდიადით და ღრმა ქვეტექსტით. მაპატიოს ქართველმა პოეტებმა, ძველმა თუ ახალმა ამას რომ ვამბობ: ცოტას თუ ვისმე აუმღერებია ქართული სიტყვა ისე მსუბუქად და ფრთაასხმულად, როგორც ეს გალას, გატუნიას (ასე ეძახდა მას დედა, ქალბატონი მაკრინე -ი.პ..) პოეზიაშია.

ჩემს მეცნიერულ ნაშრომში „მესხის“ მნიშვნელობის განმარტება რუსთაველისა და გალაკტიონის რამდენიმე სტროფის მიხედვით“ ერთგან ვწერ:

„გალაკტიონმა „ვწერ ვინმე მესხი მელექსე“ 1936 წელს დაწერა. ამ პერიოდისთვის შექმნილი აქვს ისეთი შედევრები, როგორიცაა: „ხელოვნება“, „მესაფლავე“, „ქალი და ხელოვნება“, „მე და ღამე“, „მერი“, „მთაწმინდის მთვარე“, „ლურჯა ცხენები“, „დროშები ჩქარა“, „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“. ეს ლექსები 1917 წლისთვის უკვე დაწერილია. ამით, ის მინდა ვთქვა, რომ როცა გალაკტიონმა „ვწერ ვინმე მესხის..“ შექმნა დაიწყო პარნასზე იყო ასული და ქართულ პოეზიაში რუსთაველის გვერდით მიაბიჯებდა…

ამ სიტყვების შემდეგ ძნელია იმის გახსენება, რომ იგი დაიჭირა სერგო ორჯონიკიძემ, იმ კაცმა, რომელიც იმ ხანებში ამი-

ერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივანი იყო და რომელმაც აფხაზეთის ტერიტორიის ნახევარი, სოჭის ოლქი, რომელიც პილენკინოდან (განთიადიდან) იწყებოდა რუსებს, ხოლო დავით-გარეჯი, კახის რაიონი აზერბაიჯანს მიჰყიდა. გალაკტიონი მეტეხის ციხეში ჩასვეს, მასთან ერთად დააპატიმრეს პოემა : „მოგონებები იმ დღეების, როცა იელვა“. „მნათობის“ მე-5 ნომერში დასაბეჭდად გამზადებული პოემა ჩეკამ მთლიანად გაანადგურა. გალაკტიონი ციხიდან სამი დღის შემდეგ გამოუშვეს, ალბათ სტალინის მითითებით. ამის თქმა იმდენადაა შესაძლებელი, რომ 1924 წლის აჯანყებასთან დაკავშირებით მრავალი გამოჩენილი ადამიანი მოხვდა მეტეხის ციხეში: დავით კლდიაშვილი და მისი ვაჟი, ძმები შალვა და სამსონ დადიანები, საქართველოს კათოლიკოსი ამბროსი… აი, როგორ იგონებს კონსტანტინე გამსახურდია მეტეხის ციხეში გატარებულ დღეებს:

„ჩვენ მთელი ღამეები არ გვეძინა, რადგან დახვრეტას მოველოდით. ახალმოყვანილ პატიმრებს ამბავი მოჰქონდა ტფილისსა და მთელ საქართველოში დამდგარ სისხლის წვიმების გამო. არცერთი ჩვენგანი არ ნატრობდა გადარჩენას, ჩვენ მოთმინებით ვუცდიდით სიკვდილს, ვმღეროდით და ნარდს ვთამაშობდით. მე შევადგინე ჰუმორისტული კედლის გაზეთი. ამ გზით ვაცინებდი ჩემს მეგობრებს…“

***

ნაშრომის დასაწყისში აღვნიშნე, რომ ყველა ადამიანი, რომელიც ჭეშმარიტების სარეცელზე იბადება ზეციდან არის მოვლენილი, მაგრამ ძველი ბერძნული ფილოსოფიური სკოლის გადმოცემით, უკვდავება მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. უკვდავება მისჯილ რჩეულთა რიგებში ებრაელებმა მყარი ადგილი დაუმკვიდრეს მოსეს და დავით მეფსალმუნეს, ბერძნებმა ბრმა ჰომეროსს და ალექსანდრე მაკედონელს, ამერიკელებმა ჯორჯ ვაშინგტონს და აბრაჰამ ლინკოლნს… ამ სიას წინამდებარე ნაშ-

რომის მკითხველი თვითონ გააგრძელებს. რაც შეეხება საქართველოს, ეს სია საკმაოდ მრავალფეროვანია, მაგრამ წინამდებარე ნაშრომის აზრობრივი დატვირთვიდან გამომდინარე მე ვიტყვი: დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე-დედოფალი, შოთა რუსთაველი, გალაკტიონი, სტალინი.

2020
ბათ იამი
ისრაელი

ვინ მოკლა მიხოელსი

იმისათვის რომ პასუხი გაეცეს კითხვას, ვინ და რატომ დაუკვეთა მიხოელსის მკვლელობა, მკითხველმა უნდა გააცნობიეროს სოლომონ მიხაელის ძის პიროვნება.

მიხოელსი იყო რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი (1926) მოსკოვის სახელმწიფო ებრაული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი რეჟისორი (1929), პედაგოგი, საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოღვაწე, სსრკ სახალხო კომისარიატთან არსებული სამხატვრო საბჭოს წევრი და სტალინური პრემიების მიმნიჭებელი თეატრალური სექციის თავმჯდომარე (1939), ხშირად იჯდა ბელადის გვერდით; რსფსრ სახალხო არტისტი (1935), სსრკ სახალხო არტისტი (1939), ლენინის ორდენის კავალერი (1939), დაჯილდოებული იყო მედლით „დიდ სამამულო ომში 1941-45 წწ. გმირული შრომისათვის“ (1946), იყო მეორე ხარისხის სტალინური პრემიის ლაურეატი (1946), ეაკ-ის თავმჯდომარე (1942). 1944 წელს, მას შემდეგ რაც ებრაელთა ანტიფაშისტურმა კომიტეტმა ყირიმში „ებრაელთა კალიფორნიის“ შექმნასთან დაკავშირებით სტალინთან წერილი გააგზავნა – ხმა დაირხა მიხოელსის ყირიმის ებრაელთა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩევის შესახებ (პავლე სუდოპლატოვი). და, ბოლოს მიხოელსი იყო რუსი ებრაელების ნაციონალური გმირი.

მისი შემოქმედებით აღფრთოვანებული იყვნენ ალბერტ აინშტაინი და ჩარლი ჩაპლინი, მარშაკი, ერენბურგი, ულანოვა და ობრაზცოვა, კოზლოვსკი და მოსკვინი, ნემიროვიჩ დანჩენკო, ზავადსკი და ეიზენშტეინი, მარკ შაგალი და პოლ რობსონი და ეს ნუსხა შეიძლება გაგრძელდეს და გაგრძელდეს.

დიდად პატივცემულო მკითხველო, ჩვენ გეკითხებით თქვენ: ასეთი, მსოფლიოში საყოველთაოდ ცნობილი პიროვნე-

ბა ეაკ-ის დანარჩენი წევრებთან ერთად შეიძლებოდა რომ საბრალდებო სკამზე დაესვათ?

პასუხი ერთადერთია – არა, არ შეიძლებოდა, რამეთუ ეს გამოიწვევდა საერთაშორისო საზოგადოების აღშფოთებას, მხატვრულად რომ ვთქვათ დედამიწაზე ხალხის გულისწყრომის გრიგალი ამოვარდებოდა.

„ეაკ-ის საქმეზე“ გამოცემულია სქელ-სქელი წიგნები, რომლებშიც ამტკიცებენ, რომ „ეს იყო ბოლო გაფართოებული სასამართლო პროცესი შორსმჭვრეტელი პოლიტიკური მიზნებით, ორგანიზებული სტალინის მიერ, მისივე პირდაპირი მითითებით. («Неправедный суд. Последний сталинский расстрел», Москва, «Наука“, 1994, с.2 – უკანონო სასამართლო, სტალინის ბოლო დახვრეტა, მოსკოვი, „მეცნიერება“. 1994, გვ.2).

„ეაკ-ის საქმის“ ქვაკუთხედად მიჩნეულია 1944 წლის 15 თებერვალს სტალინის სახელზე გაგზავნილი სოლომონ მიხოელსის, იციკ ფეფერის და შახნო ეპშტეინის წერილი. ამ წერილის მთავარი საკითხი იყო ებრაელთა რესპუბლიკის შექმნა ყირიმის ნახევარკუნძულზე, ე.წ. „ყირიმის კალიფორნია“.

მაგრამ, თუ ეაკ-ის ხელმძღვანელების ეს წერილი ნამდვილად იყო ეაკ-ის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის დაწყების, ანუ როგორც მიჩნეულია „ეაკ საქმის“ ქვაკუთხედი, მაშინ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, თითქმის ოთხი წლის განმავლობაში (1947 წლის 26 ნოემბრამდე – ი.პ.), რატომ არ მიიღო არავითარი ზომები ამ ორგანიზაციის წინააღმდეგ?

იმაზე თუ ასეთი ხანგრძლივი დროის განმავლობაში რატომ დუმდა სსრკ ცკ, . დასახელებულ წიგნში „უკანონო სასამართლო“ ერთი სიტყვაც არ არის თქმული. ეს შეიძლება იმიტომ მოხდა, რომ წიგნში დაშვებულია უხეში შეცდომა. იქნებ ეს შეცდომა მექანიკურია და ასოთამწყობებს შემთხვევით გაეპარათ? მაგრამ არა, ეს შეცდომა განზრახ არის დაშვებული და აი რა-

ტომ: საქმე ეხება მ. სუსლოვის წერილს, რომელიც მან სტალინს გაუგზავნა. ეს წერილი წიგნში „უკანონო სასამართლო“ დათარიღებულია 1946 წლის 26 ნოემბრით (გვ.5), ე.ი. იმ პერიოდით როცა მ. სუსლოვი მუშაობდა სსრკ ცკ საგარეო პოლიტიკის განყოფილების გამგედ. სინამდვილეში, კი ამ წერილს მ. სუსლოვი ხელს აწერს როგორც საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცკ მდივანი [ЦК ВКП (ბ)] და ეს წერილი დათარიღებულია 1947 წლის 26 ნოემბრით. სწორედ ეს შეცდომა გვაძლევს იმ საიდუმლოდ დაგმანული რკინის კარების გასაღებს, რომელიც საშუალებას იძლევა ამოვხსნათ განტოლება რამდენიმე უცნობით და საბოლოოდ გამოვააშკარაოთ რატომ მოკლეს მიხოელსი, რატომ დაითხოვეს ეაკ, რატომ დაიჭირეს მისი წევრები და რატომ დახვრიტეს 1952 წელს სტალინის სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე.

იმის ამოსაცნობად, თუ რატომ მოკლეს მიხოელსი და გოლუბოვ-პოტაპოვი, არსებობს რამდენიმე დამამტკიცებელი საბუთი. მათ შორის, პირველ რიგში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორი წერილი. პირველი წერილი „ეაკ-ის ზოგიერთი მუშაკის ნაციონალისტური შეხედულების გამოვლენის შესახებ“. ვ. აბაკუმოვმა გააგზავნა სსრკ ცკ და მინისტრთა საბჭოში 1946 წლის 12 ოქტომბერს. ე.ი. მას შემდეგ როცა ვიშინსკიმ თავისი ფსვდონიმით და მოლოტოვის თანხმობით, ჟურნალში „Новое время“ (ახალი დრო) გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც ავტორი ასაბუთებდა პალესტინაში ებრაელთა დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის აუცილებლობას (პ. სუდოპლატოვი).

აბაკუმოვის 1946 წლის 12 ოქტომბრის წერილზე არც კრემლმა და არც სსრკ მინისტრთა საბჭომ რეაგირება არ მოახდინა.

ოდნავ მოგვიანებით, ერთი წლის შემდეგ, 1947 წლის 26 ნოემბერს მ. სუსლოვმა ი.ბ. სტალინს გაუგზავნა აბაკუმოვის (12 ოქტომბერი, 1946) წერილის ანალოგიური შინაარსის წერილი. ეს წერილი კი ისტორიული მნიშვნელობისაა – სწორედ 1947

წლის 26 ნოემბერს, საბჭოთა კავშირის მუდმივი წარმომადგენელი გაეროში ანდრეი გრომიკო გამოვიდა სიტყვით და მოითხოვა პალესტინის ტერიტორიის გაყოფა ებრაული სახელმწიფოს შექმნის სასარგებლოდ.

მ. სუსლოვის 1946 წლის 26 ნოემბერის წერილზე ი. ბ. სტალინმა რეაგირება არ მოახდინა. დასახელებულ წიგნში „უკანონო სასამართლო“ აღნიშნულია: „ეაკ-ის ლიკვიდაციის შესახებ მაშინ გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული“ (გვ.5).

ნარკვევში „ორი შეტყობინება საბჭოთა ხალხს“, აღვნიშნეთ რომ 1948 წელს სტალინი იყო ჯანმრთელი და შრომის უნარიანი, რამაც განაპირობა ის ფაქტი, რომ ლიდია ტიმაშჩუკის წერილი (სინამდვილეში ეს წერილი შედგენილი იყო თვითონ მალენკოვის მიერ -ი.პ.) – სტალინმა გააგზავნა არქივში. ამით მან არ შეაერთა ორი „ეაკ“ და „ექიმთა საქმე“, რითაც იხსნა რუსი ებრაელი ექიმები დახვრეტისაგან და გადაარჩინა ახლად შექმნილი ებრაული სახელმწიფო. (იხ. გაზეთი „«Еврейский камертон» от 29.09.2005 და ი. პაპიაშვილის წიგნი „როგორც ჩიტი გალიაში“ , 2017, გვ. 242 რუსულ ენაზე.).

ვიქტორ აბაკუმოვის 1947 წლის 12 ოქტომბრის და მიხეილ სუსლოვის 1947 წლის 26 ნოემბრის ეს ორი წერილი არის ისტორიულად მნიშვნელოვანი, ვინაიდან მათ სააშკარაოზე გამოაქვთ ის მეთოდები, რომლითაც სსრკ ცკ პოლიტბიურო, მინისტრთა საბჭო და სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო ცდილობდა სტალინისათვის გადაწყვეტილება ისრაელის სახელმწიფოს შესახებ შეეცვლევინებინათ.

სტალინის მავზოლეუმში დაკრძალვის შემდეგ, საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა მთლიანად არაბული კოალიციის მხარდამჭერი გახდა.

ახლა მოვიდა დრო ერთმანეთს შევუპირისპიროთ ზემოაღნიშნული მონაცემები.

ერთ-ერთ ნაშრომში აღნიშნული მაქვს, რომ იალტის კონ-

ფერენციაზე რუზველტი მოულოდნელად შეეკითხა სტალინს, თუ რა აზრის იყო ის სიონიზმზე. სტალინმა მიუგო, რომ მის მიერ განხორციელებულმა ექსპერიმენტმა არ გაამართლა, რადგან ებრაელებს დიდ ქალაქებში ცხოვრება უყვარსო... ისმის კითხვა: რას გულისხმობდა სტალინი სიტყვა "ექსპერიმენტში"? ჩემი აზრით, სტალინი გულისხმობდა ებრაელთა ავტონომიურ რესპუბლიკას ბირობიჯანში, რომელიც მან შექმნა 1934 წელს. რეზიუმე ასეთია: შორეულ აღმოსავლეთში ებრაელთა ავტონომიური რესპუბლიკის შექმნამ სტალინი დაარწმუნა, რომ ებრაელთა სახელმწიფო უნდა შექმნილიყო მხოლოდ აღთქმულ მიწაზე ებრაელთა ისტორიულ სამშობლოში ისრაელში, რაც განახორციელა კიდეც 1948 წელს (თუ სტალინი არ შქმნიდა ბირობიჯანს, იგი არ იფიქრებდა ისრაელის შექმნაზე მის ისტორიულ სამშობლოში - ი. პ.), ამგვარად, იმ შემთხვევაში თუ სტალინი 1948 წელს არ შექმნიდა ისრაელს აღთქმულ მიწაზე არ მოკლავდნენ მიხოელსს, არ შეთითხნიდნენ ე. წ. „ექიმთა საქმეს“, არ დახვრეტდნენ ებრაელთა ანტიფაშისტური კომიტეტის წევრებს და სტალინი გარდაიცვლებოდა ბუნებრივი სიკვდილით. აქედან გამომდინარე თუ არ იქნებოდა ბირობიჯანი არ იქნებოდა ისრაელი. რაც შეეხება ებრაელთა ბედს როგორც რუსეთში, ისე საბჭოთა კავშირში და საერთოდ მთელ მსოფლიოში დარჩებოდა გადაუწყვეტელი და ფეთქებადი როგორც ეს იყო ძველად.

თუმცა, უკვე დროა გავარკვიოთ ვინ მოკლა მიხოელსი.

1948 წლის დასაწყისში, სტალინური პრემიის თეატრალური სექციის კომიტეტის თავმჯდომარეს ატყობინებენ რომ იგი საჩქაროდ უნდა გაემგზავროს მინსკში ორი თეატრალური დადგმის: „კონსტანტინე ზასლონოვი„- მინსკის დრამატული თეატრის დადგმის და „ალესია“ – ოპერის თეატრის წარმოდგენის შესაფასებლად, 1947 წლის პრემიაზე წარსადგენად. სოლომონ მიხეილის ძე იყო ავად, წინა დღით ძაღლმა უკბინა და შესაბამის ნემსებს უკეთებდნენ მუცელში. ამიტომაც მას ალბათ, ძალიან არც ეხალისებოდა მინსკში გამგზავრება, მაგრამ, როგორც

ჩანს ზარი იყო ძალიან მნიშვნელოვანი და სოლომონ მიხეილის ძე შეუდგა გამგზავრებისთვის მზადებას.

მიხოელსის მკვლელობაზე, დღემდე ამ ბინდით დაფარული საქმის გასარკვევად დაწერილია ტომები. მაგრამ საკვირველია ის, რომ არცერთი ავტორი, მათი რაოდენობა კი საკმაოდ დიდია, არ ინტერესდება თუ ვინ და სად მიიღო გადაწყვეტილება რეჟისორის მინსკში გამგზავრების შესახებ. ის ავტორები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ იგი მინსკში გაემგზავრა სტალინის ბრძანებით, (ისინი ეყრდნობიან ბერიას წერილს ცანავასადმი და აბაკუმოვის „ჩვენებას“ რომელთა სიყალბე გამოაშკარავებულია – ი.პ.) როგორც თუთიყუში ერთხმად გაიძახიან, რომ ეს იყო სტალინი.

ოდნავ ქვემოთ ჩვენ მივხვდებით, რომ ეს არ იყო სტალინი.

მინსკში გასამგზავრებელ კომისიაში მეორე წევრად შეყვანილ იყო სსრკ ხელოვნების საქმეთა კომიტეტის თანამშრომელი ბელორუსი მწერალი მოსკოვიდან ი.მ. ბარაშკო. რაც შეეხება მესამე წევრს, მისი შერჩევა დაყოვნდა კომისიის გამგზავრების დღემდე. როგორც აღნიშნავენ „გადაწყვეტილება კომისიის გამგზავრების შესახებ მიიღეს 1948 წლის 2 იანვარს და რეჟისორმა იმ დღესვე გამოაცხადა სტალინური პრემიების მიმნიჭებელი კომიტეტის სხდომაზე, რომ მასთან ერთად იმგზავრებდა აკადემიკოსი ვ.პ. ვოლგანი. (საყურადღებოა რომ მიხოელსი საიდუმლოდ ინახავს და არ ასახელებს იმ პიროვნებას თუ ორგანიზაციას, ვინც უშუალოდ იღებს გადაწყვეტილებას კომისიის მესამე წევრის შერჩევასთან დაკავშირებით – ი.პ). აკადემიკოსმა ვოლგინმა მოიმიზეზა გადაუდებელი საქმეები და იგი შეცვალა რეჟისორმა რ.მ. სიმონოვმა. მაგრამ გამგზავრების დღეს, 7 იანვარს აღმოჩნდა რომ სიმონოვიც დაკავებულია და გაემგზავრება თეატრალური კრიტიკოსი ი.ა. გოლოვაშჩენკო, რომლის სახელზეც გაფორმდა მივლინება, თუმცა გამგზავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე გოლოვაშჩენკო შეცვალეს ჟურნალის-

ტით, ვლადიმერ ილიას ძე გოლუბოვ-პოტაპოვით, რომელთანაც მიხოელს ფრიად უსიამოვნო ურთიერთობები აკავშირებდა.

აქ ჩვენ მტკიცედ გამოვრიცხავთ, უფრო მეტიც, საერთოდ გამოვრიცხავთ ი.ბ. სტალინის მონაწილეობას ამ ბინძურ საქმეში. ჯერ ერთი, ის მაშინ ძალიან დაკავებული იყო N1 საკითხით, ამის გარდა, მას ალბათ ექნებოდა სხვა სახელმწიფო მნიშვნელობის გადაუდებელი საქმეები, დავუშვათ ზოგიერთი პრობლემატური საკითხი ტრუმენთან, ეტლისთან და ჩერჩილთან. მეორე, ვერცერთი ზემოთ დასახელებული კანდიდატი ვოლგინი, სიმონოვი, გოლოვაშჩენკო – ვერ გაბედავდა უარის თქმას სტალინისათვის მინსკში გამგზავრებაზე, თუ ის უბრძანებდა მათ კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მიღებას. აქედან დასკვნა: ისინი, ვინც მონაწილეობას იღებდნენ კომისიის მესამე წევრის შერჩევაში ეშინოდათ მიხოელსს ეჭვით, გუმანით არ ეგრძნო თუ რატომ აგზავნიდნენ მას მინსკში.

ახლა ჩვენ ვიცით, რომ ჟურნალისტის, გვარად გოლუბოვის, ფსევდონიმი იყო პოტაპოვი, რომელიც უკმეხად აკრიტიკებდა მოსკოვის სახელმწიფო ებრაული თეატრის «ГОСЕТ» ყველა წარმოდგენას. ცნობილია გარეთვე, რომ გოლუბოვი ქეიფის მოყვარული კაცი იყო და ისევე როგორც იციკ ფეფერი (მიხოელსის მოადგილე ეაკ-ის საქმეში), ეწეოდა ორმაგ საქმიანობას, იყო შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ძლიერი აგენტი.

მაშ, ასე სამივენი მინსკში ჩავიდნენ 1848 წლის 8 იანვარს. მინსკის სადგურში მოსკოვის კომისიას დახვდნენ რესპუბლიკის ოფიციალური პირები და მეგობრები. კომისიის სამივე წევრი გააფორმეს სასტუმრო „ბელორუსში“, მაგრამ რადგან ბარაშკომ ამჯობინა ნათესავებთან გაჩერება, სასტუმროს ნომერში აღმოჩნდნენ მიხოელსი და გოლუბოვ-პოტაპოვი. საღამოს, მათ საპატივსაცემოდ, რესტორანში მოეწყო ბანკეტი, ხოლო დილით მიხოელსი შეუდგა პროფესიულ საქმიანობას.

ვინაიდან მიხოელსის მინსკში ყოფნის ყველა წვრილმანი საკმაოდ კარგად არის შესწავლილი და დაზუსტებული, ჩვენ მკითხველს ვუამბობთ ამ ტრაგიკული ისტორიის მხოლოდ მთავარ ამბავს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, იციკ ფეფერი, რომელიც იყო მიხოელსის მოადგილე ეაკ-ის საქმიანობაში, იყო აგრეთვე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის НКВД მსხვილი აგენტი (პ. სუდაპლატოვი). სწორედ მას შეეჩეხა მიხოელსი სასტუმრო „ბელორუსის“ ჰოლში 1948 წლის 11 იანვარს. იციკ ფეფერს თან ახლდა რამდენიმე ახალგაზრდა ქალიშვილი. იციკ ფეფერი „შეფის“ (უფროსის) დანახვაზე, რატომღაც შეცბუნდა და მომენტალურად გაშორდა მას. ამის შესახებ, სოლომონ მიხეილის ძემ იმ დღესვე დაურეკა თავის ქალიშვილს, ნ.ვ ვოვსი-მიხოელსს და ყველაფერი უამბო. მაგრამ საუბარი მიხოელსსა და ფეფერს შორის მაინც შედგა. ისინი ერთმანეთს შეხვდნენ 12 იანვარს, შუადღეს, რესტორან „ბელარუსში“. რის შესახებ ილაპარაკეს, უცნობია, არავინ იცის. ერთმანეთს დაშორდნენ 18 საათზე, ხოლო ორი საათის შემდეგ, სადღაც საღამოს რვა საათისთვის მიხოელსი და გოლუბოვი სასტუმროდან გავიდნენ და გაურკვეველი მიმართულებით ფეხით წავიდნენ. „... ეს მოხდა მაშინ, როცა მათ სასტუმროს ადმინისტრატორი წინასწარ გააფრთხილეს, რომ 20:30-ზე შეხვედრა ჰქონდათ ბელორუსიის ებრაული თეატრის მსახიობებთან და ალბათ, არც ავიწყდებოდათ რომ 20:00-ზე მისასვლელნი იყვნენ ბელორუსიის ცკ მდივანთან („იოსებ სტალინის „ყირიმის არმაგედონი“, თავი 21).

დადგენილია, რომ არც მემუარულ, არც საგამომძიებლო ლიტერატურაში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი იციკ ფეფერის რეაქციაზე, როცა მან გაიგო მიხოელსის სიკვდილი. „შეფთან“ საუბრის შემდეგ იგი ჩაჯდა მატარებელში და გაემგზავრა მოსკოვში.

ჩვენ აქ მოვიყვანთ ერთ კონტექსტს, სადაც კარგად ჩანს, რომ გოლუბოვ-პოტაპოვმა, როცა ის მინსკის კომისიაში შეიყვანეს, უკვე იცოდა რა მოხდებოდა მინსკში; ამასთანავე ის გრძნობდა იმ საშიშროებას, რომელიც მას იქ ელოდა.

,, ვლადიმერ ილიას ძე მინსკში გამგზავრებამდე ერთი დღით ადრე ვნახე. ის ჩვენთან, მოსკოვის საბალეტო თეატრალურ ინსტიტუტში ატარებდა სემინარებს საბალეტო კრიტიკის გარშემო და ჩვეულებრივ, ყოველთვის დროულად, ხალისით მოდიოდა. მაგრამ, იმ დღეს დააგვიანა, უჩვეულოდ მოღუშული და თანაც ნასვამი იყო. შემოსვლისთანავე, მიხოელსზე დაიწყო ლაპარაკი: „მოხუცი ბევრს სვამს, ასე რომ მე რეპეტიციას გავდივარ„- აგვიხსნა მან მოწყენილი სახით, გაბოროტებული ჩაცინებით. ეტყობოდა რომ ძალიან შეშინებული, დათრგუნული და სრულიად ამოვარდნილი იყო კალაპოტიდან“. (ვ. გაევსკის წიგნიდან „ქორეოგრაფიული პორტრეტები“ – მასალები სათაურით „ფსევდონიმით მცხოვრები ადამიანის ორმაგი საქმიანობა“, მოამზადა ირინა ლიუბავინამ, საერთაშორისო ებრაული ჟურნალი «Алеф“, 6.02.2009).

აქედან ცხადი ხდება, რომ 1948 წლის 6 იანვარს, მოსკოვის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში გოლუბოვ-პოტაპოვი არც თუ უსაფუძვლოდ შიშობდა საკუთარ ბედზე. 12 იანვარს, როცა ის რეჟისორთან ერთად სასტუმრო „ბელორუსიდან“ გავიდა, კარგად იცოდა სად მიყავდა მიხოელსი. სამწუხაროდ მოხდა ის, რისიც ეშინოდა. რეჟისორთან ერთად ისიც მოკლეს, როგორც „არასასურველი მოწმე“ . ორივეს გვამი იპოვეს თოვლის საფარის ქვეშ; თოვლი 12 იანვარს ღამით მოვიდა, ქროდა ძლიერი ქარი.

ალბათ, სასტუმრო „ბელარუსში“ საუბრის დროს იციკ ფეფერმა თავის უფროსს მიაწოდა ცრუ ცნობა, რომელიც მან მიიღო ამ საშინელი მკვლელობის დამკვეთისაგან: „აქ, მინსკში იმყოფება ჯოინტის წარმომადგენელი. როზენბერგმა „ყირიმის კალიფორნიის „ განხორციელების შესახებ ინსტრუქცია გამოგვიგზავნა. ისი-

ნი აგრეთვე ფლობენ გარკვეულ წინამძღვრებს, თუ რა გზით შეიძ-ლება ჩავაგდოთ სტალინისა და ბენ-გურიონის გეგმა პალესტინა-ში ისრაელის სახელმწიფოს შექმნასთან დაკავშირებით“.

რა თქმა უნდა, ეს უბრალოდ ვარაუდია, მაგრამ ვფიქრობთ რომ საქმესთან ახლოს არის.

და მაინც, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო ამ საცოდავი ადამი-ანების მკვლელობის დამკვეთი?

პასუხს ამ კითხვაზე იძლევა ერთი ძალიან ცნობილი წიგნი.

„აღწერილი მოვლენებიდან 13 წლის შემდეგ, ჩემმა ნათესავ-მა, მალენკოვის სამდივნოში მომუშავე მბეჭდავ-მემანქანემ (რომლის უშუალო უფროსი იყო სუხანოვი) მომიყვა, რომ რიუ-მინი იყო იმდენად გაუნათლებელი და უცოდინარი, რომ აბაკუ-მოვის წინააღმდეგ მიმართული თავისი საბრალდებო წერილი 11-ჯერ გადაწერა. ამიტომ სუხანოვმა თავის მისაღებში იგი ექ-ვსი საათი გააჩერა, ხოლო თვითონ მოლაპარაკებას აწარმოებ-და მალენკოვთან სტალინთან გასაგზავნი წერილის რაობაზე. (პ.ა. სუდაპლატოვი., „დაზვერვა და კრემლი“, „არასასურველი მოწმის ჩანაწერები“, 1996, ბუკინისტური გამოცემა).

ეპილოგი

რას არ წერენ სტალინზე – გერცელ ბააზოვი მოკლა1, მიხოელსი მოკლა, ვინ იცის ვინ არ მოკლაო, ებრაელები არ უყვარდაო, ანტისემიტი და იუდაფობი იყოო.

იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს სტალინის სახელით სიკვდილი ისეთივე პატივია დაღუპულებისათვის, როგორც დაჯილდოება წითელი საბრძოლო ორდენით.

როცა ისტორიას თავდაყირა აყენებენ შეუძლებელია პოლემიკაში შესვლა.

ხომ არ არის ეს უბრალოდ მოტყუებული და გაბრიყვებული ბრბოს ცილისწამება?

იქნებ მას არც თავისი მეორე ცოლი უყვარდა და არც მისგან შობილი საკუთარი შვილები?

დავუშვათ მას არ უყვარდა ებრაელი ერი და იყო ვთქვათ ანტისემიტი. მაშინ რატომ უბრძნა ანდრეი გრომიკოს სიტყვით გამოსულიყო გაეროში, პალესტინის გამოყოფის მოთხოვნით, ებრაელთა სახელმწიფოს შექმნის სასარგებლოდ აღქმულ მიწაზე? და რატომ გაუგზავნა მან ისრაელის ახლადშექმნილ სახელმწიფოს იარაღი არაბული კოალიციის წინააღმდეგ საბრძოლველად? ნუთუ ასე იქცევიან ანტისემიტები და იუდაფობები?

და რაც ყველაზე მთავარია, სტალინმა დაასამარა ფაშიზმი – ბოროტება რომელიც ჩაფიქრებული იყო ებრაელების მთლად მოსასპობად.

გამოდის რომ სტალინი არც ანტისემიტი იყო და არც იუდაფობი.

დავუშვათ, ქმნიდა რა ისრაელის სახელმწიფოს, მას უნდოდა გამოეყენებინა ებრაელები დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ და ამით შეექმნა ფორპოსტი ახლო აღმოსავლეთში. ამგვარი მოსაზრების გამავრცელებლებს ავიწყდებათ, რომ სტალინი ჯერ ერთი – იყო რევოლუციონერი, მარქსისტი და როგორც

ასეთი შვიდჯერ გადაასახლეს ციმბირში; მეორე – მან, სოსო ჯუღაშვილმა, 1899 წელს დაამთავრა ტფილისის მართლმადიდებლური სასულიერო სემინარია. იქ, სწავლის პერიოდში, მარქსიზმთან ერთად ყურადღებით სწავლობდა ძველ აღთქმას და როცა 1920 წლიდან იგი პრაქტიკულად შეუდგა იუდეველთა სახელმწიფოს აღდგენას ებრაელთა ისტორიულ სამშობლოში, ის – სტალინი დარწმუნებული იყო რომ ახორციელებდა ოთხი ათას წლოვან ისტორიულ სამართლიანობას.

1. ავტორის შენიშვნა: სოლომონ მიხოელსი თბილისში (1938) ყოფნის დროს იმყოფებოდა დავით ბააზოვის ოჯახში, სადაც გერცელ ბააზოვს შეუთანხმდა, რომ მის პიესას „მუნჯები ალაპარაკდნენ“ დადგამდა მოსკოვის ებრაულ თეატრში ГОСЕТ-ში. ამასთან დაკავშირებით გერცელ ბააზოვი მოსკოვში ჩავიდა 1938 წლის 25 ოქტომბერს. ვოგზალში მას დახვდნენ სოლომონ მიხოელსი და ბინიამინ ზუსკინი. სამივენი კარგ ხასიათზე იყვნენ, ისადილეს რესტორანში და დაახლოებით ღამის სამ საათზე „მეგობარი საქართველოდან“ გერცელ ბააზოვი დააბინავეს სასტუმროში და გამოემშვიდობნენ (ფანია ბააზოვა). ამ მომენტიდან გერცელ ბააზოვის კვალი იკარგება.

ლავრენტი ბერია მაშინ თბილისში მსახურობდა.

ბინიამინ ზუსკინი, ისევე როგორც იციკ ფეფერი და გოლუბოვ-პოტაპოვი, ორმაგ საქმიანობას ეწეოდა, იყო მსახიობი მიხოელსის რწმუნებულ ებრაულ თეატრში (ГОСЕТ) და ამასთანავე იყო შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ძლიერი აგენტი.

რაც შეეხება სოლომონ მიხოელსს, აი რა განაცხადა მის შესახებ მოსკოვის ბოტკინის საავანდყოფოს დირექტორმა, ექიმმა ბორის აბრამისძე შიმელიოვიჩმა (იგი ებრაელთა ანტიფაშისტური კომიტეტის სხვა წევრებთან ერთად დახვრიტეს 1952 წლის აგვისტოში, სტალინის სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე)

სასამართლო პროცესზე: „მიხოელსი იყო მატყუარა, ორპირი ადამიანი, იგი ჯერ დამპირდა ჩემი პიესის დადგმას ებრაულ თეატრში, აქო და ადიდა პიესის იდეა, ხოლო შემდეგ მიითვისა ჩემი იდეა, აბუჩად ამიგდო და უარი მითხრა პიესის დადგმაზე“ (იხილეთ „Неправедный суд; Последние расстрелы Сталина“, Москва, „Наука“, 1994, стр. 337).

გერცელ ბააზოვის სამყოფელი მოსკოვში მიხოელსის და ზუსკინის გარდა არავინ იცოდა. არ არის გამორიცხული, რომ შსს კომისარიატში შევიდა სიგნალი, რომ მოსკოვის ერთ-ერთ სასტუმროში იმყოფებოდა ინგლისის აგენტი ვინმე გერცელ ბააზოვი, რამეთუ სიონისტებს სტალინურ ეპოქაში არ დევნიდნენ, პირიქით ეხმარებოდნენ მათ უფასოდ გამგზავრებულიყბნენ ისრაელში (გამოქვეყნდა „მენორაში“ 2023 წლის აპრილ მაისის ნომრებში ორჯერ)..

ისრაელი
ბათ-იამი
2018, ღვინობისთვე

პოეზია

იერუსალიმს

იებუს გერქვა – და „შალომი„
გიწოდა სემმა,
ხოლო „იირე“ წაუმძღვარა
აბრამ აბინუმ;
ასე ინება, დიახ ასე
ინება ღმერთმა,
და გადმოგხედა ზეციურმა
წყალობის თვალით –
იერუსალიმ. – დიდება იმ დღეს,
იმ დღეს აფერუმ.
ის ებრაელი, სემის შტოდან
ამომავალი,
წყლისა და ცეცხლის ქალაქიდან
ლტოლვილი მგზავრი,
კერპთ რისხვა და შემმუსვრელი
ის ურიელი,
მდინარის პირას დარგული ხის
მსგავსი და სწორი,
ისევე გვმოძღვრავს, ჩვენთან არი
იერუსალიმ.
ფრთებით დაგვიფარე ციურო
ანგელოსო,
დაგვამადლიანე და გთხოვ,
გევედრები,
ის კვალი, ის არე, ის მიწა
დაგველოცოს,
სადაც დაგვაპურე აღთქმით და
ლეგენდებით.

ალილუია, ალელუ იერუსალიმ.
ერეც ისრაელ, წმინდა მიწავ,
ტკბილო და ნაზო,
დედის ღიმილო, შვილის სითბოვ,
მთვარის ნაჟურო,
შენ, თორმეტი მზის ძმურო სიტყვავ
და სიყვარულო,
ვაზის ერთ ფესვზე იაკობის ხელით
ჩაწნულო.
ალილუია, ალელუ იერუსალიმ.
წლები წლებს მისდევს, გაფერმკრთალდა
დრო-ჟამის ზღვარი,
ალვის ხის ფოთლებს დაეკიდა
დაღლილი მთვარე,
აქ ფოლიანტებს აშრიალებს
დავითის ქნარი,
ხოლო წამწამზე ჩამომჯდარა
უძილო ღამე.
ალილუია, ალელუ იერუსალიმ.
ხალხთა ძმობა-მეგობრობის
ხარ მტკიცე ბურჯი,
ყველა ჩვენგანს ათი მცნება
შენ გვიწილადე,
და იკვლევენ გზას წიგნები
სამყაროს გულში,
დღიდან დღემდე; თვიდან თვემდე
და წლიდან წლამდე.
ალილუია, ალელუ იერუსალიმ
…სალოცავში თავდახრილნი,

წიგნით შედიან,
ფრანგულია სალოცავი
თუ გერმანული,
ქართულია, რუსული
თუ ეთიოპური,
ყველასათვის, ყველასათვის
ღმერთი ერთია.
ალილუია, ალელუ იერუსალიმ.
იებუს გერქვა –
და „შალომი“ გიწოდა სემმა,
ხოლო „იირე“ წაუმძღვარა
აბრამ აბინუმ;
ასე ინება, დიახ ასე
ინება ღმერთმა
და გადმოგხედა ზეციერმა
წყალობის თვალით –
იერუსალიმ. – დიდება იმ დღეს,
იმ დღეს აფერუმ.
ფრთებით დაგვიფარე
ციურო ანგელოსო,
დაგვამადლიანე და გთხოვ,
გევედრები,
ის კვალი, ის არე, ის მიწა
დაგველოცოს,
სადაც დაგვაპურე აღთქმით და
ლეგენდებით
ალილუია, ალელუ იერუსალიმ.

და ქარებს მიაქვთ...

მაშ შენ ხარ მუზა?
შენ ცისკრის ბავშვი?
ირ. აბაშიძე

გამოჩნდი, მაგრამ იმ თოვლის შემდეგ,
ის ქარი მახსოვს... შრიალი ხეთა...
რაც გვაკავშირებს მე და შენ დღემდე,
ის არის ჩემში და მომაქვს შენთან.
ვერ დავიბრუნებთ დაფერფლილ წამებს, –
იჭვის და ვნების სამოთხის კართან;
ახლა ვემთხვევი შენს ბროლის თითებს,
დე, კვლავ ვიაროთ, ვიაროთ ქართან.
თითქოს ლაჟვარდებს შეება ფრთები,
გული ზღვასავით ბორგავს, მღელვარებს
და ცად აწვდილი კოშკი ოცნების,
გადაუქროლებს ცისფერ მწვერვალებს.
უცხო ჰანგებით სტვენენ ქარები...
მო, ჩავუსაფრდეთ მზიან აპრილებს;
ისევ გავუწყოთ საკრავს სიმები,
უცრემლოთ ლოცვას ნუ დავაპირებთ.
სულის სამრეკლოს სიმაღლე ჰქვია.
ორღანის ხმებში შენ იკარგები...
და მეჩვენება, რომ ქარებს მიაქვთ,
ცა დახატული შენი თვალებით.

ვხატავდი მთვარეს...

... გადავწყვიტე, დავხატო მთვარე – „ნაზად მოარე„
და ამ განზრახვით გავიტანე მოლბერტი გარეთ,
გავშალე ტილო, მოვიმარჯვე ფუნჯი გრძნეული
უნდა აღვბეჭდო, როგორ აკრთობს კუნაპეტ ღამეს.
მე გადავწყვიტე, დავხატო მთვარე ...
საოცარ ფერთა მოლოდინში ფუნჯი შევმართე!
აგერ, მნათობიც, მოციცინობს ნისლთა გრაგნილით...
შევიძლებ განა, რომ დავხატო ეს „ნაზი მთვარე“,
ორი პოეტის შთაგონების წყარო ნამდვილი.
და მე ვიდექი ფუნჯშემართული...
უცებ კლდის ქიმთან აირია ქათქათა ნისლი
და ქარაშოტმა ჩამიქროლა მქისე სისინით.
დაიქცა ზეთი... გაიტაცა პალიტრაც, ფუნჯიც...
ბედი-ყისმათი; წავედი შორს, – მწარედ ვიცინი.
ვერ მოვასწარი ფერთა შერჩევა...
თბილისო! – ქართვლის უკვდავებით განდიდებულო,
მთვარე მთაწმინდის ახლაც, „ისევ რუსთაველს ელის“,
საკვირველია, პოეტების მუზავ გრძნეულო,
რა რიგ გავბედე ამაღლება ფუნჯის და ფერის.
მთაწმინდა დღესაც რუსთაველს ელის...
სადაც კი ვცხოვრობ, თბილისში ვარ, მთაწმინდით ვსუნთქავ,
ვცხოვრობ თბილისში და ვიგონებ ყოველდღე, მუდამ:
... ბრძოლის წინ წყრომით თამარ მეფე წარბს რო შეხრიდა!
ჯვრის მონასტერს კვდებოდა შოთა, თვის პორტრეტს ქმნიდა.
„ოხვრა არის შვება უბედურისა!“

სურამის ციხე

მე ეს გარემო კვლავ თავბრუს მახვევს,
ქონგურს აბურავს სული ზურაბის,
აქ ჟამთა ქროლვა ფოლიანტს არხევს,
ნელა ირღვევა ციხე სურამის.
კირში დედისერთას ჩატანება,
მეფის ბრძანება და ცდა ყოველი,
იყო და არის ტანჯვა-ვაება,
რაც ქართვლის დედას ისევ მოელის?
„შვილო, ზურაბ, სადამდის?
ვაიმე დედა, მკერდამდის.“
ზღაპრული არე დანგრეულია,
თუნდ ეს ციხე და თუნდ – მოდინახე,
ბალახით, ხავსით დაფარულია,
ამაოების ბურუსში გვახვევს.
ცხოვრება არის მძიმე და რთული,
ისევ ირღვევა ციხე სურამის;
ვინ ააშენებს, ვის ერჩის გული,
სად არის კიდევ ერთი ზურაბი?

ყალიზმანი

აღზევანს ვიყავ მარილზე,
ჩვენი თამარის დროსაო,
მო, მოვულხინოთ გემოზე, –
ვუთხარ შვილსა და ცოლსაო.
ხალხური

ყარსი-არაქსი ფიქრებს მოისევს –
რა ბედენაა უმადურობა;
ეჰ, არ მეღირსა ბროლის მარილზე
აღზევანს ჩასვლა და დაბრუნება.
ნეტაი შენ, რომ დაგვიწყებია,
რაა ჯაბალა – ტანზედ საცმელი,
ვის, ვის ებრძოდა ქართვლის ფერია,
ვინ იყო კარის მცველი, მმართველი.
ახლა სიამე ნიავს თან ახლავს,
აქ ხომ გრიგალიც ქროდა გზაგავლით…
ნუ, ნუ იფიქრებ, რომ თითქოს გძრახავ,
დღეს სულ სხვა არის მწუხრის საგანი.
ოცნებას ვიკლავ მე ამ მანდილზე,
ჩემს უნებურად ცხრება აგზნებაც;
არა, აღარ ღირს ბროლის მარილზე,
ბროლის მარილზე წასვლა აღზევანს.
ყარსი-არაქსი ფიქრებს მოისევს…
რა ბედენაა უმადურობა,
ეჰ, არ მეღირსა ბროლის მარილზე
აღზევანს წასვლა და დაბრუნება.

და იყო ხიდი შავ გველეშაპის

ეს ხიდი იმერეთ-მესხეთის საზღვარზე მდებარეობს. ამ მიდამოებში სამსახურეობრივი მოვალეობის გამო მიწევდა ყოფნა. ძველ დროში ამ ხიდით ქართველ და სომეხ სოვდაგრებს მიჰყავდათ ქართველი გოგო-ბიჭები ოსმალეთში გასაყიდად. იქაური მოსახლეობა ამ ხიდს „კახას ხიდს“ ეძახის, ალბათ ერეკლე II-ის საპატივცემულოდ, ვინც სასტიკად აკრძალა ქართველი გოგო-ბიჭების მონებად გაყიდვა, მაგრამ თავხედი ფეოდალები ხშირად არღვევდნენ ამ კანონს.

აწვიმდა ცრემლი მომსკდარი ღვარად,
მონად წასხმული გოგო-ბიჭების
და ალბათ, ჰგავდა ალესილ დანას,
ქართვლის დედისთვის ყელზე მიბჯენილს,
სულ მუქთად ჰყიდდა ქართველს ქართველი,
ის ჭრილობები რამ გაამთელოს,
ეს იყო ხიდი, თუ გველეშაპის
ენა სანსლავდა მთლად საქართველოს?
ფეხშიშველი და ხელგაბაწრული,
დაქვითინებდა ბევრი ვაჟკაცი,
იქნებ დაარქვეს ხიდი მზაკვრული, –
ერთი ნახტომი უცხო ავაზის.
და იყო ხიდი, ხიდი ტიალი,
ის ივერიას დარჩა იარად,
მას ბორკილების ჩხრიალ-ჩხრიალით
სისხლის მდინარემ გადაუარა.
მერე როს ერი შეება ცრუ ჟამს,
დასრულდა ხიდის ნაფურთხით მოსვრა;
დასჭექეს: ვაშა! და შავ გველეშაპს
ხრამზე გადებულ კუდივით მოწყდა.

მომავალი

(ჩანახატი)

შემოდგომა. ხეს ფოთოლი სცვივა,
წეროები მიჰკივიან ცაში
და ჭადრის ქვეშ გარინდული დგანან,
მზის ჩასვლისას – გოგონა და ვაჟი.
მეწამულ მზეს თან ღრუბელი ახლავს,
ნისლი მთაზე მიწოლილა მკერდით –
და არავის არ აწუხებს ალბათ,
იმ ვაჟის და იმ გოგონას ბედი.

ებრაელთა ბედისა თუ უბედობის კვალდაკვალ

ნოეს ეპოქაში არსებობდა შვიდი მცნება
ავტორი

ნოეს კიდობანში იჯექ,
ცას წვდებოდი თანდათან,
მესამე მტრედს გაეჯიბრე,
მიფრინავდით მხარდამხარ,
სემის, ქამის, იაფეთის
სიყვარულიც თან დაგაქვს
და მგონია ცრემლით აღვსილ
ოკეანესა ჰგავხარ.
ბავშვობაში ანცი იყავ,
ტოლ-სწორების მოყვარე,
თვალტანადად მშვენიერსა,
მზის სხივები გმოსავდა,
მაგრამ რომ წამოიზარდე,
ბედი გერგო მშფოთვარე,
ნეტა, დედა რო გწყევლიდა,
ძუძუები გლოცავდა?
მდინარის პირს დარგულო ხევ,
ხვალინდელო იერო,
სემის მოდგმავ უძველესო,
შუქო წყლის მთოვარისო,
შენ კერპების დაცამლეწო,
ყებერის ნაშიერო,
სისპეტაკით გატანჯულო,
ელდავ სიმწუხარისო.
შვიდი მზე და შვიდი მთვარე
ამოხაპე ურიდან,
ანა-ბანით გამოეყავ,

არამეულ სულიდან,
წამოხვედი დაღვრემილი,
სევდითა და ჭმუნვითა
და იმ დღიდან მშობლიურ ცეცხლს,
იგონებდი ურვითა.
უსახელო ვარსკვლავივით,
ანთებულხარ სად არა;
წყაროსავით ჩხრიალებდა,
შვიდი სიტყვა ანკარა,
რას მიქვიან ბედისწერა,
თვითონ ღმერთმა გატარა,
თორმეტ ტომში ამოშანთე,
კერპიცა და სატანაც.
გაღმა მხარეს თუ გამოღმა,
ნერგი ხარობს ეული,
ყველა ხალხის შვილებიდან,
ხარ ნაღდად არჩეული;
ხე ყოფადი საერთოა,
სიტყვა გითქვამს გრძნეული,
ადამის ძე სამი ფერით,
არს ღვთისგან კურთხეული.
ებრაელთა ბედისა თუ
უბედობის კვალდაკვალ,
ჩემი ფუნჯით-ცისარტყელით,
მოსამსახურედ დავალ,
ჩონჩხით-ხორცით მიწაზე ვარ,
სული დაჰქრის ქარდაქარ,
სანთელივით მიგინათებ,
ჭირში, ლხინში შენთან ვარ.

ორნივ მესხი და ქართველი

სიზმრად ვნახე – საუბრობდნენ
ბრძენთაბრძენნი, სახებადრნი,
სიყვარულის შარბათს სვამდნენ,
თავს ებურათ მთვარე ბადრი,
ორნივ იყო ფეხშიშველი,
მკერდს ებურათ თეთრი წვერი,
ორნივ მესხი და ქართველი,
ერთმანეთის შესაფერნი.
ბეთლემს სახლობს ახლა ერთი,
ერთი ცხოვრობს მთაწმინდაზე;
ორივეს ჰყავს ერთი ღმერთი,
აფრენილი სინას ცაზე.
– აი,ხედავ? ჩემი ჯვარი,
მონასტერი ძველქართული,
დღეს შენ აქ ხარ ვით სტუმარი,
მოვილაყფოთ მწუხარ გულით.
თქვა შოთამ და გალაკტიონს,
გადაჰხვია მხარზე ხელი;
– არ იჯავრო, მტკვარს და რიონს,
ხვალ მიუხვალ ისევ ფრენით.
და უმცროსი უფროს მგოსანს,
მუნ შეჰბედავს დიდი კრძალვით:
– შენი მზე და შენი მთვარე,
ნუთუ მართლა ბეთლემს არი?
გენიოსის ხმა გაისმა:
– ძმაო, რა მაქვს დასამალი,
ყოველ ცისკარს აქ მინათებს,

საქართველოს მზე თამარი.
შოთას ხმაში სევდა რომ ჟღერს,
რვა საუკუნისა არი…
გალაკტიონ ღელვას ჰფარავს,
ეუბნება ძმას კვლავ კრძალვით:
– მო, ამოდი მთაწმინდაზე,
აქ, იტანჯე საკმარისად.
– არა, ავალ გოლგოთაზე,
სახელს ვფიცავ თამარისას.
სიზმრად ვნახე, – საუბრობდნენ
ბრძენთაბრძენნი, სახებადრნი,
სიყვარულის შუქს აფრქვევდნენ,
ჰქონდათ ერთმანეთის ხათრი.
ბეთლემს სახლობს ახლა ერთი,
ერთი ცხოვრობს მთაწმინდაზე,
ორივეს ჰყავს ერთი ღმერთი.
აფრენილი სინას ცაზე.
კაბა ეცვათ ძველქართული,
მკერდს ეფინათ თეთრი წვერი,
ორნივ მესხი და ქართველი,*
ერთმანეთის შესაფერნი.

---

* აქ ტერმინები „მესხი“ და „ქართველი“ სინონიმებია „ვწერ ვინმე მესხი მელექსე“ მიხედვით-ი. პ.

საქართველოს

გაუვალ გზაზე ჩემს ნატერფალს დავტოვებ, ვიცი
არც მზე, არც მთვარე, არც ღრბალი არ მინდა სხვისი,
მე მივაბიჯებ დიდი რწმენით და ურყევ ფიცით,
სიტყვას არ გავტეხ, ვალი მაწევს ქართული მიწის…

ქუთაისი გაზაფხულზე
(ჩანახატი)

თეთრი ვაზი ბროლის ყელით,
მოციცინობს გზნებით, ფრენით –
თეთრი ხიდით, თეთრი ქვებით,
ჩუქურთმებით, ჩუქურთმებით.
გაღმა შაშვის სტვენა ისმის,
აქეთ ბულბულების კვნესა,
ადიდებულ ჰე-რიონის,
ეშხით თვრება ხვამლი დღესა.

ბეთჰოვენის ბოლო აკორდი

ვისაც წაკითხული აქვს რომენ როლანის რომანი „ბეთჰოვენი“, ალბათ ახსოვს, რომ 1827 წლის მარტის თვეში, როცა სარეცელზე მისვენებული კომპოზიტორი აღსასრულს ელოდა, მოულოდნელად მოწმენდილ ცაზე ადრე გაზაფხულის მაუწყებელი ჭექა-ქუხილი გაისმა. უეცრად სმენადაკარგულმა მუსიკოსმა თვალები გაახილა, წამოიმართა და ხელით ზეცას დაემუქრა.

ელვით, ზარით და საშინელი ჭექა-ქუხილით,
ცაზე შავ თმებს შლის გლოვის ნიშნად სულთა მთხოველი;
აქ, სასწაულის ძალითა თუ სიცოცხლის ნებით,
წამოიწია სარეცელზე ყრუ ბეთჰოვენი…
ვით შემოესმა სმენადახშულს გრგვინვა ზეცისა, –
ეს გაზაფხულის ქუხილია თუ ხმა სიკვდილის?
ამბოხებული ბედისწერას არ შეეთვისა,
ფარ-ხმალს არა ჰყრის… და გრძელდება წამი ჭიდილის.
ვინძლო დასჭექოს საამქვეყნო ბოლო აკორდად!
რა ძალა არის სიკვდილთან რომ გაგოლიათებს?!
შემართა ხელი! – და გენიოსს სული დაშორდა…
იბრძოდა გული უკანასკნელ აგონიამდე.

***

სახელი მინდა სიცოცხლისათვის,
სიცოცხლე მინდა სიკვდილისათვის
სამივე მინდა ორი მზისათვის,
ამ ორი ციცქნა სამშობლოსათვის,
სამშობლოსათვის, სამშობლოსათვის.
მარადიული სიცოცხლისათვის.

მე საქართველოს სიცოცხლეს ვნატრობ

ხან მრისხანე და ხან მოდუდუნე,
თეთრ ქვებს ჩუქურთმად ქარგავს რიონი,
აკვანდარწეულს არწივის ფრთებზე,
„ცეცხლის მზე“ ათბობს გალაკტიონის.
მე საქართველოს სიცოცხლეს ვნატრობ,
თეთრ ხიდზე ვდგავარ სულ მარტოდმარტო
და ვევედრები ამ წყალს, ამ ტატნობს,
რომ ხელმეორედ აქ დავიბადო.

ქართულ მიწას

რაც კი შევქმენი, გულით ვინატრე
და უხილავო, შენ გამინათე, –
ბეწვის ხიდივით ეს ბილიკები,
ძალიან ფრთხილად მე რომ მივყვები,
შენ დამიკვალე, შენ ამიმაღლე;
ო, რა საოცარ ძალით მავსებდი,
ო, რა უებარ შარბათს მასმევდი,
რომ არ გამეგო, როგორ ვიტანჯე,
და რომ არ მეგრძნო, რარიგ ვიწამე.
ახლა, ო, ღმერთო, ყოვლის მხილველო,
ვეჩურჩულები, მტერს თუ მოყვარეს,
ნუ შემიბრალებთ და ნურც მიწამებთ;
ოღონდ ერთსა გთხოვთ, ლოცვით, ვედრებით,
არ მომაშოროთ ქართულ მიწას მე.

ვედრება

გევედრები,
მშობელ მიწას
არ მომკვეთო,
კოლხეთის და
პონტოს კარი
არ ჩარაზო,
არ ჩაკეტო;
საოცნებო
არ წამართვა
შე უღმერთო…
ქართვლის წმინდა
სახელს ვფიცავ,
როგორც დედა
დაჰღუღუნებს
ჩვილის პერანგს,
ისე ცერად
შევეჩვიე
მე ზღვის ცქერას:
გევედრები, –
კოლხეთის და
პონტოს კარი
არ ჩარაზო,
არ ჩაკეტო.
საოცნებო
არ წამართვა,
არ გამწირო,
შე უღმერთო…
მზეო, მზეო
ამობრწყინდი,
გული ისევ

ალმინთეო;
ყოფის დღეო,
სიხარულო,
სიყვარულო,
ცეცხლი ისევ
მომმადლეო,
გამარჯვების
უკვდავებას
მაზიარე,
კვლავ გახსენი
კოლხეთის და
პონტოს კარი,
კვლავ გახსენი.
ცრემლი ისევ
მიხარეო,
ყოფის დღეო, –
ქართვლის წმინდა
სახელს ვფიცავ,
როგორც დედა
დაჰღუღუნებს
ჩვილის პერანგს,
ისე ცერად შევეჩვიე
მე ზღვის ცქერას;
მზეო, მზეო
ამობრწყინდი.
სიხარულო,
სიყვარულო,
ცეცხლი ისევ
მომმადლეო,
გამარჯვების
უკვდავებას
მაზიარე,

ცრემლი ისევ
მიხარეო;
მზეო, მზეო!
მხოლოდ შენ ერთს,
მხოლოდ შენ ერთს
გევედრები, –
საქართველო
არ გაწირო,
საქართველო
მიცოცხლეო.

ვაჟას გულისთქმა

„ნუ შეგაშინებსთ, არ გავნებსთ,
მთიდან ბღავილი ხარისა„
ვაჟა-ფშაველა

ჯიხვის რქებით დახეული ცა
და ხურჯინში მოქცეული მთა,
ელვასავით დახვეული გზა,
ფაუსტური საიდუმლო ღრმა,
ვაჟას ლექსი, ვაჟას გულისხმა.
ფშავურ ლექსით გარინდული ტყე,
ვაჟას ენით მოსაუბრე კლდე,
შველის ნუკრის ბედდამწვარი სვე,
ქარაფებზე გადმომსკდარი რძე –
ვაჟას სუნთქვა, ვაჟას პირიმზე.
ორბის ფრთებით აწეული ცა,
მთის ყვავილი – ლელას გიშრის თმა,
დაკოდილი არწივების ხმა,
ყვავ-ყორანთა დაფანტული ფრთა,
ვაჟას ლექსი, ვაჟას გულისთქმა.

გუდაურაზე

„თერგი რბის, თერგი ღრიალებს
მთანი ბანს ეუბნებიან„
გრ. ორბელიანი

გუდაურაზე მანქანის სარკმელს,
არწივმა გაჰკრა ფრთები;
ცა სულ ახლოა, ხელით შეწვდები,
ორგვლივ მოჯარდნენ მთები.
ცოტაც კიდევ და აღმართს ავივლით,
იკეცებიან გზები…
იქით თერგი რბის ფაფარაშლილი,
გადაპენტილი თმებით.
იქნებ ამიხდეს ნატვრა, ოცნება,
მეც გამომესხას ფრთები…
ღმერთო, სულ ახლოს მეგულებიან
თერგდალეული ძმები.

და წიგნს ველაციცები

წიგნებს ველაციცები,
ვით არწივი – სიმაღლეს,
მწვერვალს ვუდალიერებ...
დაქანცულ მხრებს ვიმაგრებ.
მეუბნება ვიღაცა,
მავანი და მავანი,
უსუსური, თავხედი,
შურით და სიბოროტით,
ძმის და მოყვრის გამყვლეფი:
„ხუთი წიგნით, ძამიავ,
რაფერ გაიარწივებ?„
ხუთი წიგნი კი არა,
ასი წიგნიც რა არი?
თუ კი აზრი და ფრაზა,
არ ექნება მაღალი,
მოსხლეტილი, ნათელი,
საჭაშნიკედ დამდგარი.
მწვერვალს ვუდალიერებ,
დაქანცულ მხრებს ვიმაგრებ
და წიგნს ველაციცები,
ვით არწივი – სიმაღლეს.
ვეძებ სიტყვის ქართულ ძირს,
შუბლზე ოფლი გადამდის,
ჟინი გალაჟვარდების,
სულსა მომდევს მარადის.
ვიცი ეს დროც დადგება,
როცა გაღმა ვიქნები...

ნეტა იქ თუ გამყვება,
ოცნებები, ფიქრები...
იქნებ მართლა მივაგნო,
სამოთხის კარს დაგმანულს,
ანგელოსად მაქციონ,
შევწვდე უფლის განზრახულს;
მაშინ ვერ შემისწორებთ,
ფრთები როგორ ვარწიო,
„ცეროდენა“ წიგნებით,
რა ფერ გავიარწივო...
ოჰ..., ეს ჟამი მაშინებს;
ვგრძნობ, რომ დამზამთრებია,
სიჭაბუკის მიზნები,
მთოვარს შემძივებია...
ვეძებ სიტყვის ქართულ ძირს,
შუბლზე ოფლი გადამდის,
მწვერვალს ვუდალიერებ...
დაქანცულ მხრებს ვიმაგრებ,
თან წიგნს ველაციცები,
ვით არწივი... სიმაღლეს.

მოვა აპრილი...

ზღვავ მიწილადე მე შენი სული,
რომ კვლავ მივზდიო ჩემს ფრთამალ სურვილს,
შემომაფრქვიე ზვირთების ჩინჩხლი
და გამიფანტე იჭვი და შიში.
გთხოვ მაზიარო შენს უკვდავ სივრცეს,
რომ სიყვარულზე ვიმღერო ისევ.
იმედით გიცქერ, წარსულს ვიგონებ,
ვიხსენებ განცდილს ნაცნობ სახეებს,
მოვა აპრილი და დამაღონებს,
მოვა აპრილი და გამახელებს...
ნიავს იფერებს ჩემი შროშანი,
სულმა ვარსკვლავთა გზა განიახლა,
გედის სიმღერა ალბათ შორს არის,
ზამთრის ხუშტური მზეს დაუმარხავს.
მალე წვიმები ცას ჩამოფქვავენ,
ნიაღვარები წავა ხნულებად,
ნეტავ ვიცოდე ამ წვიმის მოსვლამ,
გამოგიკეთა კარგო გუნება?
შენს თმაში იმედს გაშლის აპრილი,
ღიმილს მოგახლის ცა უნაპირო
და შენკენ ვილტვი მე ხელგაწვდილი,
ჯერ მოუსვლელო, მზევ, სიყვარულო.

სად არის საქართველო?
ლეგენდა

მთებსა და ხევებს შორი-შორ,
მხედარი მიდის მარტო.
არვინ მას ქვეყნად არ უნდა
და ფიქრობს იმას მხოლოდ,
რომ აიხდინოს ოცნება,
ერთი სურვილი ბოლო,–
ნატვრა, თვით გულის წადილი:
იპოვოს საქართველო.
გადასერა მთა და ველი,
უცხო, უცნობი გზები,
მიაცილებს მშობლის მზერა,
ღიმილი მშვენიერი,
ოქროს თმა, ოქროს აბჯარი,
დედავ, რარიგად შვენის,
ეს ვაჟი მზეჭაბუკია,
მიდის და მიიმღერის:

მზეო, მზეო, დედაჩემო,
მთვარევ, მთვარევ, მამაჩემო,
დებო, ძმებო, ვარსკვლავებო, -
მოვიარე ზღვა და ხმელი,
ამერი და იმიერი,
ბევრი ვნახე საოცარი,
მე ლამაზი ცა და მდელო,
მაგრამ ვერსად ვერ ვიპოვე,
უტურფესი საქართველო.
ამოიდგა ენა ცამა
და გაისმა ტკბილი ხმები:
ჩვენო შვილო, მზეჭაბუკავ,
წინ იარე მხნედ და რწმენით,
საქართველოში მოგიყვანს,

შენ კოლხეთის ძველი გზები,
მდინარეები, ხევები,
ტყე, მთები და ჩანჩქერები.
როცა ოდნავ ჩაივაკებ,
გამოჩნდება მწვანე მდელო;
მტრედისფერ ცას შეგაგებებს,
ორ ზღვას შუა გაშლილ ლელოს,
ვაზის რქით და დევის ქვევრით,
გიმასპინძლებს საქართველო, -
დიდებული მწვერვალები,
თოვლით დაფარული მუდამ;
მოერიდე, ნუ აჰყვები,
შხარას, თეთნულდსა და უშბას.
გაგაოცებს შენ ეს მხარე,
მისი მიწა, მისი წყლები...
შორიახლო საკვირველი,
სანახავი არის ერთი,
ღელე კლდეში, ძუ ლომივით
ღმუის აკარმარას მთებში;
ადრიდანვე ღელისწყალსა,*
ეძახიან ქართველები.

მხედარმა გზა გააგრძელა,
იმედითა და რწმენით,
ცეცხლის რაშით გადასერა,
უცხო, უცნობი გზები,
ოქროს თმა, ოქროს აბჯარი,
დედავ, რარიგად შვენის,
ეს ვაჟი მზეჭაბუკია,
მიდის და მიიმღერის:
მზეო, მზეო, დედაჩემო,
მთვარევ, მთვარევ, მამაჩემო.
დებო, ძმებო, ვარსკვლავებო,
მოვიარე ზღვა და ხმელი,

ამერი და იმიერი, ბევრი ვნახე საოცარი,
მე ლამაზი ცა და მდელო,
მაგრამ ვერსად ვერ ვიპოვე,
უტურფესი საქართველო.

ამოიდგა ენა ცამა,
კვლავ გაისმა ტკბილი ხმები:
ჩვენო შვილო, მზეჭაბუკავ,
წინ იარე დიდი რწმენით,
საქართველოში მიგიყვანს,
პონტოს ზღვა და არგოს გზები,
მდინარეები, ხევები,
ტყე, მთები და ჩანჩქერები.
ჭოროხის წყალს რომ გასცურავ,
მიადგები ქართულ სპერსა,
თრიალეთის დიდი ქედით,
მერე ესტუმრები სხვებსა...
თუ რიონი იქნა წყნარი,
დაინახავ ოქროს ვერძსა,
მერე მტკვარით, ალაზანით,
მიმოივლი ქართლ-კახეთსა.
ჩვენ მეტს ვერრას გეტყვით სხვასა,
ეძიე და ჰპოვო ვინძლო;
და თუ ბედმა გაგიღიმა,
მიაკვლიო შენ იმ მხარეს,
იქ შეხვდები შენ დედ-მამას,
ქართულ მზეს და ქართულ მთვარეს.
... ცხრა მთა, ცხრა ზღვა გადიარა,
აგორდა წლები გრძელი,
ის იყო ჯოჯოხეთში და
განვლო სამოთხის ბჭენი,
წამოეპარა სიბერე,
ოქროს თმა აღარ ჰშვენის,
წამოეზარდა თმა-წვერი,

თოვლივით თეთრი ფერის;
ეძება, ბევრი ეძება,
ის ზღვები, დიდი ლელო,
მაგრამ ვერსად ვერ მიაგნო,
ვერ ნახა საქართველო.
და ერთხელ, როცა ძალიან
დაიღალა და შედგა,
მოხუცი კაცი დალანდა,
ქვაზე რომ იჯდა ერთი;
თუთუნს ახვევდა გულდინჯად,
ის ბერიკაცი მარტო.
მხედარი ჩამოქვეითდა,
გაჩერდა შორიახლო.
„მგზავრო, მითხარი რა გინდა“,
თქვა ბერიკაცმა ბოლოს.
მხედარმა მყისვე მიუგო:
„ერთი თხოვნა მაქვს მხოლოდ,
მასწავლე, როგორ ვიპოვო
ქვეყანა საქართველო“.

მოხუცის პასუხი ფრიად საკვირველი იყო:
„მხედარო, მოაგენ მგონი; იცოდე მხოლოდ, აქ ორი ქვეყანა არის, აქ ორი საქართველოა: მიწის ქვევით დიდია საქართველო, იქ არის დავით, თამარი, შოთა... მიწის ზევით კი, რასაც ჰხედავ, აი, ეს არის. შენ რომელს ეძებ მგზავრო კეთილო?

---

*ეგრისწყალი, ღალიძგა

ვით მზისკენ მსრბოლი ალვის ხეები

კონსტანტინე ლორთქიფანიძის, გრიგოლ აბაშიძის, რეზო ჭეიშვილის, რევაზ ჯაფარიძის, რევაზ ინანიშვილის, გურამ ფანჯიკიძის, თამაზ წივწივაძის, დომენტი ახობაძის, ზურაბ კუხიანიძის, იორამ ქემერ-ტელიძის, ირაკლი ბაზაძის ნათელ ხსოვნას.

მიისწრაფვოდით ზევით და ზევით,
ცას უტოლებდით უსაზღვრო სურვილს,
იქნებ შეისხით დედალოს* ფრთები,
როცა ვენახში იკლავდით წყურვილს.
რისთვის დაშორდით ამ ცოდვილ მიწას,
მაღლა რად ფრინავთ მიწის შვილები,
არ მოგენატრათ დაბლა ცხოვრება,
ვაზი, ენძელა, ლურჯი იები?
ფრაზა უთქმელი... რამდენი კიდევ,-
გამა მდიდარი ცისარტყელებით;
სიმაღლეს ეძებთ, ისევ და ისევ,
ვით მზისკენ მსრბოლი ალვის ხეები.
...მიწიდან გასვლა —ეს მიწიერის,
ამაო ცდა და ფიქრია მხოლოდ? —
ჩემი აზრით კი, შემოქმედისთვის
მუზაა იგი: რთველი, სამშობლო.
გფიცავთ ბიჭებო, ხანდახან,
როცა უთქვენოდ ძალზე მოგვეწყინება, -
გაზაფხულების წასვლა და მოსვლა,
შემოიფრქვევა ვარდ-ყვავილებად,
თითქოს ჩვეული ღიმილი გმოსავთ,
მიდამოს მკერდზე რომ ეფინება.
და როცა მწუხრში შემოგვეცლებით,
სადღაც ბურანში მიგეძინებათ...

დედაქართულით თქვენი წიგნები,
იშრიალებენ სულის სიმებად.

---

*დედალოსი... – ბერძნულ-რომაული მითოლოგიის მიხედვით ათენელი არქიტექტორი და მოქანდაკე, რომელიც შვილთან (იკაროსი) ერთად, ხელოვნური ფრთებით მცირე აზიის ნაპირებისკენ გაფრინდა. იკაროსმა მამას არ დაუჯერა, მზეს მიუახლოვდა; სხივებმა ცვილი დაადნეს და იკაროსი ზღვაში ჩავარდა, დედალოსი გადარჩა, იგი მცირე აზიიდან სიცილიაში გადავიდა.

გაზაფხული

მთებზე ვერცხლისფრად ატირდა თოვლი,
ჩუმად დნება და ოხრავს საწყალი,
მდინარეებად დაზვავდა ცრემლი,
წელმოწყვეტილი მიდის ზამთარი,
თეთრი სამყაროს თეთრი ზღაპარი.

ღვინოგისთვე ქუთაისში

მამის ნათელ ხსოვნას

ყვითელ ფოთლებს
ქარი ახვევს შარაგზაზე...
მტევნებში კი
ქარვისფერი ჩაიღვენთავს;
შემოდგომა,
შემოდგომა მოდის ასე:
სავსე კალთას
საწნახელში ჩაიბერტყავს.
საქაჩველში მოვარდება
ღვარი მაჭრის
და ბადაგი
ადუღდება მერე როცა,
მხიარული, დარდიმანდი,
სუფრას გავშლი,
წლის მოსავლის
ბარაქას და ლაზათს ვლოცავ,
მზე მიწიდან
გაყვითლებულ ფერებს წაშლის
და ლაჟვარდი
თოვლის დარად დამძიმდება,
შემოდგომა ჩაილევა
შრომით, გარჯით
და ბოცებში
ქარვისფერი დაღვინდება

დროსთან ჭიდილში

თმები რომ გამთეთრებია,
 თქვენ ნუ გგონიათ ჭაღარა,
 ჩემი წისქვილის ფქვილია,
განგებამ გადმომაყარა.
ტყვე ვარ, ტყვე, - ჩემი ბუნების,
ჩემი ფესვების და მიწის,
..."ძილშიაც ამას ვბუბუნებ",
რაც თან დამყვა და რაც ვიცი,
იმ ლექსის ხიბლის ჭირიმე,
ქართველმა კაცმა რომ იცის.
რა გამომილევს საფიქრალს,
ან რას დამაკლებს სიბერე,
ვერც ქარიშხალი დამზაფრავს,
ისევ მხნეობას ვიფერებ.
ტყვე ვარ, ტყვე, - ჩემი ბროლის ცის,
ჩემი ელვების სიცილის,
შქერით, იელით ანთებულ
ქედებისა თუ მთის ძირის,
იმ სიყვარულის ჭირიმე,
ქართველმა კაცმა რომ იცის.
მე ისევ გაზაფხული ვარ,
დროსთან ჭიდილში ვყვავდები,
თუმც აღარ დავსტვენ ქარდაქარ
და აღარც გავიწალდები.
ტყვე ვარ, ტყვე, - ჩემი ბაღნარის,
ჩემი რთველის და ნაჟურის,
წლის მოსავალი მოვიმკე,
სევდისთვის როგორ მოვიცლი,
იმ სიხარულის ჭირიმე,
ქართველმა კაცმა რომ იცის.

ოდა იმერთა მეფის და აფხაზთა მთავრის შვილის თავდადებაზე

მოქმედება პირველი
სურათი I

სოფელი ლიხნი. აფხაზეთის მთავრის სასახლე. სასახლის წინ დიდი მოედანი ხალხით არის სავსე.

(სასახლის ქვის ბალკონზე შემოდის აფხაზეთის მთავარი, ხელში გრაგნილი უჭირავს. უკან მწიგნობართუხუცესი მოდის).

მწიგნობართუხუცესი

(გალავანზე შემოდგება და თავშეყრილ ხალხს მიმართავს).

ყურადღებას გთხოვთ სუყველას,
ვინც მოსასმენად მოსულხართ.
მოგმართავთ აფხაზთ მთავარი.

აფხაზეთის მთავარი

ძმებო, დებო, მეგობრებო,
ჯიქებო (1) და ალანებო,(2)
სვანებო და მეგრელებო,
უშიშარო დევგმირებო,
გასაჭირში ერთგულებო,
ლაზ-კოლხური მოდგმის ერო,
იმერთ მეფის სოლომონის
წიგნს გიკითხავთ მე, შვილებო.

(გრაგნილს გაშლის და კითხულობს).

აფხაზთა დიდო მთავარო,
მტერი მოგვადგა კარზედა,
ოთხმოცი ათას ურჯულოს,
დახვედრა უნდა მარჯვედა.
ნურც გავალაღებთ ნანახით,
კლდენი ვიფაროთ ფარადა,
ჩვენი ყანა და ვენახი,
არ მივცეთ ასალაგმადა.

ქართული მიწა და ენა,
მამა-პაპისა ქებული,
ღვთით გვაქვს ნაბოძი ვით რწმენა,
კოლხეთში მირონცხებული.
ვიცი, უმცროსი ძმა იყავ,
დიდი ქართული მერმისის,
ხმალს აელვებდა მხარი მხარს,
ქართი, მესხეთი, (3) ეგრისი. (4)
არ გავაბნიოთ ეს სამწყსო,
არ დავიწყოთ ჯამბაზობა,
ალბათ ჩემზე უკეთ გახსოვს,
ფანასკერტის დარბაზობა. (5)
გიორგი (6) და ბაგრატ მეფე, (7)
თითქოს ორი არწივია,
მათი გარჯა, მათი სეფე,
ქრისტეშობის მარტვილია. (8)
ტაძრის კედლებზე ბზარები,
წინაპართ ჭრილობებია,
ზე მორკალული თაღები,
მათი ბებერი მხრებია.
გამოცდა დღეს კვლავ მოგველის,
ოსმალს წინ უძღვის ქართველი,
გამცემი, სულწაწყმენდილი,
ყმათა გაყიდვის მფარველი.
გადმოიარეს ბაღდათი,
ესმით ხანისწყლის დგაფუნი,
ოდითგან გვტანჯავს ღალატი,
ავი, მზაკვრული, მზაკვრული.
ეგემრიელათ კალმახი,
თევზი დასისხლულ წინწკლება,
ეამათ ნაძვთა შრიალი,
ალაღებთ თავდავიწყება.
სხვა გზა, სხვა ღონე არ არი,
ზოგ დედის მზე დაბინდდება,

ზარბაზნით მოდის მომხდური,
ომი სულ მალე იწყება.
ბრძოლა და მოვალეობა,
აი, რა არის დიდება:
სამშობლოს თავისუფლება!
თავგანწირვა და ღირსება!
სვან-ოდიშართა ლაშქარი,
უკვე ყიჟინებს საომრად,
ქართლ-კახეთი ჩვენთან არი,
რაჭა-ლეჩხუმიც გამოვა.
ხრესილის ველზე მოგელით,
ტბაშავას რომ ეძახიან,
მწედ გვყავდეს წმინდა გიორგი,
გვფარავდეს წმინდა მარიამ.

(აფხაზეთის მთავარმა კითხვა დაასრულა, გრაგნილი მწიგნობართუხუცესს გადასცა და ისევ მოედანზე თავშეყრილ ხალხს მიმართა).

ლაშქრად წვევის წიგნი გამცნეთ,
ყურადღებას ვითხოვ–სმენა!
იმერეთის გვერდით დავდგეთ,
გავაშიშვლოთ ხმალი ყველამ.
თუ არ გაფოლადდა ცეცხლში,
ჩვენი ძმობა და მახვილი,
ჩირად არ ღირს ღვინის ეშხი,
გამწარდება პურ-მარილი.
როცა მტერი მოდის რისხვად,
უძღები და უმოწყალო,
იმერეთი გვიდგას ფარად,
ღვთის მადლით და, ღმერთიც გვწყალობს.
გახსოვდეთ, ოსმალი არი,
აფხაზის მტერი მთავარი:
ამათ წაგვართვეს ზღვისკარი

და ჩვენი ტურფა სოჭნარი (9) ძმა ძმისთვის, ჭირის
დღისთვისო,
ანდაზა არის ქართული;
არ დავიწყება მოყვრისო სიბრძნეა რუსთაველისო.*
აჰ, (10) თავკაცნო სამფლობელოთ, -
გადავხედოთ ამ დიდ სიას:
ანჩაბაძე, ძიაფშ-იფა,
ემხვა, გეჩბა, მარშანია,
სამურზაყანო, აბჟუა,
ჩაბალურხუა, ჩხოტუა...
თქვენ თქვენი თქვით,
ჩემი მითქვამს: ვინ რამდენ კაცს გამოიყვანთ!?
(თავშეყრის ადგილიდან გაისმის ხმები).

პირველი ხმა: ანჩაბიძე–500 ცხენოსანი.
მეორე ხმა: ძიაფშ -იფა-500 დარჩეული მხედარი.
მესამე ხმა: სამურზაყანო - 1000 ცხენოსანი.
(ერთხანს ხმები კიდევ ისმოდა. როცა საომრად მიმავალი ჯარის რაოდენობამ 800 კაცამდე მიაღწია, ხმები შეწყდა).

*აფხაზეთის მთავარი ყურადღებას ამახვილებს რუსთაველის აფორიზმებზე:
„არდავიწყება მოყვრისა, აროდეს მოგვცემს ზიანსა,
ვგმობ კაცსა აუგიანსა ცრუსა და ღალატიანსა“.

აფხაზეთის მთავარი
(აღტაცებული აღელვებას ვერ ფარავს)

გახედეთ, ბზიფის მთებიდან,
როგორი ძალა იღვრება,
ყური დაუგდეთ, გულიდან
საომრად მომსკდარ სიმღერას.
ბანი გვითხარი მთა-ველო,
ჯიქურად მივექანებით,
მომხდური უნდა გავქელოთ,
ცხენების ნატერფალებით.
(ღელვა რომ გაუნელდა, წარმოთქვა).
ამ თავდადებულ მხედრობას,
შევარდნისებრ მფრინავ ბიჭებს,
ჩემი შვილი წაუძღვება,
ხუტუნია შარვაშიძე.

ხუტუნია შარვაშიძე
(ხალხის გროვას გამოეყო, უკვე ცხენზე ამხედრებული, წინა პლანზე ჩორთით გამოვიდა და ხმამაღლა შესძახა)
არ შეგარცხვენ მამავ, ბატონო!

სურათი II

იგივე ადგილი. მოედანი.

(აფხაზ მეომართა ჯარი თანდათან იკრიბება. ისმის გადაძახილები, ცხენთა დგრიალი, მათრახის შხუილი, ფლოქვების თქარათქური. მალე რაზმდაწყობილი ჯარი გამოჩნდება. მათ სამურზაყანოს მფლობელი ხუტუნია შარვაშიძე მიუძღვით წინ. ისინი იმერეთისაკენ მიეშურებიან. შემოდიან ქართველი დე დები. მათ შორის არიან: აფხაზი, მეგრელი, გურული, აჭარელი, სვანი, იმერელი და ალანი ქალები. (11) ისინი მღერიან)

სიმღერა ხუტუნია შარვაშიძეზე

მიჰქრი თოვლში, მიჰქრი ქარში,
 აჰიფ, (12) აჰიფ ხუტუნია,
შენი შინდისფერი რაში -
 ჩერქეზული ულაყია.
შენი შუბი, სატევარი -
ხალიბური ფოლადია.
 შენი ჩოხა-ახალუხი -
ქართვლის დედას უქარგია.
შენი სიტყვა და წერილი -
ძველთაძველი ქართულია,
დიდი ასომთავრულია.

(ქართველი დედების ჰანგს, უკანა პლანიდან, ეხმიანება ომში მიმავალი აფხაზი მეომრების სიმღერა).

აფხაზი მეომრების სიმღერა

ბანი გვითხარი
მთა-ველო, ჯიქურად მივექანებით,
მომხდური უნდა გავქელოთ,
ცხენების ნატერფალებით.

ავტორი

ჩანართი: ხრესილის ბრძოლის მოკლე ისტორიული წიაღსვლი-სათვის

ქართული ორიენტაციის პოლიტიკური კურსი რუსეთისაკენ, ჯერ კიდევ ივანე IV (მრისხანე) მეფობის დროს და შესაძლებელია უფრო ადრეც, გადაიხარა. ქართველი მეფეების ამ ქმედებას ბიძგი მისცა ამიერკავკასიაში ირანისა და ოსმალეთის დამპყრობლურმა ომებმა. ორივე იმპერია შავ ზღვაზე ბატონობისათვის იბრძოდა და, რა თქმა უნდა, ქრისტიან ხალხებს გადარჯულებით (გადაშენებით) ემუქრებოდა. ამდენად, არ არის გასაკვირი, რომ ქრისტიანმა ქართველმა მეფეებმა გადაწყვიტეს ერთმორწმუნე რუსეთთან კავშირის დამყარება. ეს პოლიტიკური მისია რუსეთისათვის ხელსაყრელი იყო, რამდენადაც ეძლეოდათ საბაბი აზოვისა და შავი ზღვის აუზში შესვლის მიზნით, ფართო, მრავალმხრივი სამხედრო ოპერაციების განხორციელებისათვის. ჯერ კიდევ მეფე ალექსი მიხეილის ძის (1645-76) დროს რუსეთის მფარველობა მიიღეს იმერეთმა და თუშ-ფშავ-ხევსურეთმა. 1654 წ. რუსეთთან უკრაინის შეერთებამ გამოიწვია ოსმალეთის აგრესიის გაძლიერება. ამ პერიოდიდან დასაბამი ეძლევა რუსეთ-ოსმალეთის, არქიპელაგის და რუსეთ-ირანის ომებს. ის ფაქტი, რომ ქართველთა ბრძოლა სპარსეთთან და ოსმალეთთან ასუსტებდა ამ ორ დამპყრობელს და აძლიერებდა მართლმადიდებლური რუსეთის საომარ მოქმედებებს მათ წინააღმდეგ, საკამათო არ არის. ქართველებმა (სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ) მარტო ოთხ ბრძოლაში: ირანის წინააღმდეგ მარტყოფსა და მარაბდაში (1625 წ.) და ოსმალეთის წინააღმდეგ ხრესილში (1757წ.) და ასპინძაში (1770 წ.) 300 ათასამდე დამპყრობელი მუსულმანი ამოჟლიტეს. არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ სწორედ ქართველების ზემოხსენებულმა ომებმა რუსეთს გაუადვილა ყირიმისა და ქერჩის ნახევარკუნძულების დაპყრობა და შემდეგ „მეგობრობის მისიით“, უკვე ქართული სამეფოსამთავროების ტერიტორიული ექსპანსია (მოგვიანებით, საბჭოთა იმპერიის ეპოქის დასაწყისში, სამწუხაროდ, შიგნიდან

ღალატით, საქართველომ დაკარგა ძირძველი ქართულ-კოლ-ხურ-ეგრისულ (რომაულ წყაროებში ლაზიკა) - აფხაზური მი-წები: ადლერ-ხვოსტა-სოჭის შემოგარენი ნიკოფსიიდან (ტუ-აფსე) ლესელიძემდე, რაც უმტკივნეულოდ დაიპყრო–დაისა-კუთრა რუსეთმა).

ურთიერთობა ქართველებს და ოსმალებს შორის განსაკუთ-რებით გამწვავდა რუსეთ-ოსმალეთის მეხუთე ომის დროს (1768-1774წწ.). 1770 წ. ეკატერინე II ბალკანეთისა და კავკა-სიის ქრისტიან ხალხებს ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლვე-ლად მოუწოდა. ამ ინიციატივას მხოლოდ საქართველომ დაუ-ჭირა მხარი. იმპერატორის გვერდით აქტიურად დადგნენ ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II და იმერეთის მეფე სოლო-მონ I. ერეკლე მეორემ ოსმალეთს ომი გამოუცხადა. ეკატე-რინემ საქართველოში გააგზავნა საექსპედიციო ჯარი (1200 ჯარისკაცი) ტოტლებენის მეთაურობით. მან, 1770 წ. 19 აპ-რილს, აწყურთან, მტრის პირისპირ მიატოვა ერეკლე II (იხ. იაკობ გოგებაშვილის „ასპინძის ომი“) და თბილისისაკენ გაბ-რუნდა. გადაწყვეტილი ჰქონდა ქართლ-კახეთის დაპყრობა და ქართული სამეფოს რუსეთის მფლობელობაში გადაცემა. ამ აქტით, ალბათ, ტოტლებენს სურდა იმპერატორისათვის ესია-მოვნებინა, რამეთუ იგი სწორედ მან იხსნა გარდუვალი სიკ-ვდილისგან (1768 წ.), ცოტა ხნით ადრე, ვიდრე იმერეთში გაგზავნიდა. მაგრამ ერეკლე მეორის გამარჯვებამ ტოტლებე-ნის გეგმები ჩაშალა და იგი ისევ იმერეთში გადავიდა, სადაც ხშირად თვითნებურად იქცეოდა და ამით იმერთ მეფის უკმა-ყოფილებას იწვევდა. ამ გარემოებებს წინ უძღოდა ის ფაქტი, რომ ორივე ქართველმა მეფემ სასტიკად აკრძალა ყმა-გლე-ხობის მონებად გაყიდვა, რაც ოსმალებისათვის ვაჭრობის ძი-რითადი სასაქონლო საშუალება იყო და აღარ დაუყოვნებიათ 1757 წლის დეკემბერში ოსმალთა 80-ათასიანი ჯარი იმერეთ-ში შევიდა. ქართულ მხედრობას სარდლობდა სოლომონ I. მე-ფის მომხრეებს ორჯერ მცირე ლაშქარი ჰყავდა. სოლომონმა საბოლოო ბრძოლა სტრატეგიულად მოსახერხებელ ადგილ-

ზე–ხრესილის ველზე გადაწყვიტა, მტერი - იქ შეიტყუა და ომს ხრესილის ბრძოლა ეწოდა. ხრესილის მინდორი, ტყიბულის ახლოს აღმართულ ციცაბო ფლატესა და მდ. წყალწითელას შუაა მოქცეული. მაღალი ბუჩქნარით დაფარული ფერდობები მინდორს სამი მხრიდან გადმოჰყურებს. ქართველებმა მტერი სასტიკად დაამარცხეს. ომში მოკლეს მოღალატე ლევან აბაშიძე. როსტომ რაჭის ერისთავმა ბრძოლის ველი მეფესთან შეუთანხმებლად დატოვა. ომში გმირულად დაეცა სამურზაყანოს ბატონი, აფხაზთა მთავრის შვილი, ხუტუნია შარვაშიძე. - იგი, კაცია დადიანთან ერთად, სვან-აფხაზ-ოდიშართა 20 ათასიან ჯარს თავკაცობდა. წყაროები ადასტურებენ კიდეც, რომ ხუტუნია შარვაშიძე თავგანწირვით შეჭრილა მტრის ერთ-ერთ გარემოცვაში და ხმლით თექვსმეტი მებრძოლი მოუკლავს.

მოქმედება მეორე
სურათი 1

ხრესილის მინდორი, მდ. წყალწითელას მარჯვენა ნაპირი
(ომია. ქართველები და ოსმალები დაუზოგავად ებრძვიან ერთმანეთს. უეცრად ფერდობიდან აფხაზ ცხენოსანთა ჯარი დაეშვება. წინ, ხმალამოწვდილი ხუტუნია შარვაშიძე მოჰქრის. იგი არაჩვეულებრივი სიმამაცით შეიჭრება მტრის გარემოცვაში და ერთიმეორის მიყოლებით თექვსმეტ მებრძოლს აჰკუწავს, მაგრამ ბოლოს განგმირავენ და წყალწითელას ნაპირთან ჩაიკეცება.)

ხუტუნია შარვაშიძე
კიდევაც დაიზრდებიან,
კოდორს ლეკვები მგლისანი,
ისე არ დაეცემიან,
ჯავრი არ სჭამონ მტრისანი*.
საქართველოს მომავლისათვის!..

(სიტყვას ვეღარ დაასრულებს, პირგამშრალი წყალწითელას წყალს დაეწაფება... კვდება. მდინარის გაღმა მხარეს შემოდის ქართველ ქალთა მომღერალი გუნდი სამგლოვიარო ტანისამოსში.)

---

*(ქ. ხ.პ. არის „ალგეთს“ და „ისე არ ამოწყდებიან“)

სიმღერა ხუტუნია შარვაშიძეზე

მიჰქრი თოვლში,
მიჰქრი ქარში,
აჰიფ, აჰიფ ხუტუნია,
შენი შინდისფერი რაში -
ჩერქეზული ულაყია.
შენი შუბი, სატევარი -
ხალიბური ფოლადია.
შენი ჩოხა-ახალუხი -
ქართვლის დედას უქარგია.
შენი სიტყვა და წერილი —
ძველთაძველი ქართულია,
დიდი ასომთავრულია.
ვაი ნანა, ვაი ნანა,
დაცვას მოწყდა ხუტუნია,
თექვსმეტი ჯაჭვი დახია,
ქარია თუ გრიგალია.
წინ, წინ თოვლში,
წინ, წინ ქარში,
ვოდა, ვოდა ხუტუნია,
შენი შინდისფერი რაში -
ჩერქეზული ულაყია. შ
ენი შუბი, სატევარი -
ხალიბური ფოლადია.
შენი ჩოხა-ახალუხი -
ქართვლის დედას უქარგია.
შენი სიტყვა და წერილი.
ძველთაძველი ქართულია,
დიდი ასომთავრულია.

სურათი II

ქუთაისი. ქუჩა მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე. მოსჩანს ქვის ბურჯებიანი ხიდი, რომლის მეორე მხარეს 30-35მ. სიმაღლის კლდოვანი გორაა აღმართული. კლდის თავზე ციტადელი მოსჩანს. თენდება.

(ქუთაისის ორი მოქალაქე ერთმანეთს შეეყრება).

პირველი ქუთაისელი
გამარჯობა, ძმობილო.
საით მიხვალ, ასე ადრიან?
მეორე ქუთაისელი
(გაკვირვებული)
ჰა, რაო? როგორ თუ საით,
არაფერი გაგიგია?
პირველი ქუთაისელი
ა!.. რავა არა, გავიგე,
მარა, ციტადელს (13) რას უზამს?
გაგვტანჯეს ამ ყაჩაღებმა.
დედა, შვილს, შიშით, ეზოში
ველარ უშვებს მარტოხელა.
თუ მოიხელთეს ბაღანა,
სტაცებენ ხელს და მშვიდობით...

(გაჯავრებული მუჭით ემუქრება ციტადელის გალავანზე გადმომდგარ მეციხოვნეს.)

უჰ..., ჯოგივით მირეკავენ,
წამოჩიტულ გოგო-ბიჭებს,
ოსმალეთში გასასყიდად.
მეორე ქუთაისელი
რჯულძაღლებო! ამ ციხიდან,
ზარბაზნები ქუხს ყოველდღე.
ბაგრატის ტაძარი უნდათ,
რომ დაანგრიონ ფუძემდე ...
...
რამდენჯერმე სცადეს,

მაგრამ ვერ აიღეს... ვინ იცის,
იქნებ სოლომონ მეფემ შეძლოს, ა?
იქნებ ციტადელიდანაც
განდევნოს მეფემ ოსმალები.
პირველი ქუთაისელი
შენს პირს შაქარი, ჭირიმე,
ვინძლო გვეშველოს ღვთის მადლით.
(შემოდის ქუთაისის მესამე მოქალაქე).
მესამე ქუთაისელი
გამარჯობათ მეზობლებო!
პირველი და მეორე ქუთაისელი
შენც გაგიმარჯოს, ზენარემ.
მესამე ქუთაისელი
მართალია, რომ ამბობენ,
ამ ომში სამი ფაშა ტყვედ
ჩაიგდესო?
მეორე ქუთაისელი
ეგ, მართალი უნდა იყოს.
იმასაც ამბობენ, რომ სამივეს,
ჩაილურის წყალი ასვესო.
მესამე ქუთაისელი
რას ამბობ, კაცო, დახოცეს?!
ვა... ნუთუ არ ეშინიათ?
მეორე ქუთაისელი
რუსის იმედით;
რუსის იმედი აქვს მეფეს.
პირველი ქუთაისელი
სოლომონ დიდის სიბრძნე აქვს!
ღმერთმა ხომ იცის, ვალიც აქვს
ქართველის რუსსა.
მესამე ქუთაისელი
(გაოცებული)
რა ვალი, რას ლაპარაკობ.
რა ჩავასესხეთ, ნეტა, რუსსა?

პირველი ქუთაისელი
არ გახსოვს ძმავ, შენ დიდგორი,(14)
სად დავითი დადგა მკერდით;
ტრამალებს დონის და დნეპრის,
მაშინ იფარავდა ღმერთი.
თურქ-სელჯუკებს რომ ემარჯვნა,
წახდებოდა ქრისტეს მადლი,
იქ, იმ მხარეს, ძმაო, ახლა,
რუსის ბუნდღას ვერ ნახავდი.
მეორე ქუთაისელი
მარტყოფი, ანდა მარაბდა? (15)
რა სასწაული ვნახეთა!
გიორგის ხმალმა სპარსისთვის,
შავი ზღვის კარი ჩაკეტა.
მესამე ქუთაისელი
ეჰ, ისტორია, ისტორია?..
ვის ახსოვს, ახლა? ბოდიშით,
თქვენ საით მიდიხართ?
პირველი ქუთაისელი
გელათის მონასტერში.
სოლომონი ამალითა და
ჯარით, იქ მიბრძანდება.
დამწუხრებულია თურმე.
ომში, როგორც თქვეს, აფხაზთა
მთავრის შვილი მოუკლავთ...
ვალში არც თვითონ დარჩენილა;
დაუჯერებელია, ღმერთმანი,
მტრის გარემოცვაში, ერთმა,
თექვსმეტი!.. როგორ მოჰკლა, ჰა?

მეორე ქუთაისელი
მეც იქ მივდივარ. მოდი და,
ნუ დაიჯერებ..., მაგრამ
ზღაპრად თქმული ხომ გაცხადდა.
მესამე ქუთაისელი
თქვენთან წამოვალ. დღეს, კიდევ
ერთხელ გადარჩა იმერეთი
და მთლად საქართველო.
ეს დღესასწაული საკუთარი
თვალით უნდა ვიხილო.
(გადიან)

მოქმედება მესამე

სურათი I

გელათის მონასტერი. ვრცელი ეზო-გარემო ხალხით არის გადაჭედილი.

(შემოდიან იმერეთის მეფე სოლომონ I, ოდიშის მთავრის შვილი კაცია დადიანი და სხვა ქართველი მხედართმთავრები. უკან რაზმდაწყობილი ჯარი მოს დევთ. ფრიალებენ ქართული დროშები. ხალხის გროვა ორად გაიყოფა, კორიდორს გააკეთებენ და მეფეს და მის მხედრობას ტაძრის მთავარი შესასვლელისკენ მიმავალ გზას დაუთმობენ. ისინი ტაძარში შედიან. ტაძრის შუაგულში ომში გმირულად დაღუპულები ასვენია. ხუტუნია შარვაშიძის ცხედარი მთავა რი საკურთხევლის წინ არის შემაღლებული).

კაცია დადიანი

(მეფის წინაშე თავს დახრის)

ნება მიბოძე მეფეო,
დაგტოვო გამარჯვებული,
ვაჰ, ჩაგვიმწარდა სეფეო,
გული მაქვს გაქვავებული.
იქ, აფხაზეთში გველიან,
ვაგლახ, მე წავალ, მტირალი;
სიტყვა ვერ მომიძებნია,
არც არსად არი მკურნალი.
მთავარს რა ვუთხრა, არ ვიცი;
ჭირისუფალი ის არი!
რით ვანუგეშო მოხუცი,
როგორ მოვიქცე, მითხარი.

სოლომონ I
(პირველი გადაიწერა და ხუტუნია შარვაშიძის ცხედარს სპე-ტაკ შუბლზე აკოცა.)

ამ საკურთხევლის წინ არის,
დღეს ხუტუნიას ადგილი;
ვიცი, შემოსავს ზე ძალით,
ღვთისმშობლის წმინდა მანდილი.
კაცია (16), აქ მოასვენეთ,
აფხაზთა გმირი სარდალი,
მკერდზე თავისი დაადეთ,
ნაბრძოლი ხმალი და ფარი.
აფხაზეთისკენ ხვალ წახვალთ!
დღეს ჩვენ ვიოხოთ გულია,
თორემ მამული დაგვძრახავს,

(მარჯვენა ხელით გუმბათის სიღრმეში უთითებს.)

იმ საქართველოს სულია.
არც სხვანი არ დავივიწყოთ,
თავდადებული შვილები,
ყველას პატივი მივაგოთ,
საქმე ვაკურთხოთ გმირების.
ააგუგუნეთ სამძიმრით,
გელათს დავითის ზარები,
უხორცო ვაჟკაცთ წუხილით,
დაიტირებენ ქალები.
აუნთეთ წმინდა სანთლები,
თავთით დაუდგით დარაჯად,
ისმოდეს ნარნარი ხმები,
ღამე ვუთიოთ ამაღამ.

სურათი II
იგივე ადგილი. იგივენი. (შემოდის მომტირალ ქალთა გუნდი)
მოთქმა-დატირება

(გადმოკეთებულია ქართული პოეზიის ნიმუშებიდან.)

ვო, ცაზე ვარსკვლავი მოწყდა!
ვოი,– ჩემს დღეს, ჩემს მოსწრებას.
ჩამომექცა ციხე-სიმაგრე.
მცველი და ნუგეში ჩემი.
დაბნელდა ცა და ჩემს ფეხებთან
ცრემლის წვიმა ტბასავით დადგა.
ღრუბლიან დღეში მზე იყო
და უმთვარო ღამით მთვარე,
ჩემი ვაჟკაცი!
ვო, ცაზე ვარსკვლავი მოწყდა!
გოგოებო, ცქრიალებო,
ლამაზებო, კეკლუცებო,
ენამზეო სიმღერებო,
გვრიტებო, ტანწერწეტებო
უმღერეთ ჩემს ბიჭს, უმღერეთ!
ვაი ნანა, ვაი ნანა.
იქნებ წყუროდა ჩემს ბიჭს და
წყლის ნაცვლად თავისი სისხლი
წვეთ-წვეთა დალია დაჭრილმა
წყურვილის მოსაკლავადა.
ახლა ლოგინი მიწაა
შენი, ქართული მიწა და
შენს სახლში არასოდეს არ
გამზეურდება ლეიბი
და საბანი შენი, შვილო.
ო, რა ცოდვა ხართ ყველანი,
სამშობლოსათვის გმირულად
მებრძოლნი, თავგანწირულნი
და მარად უკვდავყოფილნი.
უმღერეთ გვრიტებო, ჩემს ბიჭს
მრავალ-ჟამიერ... უმღერეთ.

შენი სისხლით გაპოხილი,
მალე იყვავილებს მიწა,
შვილო, ოღონდ შენ სანაცვლოდ
წითელ-წითელი ვარდები
ამოფიცქინდება ზემოთ,
შენს ნაცვლად,
შენს ნაცვლად
შვილო.
ვაი ნანა, ვაი ნანა.
ვოი, - ჩემს დღეს, ჩემს მოსწრებას.
ვაი აქვს ბიჭო შენ შვილებს,
საბრალოდა ზღრიალებენ
უმწეო ბარტყებივითა
სხვისი ხელისშემყურენი;
მზისა და მიწის სამოსით
საცოდავად დატანტალებენ.
სიკვდილო, შენ არ გყავს შვილი!
შვილი რომ გყავდეს, სხვის შვილსა
არ გაიმეტებ, სიკვდილო!
ვოი, - ჩემს დღეს, ჩემს მოსწრებას.
ჩამომექცა ციხე-სიმაგრე,
მცველი და ნუგეში ჩემი,
თუმცა იმედი, იმედად დამრჩი,
შვილო!
არა, შენ მკვდარი არა ხარ,
უბრალოდ დღიდან ღამეში
გადახვედი. ხვალ მზედ ამოხვალ,
კვლავ
გაანათებ ჩვეულებრივ
შენს ფესვებზე ამოყრილ
ყლორტებს... ისევ გაანათებ.
არა, შენ მკვდარი არა ხარ,
შენ არ ხარ მკვდარი, შვილო!
იქ, - იმიერში შეგხვდები,
ნენა.

მოქმედება მეოთხე
სურათი I

სოლომონ I
(ჯვარცმული ქრისტეს ხატის წინაშე დაჩოქილი.)

ეს გამარჯვება, უფალო,
ჩვენ სისხლის ფასად დაგვიჯდა;
მკვდრეთით აღმდგარო, მაღალო,
დღეს საქართველო ატირდა.
ვაჰმე (რაღა), ჩემს ომში დაეცა,
აფხაზთა გმირი აჰიფა,
რა დიდი მეხი დაგვეცა,
მდუღარე ცრემლმა დაგვყვლიფა.
სად თქმულა, ვინ გაიგონა,
საკვირველება ამგვარი,
საუკუნეებს გასწვდება,
მისი გმირობის ამბავი.

სურათი II

იგივე ადგილი. დავით აღმაშენებლის საფლავი.

სოლომონ I

აქ, წმინდა ნეშტის წინაშე მდგარი, გარწმუნებთ ყველას! უთანასწორო ბრძოლაში გმირულად დაცემული ვაჟკაცების საქმე უკვალოდ არ ჩაივლის. ეს გამარჯვება მთლად საქართველოს გადარჩენის იმედი არის, რამეთუ, ძირმწარე ხმაში დიდი ხვალის სიმღერა ისმის, გლეხის ოცნება: ბარის დაკვრა და სუნთქვა მიწის.

(ფარდა)

ავტორის მინაწერი: ამ დიდი გამარჯვებიდან გაივლის 13 წელი და იმერეთის მეფე სოლომონ I ოსმალებისაგან გაანთავისუფლებს ცუცხვათის, შორაპნის, ბაღდათის ციხეებს, ქუთაისის ციხე-ციტადელს და თვით ქ. ქუთაისს. ამ ბრძოლებში მონაწილეობა მიიღო რუსეთის არმიის გენერალ-მაიორის კურტ ჰაინრიხ ფონ ტოტლებენის საექსპედიციო ჯარმა.

სურათი II

იგივე ადგილი. დავით აღმაშენებლის საფლავი. სოლომონ I

აქ, წმინდა ნეშტის წინაშე მდგარი, გარწმუნებთ ყველას! უთანასწორო ბრძოლაში გმირულად დაცემული ვაჟკაცების საქმე უკვალოდ არ ჩაივლის. ეს გამარჯვება მთლად საქართველოს გადარჩენის იმედი არის, რამეთუ, ძირმწარე ხმაში დიდი ხვალის სიმღერა ისმის, გლეხის ოცნება: ბარის დაკვრა და სუნთქვა მიწის.

(ფარდა)

ავტორის მინაწერი: ამ დიდი გამარჯვებიდან გაივლის 13 წელი და იმერეთის მეფე სოლომონ I ოსმალებისაგან გაათავისუფლებს ცუცხვათის, შორაპნის, ბაღდათის ციხეებს, ქუთაისის ციხე-ციტადელს და თვით ქ. ქუთაისს. ამ ბრძოლებში მონაწილეობა მიიღო რუსეთის არმიის გენერალ-მაიორის კურტ ჰაინრიხ ფონ ტოტლებენის საექსპედიციო ჯარმა.

ავტორის შენიშვნები

1. ჯიქები, ჯიქეთი, ჯიქეთია–აფხაზების და აფხაზეთის ქართული სახელწოდება აფსილები და აბაზგები პირველად მოიხსენიება პლინიუს უფროსთან (ახ.წ. I ს.) და ფლავიუს არიანესთან (ახ.წ.აღ. II ს.). როგორც ირკვევა, ძვ. წ. აღ. IX-VIII და VI. IV სს. აფხაზთა ტერიტორია შედიოდა კოლხეთის სამეფოში, რადგან მოგვიანებით - აფსილები და აბაზგები კოლხებთან ერთად იბრძოდნენ რომაელების წინააღმდეგ. ძვ.წ.აღ. IV ს., კოლხეთის სამეფოს დაშლის შემდეგ, აფხაზური ტერიტორიები შევიდა ქართლის (იბერიის) სამეფოს შემადგენლობაში ეგრისის სახელწოდებით (ფარნავაზიანთა დინასტია). რომაელების მიერ მითრიდატე VI ევპ. და ფარნავაზ II-ს (შესაბამისად: ძვ. წ.აღ. 74-63 და ძვ.წ. 34 წწ.) დამარცხების მერე, კოლხურ- იბერიული ტერიტორიები რომის იმპერიის გავლენის ქვეშ მოექცა; დასაბამი ეძლევა ეგრისელთა დინასტიის გაძლიერებას (დაახ. ახ.წ. I ს.). ანტიკურ წყაროებში ეგრისს ლაზიკა ეწოდებოდა. ამავე პერიოდში (ახ. წ. აღ. I-II სს.), რომაელთა ინიციატივით, ყალიბდება აფსილების, აბაზგების და სანიგების სამთავროები. III-IV სს-ში აღზევება დაიწყო ეგრისის სამეფომ. აფსილებმა და აბაზგებმა სამთავრო შეინარჩუნეს, მაგრამ ცნეს ლაზების უზენაესობა. ლაზებმა აგრეთვე დაიმორჩილეს აფხაზების მეზობელი მისიმიანები და მათი, სვანთა, უმთავრესი გაერთიანება. ეგრისის სამეფოში შედიოდა მთელი დას. საქართველო: პონტოს – შავი ზღვის სანაპირო ზოლი ნიკოფსიიდან ჭოროხის შესართავამდე, აღმოსავლეთით კი ლიხის ქედამდე. ძირითადი მოსახლეობა იყო: აფსილები, აბაზგები, სანიგები, ქართები ანუ მესხები (დავითის მიერ თბილისის აღების შემდგომ (1122 წ.) ქართები იწოდებიან იმერლებად). VIII ს. ბოლოს ეგრისელთა დინასტია დასუსტდა და პოლიტიკური ძალაუფლება გადადის აფხაზთა (აბაზგთა) დინასტიის ხელში; და IX ს., ეგრისის სამეფოს ბაზაზე, იქმნება აფხაზთა სამეფო, თუმცა ბიზანტიურ წყაროებში ხშირად დომინირებს სახელწოდება: ეგრის-აფხაზთა სამეფო. თავად აფხაზთა სამთავ-

როს ტერიტორია ვრცელდებოდა ნიკოფსიიდან ეგრისწყლამ-
დე (ღალიძგა), ხოლო ჩრდილო საზღვარი იყო ჩერქეზეთი.
ხრესილის ომის დროს, ნიკოფსია, ცხუმი, (სოხუმი), გაგრა-
ადლერი-სოჭნარი (სოჭი) ოსმალებს ჰქონდათ დაპყრობილი
და ხშირად ყირიმელი თათრების სათარეშოდ იყო ქცეული.
სხვა აფხაზური მიწები ბზიფ-კოდორ-ეგრისწყლის აუზში
შარვაშიძეების პატრონაჟში იმყოფებოდა და ოდიშ-სვანთა
და გურიასთან ერთად, სამხედრო-პოლიტიკური თვალსაწიე-
რით იმერეთის სამეფოს განუყოფელი ნაწილი იყო და იმერე-
თის მეფეს ემორჩილებოდა. 1864 წ. ივნისში იმპერატორმა
ალექსანდრე მეორემ აფხაზეთის სამთავრო გააუქმა, იქ დამ-
ყარდა რუსთ მმართველობა და 1883 წ. უწოდეს „სოხუმის
ოლქი“. აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი მიხეილ შარვაშიძე
ვორონეჟში გადაასახლეს. ამ დროისათვის საქართველოს
სხვა ტერიტორიების, ოლქების თუ გუბერნიების რუსიფიკა-
ცია უკვე სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა. სემინარიებში და
გიმნაზიებში სასტიკად იკრძალებოდა ქართული ენის სწავ-
ლება. რუსი ინსპექტორები ქართულ ენას ძაღლის ენას უწო-
დებდნენ (იხ. შ. დადიანის „გვირგვილიანების ოჯახი“). საყუ-
რადღებოა ის ფაქტი, რომ რუსების მიერ აფხაზთა სამთავ-
როს გაუქმებამდე აფხაზური ანბანი არ არსებობდა, ე.ი. არ
ჰქონდათ ასოების გრაფიკული გამოსახულება და უძველესი
დროიდან მე-19 საუკუნემდე, ისინი, აფხაზები, ქართული
ენის ანბანის გრაფიკით (დამწერლობით) სარგებლობდნენ.
რუსებმა ე. წ. „სოხუმის ოლქში“ აკრძალეს ქართული გრა-
ფიკის ხმარება და დააწესეს რუსული გრაფიკა, თითქოს და
აფხაზური დამწერლობის შექმნის მიზნით, რაც, რა თქმა უნ-
და, სიყალბე იყო და სინამდვილეში მიზნად ისახავდა აფხა-
ზების გარუსებას. 926-38 წწ. მოქმედებდა ნ. მარის ანალი-
ტიკური და შემდეგ, ლათინიზირებული ანბანი. 1938-54 წწ.
აფხაზურ ენაში კვლავ ქართული ანბანის გრაფიკა დამკვიდ-
რდა. სკკპ XX ყრილობაზე, ხრუშჩოვის მიერ სტალინის პი-
როვნების ფართო კრიტიკამ გააძლიერა რუსული დიქტატი
აფხაზებისათვის რუსული გრაფიკის დამკვიდრების თვალ-
საზრისით. ეს დიქტატი დიდი ძალისა იყო, რადგან ამ საქმეს
ხელმძღვანელობდა სკკპ ცკ მდივანი და გაზეთ „პრავდის“

მთ. რედ. მიხეილ სუსლოვი, თავისი სიძის მეშვეობით, დახმარებით და თანადგომით. იგი წარმოშობით აფხაზი იყო.

2. ალანები, ოვსების ძველი სახელწოდება–VII-IX საუკუნეებში ალანეთი ხაზართა სახაკანოში შედიოდა. IX-X საუკუნეებში შეიქმნა ოვსთა სამეფო. ალანების ქართლის მთიანეთში ჩამოსახლება დავით აღმაშენებლის მეფობის პერიოდში შეიმჩნევა. როგორც დაქირავებული მეომრები, ალანები იბრძოდნენ დავით აღმაშენებლის ლაშქარში. მონღოლების შემოსევის დროს ალანებმა საქართველოს კავკასიონს შეაფარეს თავი და ფაქტიურად ქართველებმა იხსნეს ისინი მასიური განადგურებისგან. ამ დროიდან დაიწყო ალანების ქართლის მთიანეთში დასახლება. დღეს ეს ალანები უფრო ქართულ ეთნოსს მიეკუთვნება ვიდრე ოსურს (იგულისხმება ჩრდ. ოსეთი), რადგან მათ შორის არსებული ენობრივ-კულტურული სხვადასხვაობა შეუიარაღებელი თვალითაც შეიმჩნევა.
3. მესხეთი, მესხი–ტოპონიმი და ტერმინი უკავშირდება ბიბლიურ „თუბალს“, „თაბალს“, „თუბალ-კაენს“. დავითის „ფსალმუნში“ და იოსებ ფლავიუსის „იუდეველთა ომში“ მოხსენიებულია როგორც „მეშეხი“. ჰეროდოტეს (ძვ.წ. აღ. V ს.), ბერძენ-რომაელი და ბიზანტიელი მწერლების ცნობით, მესხები ბინადრობდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოსინიკების, ხალიბების და ტიბარენების მეზობლად. ანტიკურ წყაროებში მესხები ხალიბების და ტიბარენების (ბერძნ. წყაროებში სასპერები) სამხრეთით მოსჩანს. სტრაბონთან (ძვ.წ. 63-24 წწ.) მოიხსენიება „მოსხიკეს“ სახელწოდებით. თუ ამ ცნობებს დავეყრდნობით ტოპონიმი „იბერია“ ტერმინ „ტიბერია“-დან უნდა იყოს წარმომდგარი და შეუძლებელია ეთნიკური კავშირი ჰქონდეს პირინეის იბერიასთან ან ბასკებთან.

   მესხეთი არის ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (ზემო ქართლი) ზოგადი სახელწოდება. მისი ტერიტორია მოიცავდა მდ. მტკვრის ზემო ნაწილს და მდ. ჭოროხის აუზს მთლიანად (სამცხე, ჯავახეთი, არტაანი, ერუშეთი, კოლა, აჭარა, კლარჯეთი, შავშეთი, ტაო, სპერი). უფრო სამხრეთით, მესხეთი („მოსხიკე“) მდ.-ებით ევფრატით, არაქსით და ე. წ. მოსხური მთებით იფარგლებოდა.

ჩემს გამოკვლევაში: „მესხის“ მნიშვნელობის განმარტება რუსთაველისა და გალაკტიონის რამდენიმე სტროფის მიხედვით“ ტერმინები „მესხი“ და „ქართველი“ სინონიმებია (იხ. „სად არის საქართველო“ გვ. 50-55 და გვ. 41-42). ნაშრომი დაიბეჭდა აგრეთვე „ლიტერატურული საქართველოს“ აგვისტოს ნომერში (1995 წ.) ამ საკითხზე „ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში ჯერ არ არის ნათქვამი ოფიციალური და გადამწყვეტი სიტყვა“.

4. ეგრისი– იგულისხმება ეგრისის სამეფო, ლაზიკის სამეფო. კოლხეთის დაშლამ და იბერიის (ივერიის) დროებითმა დასუსტებამ ” საფუძველი შექმნა ეგრისის სამეფოს წარმოქმნისთვის (დაახლ. ახ. წ. აღ. I საუკუნე). თავდაპირველად მცირე სამეფო იყო, ეკავა მდ. რიონის ორივე ნაპირი ქობულეთიდან ეგრისის წყლამდე. IV ს. ეგრისის სამეფო გაძლიერდა და გააერთიანა მთელი დასავლეთ საქართველო ნიკოფსიიდან ჭოროხამდე, აღმოსავლეთით კი ლიხის ქედამდე. VIII ს. პირველ ნახევარში ეგრისის სამეფო დასუსტდა: ხელისუფლება მთლიანად შეირყა არაბების, შარვან II იბნ მუჰამედის (მურვან ყრუ), შემოსევის დროს. არაბებმა მთელი კავკასია დაიპყრეს და ააოხრეს. ქართლიდან მურვან ყრუ დას. საქართველოში გადავიდა და ეგრისელთა მთავარი სიმაგრე ციხე-გოჯი დაანგრია, დაიპყრო ცხუმი (ახლანდ. - სოხუმი) და მიადგა ანაკოფიას (ახლ. ახალი ათონი). აქ მას ქართველებმა და - - აფხაზებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს. აფხაზეთის მთავარი ლეონი გამაგრებული იყო სობღის (ოსეთში გადასას. გზა) ციხესიმაგრეში და მურვან ყრუმ მისი დამორჩილება ვერ შეძლო. მტერმა უკან დაიხია. ამ დღიდან ძალაუფლება გადავიდა აფხაზი მთავრების ხელში, რომლებმაც შეინარჩუნეს მთელი დასავლეთ საქართველო. VIII ს. ბოლოდან ანაკოფია აფხაზთა სამეფოს მთავარ ქალაქად იქცა და დედაქალაქად ქუთაისის გამოცხადების შემდეგაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

ბიზანტიური წყაროები აფხაზეთის სამეფოს ხშირად მოიხსენიებენ როგორც ეგ-რის-აფხაზეთის სამეფოს.

ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია ზოგჯერ ტენდენციურად აშუქებდა აფხაზეთთან შექმნილ პრობლემებს და

რატომღაც აკნინებდა აფხაზების ისტორიულ დამსახურებას შუა საუკუნეების გაერთიანებულ საქართველოსთან მიმართებაში, ალბათ ეს რუსი შოვინისტი „მეგობრების“ ზეწოლით ხდებოდა, რომლებიც ქართველებთან ქართველები იყვნენ და აფხაზებთან აფხაზები. არადა, აფხაზებს ისეთივე ღვაწლი მიუძღვით საქართველოს გაერთიანებაში, როგორც ვთქვათ: მეგრელებს, სვანებს, რაჭველებს... და საერთოდ იმერლებს, ქართველებს, კახელებს და ა. შ. ვფიქრობ, ჩემი აზრით, გაერთიანებული საქართველოს მეფეებმა: დავით IV აღმაშენებელმა, დემეტრე I, გიორგი III და თამარმა უკეთ იცოდნენ რატომ იყო მათ ხმალზე ამოტვიფრული: „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა...“

საბჭოთა პერიოდში საკითხისადმი გულგრილმა მიდგომამ სასწორი რუსი შოვინისტების მხარეს გადახარა და აფხაზების გარუსება ფართო მასშტაბით დაიწყო. მომავალში, როცა ოკუპანტები აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან წავლენ, ეს საკითხი მეტი სიფაქიზით მოპყრობას და მოვლა-პატრონობას იმსახურებს.

5. ფანასკერტის დარბაზობა–ქართულ ისტორიოგრაფიაში დაცული ცნობა, დაკავშირებული გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III-ის მიერ სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალიზაციის განსამტკიცებლად გატარებულ ღონისძიებასთან. დაახლ. 1010 წ., ბაგრატ ბაგრატიონმა ფანასკერტის ციხესიმაგრეში (სამხ. საქ. ისტ. ტაო (ამიერტაო), ახლანდელი თურქეთის ტერიტორია) სანადიმოდ მიიწვია თავისი ნათესავები ბაგრატ არტანუჯელის ძენი სუმბატი და გურგენი. ნადიმის დროს მეფემ შეიპყრო ისინი და თმოგვის ციხეში დაამწყვდია, სადაც მალე გარდაიცვალნენ. ასევე პატიმრობაში დაიხოცნენ კლარჯეთის ბაგრატიონთა სხვა მემკვიდრეებიც. ცხადია, თვითონ აქტი, მეფის მიერ განხორციელებული, ვერაგულია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბაგრატ III გატარებულმა ღონისძიებებმა მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ერთიანი ფეოდალური საქართველოს ძლიერებას, რამაც განაპირობა ქართული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება XIX, XX და XXI საუკუნეებში.

6. გიორგი–იგულისხმება აფხაზთა მეფე გიორგი II (922-957). ზოგიერთი ბიზანტიელი ისტორიკოსი მას დასავლეთ საქართველოს (ეგრისის) მეფეს უწოდებს; თუმცა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს გაერთიანება სწორედ მისი დაწყებულია. მის სამეფოში შედიოდა. ქართლი, რის ერისთავად თავისი უფროსი შვილი კონსტანტინე დანიშნა. ქართლის ერისთავების მხარდაჭერით კონსტანტინე მამას აუჯანყდა. მეფემ აჯანყება ჩაახშო, კონსტანტინე სიკვდილით დასაჯა და ქართლის ერისთავად თავისი მეორე ძე ლეონი (შემდეგში მეფე ლეონ III) დასვა. მალე გიორგი მეორემ მოახერხა კახეთის შემოერთებაც. X ს. მეორე ნახევარში გიორგი მეორის აქტიური ხელშეწყობით ალანთა ქვეყანაში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. იგი ნაყოფიერად მოღვაწეობდა კულტურის სფეროშიც. ქართული წყარო მას ეკლესიათა ამშენებელს უწოდებს. გიორგი მეორემ დააარსა ჭყონდიდის (მარტვილის) საეპისკოპოსო კათედრა. მისი ასული გურანდუხტი გურგენ მეფეთა მეფის მეუღლე იყო.

7. ბაგრატი–იგულისხმება ბაგრატ III–გაერთიანებული ფეოდალური საქართვე ლოს პირველი მეფე, ბაგრატიონი, გურგენ მეფეთა მეფის და გურანდუხტ დედოფლის შვილი, ტაოს მეფეთა მეფის დავით III კურაპალატის შვილობილი და აღ. ზრდილი. მეფობის დრო დაახლ. 960-1014 წწ. მისი პოლიტ. ასპარეზზე გამოსვლა დაემთხვა ქართული სამეფო-სამთავროების გაერთიანებისათვის ბრძოლას. 70-36 წწ. აფხაზთა სამეფო დინასტია დასუსტდა. გურანდუხტ დედოფლის ძმები, აფხაზეთის მეფეები: ლეონ III, თეოდოს III და დემეტრე III უშვილონი იყვნენ. ამასთან დემეტრემ, ლეონის გარდაცვალების შემდეგ, შინა ფეოდალური შუღლის საფუძველზე, თავისი ძმა თეოდოსი დააბრმავა და როცა ის გარდაიცვალა, აფხაზეთის სამეფო ტახტის ერთადერთი კანონიერი მემკვიდრე ბაგრატ გურგენის ძე აღმოჩნდა. ასე რომ, ბაგრატ III დედით დასავლეთ საქართველოს და ქართლის, ხოლო მამით და მამობილით სამხრეთ საქართველოს კანონიერი მემკვიდრე იყო. 978 წ. დავით კურაპალატმა და ქართლის ერისთავმა იოანე მარუშის ძემ ბაგრატ III აფხაზეთის სამეფო

ტახტზე აიყვანეს. კურთხევა შედგა დასავლეთ საქართველოს დედაქალაქში ქუთაისში. ბაგრატ III მხარში ედგა საქართველოს გაერთიანებით დაინტერესებული ძირითადი ძალა: წვრილი და საშუალო აზნაურობა, ვაჭართა ფენა და დიდებულ აზნაურთა მოწინავე ნაწილი. ქართლის შემოერთების მერე ბაგრატ მესამემ დაიკავა კახეთ-ჰერეთი. ამგვარად, საქართველოს საზღვრებს გარეთ რჩებოდა მხოლოდ თბილისის საამირო და იმიერ ტაო. ბაგრატ III საფუძველი ჩაუყარა საქართველოს ფეოდალურ მონარქიას. მის დროს აგებულ იქნა ცნობილი არქიტექტურული ძეგლები: ბედიის მონასტერი (სადაც თვითონ არის დაკრძალული), ბაგრატის ტაძარი, ნიკორწმინდა (რაჭაში, სოფლების ნიკორწმინდისა და ნაკადლევას ულამაზეს შემოგარენში).

8. მარტვილი–ხუროთმოძღვრების ძეგლი, ქართული კულტურის კერა. სიტყვა მარტვილი ბერძნულია, ნიშნავს წამებულს. თავდაპირველი სახელწოდება იყო ჭყონდიდი (მეგრ. „ჭყონი“–მუხა, ე.ი. „ჭყონდიდი“–დიდი მუხა. წარმართული კერპი იყო. გადმოცემით კაპუნიას ეძახოდნენ, თითქოს ბავშვებს წირავდნენ. ქრისტიანებმა–„მარტვილი“–უწოდეს დიდებული სახელია–ი.პ.) VII ს. I ნახევარში აქ მარტვილთა სახელზე ააგეს ეკლესია–ჭყონდიდის მარტვილთა ეკლესია. დაგეგმარებით ძალიან ჰგავს მცხეთის ჯვრის ტაძარს. X ს. აქ დაარსდა ჭყონდიდის საეპისკოპოსო კათედრალი. გვიანდელ შუა საუკუნეებში ეკლესია ღვთისმშობლის სახელობისა გახდა და მარტვილი მხოლოდ დასახლებული პუნქტის სახელად დარჩა. X-XVI სს. მწიგნობრობის მძლავრ კერას წარმოადგენდა.
9. სოჭნარი–იგულისხმება გაგრა-ადლერ-ხვოსტა-სოჭის ტერიტორიები. თუმცა მე- XIX ს. I ნახევრამდე (რუსეთის ექსპანსიამდე) საქართველოს ჩრდილო შავიზღვისპირა საზღვარი იწყებოდა ნიკოფსიიდან (დღევანდელი ტუაფსე), რაც ისტორიული ეგრის-აფხაზეთის საწყის სასაზღვრო წერტილს წარმოადგენდა. ხრესილის ომის დროს ეს ადგილები და თვით ცხუმი (სოხუმი) ოსმალებს ჰქონდათ დაპყრობილი.
10. ჰ (აფხ.)–მთავარი
11. საქართველოში 30-ზე მეტ კილო-კავზე (დიალექტზე) მეტყველებენ. ყველა ეს დიალექტი ქართული გვარისაა და ქარ-

თული წარმოშობისაა ძირითადად. განსაკუთრებით მთისა და ბარის დიალექტები განსხვავდება ერთმანეთისაგან, რის გამოც, ხშირად, მოსაუბრეთა ურთიერთობა გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ამის გამო, უხსოვარი დროიდან, პრიორიტეტი მიკუთვნებული ჰქონდა და აქვს ქართულ ენას, რომელიც ამ დიალექტების ძირეული შემკრები წყარო და გამაერთიანებელი სასიცოცხლო არტერია იყო და არის.

12. აჰიფ, აჰიფა (აფხ.)–უფლისწული
13. ციტადელი–ქუთაისის ციხე-სიმაგრეს ეძახდნენ. აგებული იყო რიონის მარჯვენა ნაპირზე, მაღალ კლდოვან გორაზე, რომელსაც დღეს გაბაშვილის გორას ეძახიან. ეს ციხე, ხრესილის ომის დროს, ოსმალებს ეკავათ. აქედან ესროდნენ ისინი ზარბაზნებს ბაგრატის ტაძარს. ციტადელი კარგად არის აღწერილი რევაზ ჯაფარიძის „მძიმე ჯვარის“ მესამე წიგნში: „ძლევის ზარი“.
14. დიდგორი–იგულისხმება დიდგორის ბრძოლა 1121 წ.–ქართველთა ბრძოლა დავით IV აღმაშენებლის მთავარსარდლობით თურქ-სელჯუკთა კოალიციური ლაშქრის წინააღმდეგ დიდგორის ველზე, მანგლისის მახლობლად, თბილისის მისადგომებთან. ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით, თურქ-სელჯუკთა კოალიციური ჯარი 300000 მეომრისაგან შედგებოდა, მაგრამ ფრანგი ისტორიკოსი გოტიე 600000-ს ასახელებს. ქართველთა ლაშქარში 55000 მეომარი იბრძოდა. თურქ-სელჯუკების გამარჯვების შემთხვევაში მუსულმანები შავიზღვისპირეთს დაიპყრობდნენ და შესაბამისად დონისა და დნეპრის სტეპებისაკენ ეხსნებოდათ გზა, მაგრამ როგორც წყაროები ადასტურებს, ქართველებმა მტერი ისე დაამარცხეს, რომ მხოლოდ რამდენიმე მხედართმთავარმა უშველა თავს. აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით: საქართველოს მეფემ „თავისნი სპანი დაიცვნა უვნებლად“.
15. მარტყოფი ანდა მარაბდა–იგულისხმება ქართლ-კახეთის ლაშქრის ბრძოლა ყიზილბაშ დამპყრობთა წინააღმდეგ 1625 წ. 25 მარტს მარტყოფის ველზე გიორგი სააკაძის მხედართმთავრობით და 1625 წ. 1 ივლისს მარაბდის ველზე თეიმურაზ I მეთაურობით. პირველ ბრძოლაში ქართველებმა მტერი სასტიკად დაამარცხეს - 60 ათასზე მეტი მეომარი გაჟ-

ლიტეს. შაჰ-აბას I ახალი დიდი არმია გაგზავნა საქართველოში, რომელსაც პირადად ხელმძღვანელობდა. გადამწყვეტი ბრძოლა გაიმართა მარაბდის ველზე. გიორგი სააკაძე რატომღაც ბრძოლის საერთო ხელმძღვანელობას ჩამოაშორეს, უარყვეს მისი გეგმა. პირველ შეტაკებაში ქართველებმა გაიმარჯვეს, მაგრამ მალე მტერს მაშველი ჯარები მოუვიდა და დამარცხდნენ. მიუხედავად ამისა, შაჰ-აბას I თავის მიზანს: მთლიანად მოეთხარა ქართლ-კახეთი და ამით შავი ზღვისპირეთისაკენ გაჭრილიყო, ვერ მიაღწია. მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლამ შაჰ-აბას I სამხედრო ძლიერება ხერხემალში გადატეხა.

16. კაცია დადიანი–ოდიშის მთავრის ოტია დადიანის* შვილი. აფხაზ და ოდიშის მთავრებს შორის ზოგჯერ იყო დავა მდ. ენგურის მარჯვენა ნაპირის დასაკუთრებისათვის, რაც გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. XVIII ს. II ნახევარში, როგორც ჩანს, ოტია დადიანმა იმარჯვა. მის ბეჭედზე ამოტვიფრული იყო: „მიჭირავს სვანი და ზღვანი შავნი, ოდიშ-აფხაზ მფლობელ ვარ“.

---

*ეს დადიანები სვანეთის საგვარეულო შტოს: ლიპარტიანების, ჩიქვანების და დადეშქელიანების წარმომადგენლები არიან. დადიანის ტიტული 1704 წ. მიიღეს. (ავტორი)

პაპიაშვილი ი., ოდა იმერთა მეფის და აფხაზთა მთავრის შვილის თავდადებაზე, თბ., 2010, გვ.11-36, გვ.29.

სარჩევი

რევაზ მიშველაძე – წინათქმა 5

ამირანი (რომანი) 9
პროლოგი. ძველი თბილისი – პურის მოედანი 10
იმერეთის გაზაფხული 37
მეორე ლეგენდა 67
ეპილოგი 80
ბოლოსიტყვა 85

პუბლიცისტიკა 87

მისი სული... 88
ქართული სიტყვის სარდალი 94
ეპილოგი 101
მჭავანაძის შემდეგ ანდროპოვი და შევარდნაძე 103
ჯაველიძე (წერილი ბატონ ელიზბარ ჯაველიძეს) 115
დღესასწაული ჭირის დროს 116
STALINGRAD გენერალ შარლ დე გოლის ხანგრძლივი სვლაგეზი 122
დავიწყებული ისტორია 125
მცირე ინტერვალი 130
მცირე ინტერვალი 131
სტალინი, დე გოლი და ქართული განძი 132
შენ ხარ ვენახი 136
თავისუფალი სიმღერა 139
მშენებელი ინჟინრის მოგონება 142
მე და მიხეილ ტალი მოგონება 144
რაგბის დაბადება ქუთაისში 146
„მესხის“ მნიშვნელობის განმარტება რუსთაველისა და გალაკტიონის რამდენიმე სტროფის მიხედვით 152
ჭეშმარიტების ძიებაში ათასი წლის ცილისწამება 159
ვერცხლის ლურსმნებით!? 164

პონტი პილატე ისტორია და ევანგელია 165
იუდას კოცნა 174
ვარ დარაჯი იუდეველი ძმისა 180
დაკარგული სოციალიზმი 184
შოვინისტური, ე. წ. ლიტერატურული ციკლი
და შოვინისტური რუსული კინოფილმი 193
საბჭოთა მწერლების პირველი ყრილობა 195
დიდი მაჰმადიანი. ლოცვა ტაძრის მთაზე 199
ცემა გმართებს გამზრდელისა 203
მცდარი ვერსია 205
დღიური 661-4-ზაფხული, 1947 წელი 206
ვინ მოკლა მიხოელსი 213
ეპილოგი 223

პოეზია

იერუსალიმს 228
და ქარებს მიაქვთ 231
ვხატავდი მთვარეს 232
სურამის ციხე 233
ყალიზმანი 234
და იყო ხიდი შავ გველეშაპის 235
მომავალი 236
ებრაელთა ბედისა თუ უბედობის კვალდაკვალ 237
ორნივ მესხი და ქართველი 239
საქართველოს 241
ქუთაისი გაზაფხულზე 242
ბეთჰოვენის ბოლო აკორდი 243
*** სახელი მინდა სიცოცხლისათვის... 244
მე საქართველოს სიცოცხლეს ვნატრობ 245
ქართულ მიწას 246
ვედრება 247
ვაჟას გულისთქმა 250
გუდაურაზე 251
და წიგნს ველაციცები 252

მოვა აპრილი..... 254
სად არის საქართველო? 255
ვით მზისკენ მსრბოლი ალვის ხეები..... 259
გაზაფხული..... 261
ღვინობისთვე ქუთაისში..... 262
დროსთან ჭიდილში..... 263

ოდა იმერთა მეფის და აფხაზთა მთავრის შვილის თავდადებაზე.....264

იაკობ პაპიაშვილი
ამირანი
რომანი

გამომცემლობა „უნივერსალი“
რედაქტორი – რევაზ მიშველაძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა – ნანა დუმბაძე
დიზაინერი – ირაკლი უშვერიძე
გამომშვები – ია გორგიშელი

თბილისი
2023

Яков Папиашвили
АМИРАН
роман

Издательство «универсал»
редактор – Реваз Мишveладзе
компютерная обеспечения – Нана Думбадзе
дизайнер – Иракли Ушверидзе
издатель – Иа Горгишели

Тбилиси
2023

წიგნის გარეკანზე გამოსახულია მენორა
და ქუთაისის ბაგრატის ტაძარი

წიგნის ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა **„უნივერსალი“**

თბილისი, 0186, ა. ჰოლიტკოვსკაიას №4. ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

იაკობ პაპიაშვილი დაიბადა 1942 წელს ქუთაისში. 1958 წელს დაამთავრა ქუთაისის მე-3 საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო თბილისში, საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. ამჟამად ცხოვრობს ისრაელში – ქალაქ ბათ-იამში, ოჯახთან ერთად.

იაკობ პაპიაშვილი საქართველოში დაბადებული და გაზრდილი ქართველი მწერალია, ეროვნებით ებრაელი. ახალგაზრდობიდანვე გამოირჩევა ჭეშმარიტი ნიჭიერებით და მოქალაქეობრივი სისპეტაკით. ლიტერატურის მრავალ ჟანრში (პოეზია, პროზა, პუბლიცისტიკა, თარგმანი, მეცნიერული საქმიანობა...) ნარმატებულმა შრომამ იგი პოპულარულ მოღვაწედ აქცია.

გახლავთ ისრაელის და საქართველოს მწერალთა კავშირების წევრი, მაჩაბლის და გალაკტიონის პრემიების ლაურეატი, ნობელის პრემიის ნომინანტი.

იაკობ პაპიაშვილი ნერს სამ ენაზე (ქართული, ებრაული, რუსული).

ISBN 978-9941-33-572-3